# კვირის პალიტრა

№ 26 (487) ◆ 28 ივნისი – 4 ივლისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „ხელისუფლებაში მყოფებმა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენკენ ნასროლი ქვა ჩვენს შვილსაც მოხვდება“



„ბიწაძეებს, ბურჯანაძეებს და მორჩაძეებს ვერ გადავასახლებ საქართველოდან...“ გვ.7

ამიხსნას ვინმემ, რატომ არის ვინმეს დაკითხვაზე წაყვანა არაქართული ჟესტი? გასაგებია, რომ დიანასთვის მძიმე იქნებოდა ეს პროცედურა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ არ გატეხა სიტყვა – დიანა აბაშიძე აბსოლუტური ხელშეუხებლობით სარგებლობდა. არ არის საჭირო ცრემლის ღვრა იმის გამო, რომ დიანა აბაშიძეს ჰკითხეს იმ მილიონებზე, რომლებიც ბიუჯეტში არ შემოსულა.

## ქართველი მესაზღვრეები საზღვრის დამრღვევებს სანთებლებით ეძებენ(?!)

გვ.6,27



„ერთ დროს საკონტროლო-საკვალე ზოლი შარაგზად იქცა“

**ასე ძველად, იმერეთში, გაღატაკებულ, მაგრამ თავმოყვარე გლეხსაც კი არ ჰქონდა ყანა შემოღობილი**

– იმ ღამეს იცით, რითი ვეძებდით საზღვრის დამრღვევებს? ჩვეულებრივი სანთებლებით. იმის საშუალებაც არ გვაქვს, ელექტროფარნები ვიყიდოთ. ლაპარაკი ზედმეტია მესაზღვრისთვის ისეთ აუცილებელ ატრიბუტზე, როგორიც დურბინდია. საზღვრის ბევრ მონაკვეთზე დანგრეულია საინჟინრო ნაგებობები, ზღუდეები. მესაზღვრეები აუტანელ პირობებში ცხოვრობენ – ფიცრულ ვაგონებში სუნთქვაც კი ჭირს.

## თუ მოვითმენთ, მოვიგებთ?!

გვ.6

ჯავის რაიონში ჩრდილო-კავკასიელი ბოევიკები დგანან ოსებთან და რუსებთან ერთად

## „პატივცემული მეცნიერისთვის“

### ეს სანარმო ქონების მართვის მინისტრს უჩუქებია“(?!)

„უახლოეს მომავალში კიდევ არაერთი გვ.5,27 პირისთვის მოვითხოვთ ქონების ჩამორთმევას.“

*ვალერი გრიგალაშვილი*

## „რაც აჭარაში მოხდა, დაბალი რანგის ახალი ნომენკლატურის ინიციატივა იყო“

გვ.7,13



„თუ დაგვასწრებენ და უმრავლესობიდან გაგვრიცხავენ, მეტად საინტერესო იქნება“

„მოსანანიებელი გრიგალაშვილთან არაფერი მჭირს. მან ის მოინანიოს, მაინცდამაინც ლევან ბერძენიშვილის პოსტის დაკავება რომ უნდა. ჯობს იმაზე დაფიქრდეს, რამდენად შეესაბამება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს.“

**ახალი რუბრიკა**

## ცნობილთა ნაკვესები

ჩვენს რუბრიკაში დროდადრო შემოგთავაზებთ ცნობილი პიროვნებების იუმორისტულ, მოკლე, გონებამახვილურ ხუმრობებს. გვ.4

## გვარიშვილობა

„დოდოს უახლოესი მეგობრების პანაშვიდზე მისვლა გვ.16 არ შეეძლო...“

დოდო აბაშიძე მამასთან ერთად



## ციხის „ჯაკუზიდან დავაზვრატებული“ მანქანები



„ლოტკინის საძმოსთან“ დაახლოებული ზვიად პაპიაშვილი ლამის ერთადერთი ქურდი იყო, ვინც ციხიდან კურირებდა მანქანების „ვაზვრატს“(?!). ეს ის პაპიაშვილია, რომელზეც ჯერ კიდევ შევარდნაძემ გაკვირვებულმა თქვა, კანონიერ ქურდს კოლონიაში ჯაკუზები და მოტოციკლეტი აქვსო... გვ.5

## კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილი „ხალვა“ ესპანეთში დააკავეს

გვ.5,13

რატომ იშორებდა პოლიცია იმ ხალხს, ვინც ყველაზე მეტად სჭირდებოდა?!

## ჯუმასყურეს საქართველოსთან 7-8 მეტრი მიწადა აკავშირებს

გვ.24

კახელები ამ ჯიქს „კაცს“ ეძახიან, რომელსაც შესაძლოა, სადმე ახლოს „ქალიც“ ჰყავდეს. უკანასკნელი კავკასიური ჯიქის გაუჩინარებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე ახალი ინდივიდის გამოჩენა ბევრ რამეზე მეტყველებს...

„ტერიტორიების დაბრუნებას ვცდილობთ და 200 ჰა მიწას ვკარგავთ“



მაინცდამაინც ტანკით და ზარბაზნით უნდა მოგვადგეს მტერი, რომ მტრად ჩავთვალოთ და ხელი და ტვინი გავანძრიოთ?

რა გარანტია გაქვთ, რომ აზერბაიჯანელები არ დაგვიწყებენ ნეიტრალურ ზონაში აღმოჩენილ კუნძულზე დავას და არ მოგვიგებენ კიდეც.

**როგორ ვკარგავთ უნიკალური ნაკრძალის ნაწილს...**




ტოლიატის ს/ს „ავტოვაზის“ პროდუქცია თბილისში

ნივა, ყველა მარკის ჟიგული



სპეცვაგონებით ტოლიატიდან, ნულოვანი გარბენით, გარანტიით, განვადებით, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით

მის: კარგარეთელის 7

☎95-75-62; 899-55-12-94
899-41-00-95


ქრონიკა

17-20 გვერდი

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## საქართველო სამიტზე წარდგა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 26 ივნისს ოთხდღიანი ვიზიტით სტამბოლში გაემგზავრა, სადაც ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების (NATO) სამიტში მიიღებს მონაწილეობას.

ვიზიტის პირველ დღეს — 26 ივნისს, პრეზიდენტი დაესწრო კონფერენციას „ატლანტიკური ალიანსი ახალ გზაჯვარედინზე", სადაც შავი ზღვის ქვეყნებისთვის ახალი ევროატლანტიკური სტრატეგიის შესახებ იმსჯელეს.

ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურთა შეხვედრა, კულტურული პროგრამა და გალასადილი თურქეთის პრემიერ-მინისტრის, რეჯებ თაიფ ერდოგანის მასპინძლობით.

საქართველოს პრეზიდენტი სტამბოლის ნატოს სამიტზე განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მიხეილ სააკაშვილს წლის გმირის წოდება მიანიჭეს.

„სამხრეთკავკასიური კონფლიქტები ევროპის უსაფრთხოების კონცეფციის განხორციელებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ევროპას ამ რეგიონში ძლიერი პარტნიორები სჭირდება და სწორედ ამიტომ აუცილებელია წარსულს ჩაბარდეს დრო, როდესაც კონფლიქტებზე ლაპარაკს ყველა თავს არიდებდა", — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტი სამიტის მიმდინარეობისას სხვადასხვა ქვეყნის პირველ პირებთან შეხვედრას ელის. არ არის გამორიცხული, იგი აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსაც შეხვდეს. იგეგმება საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, რიჩარდ ლუგართან, სენატორ ჯონ მაკკეინთან, კონგრესმენ ტომ ლანტოსთან და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან, იოშკა ფიშერთან.

## ახალი ორდენი

გასულ კვირას საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სურვილი დააკანონა და ამიერიდან ყველაზე ფასეული და ძვირფასი სახელმწიფო ჯილდო ეროვნული გმირის ორდენი იქნება. პირველი, ვინც ამ წოდებაზე სააკაშვილმა უკვე წარადგინა, ჟიული შარტავა იყო. „ბავშვობიდან უნდა ოცნებობდეთ იმაზე, რომ ქვეყნისთვის თავის გაწირვის საშუალება გქონდეთ", — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. მისი აზრით, დასამალი არ არის, რომ საქართველოს საბოლოო გამარჯვებისთვის კვლავაც დასჭირდება „თავგანწირვა, მსხვერპლი და ქართველების სისხლი". ეროვნული გმირის ორდენთან ერთად ფუძნდება უმაღლესი სამხედრო ჯილდოც — წმინდა გიორგის ორდენი. თუმცა, ჯერ არც მისი ესკიზია შემუშავებული და არც კანდიდატები ჰყავთ ამ ჯილდოზე წარსადგენად. კომისია მუშაობას ახლა იწყებს. ახლახან სააკაშვილმა ერთბაშად 37 აჭარელი დააჯილდოვა ღირსების ორდენით. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, დაჯილდოებულები ორდენებთან ერთად ფულსაც თუ მიიღებენ. საქართველოში ორდენოსნებისთვის დღემდე ფული არავის მიუცია. ალბათ ერთი მიზეზით, ორდენოსნისთვის დაწესებული თანხა იმდენად მცირეა, რომ დაცინვად თვლიან.

## სოსელიამ მოლაშვილი შეცვალა

მიუხედავად დიდი ვნებათაღელვისა, საქართველოს პარლამენტმა 150 ხმით კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ზურაბ სოსელია დაამტკიცა.

პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ მიულოცა ზურაბ სოსელიას ახალი პოსტი და იმედი გამოთქვა, რომ იგი საქართველოს პარლამენტის ნდობას გაამართლებს.

ზურაბ სოსელია დაიბადა ქ. თბილისში, 1955 წლის 13 დეკემბერს. 1980 წელს დაამთავრა ყოფილი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1986 წლიდან 1992 წლამდე იყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. 1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

1996 წლიდან 2000 წლამდე მუშაობდა საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის პირველ მოადგილედ. 2000 წლის აგვისტოდან იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე. იგი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატია.

## „არარეალური და არარეალიზებადი"

ბორის ჩოჩიევი „არარეალურ და არარეალიზებად მოთხოვნად" აფასებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, სალომე ზურაბაშვილის წინადადებას როკის გვირაბზე ერთობლივი ქართულ-ოსური საკონტროლო-გამშვები პუნქტის ორგანიზების შესახებ, რომელიც მან თბილისში ვიზიტად მყოფ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ვალერი ლოშჩინინს შესთავაზა.

„ვიდრე სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა იარსებებს, საქართველოს ხელისუფლება როკის გვირაბს ვერ გააკონტროლებს", — აცხადებს ჩოჩიევი.

მისი თქმით, ცხინვალის ხელისუფლებას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სამხრეთ ოსეთის საკითხებზე რუსულ მხარესთან მოლაპარაკებებისას, ქართულ მხარეს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა ხშირად ავიწყდება და არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სამხრეთელი ოსები სასიცოცხლო მნიშვნელობის როკის გვირაბზე მათთან შეუთანხმებლად კონტროლის დაწესების უფლებას არავის — არც რუსულსა და მით უმეტეს, არც ქართულ მხარეს არასდროს მისცემენ(?!).

## ცხინვალში ბლოკადა გრძელდება

ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კოკოითი ცხინვალის ბლოკირებას კვლავაც აგრძელებს. ქალაქის ადმინისტრაციამ შესასვლელ-გამოსასვლელი 26 ივნისს, ღამით გადაკეტა, რის მიზეზადაც კონტრაბანდული ტვირთების დაკავებასთან ერთად ისიც სახელდება, რომ დე ფაქტო ხელისუფლებას ქალაქში იმ ბავშვების შეშვება არ სურს, რომლებიც აჭარაში დაასვენეს. მიუხედავად წინააღმდეგობისა, აჭარაში დასასვენებლად ოსი ეროვნების ბავშვების კიდევ ერთი ნაკადი ჩავიდა. ეს პროგრამა ზაფხულის ბოლომდე გაგრძელდება. „კვირის პალიტრის" ცხინვალელი წყაროს ინფორმაციით, მოსახლეობა აღშფოთებულია სეპარატისტული ხელისუფლების მოქმედებით და თუ კოკოითის „რაზმი" გონს არ მოეგება, მოსალოდნელია სიტუაციის გართულება. ე. წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამსახურმა 27 ივნისს პატიმრობიდან გაათავისუფლა ცხინვალიდან დევნილი სოსო ვახტანგიშვილი, აშშ-ის მოქალაქე, ჟურნალისტი ტერეზა ბრიცი და მისი თარჯიმანი. ამავე დროს ფრონის ხეობაში, მუგუთის საგუშაგოსთან ცისფერჩაფხუტიანებმა კიდევ რამდენიმე ქართველი დააკავეს. კერძოდ, თბილისიდან ჩასული ტელევიზიის ტექნიკური ჯგუფი, რომელიც სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად მიდიოდა ხშირი წვიმების შედეგად დაზიანებული ანძისკენ. ოსებმა ისინი ყოველგვარი მოტივაციის გარეშე დააკავეს, თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

## რუსების ღალატის ეშინიათ

26 ივნისს, მოსკოვში, საქართველოს საელჩოს შენობის წინ რუსეთში ოსური სათვისტომოს ახალგაზრდულმა ჯგუფმა საპროტესტო აქცია გამართა. აქციაში მონაწილეობდნენ ამჟამად მოსკოვში მცხოვრები, ჩრდილო ოსეთიდან და თვითალიარებული სამხრეთ ოსეთიდან ჩასული ახალგაზრდები. წინამორბედი მიტინგისგან განსხვავებით, მშვიდობიანი აქცია მოსკოვის მთავრობის მიერ იყო სანქცირებული. 15-მდე მომიტინგე თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის რუსეთთან მიერთებას, სისხლის ღვრის თავიდან აცილებას და რუსეთის მხრიდან უფრო აქტიურ ქმედებებს ითხოვდა.

ოსთა ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერმა, დიმიტრი ამბარცუმიანმა, რომელიც ალბათ ცხინვალში ახლახან დაფუძნებული სომხური სათვისტომოს წევრიც არის, მოსკოველ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მათი მიზანი იყო აქცია საქართველოს საელჩოს წინ ჩატარებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოთხოვნების ადრესატი არა საქართველოს, არამედ რუსეთის მთავრობაა. ამბარცუმიანი ამგვარი გადაწყვეტილების განმარტებას არ იძლევა, თუმცა, ერთი რამ ცხადია, ცხინვალში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვალერი ლოშჩინინის სტუმრობის შემდეგ ოსებს რუსების ღალატის ეშინიათ.

## ნარკომანიას ეკლესიაც შეებრძოლება

„მართლმადიდებლური ეკლესიის ჩართვა ნარკომანიის აღმოფხვრის საქმეში იქნება სერიოზული ნაბიჯი, რომელიც ავადმყოფებს იმ სიცარიელის შევსებაში დაეხმარება, რაც მათ ამჟამად სულიერებაში აქვთ", — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა საპატრიარქოში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე, სადაც გადაწყდა, რომ ამიერიდან ნარკომანიით დაავადებულთა მკურნალობისშემდგომი რეაბილიტაციის პროცესში საქართველოს ეკლესიაც აქტიურად ჩაერთვება.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის განცხადებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ნარკომანს ამ სენისგან განკურნების სურვილი გაუჩნდეს. „მას უნდა სწამდეს, რომ აუცილებლად განიკურნება. მესამე და მნიშვნელოვანი ფაქტორი ნარკომანთა განკურნებაში ის იქნება, რომ მათ აქტიურად უნდა დაიწყონ ეკლესიასთან ურთიერთობა", — აღნიშნა ილია II-მ.

პატრიარქმა ასევე სურვილი გამოთქვა, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად მედიის საშუალებებმა მოამზადონ სპეციალური პროგრამები, რითაც საზოგადოება ამ მძიმე სენის ურთულეს შედეგებს გააცნობიერებს.

## წინასწარი პროგნოზით

წელს კახეთში 250.000 ტონა ხორბლის მოსავალს ელიან. 26 ივნისს კახეთში სტუმრად მყოფი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე წნორის რაიონში ხორბლის ყანის პირველ გაჭრას დაესწრო. წინასწარი მონაცემებით, ხორბლის წლევანდელი მოსავალი გასული წლის მოსავალს 30.000 ტონით აღემატება.

„საქართველო წლის განმავლობაში 750.000 ტონა ხორბალს მოიხმარს, თუ საპროგნოზო მონაცემები გამართლდა, ჩვენი მოსავლით ქვეყნის მესამედს დავაკმაყოფილებთ", — აღნიშნა მინისტრმა.

შერვაშიძე წისქვილკომბინატების ხელმძღვანელებსაც შეხვდა. მეწისქვილეები მზად არიან, ხორბალი ჩაიბარონ, თუმცა ჯერჯერობით ფასი დადგენილი არ აქვთ. „ხორბლის ფასს მოსავლის აღების შემდეგ ბაზარი დაარეგულირებს და იმის მიხედვით ჩავიბარებთ", — განაცხადეს მეწისქვილეებმა. გლეხობა კი შიშობს, რომ ქართულ ხორბალს ამჯერადაც მცირე ფასს დაადებენ, რაც მათ მომავალი სამუშაოების დაფინანსებაში შეუშლის ხელს.

## უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ერთიანდებიან

24 ივნისს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „თბილისში კანონდარღვევით განხორციელებულ და მიმდინარე მშენებლობებზე რეაგირების ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს პარლამენტი ადგენს — „დაევალოს ქალაქ თბილისის მერიას, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროებთან ერთად მიმდინარე წლის 15 ივლისამდე შეადგინოს ქალაქ თბილისში კანონდარღვევით განხორციელებული და ამჟამად მშენებარე იმ ობიექტების ნუსხა, რომელთა მშენებლობა 2001 წლიდან დაიწყო და რომელთა მიმართაც განსაკუთრებით მწვავე დამოკიდებულებაა საზოგადოების მხრიდან".

დადგენილების მიხედვით, არასასოფლო დანიშნულების სამეურნეო მიწების პრივატიზების კანონიერებაც ზემოჩამოთვლილმა ორგანიზაციებმა უნდა დაადგინონ. აგრეთვე, ეთხოვა საქართველოს მთავრობას, დაჩქარებული წესით განიხილოს და განსახილველად წარმოადგინოს „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სრულყოფის" შესახებ კანონპროექტების პაკეტი.

დადგენილების ინიციატორის, ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, საქართველოს პარლამენტმა დადგენილების მიღებით თბილისის მერიას პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა, რათა მან უფრო ეფექტიანად შეძლოს უკანონო მშენებლობების ბლოკირება, რასაც სავარაუდოდ, ყველა თუ არა, ზოგიერთი უკანონო მშენებარე კორპუსის ნგრევა მაინც მოჰყვება.

## აფხაზეთში დაძაბულობა პიკს აღწევს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატებს ურთიერთშუღლი აღარ ყოფნით და აფხაზეთის ტელე-რადიოკომპანიის ხელმძღვანელობას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ტენდენციურ გაშუქებასა და სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირებაში ადანაშაულებენ. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დეპუტატები მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ მედიისგან კატეგორიულად მოითხოვენ მუშაობის გაუმჯობესებას.

აფხაზეთის ტელე-რადიოკომპანიის მუშაობით უკმაყოფილო დეპუტატებმა თავიანთი პრეტენზიების განსახილველად პარლამენტში კომპანიის ხელმძღვანელი, რუსლან ხაშიგი მიიწვიეს და მას უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ტენდენციურ და არაობიექტურ გაშუქებაში დასდეს ბრალი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „ამცახარას" ლიდერებისა და პარლამენტის დეპუტატების — ვლადიმირ ნაჩაჩ-ოღლისა და გარი სამანბას მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ტელე-რადიოკომპანია მომავალშიც გააგრძელებს იმ ფორმატითა და იდეოლოგიით ეთერში გასვლას, როგორითაც აქამდე მიმდინარეობდა მაუწყებლობა, საპრეზიდენტო არჩევნებზე სამოქალაქო დაპირისპირება გარდაუვალი იქნება.

## ნათელაშვილი აპროტესტებს

„ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი „მოსახლეობისთვის ენაზე მრიცხველების დაყენების" პერსპექტივას უწოდებს იმ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც „ელექტროკავშირის" აბონენტებს წუთობრივი გადასახადი დაუწესდებათ.

პირველმა ლეიბორისტმა სახელმწიფო კანცელარიის წინ საგანგებო ბრიფინგი გამართა და ხელისუფლების პირველი პირები მოსახლეობის სოციალურ გენოციდში დაადანაშაულა. იგი პრეზიდენტ სააკაშვილს „ელექტროკავშირის" აბონენტების ქუჩაში გამოყვანითა და მასობრივი საპროტესტო აქციებით ემუქრება. ნათელაშვილს კომპანიის რეაბილიტაციისათვის საჭირო თანხების რეზერვებზე მითითებაც არ დავიწყებია. მშრომელთა ლიდერი ხელისუფლებას ურჩევს, „ელექტროკავშირის" რეაბილიტაციისათვის სწორედ ის თანხები დახარჯოს, რომელიც პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის რეკონსტრუქციისათვის არის გათვალისწინებული.

## „არასამთავრობოებს" ციხეებში შესვლა ეკრძალებათ

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები იუსტიციის მინისტრის, გიორგი პაპუაშვილის ბრძანებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც არასამთავრობო ორგანიზაციებს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში შესვლა და მონიტორინგის ჩატარება ეკრძალებათ.

ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის" პრეზიდენტის, გიორგი ლაღიძის თქმით, გიორგი პაპუაშვილმა ყოფილი იუსტიციის მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის ბრძანების საფუძველზე, 2000 წელს დაფუძნებული საზოგადოებრივი საბჭო გააუქმა, რომლის შემადგენლობაში შესული არასამთავრობო ორგანიზაციები სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მონიტორინგს ახორციელებდნენ და იქ არსებულ ვითარებას ეცნობოდნენ. ლაღიძის თქმით, ძალზე გახშირდა პატიმართა უფლებების დარღვევა და მათზე ფიზიკური ზეწოლის ფაქტები.

„არასამთავრობოები" იუსტიციის მინისტრ გიორგი პაპუაშვილს თხოვნით მიმართავენ, გამოიჩინოს კეთილი ნება და აღადგინოს სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საზოგადოებრივი საბჭო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არასამთავრობო სექტორი საპროტესტო აქციებით იმუქრება.




## ალაჰმა გაუგზავნა?!

25 ივნისს, ღამით, მოსკოვში ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი, აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის, აჰმად კადიროვის უახლოესი თანამებრძოლი იან სერგუნინი მოკლეს. მკვლელმა 48 წლის სერგუნინი იმ დროს დაცხრილა, როცა ის მეუღლესთან ერთად რესტორნიდან გამოდიოდა. ექსვიცე-პრემიერი ადგილზე გარდაიცვალა, ცოლი საავადმყოფოშია მოთავსებული. თავდამსხმელი მოტოციკლით მიიმალა. მკვლელობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტი იან სერგუნინი 2001-2002 წლებში ჩეჩნეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციის მეთაურის აპარატის უფროსი და ამავდროულად, მთავრობის ვიცე-პრემიერი იყო. მას ჩეჩნეთში „რუხ კარდინალს" უწოდებდნენ. სერგუნინის თანამდებობაზე წარდგენისას აჰმად კადიროვმა თქვა: „ეს კაცი მე ალაჰმა გამომიგზავნა". ფაქტია, ამჯერად სერგუნინი კადიროვისთვის ალაჰს არ გაუგზავნია...

## რამსფელდი რუსეთს ახსენებს

აშშ-ის თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი რუსეთს ნატოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს ახსენებს და საქართველოდან და დნესტრისპირეთიდან ჯარის გაყვანისკენ მოუწოდებს. რამსფელდი დარწმუნებულია, რომ მოლდავეთიდან ჯარის გაყვანა 13-წლიანი კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრი სტამბოლში ჩასვლამდე მოლდავეთში სამი საათით გაჩერდა და პრეზიდენტსა და თავდაცვის მინისტრს შეხვდა. მან მოლდაველებს მადლობა გადაუხადა ანტიტერორისტულ კამპანიაში მხარდაჭერასა და ერაყში გაწეული სამსახურისთვის. მოლდავეთი, რომელიც რუმინეთს ესაზღვრება, ნატოს გაფართოების შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტრატეგიული მეზობელი აღმოჩნდა, რაც მოსკოვის აშკარა გაღიზიანებას იწვევს.

## სექტა პერსონა ნონ გრატად გამოცხადდა

**(ინტერ-პრესი)** მოსკოვის იუსტიციის სამინისტრო „იეღოვას მოწმეთა" სექტას ოფიციალურად დარეგისტრირებულ რელიგიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სიიდან ამოიღებს.

იუსტიციის სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება მოსკოვის გოლოვინის სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების საფუძველზე მიიღო.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადებით, „იეღოვას მოწმეთა" რელიგიური ორგანიზაციის შემოწმების შედეგად, მოსკოვის ჩრდილოეთის ადმინისტრაციული ოლქის პროკურატურამ დაადგინა, რომ ორგანიზაცია „აღვივებს რელიგიურ შუღლს და ანგრევს ოჯახებს, ავადმყოფებს უბიძგებს რელიგიური მოტივით უარი თქვან სამედიცინო დახმარებაზე".

# დასავლური მოდელის „საიდუმლოება“

**სტამბოლის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტის ჩასვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა ვაშინგტონისა და ნატოს ხელმძღვანელობის მხრიდან საერთაშორისო საზოგადოების შეჩვევის მცდელობა იმ ფაქტთან, რომ უახლოეს მომავალში, ჩვენი ქვეყანა შესაძლოა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ამერიკის შეერთებული შტატების პროტექციით დროზე ადრე, ასე ვთქვათ, „ურიგოდ“ გაწევრდეს.**



„უკანონო ქონების ჩამორთმევა წმინდა ქართული პრეცედენტი არ არის“

ქართულმა სინამდვილემ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას კიდევ ერთი ახალი ტერმინი აჩუქა — დასავლეთის ქვეყნებში „აგრესიული სიყვარული“ დღემდე მხოლოდ იაფფასიან გერმანულ ფილმებთან, სპეციალიზებულ მაღაზიებთან და ტყავის აქსესუარებთან ასოცირდებოდა. გასულ კვირაში კი ცხინვალელმა პრეზიდენტმა საქართველოს ხელისუფლების მიერ საკუთარი მოსახლეობისთვის ფქვილის, სასუქისა და მედიკამენტების დარიგება ძალადობად და აგრესიულ სიყვარულად გამოაცხადა. ამ ლოგიკით, გამორიცხული არ არის, საქართველოს გონივრული და სრულიად კანონიერი მოთხოვნა, როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლების შესახებ, შეშფოთებულმა კოკოითმა მსოფლიოს მისი პოლიტიკური „დაცემის“ მცდელობად გააცნოს. როგორც ჩანს, კოკოითი დაბნეულია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა თავის მდგომარეობას ბევრად უფრო რეალურად და მეტი თავმოყვარეობით უდგება, რადგან კოკოითის მიერ გასულ კვირაში გადადგმული ნაბიჯები (ბლოკ-პოსტების გაძლიერება, ჩაქვიდან დაბრუნებული ოსი ბავშვების უკან არ შეშვება და ა.შ.), სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ხალხის მძევლად აყვანა და მისი ბლოკადაში მოქცევა.

ამასობაში კი მოვლენები საინტერესოდ ვითარდება თბილისშიც — უკანონო ქონების ჩამორთმევაზე ლაპარაკის გააქტიურებამ ალბათ ბევრ ყოფილ მაღალჩინოსანს დაუფრთხო ძილი — თუმცა, ამ შემთხვევაში ფხიზლად ყოფნა უწინარესად, ქართულ მედიას მართებს, რადგან რევოლუციურ პერიოდში მსგავსი კანონების მიღება ალბათ ბევრს აცდუნებს უკანონობის ჩასადენად. ისე არ გამოვიდეს, რომ უკანონოდ დაგროვილი ქონება კვლავაც დარჩეს და მხოლოდ მისი პატრონები შეიცვალონ... ცოტა არ იყოს, უცნაური ვითარება შეიქმნა აჭარის სტატუსთან დაკავშირებითაც — ავტონომია დარჩა, თუმცა ავტონომიის უფლებები აღარ არსებობს, რადგან ყველა საკვანძო საკითხს ცენტრალური ხელისუფლება გადაწყვეტს. ზოგიერთი მოსაზრებით, ავტონომიის დატოვება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფაქტორით არის განპირობებული. თუმცა ეს უკანასკნელი არგუმენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდგება, თუ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აფხაზებთან და ოსებთან გარკვეული აქვს, რომ მთავარი ფორმაა და არა შინაარსი. დარწმუნებული ვართ, აჭარის სტატუსის შინაარსი უკვე ორივე რეგიონის პოლიტიკოსებს ზეპირად ეცოდინებათ.

ცივილიზებულ ქვეყნებში ადამიანის დანაშაულს სასამართლო ადგენს. ამავე ქვეყნებში პირის და მისი ახლობლების უფლებები უკვე დიდი ხნის გარკვეულია და სასამართლოს დასკვნა ნამდვილად არ სჭირდება ელემენტარულ ჭეშმარიტებას — განსასჯელის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის ქონა მისი ნათესავების ხელშეუვალი უფლებაა იმისგან დამოუკიდებლად, ეს განსასჯელი სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში ან თუნდაც „კანიბალიზმში“ რამდენად საფუძვლიანად და სამართლიანად იქნება ბრალდებული. ასეც რომ იყოს, ბრალდებულის უფლებების იგნორირებით საზოგადოებრივი აზრი მისკენ შემობრუნდება...

გასული კვირის ბოლოს კი ქართულ რეალობაში ერთი სასიამოვნო ტენდენციაც დაფიქსირდა — შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჩვენი საზოგადოება სტუმრების მიღება-დახვედრას და მათ უშედეგო ფერებას შეჩვეული იყო; ასე რომ, უმცროსი ალიევის სტუმრობისთვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია. გასულ კვირას კი აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობის ორმხრივი ფესვებიც გამოჩნდა — საქართველოს განათლების სამინისტრომ საინგილოს ქართველებს სერიოზული რაოდენობის ქართული წიგნები და სასწავლო აქსესუარები დაურიგა. სასიამოვნოა რომ, უკვე არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები გრძნობენ მთავრობის ყურადღებას, არამედ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებიც.

უფრო დეტალურად გასული კვირის მანძილზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ განვითარებული მოვლენების შესახებ ვესაუბრებით პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს**:

**— გასულ კვირაში უკანონოდ დაგროვილი ქონების კონფისკაციის შესახებ საუბრის გააქტიურებას საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა — ხალხის ნაპარავი და ნაძარცვი არავის უნდა შერჩეს, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოში ამ მხრივ აბსოლუტურად უდანაშაულო ცოტა თუ მოიძებნება და შესაძლებელია, მავანთა ანგარიშსწორებას სამართლებრივი ქაოსიც მოჰყვეს...**

— უკანონო ქონების ჩამორთმევა წმინდა ქართული პრეცედენტი ნამდვილად არ არის — თანამედროვე მსოფლიო ბევრ ასეთ შემთხვევას იცნობს — ამას რევოლუციის შედეგად ქვეყანაში უსამართლო რეჟიმის შეცვლა იწვევს ხოლმე. თუმცა, მოგეხსენებათ, რომ უსამართლო რეჟიმები ჩვენს თანამედროვეობაში მხოლოდ აზიისა და აფრიკის ქვეყნებს თუ შემორჩათ. შესაბამისად, უკანონო ქონების კონფისკაციის მაგალითებიც, ძირითადად, აფრიკისა და აზიის ქვეყნებზე მოდის: ირანში — შაჰის ქონება, იდი ამინისა და ბოკასას შემთხვევები — აფრიკაში, ქონების ნაციონალიზაცია — ფილიპინებში და ა.შ. იმასაც გეტყვით, რომ გზა, რომელიც ამ პროცესის განსახორციელებლად საქართველომ აირჩია, ამ ნუსხაში, ჩემი აზრით, ყველაზე ჰუმანურად შეიძლება ჩაითვალოს. ზემოთ ნახსენებ სახელმწიფოებში ეს პროცესი კანონისა და სასამართლოს გზით არ წარმართულა, თუ არ ჩავთვლით იმელდა მარკოსს, რომელსაც ფილიპინების სასამართლომ დიდსულოვნად შესთავაზა მისი ქონების კანონიერების დასაბუთება; თუმცა მას ამის არც სურვილი ჰქონდა და არც შესაძლებლობა, რადგან მარტო ფეხსაცმელი 30 ათასი წყვილი აღმოაჩნდა, სხვა დანარჩენზე რომ არაფერი ვთქვათ... ჩვენი მოხელეების მადის გათვალისწინებით, ნაკლები ვითარება არც საქართველოში იქნება. მაგრამ ყველაფერი კანონის უაღრესად სკრუპულოზური დაცვით უნდა წარიმართოს, რადგან ალბათ გაჩნდება ცდუნება ანგარიშსწორებისა — ვიღაცას ვიღაცის მანქანა მოეწონება, ვიღაცას ვიღაცის სახლი... სამწუხაროდ, ასეთ პრეცედენტებს საქართველოს ისტორია უკვე იცნობს. ეს რომ არ მოხდეს, ყველაფერი სრული საზოგადოებრივი გამჭვირვალობითა და დეტალური გამოძიებით უნდა წარიმართოს. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი მისია სწორედ მედიას ეკისრება, რომელმაც სულ მცირე ტენდენციის გაჩენის შემთხვევაშიც კი, საზოგადოებრივი განგაში უნდა ატეხოს. საერთოდაც, თუ ჩვენ ნორმალური და ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აშენება გვსურს, რადიკალური გადაწყვეტილებებისა არ უნდა შეგვეშინდეს. უბრალოდ, ხელისუფლება სახალხო კონტროლის არსებობას უნდა მიეჩვიოს, ხალხი კი ხელისუფლების კონტროლის საჭიროებას — სწორედ ეს არის სახელმწიფოებრივი წარმატების დასავლური მოდელის „საიდუმლოება“. დღევანდელი ტენდენციებით, ჯერჯერობით, ჩვენს საზოგადოებას მიაჩნია, რომ საკმარისია „კარგი ხელისუფლება“ ჰყავდეს და მოვლენათა შემდგომი განვითარება ამით იქნება უზრუნველყოფილი. რაც არ უნდა კარგი იყოს ხელისუფლება, უკანონოდ მითვისებული ქონების მასობრივი კონფისკაციის შემთხვევაში, საზოგადოებრივი კონტროლისა და გამჭვირვალობის გარეშე ისიც ტენდენციურობისა და შურისმაძიებლობისთვის იქნება განწირული. თუმცა, აქ მეორე ფაქტორიც არის — განვლილი წლების შემდეგ ხალხს სწორედ ანგარიშსწორება სწყურია, მას იმ კორუფციონერი მოხელეების „გაგორებული თავების“ დანახვა სურს, რომლებიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქართულ სახელმწიფოებრიობას უსინდისოდ სწოვდნენ სისხლს და მდიდრდებოდნენ. ამიტომაც ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ გარკვეული ზღვარი უნდა არსებობდეს — წინააღმდეგ შემთხვევაში დასახური გახდება უამრავი ბანკი, წარმატებული ფირმა და კომპანია, რომლებმაც კი ბატონო, სახელმწიფოს ხარჯზე ააწყვეს ბიზნესი, მიითვისეს მეანაბრეთა ქონება, უაზროდ გამდიდრდნენ და ხალხის გალატაკებას არად დაგიდევდნენ. რა, მათი ხელმძღვანელები და მფლობელები სუყველა ციხეში ჩავსვათ, ეს ქვეყანა საძირკვლამდე დავანგრიოთ და ახლის შენება დავიწყოთ? გვაქვს კი საამისო დრო და რესურსები? ამიტომაც აუცილებელია, რაღაც კონკრეტული კრიტერიუმები შეიქმნას და უკანონო ქონების კონფისკაციაც ამის მიხედვით დაიწყოს — ასე გადავრჩებით ანგარიშსწორებასაც და ქაოსსაც.

**გარკვეული ზღვარი უნდა არსებობდეს — წინააღმდეგ შემთხვევაში დასახური გახდება უამრავი ბანკი, წარმატებული ფირმა და კომპანია, რომლებმაც კი ბატონო, სახელმწიფოს ხარჯზე ააწყვეს ბიზნესი, მიითვისეს მეანაბრეთა ქონება, უაზროდ გამდიდრდნენ და ხალხის გალატაკებას არად დაგიდევდნენ. რა, მათი ხელმძღვანელები და მფლობელები სუყველა ციხეში ჩავსვათ, ეს ქვეყანა საძირკვლამდე დავანგრიოთ და ახლის შენება დავიწყოთ? გვაქვს კი საამისო დრო და რესურსები? ამიტომაც აუცილებელია, რაღაც კონკრეტული კრიტერიუმები შეიქმნას და უკანონო ქონების კონფისკაციაც ამის მიხედვით დაიწყოს — ასე გადავრჩებით ანგარიშსწორებასაც და ქაოსსაც.**

**— პოსტრევოლუციურ პერიოდში გენერალური პროკურატურის სპეცრაზმისა და ლურჯი „მარშრუტკის“ ელვისებურ ოპერაციებს საზოგადოება ერთგვარი ეჭვით, მაგრამ მაინც კმაყოფილებით შეხვდა, რადგან წარსულ ქმედებაზე პასუხი მართლაც ყველამ უნდა აგოს — მით უმეტეს, თუ ეს ქმედება სახელმწიფოსა და ხალხის კუთვნილი ქონების დატაცებაში გამოიხატება. თუმცა გასულ კვირაში მირცხულავას ავადმყოფობასთან დაკავშირებით ატეხილმა ტელეაჟიოტაჟმა იმავე საზოგადოებაში შეიძლება ითქვას, უკვე უკურეაქციაც გამოიწვია...**

— წეღან აფრიკისა და აზიის სახელმწიფოები ვახსენე. შესაძლებელია, ეკონომიკური განვითარებისა და კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, მათ დონეს დიდად არ აღვემატებოდეთ, მაგრამ კულტურული მენტალიტეტით საქართველო უფრო ევროპული ქვეყანაა, ვიდრე აზიური. აქედან გამომდინარე, კანონის აღსრულებაზე როგორი მოთხოვნაც არ უნდა იყოს, როგორი გამწარებულიც არ უნდა იყოს ხალხი გასული წლების ძარცვა-გლეჯით, ადამიანის ტანჯვას აზიურ-აფრიკული ყიჟინით ნამდვილად არ შეხვდება. პირიქით, ნამდვილი დამნაშავის მიმართაც კი, სიბრალული შეიძლება აღეძრას. რაც შეეხება მირცხულავას მდგომარეობას — ალბათ უმეტესობამ ნახა კადრები, როდესაც ციხესთან მისული მირცხულავას ნათესავები მისი მდგომარეობის გაგებას ცდილობდნენ. ვნახეთ ისიც, თუ როგორ აუქნია ხელი მათ იუსტიციის სამინისტროს ახალგაზრდა მაღალჩინოსანმა და თავის ძვირფას ავტომობილში ჩაჯდა. დამნაშავეა თუ არა მირცხულავა, ამ შემთხვევაში ეს უკვე მეორე პლანზე გადადის, რადგან ციხესთან მისული ადამიანებისთვის იგი ჯერ მამა, მეუღლე და ახლო ნათესავი იყო და შემდეგ ბრალდებული. როგორი დამნაშავეც არ უნდა იყოს ჩინოვნიკი და რა ფაქტებიც არ უნდა დადოს მართლმსაჯულებამ მის წინააღმდეგ, ფაქტია, რომ ტელევიზიით ნანახის შემდეგ საზოგადოებრივი აზრი უკვე სახელმწიფოს მხარეზე აღარ იქნება. საერთოდ, უკანასკნელ პერიოდში ჩვენთან ძალიან პოპულარული გახდა მსჯელობა ძალოვან უწყებებსა და სასამართლო რეფორმებზე, მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე. მაგრამ ამასობაში უმთავრესი გამოგვრჩა — დამოუკიდებლობა ყოველთვის არ გულისხმობს სამართლიანობას. თუკი მექრთამე პოლიციელს და მოსამართლეს დამოუკიდებლობას და ხელშეუხებლობას მიანიჭებ ისე, რომ არ შეუქმნი ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს — სოციალურ პირობებსა და საზოგადოებრივი კონტროლით უზრუნველყოფილ მორალს, ის ისეთივე და შეიძლება უარესი მექრთამეც დარჩეს. ასე რომ, დამოუკიდებლობა ყოველთვის არ ნიშნავს სამართლიანობას — განსაკუთრებით სასამართლოსა და პოლიციის შემთხვევაში.

**— აჭარის სტატუსთან დაკავშირებულ მსჯელობაში ორი მიმართულება გამოიკვეთა: ერთის თანახმად, აფხაზური და ოსური ფაქტორების გათვალისწინებით, აჭარაში ავტონომია, საჭიროების მიუხედავად, უნდა შენარჩუნდეს. მეორე მხრივ, ის, რაც აჭარის ავტონომიურ სტატუსად გაფორმდა, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ჩვეულებრივი, რაიონული მმართველობის უფლებები, სადაც ყველაფერს ცენტრალური ხელისუფლება და პრეზიდენტი წყვეტს. ამას ემატება შიდაპოლიტიკური დაძაბულობაც, რაც ასლან აბაშიძის ქალიშვილის ბათუმში ჩასვლით, ერთგვარად, ყურადღების მიღმა აღმოჩნდა...**

— პირადად მე, ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ აჭარის ავტონომია პოლიტიკური მოტივაციით და არა ადგილობრივი საჭიროების გამო — ხელშეუხებელი უნდა დარჩეს. რაც შეეხება მის რეალურ შინაარსს, ალბათ ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია ამ შემთხვევაშიც გასაგები შეიძლება იყოს — უახლოესი წარსულის გამოცდილებით, ცენტრი თავს იზღვევს, რეგიონში ხელისუფლების უზურპაცია რომ არ განმეორდეს. ავტონომიური სტატუსის ოპონენტები აცხადებენ, რომ მხოლოდ ფორმით ავტონომიის არსებობამ აფხაზი და ოსი სეპარატისტები პირიქით, შეიძლება უფრო მეტად გააღიზიანოს. მაგრამ აქ, უბრალოდ, არსებული რეალობა უნდა გავითვალისწინოთ. ვერც ოსებს და ვერც აფხაზებს ავტონომიის საკითხით იმაზე მეტად ვერ გავაღიზიანებთ, ვიდრე ახლა არიან. საქმე ის არის, რომ ავტონომიის გაუქმებით მათთვის პროპაგანდის საშუალება არ უნდა ჩაგვეგდო ხელში. დღევანდელ სიტუაციაში ფორმას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფუნქციას. დღეს კი, როდესაც აჭარის ავტონომიური სტატუსი ხელუხლებელია, აფხაზ და ოს სეპარატისტებს ადგილობრივ მოსახლეობაში პროპაგანდის საშუალება აღარ აქვთ, ვეღარ იტყვიან, ხომ ხედავთ, აჭარის ავტონომია მეორე დღესვე გააუქმესო. მსჯელობა და გარჩევა კი ხალხს მაინცდამაინც არ უყვარს და ვერც გაიგებს, რა იგულისხმება ავტონომიის ახალ სტატუსში. პროპაგანდის თვალსაზრისით, მთავარი ის არის, რომ ავტონომია არსებობს. როდესაც საქართველო ტერიტორიული მთლიანობის საკითხებს მოაგვარებს, ეს საკითხი ალბათ კიდევ ერთხელ, უკვე ფუნდამენტურად გადაიხედება და მოწესრიგდება. ჩემი აზრით, აჭარასთან მიმართებაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია იქ არსებული ვითარება — მმართველი კოალიციისთვის ბათუმი განხეთქილების ვაშლად იქცა და დღეს ხაბაზი ისეთივე სიძულვილით და ნიშნისმოგებით ლაპარაკობს რესპუბლიკელებზე, როგორც თავის დროზე ასლან აბაშიძეზე... თუ უკანასკნელ პერიოდში ბათუმში სავარძლებისთვის გამართულ ბრძოლას და დადგმულ პოლიტიკურ აქციებსაც გავითვალისწინებთ, მართლაც დიდია საშიშროება იმისა, რომ აჭარის ახალი ხელმძღვანელობა ძველს დაემსგავსოს. ეს ფაქტორი არც სააკაშვილის კარიერას წაადგება და არც ქართულ სახელმწიფოებრიობას...

**ჩვენთან ძალიან პოპულარული გახდა მსჯელობა ძალოვან უწყებებსა და სასამართლო რეფორმებზე, მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე. მაგრამ ამასობაში უმთავრესი გამოგვრჩა — დამოუკიდებლობა სამართლიანობას არ გულისხმობს. თუ კი მექრთამე პოლიციელს და მოსამართლეს დამოუკიდებლობას და ხელშეუხებლობას მიანიჭებ ისე, რომ არ შეუქმნი ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს — სოციალურ პირობებსა და საზოგადოებრივი კონტროლით უზრუნველყოფილ მორალს, ის ისეთივე და შეიძლება უარესი მექრთამეც დარჩეს. ასე რომ, დამოუკიდებლობა ყოველთვის არ ნიშნავს სამართლიანობას — განსაკუთრებით სასამართლოსა და პოლიციის შემთხვევაში.**

**— ჯერჯერობით მიხეილ სააკაშვილს შინაპოლიტიკისთვის არ სცალია, რადგან მისი ყურადღება საერთაშორისო ასპარეზზეა მიპყრობილი. სტამბოლში გამართულ სამიტზე საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტს დიდი პატივით შეხვდნენ...**

— სტამბოლის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტის ჩასვლა, მის მიერ გამართული შეხვედრები და მის მიმართ დამოკიდებულება სხვა არაფერი იყო, თუ არა ვაშინგტონისა და ნატოს ხელმძღვანელობის მხრიდან საერთაშორისო საზოგადოების შეჩვევის მცდელობა იმ ფაქტთან, რომ უახლოეს მომავალში, ჩვენი ქვეყანა შესაძლოა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ამერიკის შეერთებული შტატების პროტექციით დროზე ადრე, ასე ვთქვათ, „ურიგოდ“ გაწევრდეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნატოს სტანდარტებს ვერც შეიარაღებით აკმაყოფილებს და ვერც პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტაბილურობით, როგორც ჩანს, დასავლეთისთვის სტრატეგიული ინტერესები რეალობას გადაწონის. რასაკვირველია, ამ ფაქტორს დიდად უწყობს ხელს თავად საქართველოს პრეზიდენტიც. შესაძლებელია, ჩვენ ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, ასეთი დონის შეხვედრებზე რამდენად მნიშვნელოვანია ენის ბარიერის არარსებობა. შევარდნაძისგან განსხვავებით, სააკაშვილს თარჯიმნისა და ოფიციალური პირების გარეშე, სრულიად შინაურულ გარემოში შეუძლია თავისი სათქმელი დიდი სახელმწიფოების მეთაურებს „ტექნიკურად“, მისთვის სასურველი ტონალობით გააგებინოს.

*დაჩი გრძელიშვილი*

# ნუ მოვატყუებთ პატარას... (ნურც დიდს)

## „ლიპუც-დისკო“ თუ ტელეღიპუცების ღლაბუცი?!

... გასულ კვირას რედაქციას სტატია დროზე ადრე ჩავაბარე და ის იყო, შინ წასასვლელად მოვემზადე, რომ ტელეფონთან მიხმეს. ყურმილში რამდენიმე აღშფოთებული ქალბატონის ხმა ისმოდა. რედაქციაში უმიზეზოდ იშვიათად თუ ვინმე დარეკავს და ამიტომ მოსასმენად მოვემზადე:

— არავის შეწუხება არ გვინდოდა, მაგრამ თუ შეიძლება მოგვისმინეთ, იმდენად აღვშფოთდით, რომ გადავწყვიტეთ გაზეთისთვის მოგვემართა.

— რა მოხდა, ქალბატონო?

— საქმე ის არის, რომ თითქმის ორი კვირის განმავლობაში „რუსთავი 2“-ით რეკლამა გვამცნობდა, რომ 19 და 20 ივნისს ცირკში პოპულარული საბავშვო გადაცემის გმირების, ტელეღიპუცების მონაწილეობით წარმოდგენა გაიმართებოდა. სანამ ბილეთები არ შევიძინეთ, ბავშვებმა მოსვენება არ მოგვცეს. დღეებს ითვლიდნენ წარმოდგენამდე. ბავშვების სხივსავსე თვალებს რომ ვუყურებდით, იმ ათ ლარს, რომელიც თითოეულ ბილეთში გადავიხადეთ, აღარაფრად ვაგდებდით. ისე, ისიც უნდა ითქვას — ფილარმონიაში სუხიშვილების ახალ პროგრამაზე საუკეთესო ადგილი 7 ლარზე მეტი არ ღირდა, ბავშვების წარმოდგენაზე ბილეთი ათი ლარი რატომ უნდა ღირდეს? თუმცა, ამჟამად სულ სხვა რამ გვაწუხებს — ერთი განახვათ, რა გულდაწყვეტილები არიან ჩვენი შვილები. წარმოდგენა „ლიპუც-დისკო“ იმდენად უგემოვნოდ იყო დადგმული, იმდენად უინტერესო და უხალისო იყო, შესვენების შემდეგ დარბაზში ბავშვების ნახევარიც აღარ დარჩა. თავიდან ბავშვები დიდი ოვაციით შეეგებნენ ტელეღიპუცებს, მაგრამ რამდენიმე წუთში ბავშვების აღფრთოვანება მოწყენილობით შეიცვალა. გამოდიოდნენ სცენაზე „იმიჯ-ცენტრის“ ტელეღიპუცებად გამოწყობილი ბავშვები და ცდილობდნენ, რაღაც ეცეკვათ ან ემღერათ. ეს იყო და ეს. ბევრ ბავშვს დედის კალთაში ჩაეძინა, ზოგმა კი მშობლებს შინ წაყვანა სთხოვა. ბევრმა ტირილიც მორთო. ერთი სიტყვით, გვარიანად გაგვაცურეს. გაოგნებული ვართ, კაცმა ფულისთვის ყველაფერი კი არ უნდა იკადროს!..

ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობს — ეს ჩემი უმთავრესი სამუშაო პრინციპია. შვილები უკვე სტუდენტები მყავს, ამიტომ მეორე დღეს ერთ გაჭირვებულ მეზობელს შევთავაზე, შენს ბიჭს „ლიპუც-დისკოზე“ წავიყვან-მეთქი. მეზობელმა სიხარულით გამატანა ბავშვი ცირკში.

1 საათით ადრე მივედით მე და პატარა ლუკა ცირკთან. სალაროში ბილეთები აღარ იყო, თუმცა ნაცნობობის წყალობით 2 ბილეთი ვიშოვე, თან თავის ფასში (იქვე სალაროსთან ახლოს, სპეკულანტები ბილეთებს 20 ლარადაც ყიდდნენ).

ჩვენს ადგილებზე რომ მოვკალათდით, ბილეთი დაკვირვებით შევათვალიერე. ორივე ბილეთზე ერთი და იგივე ნომერი იყო დაფიქსირებული. მეტიც, ბილეთზე ფასი არსად ეწერა(?!). მხოლოდ „იმიჯ-ცენტრის“ ბეჭედი ერტყა უკანა მხარეს. წარმოდგენა დაიწყო. ნახევარ საათში დარბაზმა და ლუკამაც ყურები ჩამოყარეს. კიდევ ათი წუთიც და ლუკამ თავი მომადო, თვალები მილულა და ფშვინვა ამოუშვა. ირგვლივ მიმოვიხედე. დარბაზი ნელ-ნელა იცლებოდა. აქა-იქ ბავშვების ტირილის ხმაც მომესმა. ბოლოს დარბაზი ახმაურდა, ბავშვებმა თამაში დაიწყეს და სცენას აღარავინ უყურებდა. შესვენებაზე ლუკა ფრთხილად გავაღვიძე და ცირკის შენობიდან გამოვედით. სასწრაფოდ კომპენსაცია იყო საჭირო და ბიჭი ზოოპარკში წავიყვანე. თითქმის სამი საათი დავსეირნობდით მე და ლუკა ზოოპარკში. ვათვალიერებდით ფრინველებს და მხეცებს. ბავშვი გახალისდა. ნაყინიც მივირთვით, გამაგრილებელი სასმელიც დავლიეთ და ხაჭაპურიც გავსინჯეთ. საღამოს ლუკა დედამისს მივგვარე.

— შვილო, მოგეწონა „ლიპუც-დისკო“? — ჰკითხა დედამ პატარას.

— არა, ზოოპარკში უფრო კარგი იყო...





რამდენიმე დღის შემდეგ ცირკის გენერალური დირექტორის მოადგილეს, დავით გომართელს მივაკითხე. მისი განცხადებით: — წარმოდგენისთვის ცირკი ორი დღით აილო იჯარით „იმიჯ-ცენტრმა“. ჩვენ უზრუნველვყავით განათებითა და ტექნიკური პერსონალით. სხვა არაფერი მეხებოდა.

— ბილეთები ხომ ცირკის იყო? რატომ არ მიუთითეთ ფასი და რატომ ჰქონდა ბილეთებს ერთი და იგივე ნომერი? კანონმდებლობით ბილეთი ბუღალტრული აღრიცხვის საბუთია და მასზე ფასის მითითება აუცილებელია.

— ბილეთების წიგნები მე მივეცი. სულ რვა წიგნი დასჭირდათ. ორივე დღეს 3.680 ბილეთი გაიყიდა, ანუ წარმოდგენა სრული ანშლაგით მიმდინარეობდა. ბილეთებზე მხოლოდ წიგნის ნომერია დაფიქსირებული. ეს შეთანხმებულია ფინანსთა სამინისტროსთან. ფასის მითითება კი მე არ მეხება. ფასი კონცერტის ორგანიზატორს უნდა მიეთითებინა. ვიცი, რომ ერთი ბილეთი ოფიციალურად ათი ლარი ღირდა. რა თქმა უნდა, ამან მოქალაქეების უკმაყოფილება გამოიწვია. გამოგიტყდებით, ფასმა მეც გამაოცა. ჩვენს წარმოდგენებზე ბილეთის ფასი 2-3, დიდი-დიდი 5 ლარია...

— წარმოდგენა თუ მოგეწონათ?

— ექვსი წლის შვილიშვილი მყავს. მოვიყვანე, მაგრამ ნახევარ საათში კაბინეტში წამომყვა და აქ თამაშობდა. როგორც მითხრეს, „ლიპუც-დისკო“ ძალიან დაბალი დონის ყოფილა...

ცირკში გამართული წარმოდგენის შეფასება ვთხოვეთ თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს, დავით ოქიტაშვილს: „ყველას შეუძლია იქირაოს დარბაზი და ჩაატაროს რაიმე ღონისძიება. სწორედ ამისთვის ვიბრძვი, რომ ყველა კონცერტის ჩატარება ჩემს სამსახურთან შეთანხმდეს, მაგრამ ამაოდ. პარლამენტს მივმართე თხოვნით, რათა ჩვენს სამსახურში შეიქმნას ჯგუფი, რომელიც წინასწარ შეისწავლის, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარება. ჯერჯერობით ვერავის ვერაფერი შევასმინე. უნიჭო „ვარსკვლავებმა“ დაიპყრეს საქართველოს საკონცერტო დარბაზები...“

დასასრულ, წარმოდგენა „ლიპუც-დისკოს“ ერთ-ერთ ორგანიზატორს, „იმიჯ-ცენტრის“ წარმომადგენელს, ელისო ნოდიას გავესაუბრეთ: — 19-20 ივნისს, საზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით, ცირკში ორი წარმოდგენა გავმართეთ. ორივე სრული ანშლაგით ჩატარდა. რა თქმა უნდა, ანშლაგი სატელევიზიო რეკლამამაც განაპირობა.

— თქვენ თუ მოგეწონათ წარმოდგენა?

— სიმართლე გითხრათ, არც მინახავს. კულისებში უამრავი საქმე მქონდა, მაგრამ როგორც ვიცი, ჩვენმა წარმოდგენამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

— ბილეთი ძალიან ძვირი ღირდა. ვინ დაადგინა ფასი და რატომ არ იყო მასზე მითითებული ბილეთის ღირებულება?

— თქვენ ნამდვილად ჟურნალისტი ხართ თუ სხვა სამსახურის წარმომადგენელი? ძალიან რთულ შეკითხვებს მაძლევთ. ვერ გიპასუხებთ. კომპეტენტური არ ვარ...

ექსპერტის განცხადებით, კანონით, ბილეთი მკაცრი აღრიცხვის ბლანკია და იგი სალაროს ჩეკის მაგივრობასაც კი სწევს, ვინაიდან ზედ აწერია ფასი და აქვს ნუმერაცია. თუ ბილეთზე ფასს არ უთითებენ, საფიქრებელია, რომ ამას გადასახადების დამალვის მიზნით აკეთებენ, ანუ რადგან არ არის დაფიქსირებული ფასი, ორგანიზატორს შეუძლია ბუღალტერიაში ბილეთის ფასი როგორც აწყობს, ისე მიუთითოს. მაგალითად, 2 ლარი ან თუნდაც 20 თეთრი.

ახლახან ისიც გახმაურდა, თურმე — ქალაქის ბიუჯეტი სილამაზის კონკურსის ჩასატარებლად „იმიჯ-ცენტრს“ 45.000 ლარს გამოუყოფს (საკვირველია ასეთი კეთილგანწყობა „იმიჯ-ცენტრის“ მიმართ. — რ.ა.). სილამაზის კონკურსი კომერციული ღონისძიებაა და რატომ უნდა აფინანსებდეს მას ბიუჯეტი? მით უმეტეს, რომ როგორც ვიცი, „იმიჯ-ცენტრს“ ფინანსურად არ უჭირს. მისი მფლობელი ხომ „გამარჯვებული ხალხის“, თუმცა, ახლა უკვე ხელოვნურად გაკოტრებული ტელევიზიის შეფის მეუღლეა.

ნათქვამია, პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო. ამ შეგონებიდან გამომდინარე, ბავშვებს პედაგოგმა უნდა ასწავლოს, წარმოდგენა პროფესიონალმა რეჟისორმა უნდა დადგას, თორემ რა გამოდის? მძღოლი პედაგოგია, პედაგოგი კი მძღოლობას იჩემებს. რა დააშავა იმ ათასობით მოტყუებულმა და გულდაწყვეტილმა ბავშვმა, რომლებმაც ცირკში დაპირებული საბავშვო წარმოდგენა „ლიპუც-დისკოს“ ნაცვლად ტელეღიპუცების ღლაბუცს უყურეს?!

***რატი ახალაძე***

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ოთხჯერ მესროლა, მაგრამ ერთიც არ მომხვედრია“ — 62 ხმა
2. **იზო რიკაძე** — „დამნაშავეებთან გარიგებული პოლიციელები ციხეში წავლენ“ — 52
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „თითოეული პენსიონერისგან 5-10 თეთრი ხომ უნდა მიიღოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმაო?!“ — 37
4. **ეთერ ერაძე** — „ისე, როგორც მაშინ — სვეტიცხოველთან, ახლაც მათხოვარი ვარ“ — 30
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 26
6. **„ჩუეულებისაებრ მამულისა სვლა“** — 23
7. **ინგა ჯაყელი** — რუბრიკა — „ნამდვილი ამბები“ — 18

„მკითხველის პრემია“ გადაეცემა **ვაჟა გავაშელს.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 302-მა რესპონდენტმა გამოავლინა***



**ახალი რუბრიკა**

# ცნობილთა ნაკვესები

***ნაკვესები პუბლიცისტური შინაარსის იუმორისტული ჟანრის, სხარტულა, მოკლე, გონებამახვილური, მოსწრებული ხუმრობაა. სიტყვა „ნაკვესები“ პირველად ილია ჭავჭავაძემ იხმარა და მანვე დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში.***

## ნოდარ დუმბაძე

ერთმა ახალგაზრდა მწერალმა მოთხრობა დაწერა გურული გლეხების ცხოვრებაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, მოთხრობა მეტისმეტად დაემგვანა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“. ავტორმა თავისი დებიუტი ნოდარს წააკითხა. — კაია, ძამა! — მას ასე უთხრა, მაგრამ ავტორი რომ წაბრძანდა, წაიღიღინა: ყოლიფერში თუ მბაძეო, ქე გახდები დუმბაძეო!

***

სერგო ორჯონიკიძის ძეგლის გახსნაზე ნოდარს ერთი მაღალი თანამდებობის პირი ეუბნება:

— ძალიან ცუდი ადგილი შეურჩევიათ ძეგლისთვის!

— კარგი ადგილი რაც იყო საქართველოში, გააჩუქა მაგ მამაცხონებულმა და რაც დარჩა, აგია! — აუხსნა ნოდარმა.

***

ზაფხული იყო. ნოდარი საგურამოს აგარაკზე ისვენებდა. სანახავად მეგობრები ეწვივნენ. ნოდარი ჰამაკში იწვა და ნანულის (მეუღლის) დედა — ქალბატონი ლიდა შეეგება სტუმრებს. ჰკითხეს — როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ლიდაო. ნოდარმა დაასწრო პასუხის გაცემა და მიაძახა: — მაგას რას ეკითხებით რავაა, ქათამი გაგვექცა ზედაზენზე, დაიჭირა და ახლა ჩამოვიდა იქიდან, საკითხავი მე ვარ — ჰამაკიდან ვერ ვდგებიო!

***

ერთ დიდ ქართველ მწერალს ძეგლი დაუდგეს თბილისის ცენტრალურ უბანში ხეებით დაბურულ სკვერში. მისი გახსნის ცერემონიაზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა. შეხსნეს მონუმენტს საბურველი და... დამსწრეთა წინაშე წარმოდგა ქართულ ეროვნულ სამოსელში გამოწყობილი, ქამარ-ხანჯლით აკაზმული ზვიადი კაცი.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. იყო ერთი მითქმა-მოთქმა. ძეგლი ზოგს მოსწონდა და ზოგს — არა. ერთი აზრი საგანზე არც ამ ღონისძიების თავკაცებს ჰქონდათ.

ერთ-ერთი მათგანი დაიხარა და ხმადაბლა ეკითხება ნოდარს, იმჟამად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს:

— ნოდარ, შენ რაღას იტყვი, მოგწონს?

— რა გითხრათ... ძეგლს თითქოს არაფერი უშავს, მაგრამ ამ ბაღში ჩიტი რომ ბუდეს აღარ გაიკეთებს, ეს კი ნაღდია!

## გალაკტიონ ტაბიძე

ერთხელ იაკობ ნიკოლაძე პროფესორ ანდრია რაზმაძის პორტრეტზე მუშაობდა, ანდრიას და მაღალზურგიან სავარძელში იჯდა და მოქანდაკეს კარნახობდა, — ჩემს ძმას უფრო თხელი ტუჩი ჰქონდა, ცოტა მაღალი შუბლით და ა.შ. ამ დროს ზარი დარეკეს. სახელოსნოში გალაკტიონ ტაბიძე შემოვიდა, ლამაზად გამოიყურებოდა. წვერ-ულვაში გაპარსული ჰქონდა, თმა გვერდზე გადავარცხნილი.

— აქა მშვიდობა! — თქვა გალაკტიონმა. იაკობს ხელი ჩამოართვა დაგადაკოცნა. შემდეგ მოქანდაკემ დამხვდურს წარუდგინა ახალშემოსული — პოეტი გალაკტიონ ტაბიძე!

ქალი წამოდგა, პოეტს ხელი ჩამოართვა, მოწაფურად ცალი მუხლი მოხარა, რევერანსი გააკეთა და ჩვეულებისამებრ დააყოლა — „Сестра проффесора Размадзе!“ შეზარხოშებულმა გალაკტიონმა არ იკმარა მოქანდაკის წარდგენა და ქალს საკუთარი თავი ასე გააცნო — „Сосед Филипа Махарадзе“. ამის შემდეგ ანდრიას და დიდხანს აღარ გაჩერებულა, რაღაც მოიმიზეზა და წავიდა.

***შეკრიბა ზაზა სეფაშვილმა***

# ციხის „ჯაკუზიდან დავაზვრატებული“ მანქანები



გასულ კვირას სამართალდამცველებმა ე.წ. „ლოტკინის საძმოს“ თავისუფლებაში დარჩენილ წევრებზე მიიტანეს იერიში. დაკავების ოპერაციას, უშუალოდ შსს-ს ახალი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობდა. ოპერაციამ ექსცესების გარეშე ჩაიარა. ზურაბ ნამორაძეს, ჯემალ ოქრიაშვილს, გიორგი ოქრიაშვილს, ემზარ კანვაძეს, არსენ ველიძეს, ნესტორ შაფათავასა და მირანგულ ბიბილურიძეს გამოძიება ავტომანქანების ორგანიზებულ გატაცებაში წაუყენებს ბრალს.

ჩვენი ინფორმაციით, ამ პირებს ბოლო პერიოდში მუდმივად უთვალთვალებდნენ და პოლიციისათვის ცნობილი იყო მათი საქმიანობის ყველა დეტალი. როგორც შს სამინისტროში ამბობენ, მათ მანქანები საქართველოს ფარგლებს გარეთ იშვიათად გაჰყავდათ და ძირითადად „ვაზვრატზე“ მუშაობდნენ. იმის მიუხედავად, რომ საძმოს წევრებს მუდმივად უთვალთვალებდნენ, რაც საშუალებას იძლეოდა, ისინი უშუალოდ დანაშაულის ფაქტზე დაეკავებინათ, ასე არ მოხდა. შვიდივე ეჭვმიტანილი თავიანთ საცხოვრებელ ბინებში აიყვანეს. თუმცა, „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი ინფორმაციით, დაკავებულები საქართველოს დატოვებას აპირებდნენ და დაპატიმრების ოპერაციის სასწრაფოდ ჩატარება ამიტომ გახდა აუცილებელი. სამინისტროდან მიღებული ცნობითვე, თითქმის ყველა დაკავებული ადრე ნასამართლევია. მათ შორის ჯემალ ოქრიაშვილი ადრე ყაჩაღობისთვის იხდიდა სასჯელს, ნესტორ შაფათავა კი — მკვლელობისათვის.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, დაკავებულ საძმოს მფარველობდა კანონიერი ქურდი ზვიად პაპიაშვილი, რომელიც ამჯერად ციხეშია. მას 12 წელი აქვს მისჯილი. იგი „ლოტკინის საძმოსთან“ დაახლოებული პირი იყო. სხვათა შორის, ეს ის პაპიაშვილია, რომელზეც ექსპრეზიდენტმა შევარდნაძემ თქვა, კანონიერ ქურდს კოლონიაში ჯაკუზები და მოტოციკლეტი აქვსო (მობილურ ტელეფონზე აღარ შევჩერდებით. — დ.დ.). ამ ნათქვამით შევარდნაძე აღშფოთებას გამოთქვამდა, რომ ციხეში ქურდები პრივილეგიებით სარგებლობდნენ. თუმცა პრეზიდენტის სიტყვებმა სხვა ნაყოფი გამოიღო: კრიმინალურ სამყაროში ზვიად პაპიაშვილის სახელმა კიდევ ერთხელ გაიჟღერა, როცა ციხეში ვინმე დიასამიძე მოკლეს. მკვლელობა თავიდან კანონიერ ქურდებს „წრიპას“, გურამ სვანიძეს და ზვიად პაპიაშვილს ბრალდებოდა. გავრცელებული ვერსიით, დიასამიძეს კანონიერი ქურდი გოჩა ჩხაიძე ჰყავდა მოკლული. იგი ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადიოდა იძულებითი მკურნალობის კურსს, მაგრამ ზოგჯერ სახლშიც უშვებდნენ გარკვეული გასამრჯელოს ფასად. ერთი ასეთი ვიზიტის დროს იგი პოლიციელებმა იცნეს და დაიჭირეს. დიასამიძე ამჯერად ციხეში მოხვდა, სადაც ქურდის მკვლელს ვენდეტა ელოდა. მას საზარლად გაუსწორდნენ. კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, მოსალოდნელი იყო, მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამივე ქურდისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ. მაგრამ კანონიერ ქურდებს მაშინ იმ პატიმრებმა უშველეს, ვისაც უკვე მისჯილი ჰქონდათ სამუდამო პატიმრობა — დიასამიძის მკვლელობა მათ თავის თავზე აიღეს(!). რაც შეეხება ზვიად პაპიაშვილს, ამბობენ, რომ იგი ლამის ერთადერთი ქურდი იყო, ვინც ციხიდან კურირებდა მანქანების „ვაზვრატს“(?!).

**გოჩა ჯიბლაძე,** ექსპერტი-კრიმინალისტი: პაპიაშვილი „ლოტკინის საძმოსთან“ დაახლოებული პირი იყო. მისმა დაპატიმრებამაც ვერ შეძლო ამ დანაშაულებრივი კავშირის გაწყვეტა. სქემა მარტივი იყო: საძმოს წევრები იპარავდნენ უცხოურ მანქანებს და საიმედო ადგილზე მალავდნენ. მანქანის პატრონი, რომელიც „შავების“ ჩარევით ცდილობდა მოპარულის დაბრუნებას, ცხადია, „ჩალიჩს“ იწყებდა და როცა ლოტკინელებზე გავიდოდა, ურჩევდნენ კოლონიაში პაპიაშვილისთვის მიეკითხა. ასე უფრო საიმედო იყო. „კუდის“ არსებობის შემთხვევაში პაპიაშვილს არავინ დაიჭერდა, ისედაც ციხეში იჯდა, თვითონ მომპარავები კი უსაფრთხოდ იქნებოდნენ.

**— „ვაზვრატის“ ფულს პაპიაშვილი იღებდა?**

— ხან როგორ და ხან როგორ. ძირითადად მაინც პაპიაშვილთან მიდიოდა ფული, რადგან „კრიშა“ ის იყო. შემდეგ ზონიდან ანაწილებდა „წილებს“, მაგრამ თუკი „საიმედო“ ხალხი იყო ჩარეული, მაშინ თვითონ მომპარავები იღებდნენ ფულს. ასეთ შემთხვევაში უკვე პაპიაშვილს მისდიოდა თავისი წილი.

**— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ შესაძლებელია ბრალი პაპიაშვილსაც წაუყენონ.**

— ეს მომავალში გაირკვევა. თუკი ამ სქემის არსებობა დამტკიცდა და სასამართლოსთვის ბრალდების არგუმენტები საკმარისი აღმოჩნდა, ვფიქრობ, ასეც მოხდება...

ერთი სიტყვით, სამართალდამცველები ზეიმობენ, რომ მანქანების გამტაცებელთა „ბიზნესს“ სერიოზული დარტყმა მიაყენეს. როგორც შსს-ს მაღალჩინოსნები ამბობენ, მსგავსი ბრძოლა მანამ გაგრძელდება, ვიდრე კრიმინოგენული სიტუაცია საქართველოში საბოლოოდ არ გამოსწორდება. რაც სწრაფად მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება, რადგან მანქანების მოპარვა-გატაცებამ საქართველოში დღეს ეპიდემიის სახე მიიღო. ჩვენდა სამარცხვინოდ, არც ერთი უცხოური მანქანის მფლობელი დღესაც არ არის დაზღვეული, რომ დილით საკუთარი ავტომობილი ადგილზე დახვდება.

***დავით დევდარიანი***

# „პატივცემული მეცნიერისთვის“ ეს საწარმო ქონების მართვის მინისტრს უჩუქებია“(?!)

## „უახლოეს მომავალში კიდევ არაერთი პირისთვის მოვითხოვთ ქონების ჩამორთმევას“

რაკი ირაკლი ოქრუაშვილმა პროკურატურაში მუშაობის ახალი სტილი დაამკვიდრა, მისი შემცვლელი ადეიშვილი, როგორც ჩანს, წინამორბედისთვის ტოლის დადებას არ აპირებს და სიახლეებს მეტისმეტად ამძაფრებს. კანონი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ, რომელიც თებერვლის შემდეგ მხოლოდ ფურცელზე არსებობდა, უკვე ამოქმედდა. ცნობილია, რომ ამ კანონის ბადეში შევარდნაძისა და აბაშიძის ფავორიტი ოთხი კორუმპირებული მაღალჩინოსანი ებმება: ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილ უფროსს, ლევან კენჭაძეს, ქვემო ქართლის გუბერნატორ ლევან მამალაძეს, აჭარის უშიშროების მინისტრის მოადგილეს, გოგი კუპრეიშვილსა და საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, 2 ნოემბერს არჩეული საათნახევრიანი პარლამენტის უხუცეს დეპუტატს ბორის სალარიძეს დაუსაბუთებელ ქონებას ჩამოართმევენ. სამართალდამცველებს ისეთი განწყობილება აქვთ, რომ ამ ოთხეულის ბედს ალბათ ბევრი სხვაც გაიზიარებს, მაგრამ როგორც ჩანს, პროკურატურას სხვა საქმეებითაც მოუწევს დაკავება. გასულ კვირას კანცელარიასთან შეკრებილმა მომიტინგეებმა თბილისის მთავარ პროკურორს, რომელიც პროფესიიდან გამომდინარე „უხერხულ კითხვებს“ სვამს ხოლმე, პირიქით მოსთხოვეს პასუხი. წესრიგისა და კანონის დამცველებს: ვალერი გრიგალაშვილსა და გენპროკურორის ყოფილ პირველ მოადგილე ბადრი ბიწაძეს „თბილლითონნაწარმის“ ქარხნის აქციონერებმა ნათესავების (ვინმე ადუაშვილისა და კაპანაძის) მფარველობა დასდეს ბრალად — ჩვენ უკანონოდ გამოგვყარეს საწარმოდან და ამ შემოსავლიანი ობიექტის (რომლის ტერიტორიაზე ამჟამად სავაჭრო ცენტრია) ახლობლებისთვის გადაცემა გინდათო. ქალაქის მთავარ პროკურორთან, **ვალერი გრიგალაშვილთან** საუბარი სწორედ ამ საკითხით დავიწყეთ:

— როდესაც ისნის რაიონის პროკურორი ვიყავი, „თბილლითონნაწარმის“ ქარხანა გაიძარცვა, ბოშები შეიჭრნენ საწარმოს ტერიტორიაზე და ლითონი გაიტაცეს. საწარმოს ხელმძღვანელობამ მაშინ განცხადებით მოგვმართა — ბოშებმა ტონობით ლითონი წაიღეს და ჩამოგვაწერეთო. პარალელურად შემოვიდა საწარმოს მუშების საჩივარიც — ჩვენთან სახელმწიფო ქონების დატაცება და მითვისება ხდებაო. როგორც აღმოჩნდა, მუშები არ ტყუოდნენ. გამოძიებით გავარკვიეთ, რომ 1995 წელს 4 პირი (მათ შორის, თსუ მენეჯმენტისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანი ნუგზარ პაიჭაძე იყო) შევიდა „თბილლითონნაწარმის“ ქარხანაში და განაცხადა, ქარხანა ჩვენია, 750 ათას დოლარად ვიყიდეთო. დირექტორი პატარიძე გამოაბრძანეს კაბინეტიდან და თვითონ შეუდგნენ საწარმოს „მართვას“ — 300 თანამშრომელი დაითხოვეს სამსახურიდან. დათხოვნილმა მუშებმა ჩვენ მოგვმართეს და გაირკვა, რომ ოთხივე „მეპატრონე“ თაღლითური გზით იყო შესული ქარხანაში — სინამდვილეში მათ საწარმო არ უყიდიათ. დოკუმენტაცია გააყალბეს, თითქოს ქარხნის აქციების მფლობელები იყვნენ. არადა, ამ საწარმოს აქციები არც არსებობდა. თაღლითებმა თვითონ დაბეჭდეს აქციები, რამდენიც უნდოდათ დაიტოვეს, დანარჩენი კი რამდენიმე თანამშრომელზე გასცეს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილი „ხალვა“ ესპანეთში დააკავეს

## რატომ იშორებდა პოლიცია იმ ხალხს, ვინც ყველაზე მეტად სჭირდებოდა?!

***ორიოდე კვირის წინ ესპანეთში დააკავეს ვინმე მერაბ ტვილდიანი, მეტსახელად „ხალვა“. მას ჯერჯერობით იარაღთან დაკავშირებულ ძველ საქმეს ედავებიან, თუმცა ქართველი სამართალდამცავები მას ლევან კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილად მოიაზრებენ. არ არის გამორიცხული, ტვილდიანის საქართველოში ჩამოყვანამ ბოლოს და ბოლოს ნათელი მოჰფინოს ამ იდუმალებით მოცულ საქმეს.***

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

2001 წლის 23 მაისს, დილით, დაახლოებით 11 საათზე დილომში, რკინიგზის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ლევან კალაძე (ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმა) პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა ორმა პირმა ძალით ჩასვა მანქანაში. თვითმხილველები აცხადებენ, რომ ლევანი მათ წინააღმდეგობას უწევდა.

24 მაისს კალაძეებს ვაჟა ფშაველას ძეგლთან წერილი დახვდათ, გამტაცებლები ლევანის მშობლებს გამოსასყიდის სახით 600.000$-ს სთხოვდნენ.

იმხანად ლევანის მამა კარლო კალაძე სტუმრად იყო იტალიაში შვილთან — კახი კალაძესთან და ლევანის გატაცების ამბავი ოჯახის წევრებმა იქ შეატყობინეს.

სავარაუდოდ, ლევანს დიდხანს უთვალთვალებდნენ და გატაცების ადგილად ქალაქის გარეუბანი შეარჩიეს. გამტაცებლებმა ალბათ ისიც იცოდნენ, რომ ლევანს ერთი ოპერაცია გადატანილი ჰქონდა, მეორესთვის ემზადებოდა და ამიტომ რკინიგზის საავადმყოფოში კონსულტაციებზე დადიოდა. პირველ ხანებში გამტაცებელთა სავარაუდო ადგილსამყოფლად პანკისის ხეობა მოიაზრებოდა და ძალოვნებმაც მუშაობა ამ მიმართულებით დაიწყეს.

როგორც ჩანს, არც გამტაცებლები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი, მათ ოჯახთან გამოსასყიდის შესახებ გააბეს მოლაპარაკება. საქმეში ჩახედულნი იმასაც ამბობენ, რომ კალაძეების ოჯახი გამოძიებით კმაყოფილი არ იყო და დახმარებისთვის კრიმინალურ „ავტორიტეტებს“ მიმართა.

ვაჭრობა გამოსასყიდზე უფრო სწრაფად და ოპერატიულად მიმდინარეობდა, ვიდრე გამოძიება. გამტაცებლები ახლა უკვე 450.000$ ითხოვდნენ. ორიოდე კვირის შემდეგ კი 85.000$-ს(?!). შეხვედრის ადგილიც დაითქვა, ფულის გადაცემა ხობის შესასვლელთან უნდა მომხდარიყო. კალაძის ოჯახს კი ლევანის უვნებლად ყოფნის სამხილი სჭირდებოდა. ამის დასტურად უცნობმა დაზარალებულს ვაჟა ფშაველას ძეგლთან ვიდეოკასეტა მიუტანა. თავდაპირველად მის არსებობას ოჯახის წევრებიც უარყოფდნენ და სამართალდამცველებიც. კასეტაზე ლევანის მშობლებისადმი მიმართვაა ჩაწერილი. იგი ოჯახის წევრებს სთხოვს სასწრაფოდ გადაიხადონ ფული და პოლიციასთან ურთიერთობას თავი დაანებონ. კასეტიდან ჩანს, რომ ლევანი საკმაოდ არის დასუსტებული, ხელებზე კი ბორკილი ადევს. თუმცა გამტაცებლებმა ამის დაფარვაზე იზრუნეს. კასეტის ნახვისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ლევან კალაძეს გაზეთი უჭირავს ხელში.

გაურკვეველი მიზეზების გამო, ფულის გადაცემა ხობში არ შედგა.

რადგან გამტაცებლები შეხვედრას ხობში ითხოვდნენ, სამართალდამცველებმა პანკისური ვერსია გამორიცხეს. გამოძიება ჩიხში შევიდა. კახი კალაძემ კი პროტესტის ნიშნად ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა. ეს ერთი მხრივ საზოგადოებრივი სკანდალის აგორებას ნიშნავდა. გარდა ამისა, მსოფლიო საფეხბურთო წრეებში მილანის ფეხბურთელის ძმის გატაცებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია და ამ ფაქტმა მსოფლიო მედიაც აალაპარაკა.

კახის პრეზიდენტი შევარდნაძეც არწმუნებდა, რომ ლევანის კვალს აუცილებლად მიაგნებდნენ. საქმეში ინტერპოლიც ჩაერთო, ერთ-ერთი სამუშაო ვერსიით, იმის ვარაუდიც იყო, რომ შეიძლება ლევან კალაძე საქართველოს ტერიტორიაზე აღარც ჰყოლოდათ.

2002 წლის 21 მარტს კალაძის საქმეზე ორი პიროვნება დააკავეს, შემდგომში — კიდევ ერთი. თუმცა ისინი მტკიცებულებების არქონის გამო მალე გაათავისუფლეს. კალაძეების ოჯახს საქმის გახსნას ხელისუფლება უკვე 2002 წლის მაისისთვის ჰპირდებოდა და ლევანის გათავისუფლებას უკვე პირველი მაისისთვის გეგმავდნენ. იმ ხანებში შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი აცხადებდა: — ეს განსაკუთრებული, სპეციფიკური საქმეა, ამიტომ მე არ შემიძლია ვილაპარაკო იმ ოპერატიულ ინფორმაციაზე, რომელიც გამოძიებას გააჩნია, ჩვენთვის უფრო მთავარი მძევლის უსაფრთხოდ დაბრუნებააო. თუმცა ლევანი არც პირველ მაისს დაბრუნებულა...

გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობდა. სამართალდამცველები ფიქრობდნენ, რომ შეიძლება ლევან კალაძე ხელისუფლების მიერ ნაკლებად კონტროლირებად ტერიტორიაზე ჰყოლოდათ, მაგალითად, აფხაზეთში.

მეორე და ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ვერსია ე.წ. სვანური კვალი აღმოჩნდა. ამ ვერსიას საფუძვლად ერთ-ერთი გამტაცებლის სვანური დიქცია დაედო. გარდა ამისა, თბილისში არსებობდა კარგად ორგანიზებული, სვანური წარმომავლობის გამტაცებელთა ჯგუფი, რომლის ანგარიშზე წარსულში რამდენიმე რეზონანსული გატაცება იყო დაფიქსირებული. იმხანად ძალოვნებმა დააკავეს თბილისის კრიმინალურ წრეებში საკმაოდ ცნობილი თენგო გურჩიანი. მან საგამოძიებო იზოლატორში მხოლოდ ორიოდე თვე დაჰყო. გამოძიებამ ვერ შეძლო კონკრეტული ბრალდების წაყენება და იგი გაათავისუფლეს. მალე კალაძის საქმეში მერაბ ტვილდიანის („ხალვა“) სახელმა გაიჟღერა. იგი წარმოშობით ლენტეხელია. ფართო კავშირები აქვს ესპანეთში მცხოვრებ, მისივე თანამემამულე კრიმინალურ ავტორიტეტებთან. სამართალდამცველებმა იგი ერთხელ სხვა მოტივით უკვე დააკავეს, მაგრამ მისი საქართველოში ჩამოყვანა ვერ მოხერხდა, რადგან მაშინ იუსტიციის სამინისტრომ ესპანეთის შესაბამის სამსახურებს სათანადო დოკუმენტაცია დროულად ვერ მიაწოდა(?!).

ერთხანს, გამოძიება ტვილდიანს კალაძის გატაცების ორგანიზატორად მოიაზრებდა და ლევანის ადგილსამყოფელად ქვემო სვანეთს, კერძოდ, ლენტეხის რაიონსაც არ გამორიცხავდა. საზოგადოება უკმაყოფილო იყო ძალოვნების მუშაობით. გაწბილებული პრეზიდენტი პოლიციის უწყებას არაპროფესიონალიზმში სდებდა ბრალს და კახი კალაძის ოჯახს უკვე მერამდენედ აძლევდა არაფრისმთქმელ დაპირებებს.

დატუქსული ძალოვნები უშედეგოდ ცდილობდნენ თავის მართლებას. მალე კალაძის საქმეში ბალავაძეები გამოჩნდნენ, რასაც ხონში სპეცოპერაცია მოჰყვა. სპეცოპერაციის დროს დაიღუპნენ ნოე ბალავაძე და მისი თანმხლები პირები. ბალავაძეების „საძმო“ საკმაოდ ცნობილ დამნაშავეთა დაჯგუფება იყო. გამოძიება ირწმუნებოდა, რომ ბალავაძეებს რაღაც უნდა სცოდნოდათ კალაძის საქმეზე, მაგრამ ისინი ცოცხლები აღარ იყვნენ(?!). სწორედ ხონის სპეცოპერაციის შემდეგ გაჩნდა კითხვა — რატომ ხოცავდა პოლიცია ნებსით თუ უნებლიეთ იმ ხალხს, ვინც ყველაზე მეტად სჭირდებოდა?

სამწუხაროდ, ეს ფაქტი ერთადერთი არ ყოფილა კალაძის საქმეზე. 2003 წლის ივლისში კალაძეების საქმე კიდევ ერთი ეპიზოდით შეივსო და შესაბამისად, ახალი მოქმედი გმირებიც გამოჩნდნენ.

2003 წლის აპრილში ზემო სვანეთში ბიზნესმენი გოგი ფილფანი გაიტაცეს. ძალოვნებმა მის კვალს ვერ მიაგნეს და დახმარებისთვის ევგენი აფრასიძის ოჯახს მიმართეს. ძალოვნების გარდა აფრასიძეებთან გოგი ფილფანის ნათესავებიც დადიოდნენ, მათ შორის, ნოდარ გვიჩიანი (ეს უკანასკნელი ამ რამდენიმე წლის წინ ბოკა საყვარელიძის გატაცებაში იყო ეჭვმიტანილი „კულინარიელების“ სხვა წევრებთან ერთად). ომეხ აფრასიძე უარს ამბობდა ამ საქმეში ჩარევაზე. ბოლოს დაითანხმეს. სწორედ მისი შუამავლობით გაათავისუფლეს გოგი ფილფანი. იმხანად პრესით გაკეთებულ განცხადებებში გოგი ფილფანი და ძალოვნები ომეხ აფრასიძის მისამართით ხოტბა-დიდებას არ იშურებდნენ. მადლობის ნიშნად ფილფანმა აფრასიძეს ავტომანქანა „ნივა“ აჩუქა.

ამ ამბიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ერთ-ერთმა პირმა (გვარ-სახელს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ვასახელებთ) მოძებნა კახი კალაძის მეგობარი და კახისთან შუამავლობა სთხოვა. კახი კალაძეს გარკვეული თანხის საფასურად ლევანის დაბრუნებას ჰპირდებოდნენ. მათივე ინფორმაციით, ომეხ აფრასიძეს შეეძლო გამტაცებლებზე გასვლა და მძევლის ადგილსამყოფლის დადგენა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

# თუ მოვითმენთ, მოვიგებთ?!

## ჯავის რაიონში ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები დგანან ოსებთან და რუსებთან ერთად

საქართველოსა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებებს შორის კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია მას შემდეგ, რაც ოსურ პოლიგონზე მიმდინარე სამხედრო წვრთნების შედეგად დაიჭრა დიდი ლიახვის ხეობის მკვიდრი, 70 წლის თამარ ღამბაშიძე. ეს დაძაბულობა ვერ გაანეიტრალა ვერც სეპარატისტულ ხელისუფლებასთან რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ვალერი ლოშჩინინის სტუმრობამ. ამ შეხვედრის შემდეგ კოკოითი კიდევ უფრო გალიზიანებული ჩანს, რაც საეჭვოა, მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილის წაყენებული ულტიმატუმების შედეგი იყოს. თვითაღიარებული რესპუბლიკის თვითაღიარებული პრეზიდენტი საქართველოს ხელისუფლების ჰუმანიტარული აქციების გამო ბრაზობს და თბილისიდან ყველა სახის დახმარების მიღებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. თან იმედს არ კარგავს, რომ ოდესმე მოახერხებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩრდილო ოსეთთან და შესაბამისად, რუსეთთან შეერთებას. იგი ჟურნალისტებს კატეგორიულად უკრძალავს გამოიყენონ ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ და მის ნაცვლად „ერთიანი ოსეთის“ ხმარებას ურჩევს(?!).

30 ივნისს და 2 ივლისს კი მოსკოვში გაიმართება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად 1992 წლიდან მოქმედი ოთხმხრივი შერეული კომისიის თანათავმჯდომარეების მორიგი სხდომა. გამორიცხული არ არის, ქართულ-ოსური პრობლემის რუს კოლეგასთან განსახილველად, მოსკოვს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ესტუმროს. ამას შედეგად შესაძლოა მოჰყვეს ქართულ-რუსული შეთანხმება როკის გვირაბის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს სასაზღვრო და საბაჟო გამშვები პუნქტების გახსნის თაობაზე. ვიმედოვნებთ, ეს საკითხი დღეს თუ ხვალ მოგვარდება, რასაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობენ ცხინვალის რეგიონში არსებული სერიოზული პროქართული ძალები, რომელთაგან ბევრი დე ფაქტო ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენელია და თავისებურად ცდილობს კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნას.

გთავაზობთ საუბარს ერთ-ერთ მათგანთან (გასაგები მიზეზების გამო, მან ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა).

— დავიწყოთ იმით, რომ ქართული მხარე რუსი გენერლის ნაბდზოროვის ბოდვებს არ უნდა აჰყოლოდა და ტყვიავში შინაგანი ჯარის ნაწილები არ უნდა შემოეყვანათ. ამით 31 მაისი ცხინვალის რეგიონში კონფლიქტური სიტუაციის შემობრუნების თარიღად აქციეს. ქართულმა ხელისუფლებამ გაერთიანების საშუალება მისცა სამ „ტურას“, რომელშიც იგულისხმება ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება, ოპოზიცია და რევანშისტული ძალები. ბოლო ხანს ოპოზიცია და რევანშისტები დე ფაქტო ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანდნენ და სერიოზულად უტევდნენ მას. ეს ქართული მხარის წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან მათი ძალისხმევა კოკოითის ხელისუფლებას დაასუსტებდა და თბილისს მასთან ბევრ საკითხზე საუბარიც და ქმედებაც გაუადვილდებოდა. ტყვიავში ქართული შინაგანი ჯარების შეყვანის შემდეგ სამმა „ტურამ“ „მგელი“ დაინახა და სასწრაფოდ გაერთიანდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართული მხარე სამი „ტურის“ „მეგობარი“ „აფთრის“, რუსის პროვოკაციული ხრიკის მსხვერპლი გახდა. მაშინ, როცა გამუდმებით ისმოდა ცხინვალიდან, რომ იქაურ მოსახლეობას ქართული ჯარის თავდასხმისა ეშინოდა, საქართველოს ხელისუფლებას ჯარები ზედმეტად ტყვიავში კი არა, გორშიც არ უნდა ემოძრავებინა. მერწმუნეთ, ასე რომ მოქცეულიყვნენ, დღეს რადიკალურად განსხვავებული სიტუაცია იქნებოდა.

ყველაფერ ამასთან ერთად, ბევრი პროქართულად მოაზროვნე ოსი ცხინვალიდან ორჯონიკიძეში „გარეკეს“, ან სერიოზულად დააშინეს, ზოგიც დააპატიმრეს, დანარჩენებიც ჩუმად არიან. ამას ემატება ისიც, რომ ის ხალხი, ვინც უკვე გარკვეულწილად შეგუებული იყო ქართული ხელისუფლების იურისდიქციაში ცხინვალის დაქვემდებარებას, სააკაშვილის მთავრობის მიმართ უარყოფითად განეწყო, არადა, დიდი იყო კმაყოფილება 26 მაისს მისი გამოსვლისა და ოსურ ენაზე მისალმების გამო. ტყვიავში ჯარის გამოჩენა მათ თავდასხმად მიიჩნიეს. დაიწყო რეგიონის სრული მილიტარიზაცია. დარიგდა იარაღი და თითოეული ოსი კბილებამდეა შეიარაღებული. როკის გვირაბიდან მუდმივად შემოდის საბრძოლო მასალა და ცოცხალი ძალა. თუ აქამდე საბრძოლო ტექნიკა უქმად იყო და ყურადღებას არავინ აქცევდა, ახლა დაიწყეს მისი წესრიგში მოყვანა, საბრძოლო მზადება, თანაც ეს ტექნიკა ცხინვალის მისადგომებთან გადმოსწიეს. ცხინვალიდან გაიყვანეს ბავშვები, ქონება კი ორჯონიკიძეში გაზიდეს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ კონფლიქტი ისევ განახლდეს. მდგომარეობა მართლა უკიდურესად მძიმეა, თუმცა, არა შეუქცევადი და თუ ქართული მხარე შეცდომებს არ დაუშვებს, სერიოზულ წარმატებას მიაღწევს. საბედნიეროდ, ჯერჯერობით ადგილობრივ ქართველებსა და ოსებს შორის არანაირი აგრესია არ შეიმჩნევა.

— **შეცდომებში რას გულისხმობთ?**

— ულტიმატუმების წამოყენებით და სპეცოპერაციების მუქარით ცხინვალის რეგიონში საქმე არ გაკეთდება. ახალგაზრდული ვნებები ცოტა უნდა მოთოკონ ქართულ ხელისუფლებაში. ჩვენ პატივს ვცემთ მათ და გვერდით ვუდგავართ. გვინდა ქართული საქმე ვაკეთოთ და თუ თბილისიდან ხელშეწყობა არ იქნება, ყელს მარტო ჩვენ კი არ გამოგვჭრიან ცხინვალში, ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკაც ყელგამოჭრილი აღმოჩნდება. ცხინვალში გაერთიანებული „სამი ტურა“ ხალხს არწმუნებს, რომ ქართულ ხელისუფლებაში ერთობა არ არის. რომ სააკაშვილი და ჟვანია ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და ასეთ ხალხთან ურთიერთობას აზრი არა აქვს. ერთმანეთს არ ინდობენ და ჩვენ ვინ დაგვინდობს, მათთან ერთად სულ ომში მოგვიწევს ყოფნაო. ხალხიც იჯერებს, ბრიყვდება. რადგან ინფორმაციას ცალმხრივად იღებენ, ეშინიათ. შეშინებული ხალხი კი სეპარატისტულ ხელისუფლებაზე და კბილებამდე შეიარაღებულ მტერზე საშიშია. ცხინვალის რეგიონში გამოიკვეთა კიდევ ერთი საშიში მტერი — ჩრდილოკავკასიელთა ინტერესი. ჩრდილოკავკასიელთა ეკონომიკის ძირითადი საყრდენი ამ რეგიონში შექმნილი კონტრაბანდული ბაზარია, რომელიც ამ ეტაპზე ქართული მხარის წყალობით აღარ მუშაობს. სანამ ცხინვალის რეგიონში ეს ბაზარი აეწყობოდა, ჩრდილოკავკასიელები უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, მაგრამ რუსეთიდან ტვირთების დინებამ და ცხინვალის რეგიონში კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობამ გვარიანად ახეირა როგორც ჩრდილო ოსეთი, ისე ყაბარდოელები და, რა თქმა უნდა, რუსებიც. თუმცა, ახლა სამხრეთ ოსეთში რუსეთის ინტერესები ჩრდილოკავკასიელების ინტერესებთან შედარებით, ისევე „უმნიშვნელოა“, როგორც აფხაზეთში.

— ***თქვენ ფიქრობთ, რომ ამიტომაც გააქტიურდნენ ჩრდილოკავკასიელები აფხაზეთშიც?***

— მარტო აფხაზეთში? ჯავის რაიონში უამრავი ჩრდილოკავკასიელი ბოევიკი დგას ოსებთან და რუსებთან ერთად. ისინი ცდილობენ გააჭიანურონ სამხრეთ ოსეთის პრობლემა, რათა აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად ვერავინ მოიცალოს. თორემ თუ აფხაზეთის საკითხი გადაწყდა, რკინიგზა ამოქმედდა და რუსეთსა და საქართველოს შორის შეთანხმებები შედგა, ჩრდილო კავკასიაში ისევ იარსებებს რუსეთის ღატაკი გუბერნიები, რაც, ცხადია ხელს არ აძლევს ამ „გუბერნიების“ უკვე ჯიბეგასქელებულ ლიდერებს. ისინი ახლა სამხრეთ ოსეთში საკუთარ ინტერესებს იცავენ.

**თუ აქამდე საბრძოლო ტექნიკა უქმად იყო და ყურადღებას არავინ აქცევდა, ახლა დაიწყეს მისი წესრიგში მოყვანა, საბრძოლო მზადება, თანაც ეს ტექნიკა ცხინვალის მისადგომებთან გადმოსწიეს. ცხინვალიდან გაიყვანეს ბავშვები, ქონება კი ორჯონიკიძეში გაზიდეს, ღმერთმა ნუ ქნას, რომ კონფლიქტი ისევ განახლდეს. მდგომარეობა მართლა უკიდურესად მძიმეა, თუმცა, არა შეუქცევადი და თუ ქართული მხარე შეცდომებს არ დაუშვებს, სერიოზულ წარმატებას მიაღწევს.**

ამ სიტუაციიდან გამოსავალს დრო და მოთმინება გვიჩვენებს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქართული ხელისუფლების მხრიდან არ მსმენია არავითარი სამოქმედო გეგმის შესახებ, რადგან არა აქვთ ეს გეგმა. ვფიქრობ, ეს გაუმართლებელია. რაც აჭარაში გააკეთეს, სწორი იყო, მაგრამ იმავე მეთოდების ცხინვალში გამოყენება ვერ გაამართლებს. აქ ცოტათი სხვა სიტუაციაა.

— ***ანუ სასუქი არ უნდა დაარიგონ რეგიონში და არც სხვა ჰუმანიტარული აქციები უნდა ჩაატარონ?***

— აკეთონ ეს საქმე, ოღონდ გეგმას თუ შეადგენენ და სტრატეგიას შეიმუშავებენ, მიხვდებიან, რომ აქ ჯერ ფსიქოლოგიურად უნდა მოემზადებინათ ხალხი მშვიდობისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ეზრუნათ რეგიონის კვლავ საქართველოში დაბრუნებაზე. იცით, რა ხალხი დგას ახლა აქ? შეიარაღებული, ისინი, ვინც რუსეთში გადასვლისთანავე დაიჭირეს და ციხეში ჰყავდათ, რადგან ამ ხალხმა არ იცოდა, რას ნიშნავდა წესიერი ცხოვრება. მათი საქმეა წაართვან, სცემონ, მოკლან, დააყაჩაღონ. აქაურებს უნდა დაარწმუნო, რომ მის ყოფას შენი ყოფა ჯობია და თვითონ უნდა წამოვიდეს შენკენ, ძალდაუტანებლად და არა ისე, სათითაოდ რომ დასდევენ ოსებს და ეუბნებიან, სასუქი და პენსია წაიღეთო. იცით, რას ამბობენ ამ „სასურსათო-სასასუქე“ ოპერაციების შესახებ თბილისის მოწინააღმდეგე ოსები? მაგათ თავისი ხალხისთვის ვერ მოუვლიათ და ჩვენ გვპირდებიან პატრონობას. ეს ხომ სისულელეა. ამის გაფიქრების საშუალებაც კი არ უნდა მიეცათ იმ ხალხისთვის, ვისაც ყოველ წუთში აგონებენ, რომ საქართველო სამხრეთ ოსეთის მტერია. როცა სახლში მშიერი შვილები გიზის, ვერც ძმის ოჯახს დაეხმარები და ვერც უბრალო მეზობლისას. თუ დამშეულ შვილს ლუკმას მოაკლებ და ძმას და მეზობელს უწილადებ, ალბათ ძმა არა, მაგრამ მეზობელი უთუოდ იფიქრებს, რომ მისგან ან რაღაც გინდა, ან რაღაცას ატყუებ. ამიტომაც, ყოველი ნაბიჯის გადადგმას სერიოზული გათვლა და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განსაკუთრებული გეგმა სჭირდება.

*ეკა ლომიძე*

# ქართველი მესაზღვრეები საზღვრის დამრღვევებს სანთებლებით ეძებენ(?!)



## „ერთ დროს საკონტროლო-საკვალე ზოლი შარაგზად იქცა“

**— იმ ღამეს იცით, რითი ვეძებდით საზღვრის დამრღვევებს? ჩვეულებრივი სანთებლებით. იმის საშუალებაც არ გვაქვს, ელექტროფარნები ვიყიდოთ. ლაპარაკი ზედმეტია მესაზღვრისთვის ისეთ აუცილებელ ატრიბუტზე, როგორიც დურბინდია. საზღვრის ბევრ მონაკვეთზე დანგრეულია საინჟინრო ნაგებობები, ზღუდეები. მესაზღვრეები აუტანელ პირობებში ცხოვრობენ — ფიცრულ ვაგონებში სუნთქვაც კი ჭირს.**

გულში ალბათ მეასედ მაინც ვწყევლიდი იმ წუთს, როდესაც საქართველო-თურქეთის საზღვრის აჭარის, კერძოდ, ხულოს რაიონის მონაკვეთის დათვალიერება მოვიწადინე. ჩემი მასპინძლები მაფრთხილებდნენ, რომ უამინდობის გამო იქ მანქანით ვერ მივიდოდი და ფეხით მთაში, სულ ცოტა, ორი ათეული კილომეტრის გავლა მომიწევდა, მაგრამ თავნება ბავშვივით ხელები გავასავსავე და ყოფილმა მესაზღვრეებმაც მეგზური მომიყვანეს, რომელმაც ჩემი საზღვრის მიტოვებულ მონაკვეთზე მიყვანა და იქიდან ისევ ბათუმში ჩამოყვანა ითავა. მიტოვებული სახელმწიფო საზღვარი არათუ არ მენახა, არც არასოდეს მსმენოდა და გამეგონა ამის შესახებ. ამიტომ არ შევუშინდი მოსალოდნელ სიძნელეებს, მაგრამ ჩემი ცნობისმოყვარეობა მეორე დღესვე სანანებელი გამიხდა.

სისხამ დილით ჩემმა მეგზურმა „ვილისის“ მარკის ავტომობილით გამომიარა და გეზი ხულოს რაიონული ცენტრისკენ ავიღეთ. ჩემი მეგზური ძირძველი აჭარელი, შუახანს გადაცილებული მამაკაცი გახლდათ. — ჭოვ, პირველი ჟურნალისტი ხარ, რომელიც საქართველო-თურქეთის უკონტროლო საზღვარზე მიმყავს, თან საზღვარზე გადასაყვანად კი არა, ისე, დასათვალიერებლად. პირველად ვიფიქრე, ვინმე ოხერი იქნება, რაიმე დანაშაული ექნება ჩადენილი და თურქეთში მირბის, რომ პოლიციას დაემალოს-მეთქი. როცა ბიჭებმა მითხრეს, ჟურნალისტიაო, კაი ხანს ვერაფერს მივხთი. მართალი გითხრა, ახლაც ვერ გამიგია, რატომ წვალობ ტყუილად?

— **უკონტროლოდ დარჩენილი საზღვრის შესახებ რეპორტაჟის გაკეთება მინდა.**

— ისეთმა ხალხმა მთხოვა, თუ საჭიროა, საზღვრამდე კი არა, სტამბულამდე ჩაგიყვან. ჩემი ბაბუა და კიდო იმის მამა აჭარაში ცნობილი გამყოლები იყვნენ. როდესაც რუსებმა საქართველო დაიპყრეს და ჟორდანიას მთავრობა დაამხეს, ბევრი ქართველი თავად-აზნაური დარჩა საქართველოში. მერე რუსები თავადაზნაურობას დაერივნენ, მათაც საქართველოში აღარ დაედგომებოდათ და ბაბუაჩემის დახმარებით ბევრი ოსმალეთში გადაიხვეწა. ოჯახებიანად ტოვებდნენ ბოლშევიკურ ქვეყანას. ბაბუაჩემი მეუბნებოდა, ზურგით ბევრი კნეინა და ბავშვი გამიყვანია სამშვიდობოსო. მამაჩემსაც გადაჰყავდა საზღვარზე ის ხალხი, ვისაც საბჭოთა ქვეყანაში არ დაედგომებოდა. მეგზურობა სახიფათო საქმე იყო, რადგან რუსებს კარგად ჰქონდათ გამაგრებული საზღვარი. ხალხიც დაგეშეს და ჩემს მეზობლებს ასი ყური და თვალი ჰქონდათ გამოსხმული — თუ ვინმეს საეჭვოს შენიშნავდნენ, მესაზღვრეებს აცნობებდნენ. ზოგიერთი უსინდისო ჩვენც გვაბეზღებდა და რუსებიც გამუდმებით გვითვალთვალებდნენ. ახლა, ვიცი, მკითხავ, შენ რამდენი კაცი გყავს გადაყვანილიო, მაგრამ ამაზე არაფერს გეტყვი.

ლაპარაკ-ლაპარაკში ხულოს რაიონული ცენტრი უკან მოვიტოვეთ. ძველი მანქანა ღმუილით შეეჭიდა აღმართებს. უგზოობას ისიც დაემატა, რომ გაწვიმდა. ჟუჟუნა წვიმა მალე კოკისპირულ თავსხმად იქცა. ჩემმა მეგზურმა ცას ახედა, ერთი გვარიანად შეიკურთხა და „ვილისი“ ტყის პირას შეაჩერა. თითქმის ერთი საათი ველოდით წვიმის გადაღებას. როგორც იქნა, ოდნავ გამოიდარა, ყოველ შემთხვევაში, ისე აღარ წვიმდა და იმედიანი თვალებით შევხედე ჩემს თანამგზავრს. ამაოდ ვუცდიდი, რომ ის მანქანას დაძრავდა: „გზით ველარ წავალთ — სადმე ლაფში ჩავვარდებით და მანქანას ვერ ამოვიყვანთ. აქედან ფეხით უნდა გავუდგეთ გზას. საზღვრამდე ბევრი აღარ დარჩა, დიდი-დიდი ორი-სამი კილომეტრი იყოს“, — მანუგეშა მეგზურმა.

ვისაც მთაში თუნდაც ერთხელ ორი კილომეტრი მაინც გაუვლია ფეხით, იცის, რა გამძლეობაა საჭირო ამ მანძილის დასაფარავად. სამი საათი ვიარეთ ფეხით. მეგზურის დანაპირები ორი კილომეტრი ბარე ათ კილომეტრად იქცა და არც საზღვარი ჩანდა. აჭარელი გამოზომილი, მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა და დაღლა თითქმის არ ეტყობოდა. თქვენი მონა-მორჩილი კი ყოველი ოცი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ჩერდებოდა სულის მოსათქმელად. როგორც იქნა, გავივაკეთ. მცენარეული საფარი თითქმის გაქრა, მხოლოდ მწვანე მდელოები იყო გარშემო. უკვე ალპურ ზონაში ვიყავით. მდელოზე ზოგიერთ ადგილას თოვლიც იყო შემორჩენილი. რამდენიმე წუთის შემდეგ მიწაში ჩარჭობილ, გვერდზე გადაქანებულ, სანახევროდ დამპალი სარების რიგს მივადექით. სარებს შორის მანძილი ორი მეტრი იქნებოდა. ზოგიერთი სარი ერთმანეთისთვის მავთულით (უხეიროდ) გადაებათ. აქაურობა ღატაკი გლეხის მიერ შემოკავებულ ყანას მოგაგონებდათ. მეგზურს კითხვით სავსე თვალები მივაპყარი: „რას მიყურებ, ჭოვ? აი, ეს არის საზღვარი. რა გეგონა, ციხე-კოშკებს ნახავდი აქ თუ ტანკებით და ბეტეერებით კბილებამდე შეიარაღებულ ნაგაზებიან მესაზღვრეებს?“ — დაიქოქა ჩემი მეგზური.

გაოგნებული შევცქეროდი საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს(!). ვერაფრით დავიჯერე, რომ ეს ძირმომპალი სარების რიგი და ზედ შერჩენილი მავთულის ნაგლეჯები სახელმწიფო საზღვარი იყო. მეგზური კი განაგრძობდა: — ჩვენ რომ თითქმის ერთი საათია მოვდივართ, შენ მართლა გზა ხომ არ გგონია? ეს რუსების მიერ თავის დროზე გაკეთებული საკონტროლო-საკვალე ზოლია, ე.წ. „კსპ“. კვირაში ორჯერ მაინც იფარცხებოდა და ისე იყო გაფხვიერებულ-გასწორებული, ქინძისთავი რომ დაგვარდნოდა, იპოვიდი. რუსების წასვლის შემდეგ საზღვრის უსაფრთხოების ზოლი შარაგზად იქცა(?!).

— **მესაზღვრეები სადღა არიან?**

— რამდენიმე კილომეტრის იქით ერთი საცოდავი ხის ვაგონი უგდიათ და იქ არიან. ხანდახან მწყემსები ადიან იქ და მათი ნაწყალობევი საჭმლით იბრუნებენ სულს. ხანდახან ნადირობენ. ახლა არ მკითხო, საზღვარს როგორ აკონტროლებენო? ვინ აკონტროლებს, ჭოვ, რა უნდა გააკონტროლო აქ? ახლა შუადღეა, ეგერ, შორს, ფიცრულ ვაგონს რომ ხედავ, შიგნით იქნებიან, ან ეძინებათ, ან მწყემსებთან იქნებიან საჭმლის საშოვნელად წასულები. უფრო სახლებში იქნებიან ჩასულები და თუ მოეპრიანათ, საღამოს ამოვლენ. ახლოს ნუ მივალთ. უცხო კაცს რომ დაგინახავენ, რა იცი, რა ხასიათზე დადგებიან, შეიძლება მთვრალებიც იყვნენ და შარი გვინდა?

ფოტოაპარატი მოვიმარჯვე და იქაურობა ფირზე აღვბეჭდე. უცებ გამახსენდა, რომ საზღვარზე სხვადასხვაფრად შეღებილი ბოძები უნდა იყოს აღმართული. მათზე ერთი მხრიდან — საქართველოს გერბი, ხოლო მეორიდან — თურქეთისა უნდა იყოს მიჭედებული. გამცილებელს სასაცილოდაც არ ეყო ჩემი გულუბრყვილობა — ხომ გითხარი, ნაგაზებიანი და დურბინდიანი მესაზღვრეები არ მომთხოვომეთქი. ბოძები საიდან მოგიტანო? ეგ ბოძები დიდი ხანია ზოგი მწყემსებმა, ზოგიც კი მესაზღვრეებმა ზამთარში შეშად იხმარეს. მოდი, დროზე გადავიდეთ საზღვარზე და მერე იტრაბახე რამდენიც გინდა, საზღვარზე გადავედი უკანონოდო.

***(გაგრძელება იხ. გვ. 27)***

# „ბიწაძეებს, ბურჯანაძეებს და მორჩაძეებს ვერ გადავასახლებ საქართველოდან...“

## „ხელისუფლებაში მყოფებმა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენკენ ნასროლი ქვა ჩვენს შვილსაც მოხვდება“

ორთვიანი მუშაობით „დაღლილმა“ პარლამენტარებმა „დამსახურებული“ დასვენების უფლება ოფიციალურად მოიპოვეს. გასულ პარასკევს მათ გაჯგიმულებმა მოისმინეს ახალი სახელმწიფო ჰიმნი და უკონდიციონერო, ჩახუთული სხდომათა დარბაზიდან გაქცევით უშველეს თავს. სხდომის დამთავრების შემდეგ შეხვედრები პარლამენტის თავმჯდომარესთან (შედარებით გრილ ვითარებაში) გაგრძელდა. საღამოს ათ საათზე ნინო ბურჯანაძესთან ინტერვიუს დროს შევესწარი, როგორ ეუბნებოდა ქვეყნის მთავარი მესაზღვრე მეუღლეს — დღეს მაინც წამოდი ცოტა „ადრეო“. ბადრი ბიწაძე იმდენად დაჟინებით ითხოვდა ამას, ვიფიქრე, ქალბატონი ნინო ალბათ ოჯახში ძალიან ენატრებათ-მეთქი, თავად პარლამენტის თავმჯდომარემ კი მოსალოდნელ სიურპრიზზე იეჭვა. გაუკეთა თუ არა მეუღლემ სიურპრიზი **ნინო ბურჯანაძეს**, შემდგომი შეხვედრისას ვკითხავ, მანამდე კი მკითხველისთვის არანაკლებ საინტერესო კითხვებზე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხებზე გთავაზობთ პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარს.

— **კანონი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ, ფაქტობრივად, გასულ კვირას ამოქმედდა, მაგრამ ამას ახლავს ეჭვი — ხომ არ გამოიყენებს მას ხელისუფლება ოპონენტების წინააღმდეგ და თვალს დახუჭავს თავისიანების არანაკლებ დაუსაბუთებელ ქონებაზე?**

— კანონში ისეთი დებულებები შევიტანეთ, რომ მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა გამორიცხულიყო. შეიძლება, ვინმე დასასჯელი კიდევ დარჩა, მაგრამ დღემდე უსამართლოდ არავინ დასჯილა. ვინც ამბობს, ხელისუფლება თანაგუნდელებს ან ახლობლებს არ ეხებაო, ჯობს, გაიხსენონ ჩემთვის მართლაც უსიამოვნო ფაქტი, უმრავლესობისა და ნაციონალური მოძრაობის წევრის, პარლამენტარის დაპატიმრება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტმა ბევრსატკინა გული, მმართველ ძალას თვალი არ დაუხუჭავს და კორუფციულ გარიგებაში ეჭვმიტანილი თანაგუნდელი დააკავა.

ხელისუფლების თვითმიზანი არ არის ვინმეს ტერორი, მაგრამ როდესაც პირზე საქმეა აღძრული, ის თავს, ბუნებრივია, ლაღად და მშვიდად ვერ იგრძნობს. ხელისუფლებას ნამდვილად ვერ გავამტყუნებ იმის გამო, რომ კორუმპირებულებისთვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევას აპირებს. მამალაძე, ფაქტობრივად, წინა ხელისუფლებისა და კორუფციის სიმბოლო იყო. არ შეიძლება ადამიანმა ზომიერების გრძნობა დაკარგოს. როცა ზღვარს გადადის, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, ასეთი, როგორც წესი, ცუდად ამთავრებს ხოლმე... მაგრამ თუ მას თავის გასამართლებელი არგუმენტი ექნება, მოვუსმენთ. ამიტომ უთუოდ უნდა გამოცხადდეს სასამართლოზე და თავი იმართლოს.

ძალიან ვწუხვარ, რომ ლევან მამალაძის ქონების ჩამორთმევის შესახებ განცხადების შემდეგ ბიძამისმა თავი მოიკლა. არ ვიცი, მას ჰქონდა თუ არა ჩადენილი რაიმე დანაშაული, თავად ფაქტია ძალზე სამწუხარო.

საქართველო ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოყალიბდეს ისეთ ქვეყნად, სადაც ხალხი დარწმუნებული იქნება — დღეს რომ ცილი დამწამონ, ხვალ სიმართლე უთუოდ გაირკვევაო. დამნაშავეს კი ეცოდინება, რომ დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ დასჯიან. თუკი ჩვენთან ეს წესი დამკვიდრდება, ხელისუფლებაში ბევრად პატიოსანი ხალხი მოვა და იქ არაკეთილსინდისიერების ადგილი აღარ იქნება.

— **გასულ კვირას პარლამენტმა კონტროლის პალატის ახალ თავმჯდომარედ თქვენი წამოყენებული კანდიდატურა დაამტკიცა. ზურაბ სოსელია რით ამჯობინეთ დათო ტყეშელაშვილს?**

— დათო ტყეშელაშვილი არასოდეს განხილულა ზურაბ სოსელიას ალტერნატიულ კანდიდატად. კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ის არც ოფიციალურად დამისახელებია და არც არაოფიციალურად. ალბათ თავად დათოს ჰქონდა ამ პოსტის დაკავების სურვილი და მის მეგობრებსაც უნდოდათ ეხილათ იგი ამ თანამდებობაზე. მიუხედავად ამისა, მე მქონდა კონკრეტული არგუმენტები, რის გამოც არჩევანი ბატონ ზურაბ სოსელიაზე შევაჩერე. დათოსთან კარგი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს, მაგრამ თანამდებობაზე დანიშვნისას ეს არ უნდა იყოს გადამწყვეტი. კონტროლის პალატის ხელმძღვანელი აბსოლუტურად არაპოლიტიზებული უნდა იყოს — ეს არის პარლამენტის ერთადერთი ორგანო, რომელმაც აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა გააკონტროლოს. იმედი მაქვს, ამ მოვალეობას ბატონი ზურაბ სოსელია თავს გაართმევს.

— **სხვათა შორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურაზე მსჯელობისას კიდევ ერთხელ წამოტივტივდა თქვენი და ზურაბ ჟვანიას ურთიერთობის თემა.**

— არა მგონია, ვინმე ფიქრობდეს, რომ ასეთ რთულ ვითარებაში ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს პირებს აბსოლუტურად ერთი და იგივე აზრი უნდა ჰქონდეთ. განსხვავებული აზრი და ხანაც ცხარე კამათი ხელს არ გვიშლის მუშაობასა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

— **გასულ კვირას საქართველოში დიანა აბაშიძის ჩამოსვლას და მის მიმართ განხორციელებულ სამართალდამცველების ქმედებებს არაერთგვაროვანი შეფასებები მიეცა. თქვენ რას იტყოდით?**



**ამიხსნას ვინმემ, რატომ არის ვინმეს დაკითხვაზე წაყვანა არაქართული ჟესტი? როდესაც გამოძიებას ვინმესთან კითხვები აქვს, უთუოდ უნდა დასვას. გასაგებია, რომ დიანასთვის მძიმე იქნებოდა ეს პროცედურა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ არ გატეხა სიტყვა – დიანა აბაშიძე ბათუმში აბსოლუტური ხელშეუხებლობით სარგებლობდა. არ არის საჭირო არც ვითარების ზედმეტად დრამატიზება და არც ცრემლის ღვრა იმის გამო, რომ დიანა აბაშიძეს ჰკითხეს იმ მილიონებზე, რომლებიც ბიუჯეტში არ შემოსულა.**

— ამიხსნას ვინმემ, რატომ არის ვინმეს დაკითხვაზე წაყვანა არაქართული ჟესტი? როდესაც გამოძიებას ვინმესთან კითხვები აქვს, უთუოდ უნდა დასვას. ვიმედოვნებ, კითხვები კორექტულად დაუსვეს დიანა აბაშიძეს. გასაგებია, რომ დიანასთვის მძიმე იქნებოდა ეს პროცედურა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ არ გატეხა სიტყვა — დიანა აბაშიძე ბათუმში აბსოლუტური ხელშეუხებლობით სარგებლობდა. იყო ვითარების ხელოვნურად დაძაბვის მცდელობა და მითქმა-მოთქმა — ხელისუფლება დიანას დააპატიმრებს, სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს, არ გაუშვებენო. ეს ხმები მის ყურამდეც გამიზნულად მიიტანეს და გააღიზიანეს. დროულად განაცხადეს ირაკლი ოქრუაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა — არავითარ დაპატიმრებაზე ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე არ შეიძლება ლაპარაკი, მას თავისუფლად შეუძლია გადაადგილებაო, რაც დადასტურდა კიდეც. არ არის საჭირო არც ვითარების ზედმეტად დრამატიზება და არც ცრემლის ღვრა იმის გამო, რომ დიანა აბაშიძეს ჰკითხეს იმ მილიონებზე, რომლებიც ბიუჯეტში არ შემოსულა. ჩემთვისაც უსიამოვნო საყურებელია, როდესაც ახალგაზრდა ქალი დაკითხვაზე მიჰყავთ, მაგრამ დიანასაც და სხვებსაც შეეძლოთ ბათუმის ქუჩებში გავლა და იმის დანახვა, რომ ირგვლივ უამრავი რამ გასაკეთებელია. როდესაც ათეულობით მილიონებზეა ლაპარაკი, ხომ შეიძლებოდა სულ მცირე თანხა ბათუმის ქუჩებზეც გაეხარჯათ. რაც იარაღზე დახარჯა აბაშიძემ, იმ თანხის ნახევარი ხალხისთვის რომ მოეხმარებინა, მის დასაცავად დადგებოდა ყველა. ხელისუფლებაში მყოფმა ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მისკენ გასროლილი ქვა მის შვილსაც მოხვდება. ჩვენ, ხელისუფლებაში მყოფებმა, მხოლოდ საკუთარ თავზე არ უნდა ვიფიქროთ. ჩვენ მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი პირდაპირ თუ ირიბად ჩვენს შვილებს წინ დახვდება.

— **რამდენიმე დღის წინ, კანცელარიის წინ ერთ-ერთი საწარმოს თანამშრომლებმა გამართეს აქცია და თქვენი მეუღლის გვარიც ახსენეს — ბადრი ბიწაძე მამიდაშვილს (საწარმოს ერთ-ერთ თანამშრომელს) მფარველობს და აქციონერები საწარმოდან გამოგვაძევესო. ისიც თქვეს, ქალბატონი ნინოს დახმარებით საწარმოს ხელში ჩაგდების მსურველნი ზურაბ ჟვანიასაც შეხვდნენო.**

— არ ვაპირებ ასეთ განცხადებაზე კომენტარის გაკეთებას. ბევრჯერ ახსენეს ჩემი ოჯახის წევრები სხვადასხვა კონტექსტში, მერე ჩვენს ძაღლებზე გადავიდნენ — ისინიც კი რამდენჯერმე მოხვდნენ პრესაში. რა არ თქვეს ჩემზე, მამაჩემზე, ჩემს მეუღლესა და შვილებზე. არ შეიძლება ასეთი დაუსაბუთებელი განცხადებების გაკეთება. ბიწაძეებს, ბურჯანაძეებსა და მორჩაძეებს (დედის გვარია) ვერ გადავასახლებ საქართველოდან, ახლობლებთან კავშირს ვერ გავწყვეტ. ვერც ერთ ჩემს ნათესავზე, ახლობელსა და ოჯახის წევრზე ვერავინ ვერც ერთხელ ვერ წამოაყენა არგუმენტირებული პრეტენზია. ხან თერთმეტ მილიონზე ლაპარაკობდნენ, ხან ბაზრობაზე, ახლა ქარხანაზე, მერე ალბათ კოსმოსურ ხომალდზეც გადავლენ... თუ ვინმეს რაიმე არგუმენტი და მასალა აქვს, წარმოადგინოს და შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან. პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოვუწოდებ (უპირველესად კი მე მაინტერესებს), ყველაფერი გაარკვიონ. ჭორების განხილვას კი არ ვაპირებ.

— **კანცელარიიდან ისევ პარლამენტზე გადმოვიდეთ — რესპუბლიკელები უმრავლესობიდან განაწყენებული მიდიან, რატომ მოგვექცნენ ასე ცუდად აჭარაშიო. რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ მათი საყვედური და შეინარჩუნებენ თუ არა ისინი ამ შემთხვევაში კომიტეტების თავმჯდომარეთა პოსტებს?**

— ნამდვილად არ მინდა, რომ რესპუბლიკელები უმრავლესობიდან გავიდნენ, რადგან მათი უმეტესობა კეთილსინდისიერი, ინტელექტუალური ხალხია. უმჯობესი იქნება, თუ ისინი თავიანთ შესაძლებლობებს უმრავლესობასთან ერთად რეფორმების გატარებას მოახმარენ. თუ რაიმე აქვთ გასარკვევი, ჯობს უმრავლესობაშივე ითქვას. ვიმსჯელოთ და შესაძლოა დავეთანხმოთ კიდეც, ან პირიქით, ისინი დავარწმუნოთ. ჩემი აზრით, გულდასაწყვეტი რესპუბლიკელებს კი არა, პრეზიდენტსა და ნაციონალურ მოძრაობას აქვს. ნაციონალები და რესპუბლიკელები ერთად იბრძოდნენ აჭარაში ვითარების შესაცვლელად და როდესაც ამას მართლაც მიაღწიეს (90%-ით პრეზიდენტის დამსახურებით), ნამდვილად არ იყო სწორი, რომ რესპუბლიკელები ცალკე გამოვიდნენ არჩევნებში. ბავშვისთვისაც კი ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ბათუმში არჩევნებს სააკაშვილს ვერავინ მოუგებდა და მიკვირს, რატომ ვერ მიხვდა ამას ასეთი გამოცდილი ხალხი? არჩევნებზე ბათუმში ჩავედი. პრეზიდენტმა საგანგებოდ მთხოვა, ყურადღება გაამახვილეთ, რომ საარჩევნო პროცესი ობიექტურად წარიმართოსო. ყველგან ვამბობდი, დაისჯება ის, ვინც არჩევნებს გააყალბებს-მეთქი. ბათუმში ისეთი განწყობა დაგვხვდა, როგორიც აქ, თბილისში იყო რევოლუციის დღეებში. იქაც ისევე გვეძახდნენ და ხელს გვიქნევდნენ. ასეთ ფონზე ძნელი იყო, რომელიმე სხვა პოლიტიკურ ძალას გაემარჯვა. ამიტომ უხერხულია რესპუბლიკელების მხრიდან არჩევნების გაყალბებაზე ლაპარაკი. მხოლოდ საქართველოში ხდება ასეთი პოლიტიკური ნონსენსი, როცა ორი პოლიტიკური ძალა ერთ ქალაქში თანამებრძოლები არიან, იქიდან 3 საათის სავალზე კი ოპონენტები.

განსაკუთრებით პატივს ვცემ ბატონ ლევან ბერძენიშვილს და რომან გოცირიძეს, რომლებიც შესანიშნავად ხელმძღვანელობენ კომიტეტებს. არ მინდა მათ ისეთი გადაწყვეტილება მიიღონ, რომ თანამდებობები დატოვონ. თუ ისინი უმრავლესობიდან ოპოზიციაში გადავლენ, ცხადია, ორ ასეთ უმნიშვნელოვანეს კომიტეტს ოპოზიციას არ დავუტოვებთ.

— **წინა ჭრელ პარლამენტთან შედარებით, ახალი პარლამენტი მოსაწყენად ხომ არ გეჩვენებათ?**

— წინა პარლამენტი ჭრელი კი არა, აუტანელი იყო. რევოლუციის მოწყობა მარტო იმისთვის ღირდა, რომ ზოგიერთები (როგორებიც საქართველოს კი არა, არც ერთი ქვეყნის პარლამენტში არ უნდა იყვნენ), დღეს აქ არ არიან. ახალი პარლამენტი მოსაწყენი ნამდვილად არ არის. ამ ორ თვეში უამრავი რამ მოვასწარით, მხოლოდ გასულ კვირას 70-მდე კანონს ვუყარეთ კენჭი. სექტემბრიდან კიდევ უფრო აქტიურად ვაპირებთ მუშაობას და ვეცდებით, ამომრჩევლის იმედი არ გავაცრუოთ, შევქმნათ ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომ ქვეყანაში განვითარდეს მცირე ბიზნესი, შეიქმნას სამუშაო ადგილები და მოვიზიდოთ ინვესტიციები.

ჩემი ინიციატივით შეიქმნა ბიზნესმენთა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, რა პრობლემები აქვთ მათ. პარლამენტი ეცდება მეწარმეთა შენიშვნების გათვალისწინებას და ისეთი კანონების შექმნას, რომელიც უფრო გაუადვილებს მათ საქმიანობას.

— **რამდენადაც ვიცი, გამცდენი დეპუტატების დაჯარიმებასაც აპირებთ. საჯარიმო თანხების დახარჯვას საქველმოქმედო საქმეში ხომ არ აპირებთ?**

— არ გამოვრიცხავ, რომ დეპუტატები პლენარული სხდომის გაცდენის გამოც დავსაჯოთ. ზოგჯერ მიზეზები ობიექტურია, მაგრამ ზოგჯერ დეპუტატები ცუღლუტობენ კიდეც. ამიერიდან ჩვენ გაცდენებზე შესაბამის რეაგირებასა და მკაცრი სანქციების დაწესებას ვაპირებთ. თუ დეპუტატები ვერ მოახერხებენ სადეპუტატო და სხვა ასევე მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების შეჯერებას, მათ არჩევანის გაკეთება მოუწევთ. მოსახლეობა იმედით შემოგვყურებს, ამიტომ არ დავუშვებ მათი მოლოდინის გაცრუებას და პარლამენტარიზმის იდეის დევალვაციას. დაკავებული ხელფასების ნაწილი დეპუტატთა ურთიერთდახმარების ფონდში ჩაირიცხება, რადგან გარწმუნებთ, ახლანდელი დეპუტატების უმრავლესობა მართლაც ხელფასზე ცხოვრობს და ხშირად მათაც სჭირდებათ ხელის შეშველება, თანხის ნაწილს კი ქველმოქმედებას მოვახმართ.

*იზო რუკაძე*

# „რაც აჭარაში მოხდა, დაბალი რანგის ახალი ნომენკლატურის ინიციატივა იყო“

## „თუ დაგვასწრებენ და უმრავლესობიდან გაგვრიცხავენ, მეტად საინტერესო იქნება“

აჭარის არჩევნები უმრავლესობიდან რესპუბლიკელების წასვლის მიზეზი ხდება. მხოლოდ ორი დეპუტატის ამარა დარჩენილი „ბერძენიშვილი-რესპუბლიკელები“ სააკაშვილზე განაწყენებას ვერ მალავენ. დავით ბერძენიშვილს ამჯერად ჟვანიასთან კი არა, პრეზიდენტთან აქვს პრეტენზია და ამიტომაც დგება განზე. კულუარებში კი ამბობენ, — რესპუბლიკელები მხოლოდ აჭარის გამო არ მიდიან, პრემიერსა და ბერძენიშვილს შორის დაწყებული ბრძოლა კანცელარიის მე-10 სართულის ბინადრის გამარჯვებით დასრულდა. ჟვანიამ მთავარ რესპუბლიკელს ბათუმიდან ედვარდ სურმანიძის გამოძევება არ აპატია და პრეზიდენტს სხვასთან ერთად, ესეც უთხრა — ეგ ძმები თავს გიტოლებენ, რაკი აჭარაში კონკურენტობას გიბედავენ და ჯობს, ჭკუა ასწავლოო. სააკაშვილმა ჟვანიას დაუჯერა, შედეგი კი ყველამ ვნახეთ.

რამდენიმე წლის წინ პარლამენტსმიღმა დარჩენილი რესპუბლიკელები აქტიურ პოლიტიკაში სააკაშვილის წყალობით დაბრუნდნენ. ინტელექტუალი პოლიტიკოსები არჩევნებს რატომღაც ვერასდროს „ქაჩავდნენ“.

ალიანსები სააკაშვილამდეც ჰქონდათ, მაგრამ უშედეგოდ. სწორედ 1999 წლის არჩევნებში მორიგი ხელმოცარვის შემდეგ გადადგა ივლიანე ხაინდრავა პარტიის თავმჯდომარეობიდან. მის მაგივრად დავით ბერძენიშვილი მოდის და ამ დროს ხდება პრაგმატული გათვლა — სააკაშვილთან გაერთიანება და ეს სვლა ამართლებს. საკრებულოში საქმიანობისას სააკაშვილმა ბერძენიშვილს საკუთარი ფრაქციის თავმჯდომარეობა ანდო. თითქოს ამის შემდეგ რესპუბლიკელებსა და სააკაშვილს შორის ბზარი არ უნდა გაჩენილიყო, მაგრამ, მაინც გაჩნდა, როდესაც მათ შორის მესამე — ზურაბ ჟვანია ჩადგა. მიშასთვის სავსებით მისაღები ჟვანია ბერძენიშვილებისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. უსიამოვნებებიც აქედან დაიწყო, მაგრამ რაკი წინ საპარლამენტო არჩევნები ედოთ, რესპუბლიკელებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. თუმც, როდესაც ჟვანიამ ბოდიშის მოხდა მოითხოვა (თუ არა და დათო ბერძენიშვილი სიიდან ამოიღეთო), ამას ბერძენიშვილის პოლიტიკურად დაბალანსებული პასუხი მოჰყვა, რომელიც იყო და არც იყო ბოდიში. დავით ბერძენიშვილი მაშინ სიაში დარჩა, მაგრამ როგორც ამბობენ, — დარჩა იმიტომ, რომ დღეს წასულიყო. სხვა კულუარული ვერსიით, სააკაშვილთან ალიანსი რესპუბლიკელებს პოლიტიკური რეინკარნაციისთვის დასჭირდათ, თორემ ამბიციური დათო ბერძენიშვილი ამბიციურ სააკაშვილთან დიდხანს რომ ვერ იქნებოდა, ხომ ცხადზე უცხადესი იყოო... რესპუბლიკელები უმრავლესობიდან მიდიან, მაგრამ მიდიან მხოლოდ სამნი — ბერძენიშვილები და ივლიანე ხაინდრავა. რომან გოცირიძე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეობას ვერ ელევა და ამბობს — უმრავლესობაში ვრჩებიო. ოპოზიციას რომ დღესდღეობით დიდი ხიბლი არა აქვს, ამაში თამაზ დიასამიძის პასუხმაც დაგვარწმუნა — რესპუბლიკური პარტიიდან 5 წლის წინ წამოვედი და უმრავლესობიდან მათი გასვლა რაში მეხებაო. ასე რომ, შესაძლოა რესპუბლიკელებმა ფრაქციაც ვერ შექმნან. ყოველ შემთხვევაში, შემოდგომამდე რომ ვერაფერს მოასწრებენ, ეს ნათელია (უკვე არდადეგები იწყება), მაგრამ მერეც რა იქნება? დავით ბერძენიშვილს ფრაქციის თავმჯდომარეობა სურს და ამის გამო ვერ გამონახა საერთო ენა კობა დავითაშვილთან. მოუწევთ თუ არა კიდევ კომპრომისზე წასვლა რესპუბლიკელებს, დრო გამოაჩენს, მანამდე კი უახლოეს გეგმებსა და აჭარაში ჩატარებულ არჩევნებზე **ივლიანე ხაინდრავას** გავესაუბრეთ:

— **რესპუბლიკელებს შეცდომად გითვლიან გადაწყვეტილებას, აჭარაში ხელისუფლების ოპოზიცია ყოფილიყავით, თბილისში კი უმრავლესობის სუბიექტები. ფიქრობთ თუ არა, რომ სწორედ ამან გააჩინა ბზარი ნაციონალურ მოძრაობასა და რესპუბლიკელებს შორის?**

— რესპუბლიკელები ნაციონალურ მოძრაობასთან 2 ნოემბრის არჩევნებამდე ვიყავით და რაკი შემდგომ პროცესებშიც და რევოლუციაშიც ერთად ვმონაწილეობდით, რატომ აღარ უნდა ვყოფილიყავით ერთად 28 მარტის არჩევნებში? თუმცა, მიუხედავად ამისა, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში რესპუბლიკელების ცალკე მონაწილეობა ტრაგედიად არ მიმიჩნევია.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

# გელაევის ლაშქრობას ქართველი გენერლები შეეწირებიან... სამი წლის შემდეგ

გენერალური პროკურატურის მიერ ამ დღეებში დაწყებული, უფრო სწორად, გაგრძელებული სამი წლის წინანდელი ამბების მოკვლევა შემთხვევითი სულაც არ არის.

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ვსაუბრობდით იმ უმუშევარ გენერლებზე, რომლებსაც ახალი ხელისუფლება არც არაფერში ადანაშაულებს, მაგრამ არც თანამდებობებზე ნიშნავს, მიუხედავად პრეზიდენტის შეპირებისა.

და აი, ერთი კვირის შემდეგ, გენპროკურატურა ხელახლა იწყებს ჩეჩენი საველე მეთაურისგან უთუოდ დიდ ფულად ჯილდოს ელოდა. დაახლოებით იმდენს, რამდენიც თავის დროზე გელაევისა და სხვა საველე მეთაურების შატილის მხრიდან შემოშვებაში აიღეს.

ჟურნალისტისთვის ძნელია მარტო ეჭვებზე სტატიის დაწერა, რეალურ სურათს მხოლოდ სრულყოფილი გამოძიება გამოაჩენს. გასულ წლებში, შევარდნაძის მმართველობის დროს, გამოძიება ამ ფაქტზე შეჩერდა, რადგან გელაევის ლაშქრობის საქმეში არა მარტო რამდენიმე ცნობილი გენერალი, არამედ ხელისუფლების უმაღლესი შტოც იყო გარეული.



რომელი ქართველი გენერლები უზრუნველყოფდნენ გელაევის რაზმის გადასვლას პანკისიდან კოდორამდე?

ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, მაშინ გელაევის ლაშქრობის მთავარ ორგანიზატორად შინაგან საქმეთა მინისტრ თარგამაძეს ასახელებდნენ. სწორედ მას დაქვემდებარებული, პანკისის ხეობასთან მდგარი შინაგანი ჯარების სატვირთო ავტომობილებით „ამოგზაურეს“ გელაეველები პანკისიდან კოდორამდე.

გამოძიების განახლება აუცილებლად შეეხება ყოფილ თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძესაც. მის უწყებას, მართალია, პანკისის ხეობაში უშუალო ურთიერთობა არ ჰქონდა გელაევის შეიარაღებულ დაჯგუფებასთან, მაგრამ მათ შორის კავშირი უკვე კოდორის ხეობაში მოქმედებებისას გამოიკვეთა. თუკი გამოძიება დაამტკიცებს, რომ ყოფილ თავდაცვის მინისტრს და მისი გუნდის რამდენიმე წევრს ამგვარი კავშირები ჰქონდათ, მაშინ მათ ახალ მაღალ თანამდებობაზე ნამდვილად აღარ უნდა იფიქრონ.

„კვირის პალიტრა“ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში წერდა იმის შესახებ, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრი, მიუხედავად დაპირებებისა, შეიძლება უმუშევრად დატოვონო. ჯერ იყო და, გენერალ თევზაძეს, მინისტრის სავარძლის დატოვების სანაცვლოდ, გენშტაბის უფროსობას ჰპირდებოდნენ, მოგვიანებით — ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს წარმომადგენლად დანიშვნას, მაგრამ მაინც უმუშევრად დატოვეს. ახლა კი მას გამომძიებლებთან ჩვენებების მიცემა მოუწევს.

როგორც ჩანს, 2001 წლის გელაევის ლაშქრობა, მიუხედავად თავად რუსლან გელაევის სიკვდილისა, ჯერ კიდევ ბევრი ქართველი გენერლისა და პოლკოვნიკის მომავალ კარიერას გამოუთხრის ძირს, რამდენიმე მათგანი კი შეიძლება გისოსებს მიღმაც აღმოჩნდეს.

თაურის, გელაევის საქართველოს ერთი ხეობიდან მეორემდე — პანკისიდან კოდორამდე — ცნობილი ლაშქრობის გამოძიებას. უეჭველია, გამოძიების პროცესში ბევრი ქართველი უმუშევარი გენერალი მაღალ თანამდებობაზე კი აღარ იფიქრებს, არამედ იმაზე, თუ როგორ გადაურჩეს მართლმსაჯულებას.

სამი წლის წინ გელაევის თითქმის 800-კაციანი ჯგუფის პანკისიდან თბილისის გავლით კოდორში გადასვლა თავიდან თითქოს ძალზე გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ, საბოლოოდ, ეს ამბავი თითქმის ნახევარმა მსოფლიომ გაიგო.

ისიც ფაქტია, რომ გელაევის მებრძოლებს იმდროინდელი მაღალჩინოსანი ქართველი გენერლები ჰპირდებოდნენ, შემოვლითი გზებით ჩრდილო კავკასიაში გადაგიყვანთო. ცხადია, ეს დაპირებები მხოლოდ გულკეთილობით არ იქნებოდა ნაკარნახები, ზოგიერთი ქართველი მაღალჩინოსანი სამხედრო ჩეჩენი საველე მე-

# როკის გვირაბი — რუსული სამხედრო ბაზების სანაცვლოდ?

## ვინც გააკონტროლებს როკის გვირაბს, საბოლოოდ ის გაიმარჯვებს



**ჩვენი ცნობა:** *კავკასიის მთავარ ქედზე, როკის უღელტეხილზე გადის ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომელიც რუსეთის ფედერაციის ავტონომიურ რესპუბლიკას — ჩრდილო ოსეთს საქართველოს ცხინვალის რეგიონთან აკავშირებს. უღელტეხილზე გადის 3,6 კმ სიგრძის გვირაბი, რომლის ზვავსაშიში მონაკვეთები სპეციალური გალერეებითაა დაცული. როკის უღელტეხილის სიმაღლე 2991 მ-ს აღწევს, რომელზეც 55 კმ საერთო სიგრძის სერპანტინიანი გზა მიემართება.*

ქართული მხარის მიერ რუსეთის დელეგაციისთვის შეთავაზებამ, როკის გვირაბის ერთობლივი გაკონტროლების შესახებ, ბუნებრივია, კოკოითის მთავრობის მკაცრი პროტესტი გამოიწვია. ცხინვალში ხვდებიან, რომ როკის გვირაბთან, საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ქართველი მებაჟეებისა და მესაზღვრეების გამოჩენა მათ სეპარატისტულ რეჟიმს უფრო დიდ დარტყმას მიაყენებს, ვიდრე ქართული ტანკების მთელი ბატალიონი.

თუმცა ცხინვალის აზრზე მეტად უფრო საინტერესო მოსკოვის პოზიციაა — დათანხმდება თუ არა კრემლი როკის გვირაბთან ერთობლივი ქართულ-რუსულ-ოსური საკონტროლო-გამშვები პუნქტის შექმნას?

რჩება შთაბეჭდილება, რომ მიმდინარეობს ერთგვარი პოლიტიკური ვაჭრობა, სადაც კოკოითის სეპარატისტული ხელისუფლება ნამდვილად არ სარგებლობს ვეტოს უფლებით.

რუსეთს, რომელიც ნელ-ნელა კარგავს ზესახელმწიფოს იმიჯს, სურს, რაღაცნაირად მაინც შეეწინააღმდეგოს ამ მზარდ პროცესს და ბოლო ხანამდე ფეხს ითრევს საქართველოში დარჩენილი სამხედრო ბაზების გაყვანაზე. სხვა ქვეყანაში საკუთარი სამხედრო დანაყოფების ყოლა, რუსული „ველიკოდერჟავული“ გაგებით, ზესახელმწიფოს ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია.

ამიტომაც, ერთ-ერთმა გავლენიანმა რუსულმა გაზეთმა, „კომერსანტმა“, უკვე დაიწყო მტკიცება, რომ რუსეთი შეიძლება დაეხმაროს საქართველოს „სამხრეთ ოსეთში“ პრობლემების მოგვარებაში, თუკი თბილისი რუსულ სამხედრო ბაზებს ჯერჯერობით არ შეეხება.

თუ ეს ვარაუდი ახლოსაა სიმართლესთან და ორი ქვეყნის მაღალ სახელისუფლებო წრეებში მართლაც მიმდინარეობს ამგვარი პოლიტიკური გარიგების ნიუანსების დახვეწა, რას არგებს იგი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს?

ერთი შეხედვით, ცოტა უცნაურად მოჩანს, რომ თბილისი დათანხმდეს რუსული სამხედრო ბაზების დატოვებას, მაგრამ თუკი უფრო საღად შევხედავთ ამგვარ გარიგებას, იქიდან მნიშვნელოვანი მოგების მიღებაც შეიძლება.

რუსული სამხედრო ბაზები იმით იყო საშიში, რომ ცხინვალისა და აფხაზეთის ომების სცენარის მიხედვით, ბათუმსა და ახალქალაქში ადგილობრივი სეპარატისტული მოძრაობები არ შეეიარაღებინა და არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. საბედნიეროდ, ამას აჭარაში ავცდით. ახალქალაქის რაიონში კი მოსახლეობის ხელში ისედაც საკმარისადაა იარაღი და ამ ბაზების რამდენიმე წლით ადრე თუ გვიან გაყვანა შეიძლება ისეთი აქტუალური თემა აღარ იყოს, როგორიც ცხინვალის რეგიონზე კონტროლის დაბრუნებაა.

ამასთან, უკვე არსებობს ერთგვარი პრეცედენტი: ყირგიზეთში ერთდროულადაა განთავსებული რუსული სამხედრო-საჰაერო ბაზა კანტში, ხოლო სამოქალაქო აეროპორტში — მეზობელ ავღანეთში მოქმედი NATO-ს საბრძოლო თვითმფრინავები.

სტამბოლში NATO-ს სამიტზე მართალია, მთავარი ყურადღება თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრობლემებს დაეთმობა, მაგრამ საქართველოს NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის თემაც განიხილება. დასავლელი გენერლები, რა თქმა უნდა, დიდ აღფრთოვანებას არ გამოხატავენ საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების დარჩენით, მაგრამ მაინცდამაინც არც დიდ ინიციატივას იჩენენ საქართველოში არსებული სეპარატისტული მოძრაობების აღკვეთაში თბილისის დასახმარებლად.

აშკარაა, რომ პრობლემები ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ძირითადად იმავე ძალამ უნდა მოგვაგვარებინოს, ვინც თავს მოგვახვია, ანუ რუსეთმა. ამიტომაც მასთან ერთგვარი პოლიტიკური ვაჭრობა მისაღებია, თუკი საბოლოოდ საქართველო მოიგებს.



# ვირტუალური ტერორისტები შორეულ აღმოსავლეთში, რეალური ტერორისტები — ჩრდილო კავკასიაში

**როცა შორეულ აღმოსავლეთში, უსურიისკთან მდგარი რუსეთის არმიის ელიტარული დანაყოფები ფანერისგან გაკეთებულ წარმოსახვით ტერორისტების ფიგურებს ავტომატის ტყვიებით ცხრილავდნენ, რეალურმა ტერორისტულმა დანაყოფებმა — ჩრდილო კავკასიაში, ინგუშეთის ქალაქ ნაზრანში, ნამდვილი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს. ასამდე ადამიანი დაიღუპა, ერთი ამდენი — დაიჭრა.**



**ნაზრანზე ღამეულმა თავდამსხმელებმა რუსული ჯავშანტექნიკა მდინარეში გადაყარეს**

ეს მოხდა დიდი სამამულო ომის დაწყების 63-ე წლისთავზე, 21-22 ივნისის ღამეს. 200-300-კაციანი ტერორისტული ჯგუფი გარს შემოეწყო ნაზრანის ცენტრს. თავს დაესხნენ ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მილიციის ქვეგანაყოფების შენობებს, აგრეთვე მესაზღვრეთა პოლკის ყაზარმას.

ქალაქში ტერორისტები ჯგუფ-ჯგუფად შევიდნენ, განაიარაღეს საგზაო ინსპექციის პოსტები და იქ თავად ჩასაფრდნენ. დაიწყო თავდასხმა სტრატეგიულ პუნქტებზე, დასახმარებლად წამოსულ ადგილობრივ სამართალდამცველებს ისინი საგზაო პოლიციის პოსტებზე აჩერებდნენ და მილიციელის საბუთის ნახვისთანვე ადგილზე ხვრეტდნენ. ასე დაიღუპა ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანი ინგუში სამართალდამცველი.

რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ თავდამსხმელებმა მილიციის განყოფილებებიდან წაიღეს იარაღი და ათასობით ვაზნა. მათ კვალს რუსეთის სპეცსამსახურებმა ჯერ კიდევ ვერ მიაგნეს, რაც მიუთითებს, რომ გრანდიოზულ ტერორისტულ აქტებში ძირითადად ადგილობრივი მცხოვრებნი ერივნენ და ოპერაციის შემდეგ იარაღი გადამალეს, სამოქალაქო ფორმა გადაიცვეს და სახლებში შეიყუჟნენ.

რუსეთის უშიშროების სამსახურებმა ტერაქტიდან ორ დღეში დამსჯელი ოპერაცია განახორციელეს ჩეჩენ ლტოლვილთა ბანაკებში, რომელშიც ათასამდე დევნილი აფარებს თავს. მათ ლტოლვილ მამაკაცებს ტანთ გახადეს და ვისაც მებრძოლისთვის დამახასიათებელი სისხლჩაქცევები უპოვეს სხეულზე (ასეთი ნიშნები აქვთ სნაიპერებს, მათ, ვინც ხშირად ხმარობს ავტომატსა და ყუმბარსატყორცნებს), დაკითხვაზე წაიყვანეს.

საკვირველია, როგორ მოახერხეს ჩეჩენმა და ინგუშმა მებრძოლებმა ამგვარი დონის ტერორისტული აქტის ჩატარება, რადგანაც ჩრდილო კავკასია სავსეა რუსული ფედერალური ძალებით.

***ჩვენი ცნობით:*** *ჩეჩნეთში, რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის — СКВО-ს 60 ათასი მებრძოლი იმყოფება, ხოლო ჩეჩნეთის გარშემო დისლოცირებულია მე-19 მოტომსროლელი დივიზია, 135-ე ცალკეული მოტომსროლელი პოლკი (ნალჩიკთან); 136-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა (ბუინაკსკი); 77-ე ცალკეული საზღვაო ქვეითთა ბრიგადა (კასპიისკი); 205-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა (ბუდიონოვსკი); 487-ე ცალკეული საშვეულმფრენო პოლკი (ბუდიონოვსკი) და 429-ე მოტომსროლელი პოლკი მოზდოკში — უშუალოდ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვარზე განთავსებულია 58-ე არმიის მე-19 დივიზიის 503-ე მოტომსროლელი პოლკი, რომლის 3-ათასიან პირად შემადგენლობას ევალება კონტროლი, რომ ჩეჩნეთიდან შეიარაღებულმა ჯგუფებმა ინგუშეთში არ შეაღწიონ.*

ამ უზარმაზარი სამხედრო ძალის მიუხედავად, ინგუშეთის ყოფილი დედაქალაქი ნაზრანი თითქმის განადგურების პირას იდგა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რუსულ ძალოვან სტრუქტურებში ძალიან დაბალია კოორდინირებული მოქმედების დონე და სანამ ტერორისტები მესაზღვრეების ყაზარმას რამდენიმე საათი ტყვიებს უშენდნენ, თანამემამულე მესაზღვრეებს ერთი საარმიო ოცეულიც კი არ მიეშველა.

საერთოდ, ასეთი სისხლიანი ლაშქრობები დამახასიათებელია ჩეჩნეთის ომისთვის. ნაზრანის ტრაგედიამდე ჩრდილო კავკასიაში რვა ამგვარი მსხვილი ტერორისტული აქტი მოეწყო.

***ჩვენი ცნობით:*** *სისხლისმღვრელ ტერორისტულ „ლაშქრობებში“ პირველობა შამილ ბასაევს ეკუთვნის — 1995 წლის 14 ივნისს მისმა „აფხაზურმა“ ბატალიონმა დაატყვევა სტავროპოლის მხარის ქ. ბუდიონოვსკის ათასამდე მცხოვრები, რომლებიც ფარად აიფარა და ისე დაბრუნდა ჩეჩნეთში. ბასაევის ამ „გასეირნებას“ 129 ადამიანი შეეწირა.*

*1996 წლის 9 იანვარს ბასაევს სალმან რადუევმა მიბაძა — დაღესტნის ქ. ყიზლარში მძევლად 3 ათასი მშვიდობიანი მოსახლე აიყვანა. დაიღუპა 78 ადამიანი. თავად რადუევი კი მშვიდად დაბრუნდა უკან.*

*1997 წლის 22 დეკემბრის ღამეს 100-მდე შეიარაღებული პირი შეიჭრა დაღესტნის ქ. ბუინაკსკში, თავს ჯერ რუსულ სატანკო ნაწილს დაესხა, ხოლო შემდეგ 136-ე მოტომსროლელ პოლკს. სამი ადამიანი დაიღუპა.*

*1999 წლის 7 აგვისტოს შამილ ბასაევისა და ხატაბის მეთაურობით, დაღესტნის ბოთლიხის რაიონში 400 მებრძოლი შეიჭრა. ბრძოლები სამი კვირა გრძელდებოდა. დაიღუპა 73 ადამიანი.*

*1999 წლის 5 სექტემბერს კვლავ შამილ ბასაევისა და ხატაბის ხელმძღვანელობით, 2 ათასამდე მებრძოლმა რეიდები განახორციელა დაღესტნის ნოვოლაკსკის რაიონში და იქ სერიოზული ბრძოლა გაუმართა რუსეთის არმიის მსხვილ დანაყოფებს.*

*2002 წლის 26 სექტემბერს რუსლან გელაევის რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა ინგუშეთის სოფელ გალაშკისს ამ ბრძოლებში დაიღუპა 14 რუსი სამხედრო. ამასთან, გელაევის მებრძოლებმა რუსების ერთი Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენი ჩამოაგდეს.*

*2002 წლის 23 ოქტომბერს მოვსარ ბარაევმა, 40 თანამზრახველთან ერთად, მოსკოვის ცენტრში, საკონცერტო დარბაზში, მძევლად აიყვანა 900 მშვიდობიანი მოქალაქე. მძევლების გასათავისუფლებლად ჩატარებული ოპერაციისას გამოყენებულ მხუთავ აირს 137 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.*

*2003 წლის 15 დეკემბერს რუსლან გელაევის რაზმმა დაღესტნის საზღვრისპირა სოფელზე თავდასხმისას 12 რუსი მესაზღვრე მოკლა, მაგრამ ამ ბრძოლაში თავად გელაევი და მისი 28 მებრძოლიც დაიღუპა.*

ჩეჩნეთის გარეთ მოწყობილი ტერორისტული აქტების ნუსხა იმაზე მეტყველებს, რომ ინგუშეთის წინააღმდეგ, დაღესტნისგან განსხვავებით, ამგვარ თავდასხმებს არ აწყობდნენ ჩეჩნეთის ტყეებში გახიზნულები. შეიძლება იმიტომაც, რომ ინგუშეთის პრეზიდენტი რუსლან აუშევი გახლდათ (ამ სტატიის ავტორს გროზნოში ნანახი აქვს, თუ როგორ ულოცავდა გაპრეზიდენტებას ასლან მასხადოვს რუსლან აუშევი და რა მეგობრული დამოკიდებულება იყო მათ შორის). აუშევის გაძევების შემდეგ პუტინმა ინგუშეთის პრეზიდენტად ყოფილი „კაგებეშნიკი“ ზიაზიკოვი დანიშნა და ინგუშეთში შესაბამისად გაძლიერდა სპეცსამსახურების ზეწოლა მოსახლეობასა და ჩეჩენ ლტოლვილებზე. 21-22 ივნისის ღამეს განხორციელებული თავდასხმის მონაწილეები ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ისინი ამ აქტით შურს იძიებდნენ ყველა იმ სამართალდამცველზე, რომლებიც ხალხს აწამებდნენ.

ნაზრანის მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მოულოდნელი ტერორისტული თავდასხმის წინაშე უძლურები არიან თვით ყველაზე მრავალრიცხოვანი სამართალდამცავი თუ საარმიო სტრუქტურებიც კი.

# მერებო, ისით... რამდენი ქართული ქალაქი „დაცურავს“ შავ ზღვაში?!



**ქართულ სამხედრო კატარღებზე მათი „სეხნია“ ქალაქების მერების ასასვლელად ტრაპი ყოველთვის გადებულია...**

საზღვარგარეთ უკვე მეორე საუკუნეა, მრისხანე სამხედრო ხომალდებს ამა თუ იმ ქალაქის სახელებს საგანგებოდ ანიჭებენ, რაც ამ ქალაქების მერიებისთვის დიდად საპატიო საქმედ ითვლება და ძალ-ღონეს არ იშურებენ მოსახელე ხომალდების ეკიპაჟების დასახმარებლად.

ამ სტატიის ავტორი თავის დროზე ქართული სამხედრო კატარღების „მონათვლის“ ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ, რომ საბორტე ნომრის გარდა, მათ საკუთარი სახელიც დარქმეოდათ. ამის აუცილებლობა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა: ბულგარეთში, ვარნის სამხედრო პორტში, პირსთან მდგარი ქართული სამხედრო კატარღა მხოლოდ №301-ით მოიხსენიებოდა, მის მეზობლად მოდრეიფე სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო ხომალდებს კი მშვენიერი სახელები ერქვათ.

მას შემდეგ, ერთი მხრივ, მდგომარეობა გამოსწორდა და საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალებში გამოჩნდა სარაკეტო, საარტილერიო, საპატრულო და სადესანტო კატარღები, რომლებსაც სახელს კაცი ვერ დაუწუნებდა: „დიოსკურია“, „თბილისი“, „ქუთაისი“, „ბათუმი“, „მესტია“, „ახმეტა“, „ივერია“, „გურია“, „ატია“, „წყალტუბო“, „განთიადი“, „გალი“...

თითქოს ამის შემდეგ გურულებს, ახმეტელებს, მესტიელებს, წყალტუბოელებს და განსაკუთრებით თბილისელებს, ქუთაისელებსა და ბათუმელებს (მით უმეტეს კი ამ რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელობას) ძალ-ღონე არ უნდა დაეშურებინა და ყურადღება ერთი დღითაც არ უნდა მოეკლო „სეხნია“ კატარღების ეკიპაჟებისთვის, მაგრამ...

რა ვუთხრათ წყალტუბოელებს თუ გალელებს, როდესაც მილიონნახევრიანი დედაქალაქის — თბილისის — არც ყოფილმა და არც ახლანდელმა მერიამ და გამგეობამ თითი არ გაანძრია სარაკეტო კატარღა „თბილისის“ ეკიპაჟის მისახედად, მით უმეტეს, რომ ბოლო დრომდე „თბილისი“ საზღვაო ძალების ფლაგმანს წარმოადგენდა და სხვადასხვა ქვეყნის პორტებში სტუმრობისას მთლიანად საქართველოს სახე იყო.

არადა მერიებს და რაიონების გამგეობებს არავინ სთხოვს ამა თუ იმ კატარღისთვის შეიარაღების შესყიდვას თუ ასობით ტონა დიზელის საწვავის ჩასხმას. ლაპარაკია ელემენტარულ ყურადღებაზე — ქალაქების და რაიონების მცირერიცხოვანი დელეგაციები წელიწადში რამდენჯერმე მაინც ესტუმრონ სეხნია კატარღების ეკიპაჟებს და აგრძნობინონ, რომ იციან მათ შესახებ და პატივს სცემენ სამშობლოს დამცველებს.

ამით გაკეთდება ის, რისკენაც ილტვის ყველა ნორმალური ქვეყნის შეიარაღებული ძალები — დამყარდება მეგობრული კავშირი სამხედრო ძალების ერთ კონკრეტულ დანაყოფსა და ქვეყნის კონკრეტულ რაიონს შორის. შემდგომში ამ რაიონების ახალგაზრდებმა სავალდებულო სამხედრო სამსახური თავისი რაიონის სეხნია კატარღაზე შეიძლება გაიარონ და შინიდან შორს სულაც არ იგრძნონ თავი.

ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის ქართული არმიის პირადი შემადგენლობის მორალურ მდგომარეობას და შესაბამისად, მთლიანად არმიის მზადყოფნას.

ვიდრე ეს სასიამოვნო სიზმარი ასრულდებოდეს (სიზმარს, სამწუხაროდ, იმიტომ ვუწოდებთ, რომ ქალაქების მერიების მიერ სეხნია კატარღების შეფობაზე ჩვენი გაზეთი სამი წელია პერმანენტულად, მაგრამ უშედეგოდ წერს), „კვირის პალიტრა“ პატიოსნად აგრძელებს ზუსტად სამი წლის წინ საკუთარი სურვილით აღებული ვალდებულების შესრულებას — სარაკეტო კატარღა „თბილისის“ ეკიპაჟი ჩვენს საჩუქარს ყოველკვირეულად იღებს. მაგრამ გვერწმუნეთ, სულ სხვაა თუნდაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დამოუკიდებელი გაზეთის ფინანსური შესაძლებლობები თბილისის მერიასთან შედარებით.

ასე რომ, მთავარია იყოს მონდომება...

ხელისუფლების მაღალ დონეზე კარდინალური ცვლილება თურმე ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ ხელისუფლების ვერტიკალური შტოს უფრო დაბალმა საფეხურებმაც ასევე კარდინალური ტრანსფორმაცია განიცადონ.

ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტი სააკაშვილი შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ არ განაცხადოს, — ქართული არმია და მთლიანად სამხედრო ძალები ახალი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და მის გასაძლიერებლად სახელმწიფომ ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროსო.

მართლაც, უფრო გამახვილდა ყურადღება და, რაც მთავარია, გაიზარდა სამხედრო ძალების დაფინანსება, მაგრამ საზოგადოებასა და არმიას შორის წლობით არსებული „მერყევი ხიდის“ გასამაგრებლად ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ კეთდება. სხვანაირად, ნამდვილად ვერ შევაფასებთ იმ მდგომარეობას, რომელშიც ქართული ქალაქებისა და რაიონების მოსახელე სამხედრო კატარღების ეკიპაჟები იმყოფებიან — მათზე ზრუნვისთვის თავს კვლავ არავინ იწუხებს.

საერთოდ, გაუგებარია, როგორ შეიძლება არ ამაყობდნენ და ეხმარებოდნენ ამა თუ იმ ქალაქის მერები და გამგეობები თავიანთ „სეხნიებს“!

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## კერძო რაკეტაპლანი 100 კმ-ის სიმაღლეს ასცდა

მაიკლ მელვილი პირველი სამოქალაქო პილოტია, რომელმაც კერძო რაკეტაპლანით 100 კმ-ის სიმაღლეს მიაღწია. როდესაც კოსმოსში ასობით კოსმონავტსა თუ ასტრონავტს უფრენია, 63 წლის პილოტის 3,5 წთ-იანი ყოფნა დედამიწიდან 100 კმ-ის სიმაღლეზე, არ უნდა იყოს გასაკვირი, მით უმეტეს, რომ კოსმოსური ორბიტული სადგურები უფრო მაღლაც დაფრინავენ.

აქ მთავარი ისაა, რომ რაკეტაპლანი მთლიანად კერძო კომპანიების თანხებითაა აგებული და იგი კოსმოსში დედამიწიდან კი არა, არამედ 17 კმ-ის სიმაღლიდან აფრინდა. ამ სიმაღლეზე



კი, რაკეტაპლანი ცნობილი ავიაკონსტრუქტორის — რუტანის უცნაური ფორმის მქონე რეაქტიულმა თვითმფრინავმა აიყვანა.

თუკი მაიკლ მელვილი ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ გაიმეორებს ანალოგიურ ფრენას და თანაც ორი მგზავრით, მაშინ იგი საგანგებო ჯილდოს — 10 მლნ დოლარს — მიიღებს. ეს ნაწილობრივ მაინც აანაზღაურებს თვითმფრინავ-მატარებლისა და რაკეტაპლანის ღირებულებას, რომელიც 25 მლნ დოლარზე მეტი დაჯდა.

მაიკლ მელვილის გაფრენისას ალბათ არავის გახსენებია ამერიკელი სამხედრო პილოტი უაიტი, რომელიც ჯერ კიდევ 1962 წლის 17 ივლისს რაკეტული თვითმფრინავით X-15A-თი, 107 კმ სიმაღლეზე ავიდა.

## რუსეთი „ზუბრებს“ 60 მლნ დოლარად ყიდის

საბერძნეთი NATO-ს წევრი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსული სამხედრო ტექნიკის შესყიდვა დაიწყო. მათ შორის, საჰაერო ბალიშებიანი სადესანტო ხომალდ Зубр-ისაც.

2001 წელს რუსეთმა საბერძნეთს სამი „ზუბრი“ მიჰყიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ზუბრს“ 110 კმ/სთ სიჩქარით 500 საზღვაო ქვეითის, 8 ქვეითთა საბრძოლო მანქანის ანდა



3 ტანკის გადატანა შეუძლია (მათი ნაპირზე აყვანით), გასაგებია, თუ რატომ იყო ასე დაინტერესებული მათი შეძენით მრავალკუნძულიანი და, ამასთანავე, მეზობელ თურქეთთან დაპირისპირებული საბერძნეთი.

საბერძნეთის მიბაძვით, „ზუბრს“ ახალი მყიდველებიც გამოუჩნდა, თუმცა მათ ვინაობას მოსკოვი მალავს და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ თითოეულ „ზუბრს“ 60 მლნ დოლარზე ნაკლებად არ გაყიდის.

## რა ჯდება ომი ერაყში

ერაყის ომზე თითოეულმა ამერიკულმა ოჯახმა უკვე დახარჯა 3415 აშშ დოლარი, ეს არ ნიშნავს, რომ მართლაც ამერიკული ოჯახები აფინანსებენ ამ ომს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს უკვე შემოეხარჯა 126 მლრდ დოლარი ერაყში, ამ თანხის გადანაწილებისას თითოეულ ოჯახს სწორედ ეს თანხა უწევს.

ამერიკელი ექსპერტები ასევე აქვეყნებენ ერაყის ომში დანაკარგის რიცხვს — 11317 ერაყელი მოქალაქე და 6370 ერაყელი ჯარისკაცი შეეწირა კოალიციური ძალების შეტევას.

თავად კოალიციურმა ძალებმა დღემდე 952 ადამიანი დაკარგეს ერაყში. აქედან 853 ამერიკელია. 694 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა მას შემდეგ, რაც გასული წლის 1-ელ მაისს პრეზიდენტმა ბუშმა ძირითადი საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შესახებ განაცხადა. წლის ბოლომდე აშშ-ს დამატებით დაახლოებით 25 მლრდ დოლარი დაუჯდება ერაყში თავისი სამხედრო კონტინგენტის შენახვა.

ბოლო დღეებში აშშ-ში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, პირველად დაფიქსირდა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა შეცდომად მიიჩნია ერაყში აშშ-ის მიერ ომის დაწყება.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# „გახსნილი“ ხელყუმბარის ტარება დიდხანს აღარ შეეძლო...

## ახლა ისინი ერთმანეთის ტყვეობაში იყვნენ...



კარის მეზობლები იყვნენ ნუგზარ ლავთაძე, ენვერ პაიკიძე და ჯემალ ჯაში (გვარ-სახელები და ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის სახელი შეცვლილია) ერთად გაიზარდნენ და სკოლაც ერთად დაამთავრეს, მაგრამ ავის მეტი ვერაფერი შეითვისეს. თავდაპირველად ქურდობდნენ. ქვეყანა რომ ისე აირია, განმკითხავი აღარავინ იყო, საქმიანობის პროფილი შეიცვალეს და ახლა ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს. 1991 წლის ზაფხული იდგა. იმ დღეს თავიანთ თანასოფლელ გუჯა ჩიკვაიძეს ნაყაჩაღარი მაგნიტოფონის საფასური მოსთხოვეს — ორი კვირის წინ წაიღე და ფული დღემდე არ მოგიტანიაო, — ისე აუხირდნენ, აშკარა იყო, ლოდინს აღარ აპირებდნენ.

— ან ფულს მოიტან, ან მაგნიტოფონს, არადა, სხვაგვარად გაგისწორდებით. გაიგე, შე ბოთე? ნახევარ საათს გაძლევთ. ერთი წუთიც არ გადააცილო, თორემ...

გუჯას მუქარის არ შეშინებია. ბოლოს და ბოლოს, ბიჭები თანასოფლელები იყვნენ და მოხარშულს იცნობდა ყველას. ვერც ღონით სჯობდნენ და ვერც ვაჟკაცობით. თუმცა ნაყაჩაღარი მაგნიტოფონი?! მისი წყალტუბოელი დეიდაშვილის ბრალი იყო ყველაფერი — მე არ მენდობიან, შენ გამოართვი და ორ-სამ დღეში ფულს გამოგიგზავნიო. გუჯამ თადარიგი დაიჭირა. ერთ კვირაში აღუთქვა ვალის გასტუმრება, მაგრამ აგერ მეორე კვირაც გავიდა და აქამდე ვერ მიიტანა ფული. დეიდაშვილმა გააცურა. არადა, თვითონაც არაფერი გააჩნდა, თორემ თავისას მისცემდა. ამათ ყბაში როგორ ჩავარდებოდა? ახლა მოსთხოვეს, მანქანაში ჩაგვიჯექი, სოფლიდან გავიდეთ და საქმე გავარჩიოთო. იფიქრა, შეშინებას მიპირებენ, თორემ რაა გასარჩევი, ვალზე უარს ვამბობ თუ რაო. შიშით კი ნამდვილად არ ეშინოდა და უთქმელად ააბიჯა ნუგზარ ლავთაძის ბრეზენტით გადახურულ „უაზში“. მანქანა თავდაღმართში დაეშვა.

— შენ რა, გვამასხარავებ? — ძველბიჭურად გაეჭიმა სოფელში ყველაზე არიფი ენვერ პაიკიძე და რაკი მძღოლის გვერდით იჯდა, სავარძელში შემოტრიალდა, უკან მჯდომი გუჯასთვის რომ თვალებში ჩაეხედა.

— ხომ გითხარით, დეიდაშვილმა წაიღო და ფული ვერ მომიტანა-მეთქი. არც მე მაქვს, თორემ აქამდე მოგცემდით.

— არა, ნამდვილად სასაცილოდ გვიგდებს, — გუჯას გვერდით მჯდომ ჯემალ ჯაშს გახედა ენვერმა და აქამდე მარჯვენა მხარეს აყუდებული სანადირო თოფი მარცხნივ გადაიტანა.

— თუ კაცი ხარ, მაგ თოფს ნუ ატრიალებ. ხომ იცი, არ მეშინია მაგისთანების. რას დაიჟინე, სასაცილოდ გვიგდებსო. სხვას არას ვერჩი, მაგრამ შენთვის ეს არც პირველი უნდა იყოს და არც უკანასკნელი. ამიტომ გირჩევნია, სიტყვები შეარჩიო... გამიბლატავდა ახლა ესეც.

შეურაცხყოფილმა და გაჯავრებულმა გუჯამ მანქანიდან გადააფურთხა და ზურგი შეაქცია თანამგზავრებს.

— ბიჭო, თუ ხვდები, ვის ელაპარაკები! — ახლა საჭესთან მჯდომი ლავთაძე ჩაება ნერვიულ კამათში, — გადაგვაგდე, ფეხებზე დაგვიკიდე და კიდევ აქეთ დაგვცინი? ხომ არ გინდა ტყვია მოგაჭედო შუბლში?

— რაო, ჩემი აყვანა გინდათ? ჩემი თავი გენაცვალოთ. აი, აგერ მიაყენე მანქანა. კაციშვილი არაა ირგვლივ. გინდათ სამივე გამოდით. იმას მაინც ვნახავ, რა ვაჟკაცებიც ხართ, — ერთდროულად სამივეს მიმართა გუჯამ და რაკი მანქანა ნელა მიდიოდა, კარის სახელურს მიეტანა, მაგრამ აღარ დასცალდა. პაიკიძემ თოფი დაახალა უკან მჯდომს. მერე ჩადენილით შეშინებულმა საჭესთან მჯდომ ლავთაძეს შეჰკივლა — „ჩქარა!“ და მანქანაც მთელი სისწრაფით გაიჭრა რიონის ხიდზე.

გუჯას გონი არ დაუკარგავს. ახლაღა მიხვდა, რომ მოტყუვდა. არადა, როგორ იფიქრებდა, რომ ესროდნენ. მართალია, ერთხელ კი დაემუქრნენ, მაგრამ რას იფიქრებდა, თუ არ ხუმრობდნენ. საქმის გარჩევისას ერთადერთ იარაღს ხმარობდა გუჯა — მკლავი და მისი ძალა. გაგლეჯილი ფერდიდან თქრიალით მოსდიოდა სისხლი. წყრომით სავსე თვალები თოფის მსროლელისთვის მიეპყრო, მაგრამ რაიმეს თქმას ველარ ახერხებდა. თანდათან თვალთ დაუბნელდა და აქამდე ჭრილობაზე მიფარებული მარჯვენა უსიცოცხლოდ ჩამოუვარდა.

— ავჩქარდით, აქ არ უნდა მოგვეკლა. სადმე ტყეში უნდა შევსულიყავით. ახლა უკან ვერ გავბრუნდებით. მთელმა სოფელმა დაინახა, გუჯაც რომ ჩვენთან იჯდა. ვერც ქუთაისისკენ წავალთ, ერთი შვიდჯერ მაინც გაგვაჩერებენ. არც ამბროლაურის გზა გამოგვადგება. იქით ოსები არ გაგვატარებენ და ჩიხში მოვექცევით. ამიტომაც ვარჩიე ეს გზა. ცაგერიდან უფრო უსაფრთხოდ ჩავალთ ქუთაისში. თუ არა და სვანეთში გავაღწევთ და კაცი არაა ჩვენი მომნახავი. თუმცა ამ მანქანით დღე სიარული იქაც საშიშია. აგერ, სარკეში ვხედავ, ტყვიას კარიც გაუნგრევია და მიმხვედრი ადვილად ამოიცნობს მიზეზს... შიშისგან აცახცახებული ლავთაძე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა. თუმცა მაინც არ იტეხდა იხტიბარს და ცდილობდა, მასავით შეშინებული თანამგზავრებისთვის თავი უშფოთველად მოეჩვენებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მან მოიფიქრა — სოფლიდან გავიყვანოთ და თუ საქმე გაგვიხურა, თოფი დავახალოთ. ახლაღა მიხვდა, რომ უფრო დაიმძიმა მდგომარეობა. თუ დაიჭერდნენ, უპირველესად მანქანის გამო, რადგან ამ გზებზე ისე ვერ გაივლი, რომ ვერ შეგნიშნონ. მანქანა კი მისია და, ბუნებრივია, პირველად მას მიაკითხავენ. აქამდე ვითომ სხვას რომ ამხნევებდა, ახლა აქეთ გახდა სანუგეშებელი. პირველად გონს უკან მჯდომი ჯემალ ჯაში მოეგო.

— ცოტა ნელა იარე და თვალშიც არავის შევეჩხირებით. კარი რომ გაგლეჯილია, ეგ არაფერი, მთავარია, გვამი არ გვინახონ მანქანაში. როგორც კი ლაჯანაში, საავადმყოფოსთან მივალთ, გვამი უნდა გადავაგდოთ. მერე კი ეს სისხლი უნდა ჩამოვრეცხოთ. პერანგი ზურგზე სისხლით გაქვს მოსვრილი. არც მე ვარ უკეთეს დღეში. მანქანაც გავრეცხოთ და მერე გავაგრძელოთ გზა!.. ლოგიკურად კი აზროვნებდა, მაგრამ მხოლოდ გვამი „მოიშორეს“. თავიდანვე იცოდნენ, ტანსაცმლის და, მით უმეტეს, მანქანის გარეცხვას რომ ვერ შეძლებდნენ ორბელის გადასასვლელზე — გზისპირა წყაროებთან ყოველთვის ისეთი ხალხმრავლობაა, იქ შეჩერება დამღუპველი იქნებოდა.

გაფრთხილების მიუხედავად, ლავთაძე თავდაუზოგავად მიაქროლებდა მანქანას. ძრავამაც ილმუვლა, ილმუვლა და ისეთი ჩახაჩუხი ატეხა, კიდევ ცოტაც და გასკდებოდა, მაგრამ როგორღაც მაინც დაძლიეს ბოლო აღმართიც და ცაგერისაკენ აიღეს გეზი.

ის იყო, ცაგერის მილიციის საპატრულო მანქანამ ორბელის აღმართი აათავა, რომ რაციაში მორიგის შეშფოთებული, ხრინწიანი ხმა გაისმა: — მესამე, მესამე! ლაჯანას საავადმყოფოსთან, გზაზე, მამაკაცის გვამი აღმოვაჩინეთ. სასწრაფოდ მოკვლევას შეუდექით. როგორ გესმით ჩემი?

> **სამი საათი იარეს მეზობლებში ბესომ და იმ უცნობმა. ერთს რგოლმოხსნილი, ასაფეთქებლად გამზადებული ხელყუმბარა ეჭირა ხელში, მეორეს კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი. ამასობაში სიმინდებში ჩამალულმა კოლეგებმა რამდენჯერმე ანიშნეს ბესოს, ცოტა განზე გადექი — ვესვრითო. მაგრამ ამანაც ანიშნა, ეს არ გააკეთოთო და რაკი მაინც ვერ ენდო კოლეგებს, იმის შიშით, არ ესროლონო, მხრით აეკრა უცნობს. ახლა ისინი ერთმანეთის ტყვეობაში იყვნენ.**

— კარგად გვესმის, მაგრამ ეტყობა, ვიღაცამ უკბილოდ იხუმრა, თორემ ამ შუადღისას, თანაც საავადმყოფოს ახლოს, გვამი საიდან გაჩნდა?

— ბესო, არავინაც არ ხუმრობს. თვითონ საავადმყოფოს მთავარ ექიმს ველაპარაკე.

— ახალი თავსატეხი გაგვიჩნდა, — თანამშრომლებს გადახედა სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ბესო კოპალიანმა და საჭესთან მჯდომს ანიშნა, სიჩქარეს მოუმატეო.

მოსახვევში, დაღუპულის ახლოს, მთელი საავადმყოფო შეკრებილიყო. ექიმებთან ერთად აქ ის ავადმყოფებიც იყვნენ, ვისაც ფეხზე დგომა შეეძლო. სოფლელებსაც აქ მოეყარათ თავი. აშკარად ჩანდა, მკვლელობა სულ ახალი, ასე საათი, საათ-ნახევრის წინ იყო მომხდარი. მოკლული კი აქ მანქანიდან გადაეგდოთ. ბესო კოპალიანმა და მისმა კოლეგებმა კიდევ იმის დადგენა შეძლეს, რომ მკვლელობა სანადირო თოფით იყო ჩადენილი. მოკლული აქაურს არ ჰგავდა. დროის იმ მონაკვეთში, სავარაუდოდ, აქ მწვანე „უაზს“ ჩაექროლა, რომელშიც ოთხი კაცი იჯდა და უკანა კარი დაზიანებული ჰქონდა. ეს მაძებრებისთვის ცოტას როდი ნიშნავდა, მაგრამ როცა ამ ადგილიდან სულ ახლოს მცხოვრებლებმა იმის მტკიცება დაიწყეს, ოთხი კაცი კი არა, მანქანაში სამი კაცი დავინახეთო, მილიციელები, ცოტა არ იყოს, დაიბნენ. ვერ წარმოიდგინეს, რომ მოკლული შესაძლოა ერთ-ერთი მგზავრთაგანი ყოფილიყო. ასეთ დროს გვამი ჩვეულებრივ საბარგულით გადააქვთ ხოლმე და ამ შემთხვევაშიც ალბათ ასე მოხდებოდაო, იფიქრეს. ის მეოთხე ალბათ გამვლელი ტრანსპორტით წავიდაო. თუმცა ეს ვერსია მხოლოდ ერთ კაცს შეეხებოდა. მთავარი კი ის იყო, რომ დანარჩენი სამი და მწვანე „უაზიც“ ცაგერის მხარეს უნდა ეძებნათ. მეზობელ რაიონებს დაუკავშირდნენ და გზები გადაკეტეს. ეს ისე სწრაფად გაკეთდა, წესით, დამნაშავეებს რეგიონიდან გასვლა ვერ უნდა მოესწროთ.

— მე, ბატონო, დილის ცხრიდან საღამოს ხუთამდე მურის ხიდზე ვდგავარ. შესვენებაზეც არ გავსულვარ. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, მაგგვარ მანქანას ხიდი არ გადაუკვეთია. ვერც წყალში გავიდოდა, გუშინდელი წვიმის შემდეგ მდინარეები ისეა ადიდებული, — ირწმუნებოდა ავტოინსპექტორი. ე. ი. საეჭვო მანქანა სადღაც აქვე, ამ გზაზე, ლაჯანიდან მურის ხიდამდე, უფრო სწორად, გზის განშტოებაზე იყო საძებნი. მაგრამ დაღამებამდე დაადგინეს, რომ იგი სოფლებში არ შესულა. ასეთ შემთხვევაში რჩებოდა ერთადერთი ადგილი — კურორტი ლაილაში, სადაც უცხო მანქანის გამოჩენა დიდად არავის გააკვირვებდა.

— ახლა კურორტზე მილიციელების აშკარად გამოჩენა არ ივარგებს. უმჯობესია, ორი-სამი კაცი გადაცმულები შევიდეთ. მით უმეტეს, ღამეა და მომსახურე პერსონალიც ვერ გვიცნობს.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, ბესო და მისი ორი თანამშრომელი კურორტის ტერიტორიაზე რომ შევიდნენ და სხვადასხვა მხარეს დაიფანტნენ. ის იყო, ბესომ კურორტის ცენტრში ჩამავალ ღელეზე გადებულ პატარა ხიდზე ფეხი შედგა, რომ სწრაფი ნაბიჯით მომავალი უცნობი შემოეფეთა. სახის გარჩევა არ შეეძლო, რადგან ლამპიონის შუქი ბესოს თვალებში სცემდა, მაგრამ ერთი ნაბიჯით გასცდა თუ არა, შემობრუნდა და უცნობის პერანგზე საეჭვო ლაქები რომ შენიშნა, უმალვე მკლავში სწვდა. უცნობი აკანკალდა, მერე მუხლებმა უმტყუნა და ჩაიკეცა. იმავე წამს ბესოს ერთ-ერთმა კოლეგამ მოირბინა და აცნობა — მანქანაც კოტეჯების უკან დგასო. უცნობი ვითომ არ აპირებდა, მაგრამ მალევე დაფქვა ყველაფერი. თანამონაწილეებიც დაასახელა, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — მეოთხე კაცი ჩვენთან არ ყოფილაო. ასე იყო თუ ისე, საქმის ასე სწრაფად გახსნას არავინ ელოდა. თუმცა ფიქრი იმ მეოთხის შესახებ მაინც არ ასვენებდა მაძებრებს. ვიღაცამ გამოთქვა აზრი, რომ მკვლელობის მოტივი ალბათ ვიდეომაგნიტოფონი კი არა, უფრო სერიოზული უნდა იყოს და ის მეოთხე ან დამკვეთი, ან მათი ატამანი იქნება. ეს დაკავებული წრუწუნა, ნუგზარ ლავთაძე კი შიშის გამო არ ტყდებაო. ეს ვარაუდი კიდევ უფრო გამყარდა, როცა ცოტა ხნის შემდეგ ვიღაცამ ამბავი მოიტანა — გაღმა, ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში დღეს საღამოს ვიღაც უცნობი გამოჩნდაო და ბესომაც რამდენიმე თანამშრომელთან ერთად სასწრაფოდ გაუტია იქით.

კურორტსა და მის შემოგარენში მილიციელთა სხვა ჯგუფი აგრძელებდა პაიკიძისა და ჯაშის ძებნას.

მეორე დღეს, დილით, როცა „უაზი“ კარგად შეათვალიერეს, დარწმუნდნენ, რომ ლავთაძე არ ცრუობდა. მთავარი კი ის იყო, რომ მანქანის უკანა მარცხენა კარი საფანტს ერთიანად გაენგრია და ზედ სისხლის კვალიც აშკარად ჩანდა.

ბესო და მისი კოლეგები კი ამ დროს ლაილაშიდან შორს, ერთ-ერთ მივარდნილ სოფელში, სიმინდის ყანაში ისხდნენ და იმ მიტოვებულ სახლს უთვალთვალებდნენ, სადაც მათი ვარაუდით, ის „მეოთხე“ იმალებოდა. მზე უკვე ამოსული იყო, უცნობი რომ გამოვიდა სახლიდან. ეზოში გაიარა და ის იყო, უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ ბესო წაადგა თავს და ვინაობის დადასტურება მოსთხოვა. კაცმა არც აცია, არც აცხელა, სახლში შევარდა, საბრძოლო ხელყუმბარა გამოიტანა, რგოლი მოხსნა და ბესოსკენ შემობრუნდა, რომელმაც „იკადრა“ და ლაბადიდან ავტომატი გამოაძვრინა.

— ყუმბარის აფეთქება არც იფიქრო! ვიდრე ეგ აფეთქდება, რამდენიმე ტყვიას უეჭველად დაგახლი მაგ გამოთაყვანებულ თავში, — გააფრთხილა მასპინძელი.

— შენ ვინ ხარ, რომ დაგემორჩილო. ჩემთან მოსვლას ვერც ტყიბულის, ვერც ამბროლაურის, ვერც ცაგერის მილიცია ვერ გაბედავდა. მაჩვენე საბუთი და მერე ვილაპარაკოთ... — უცნობი ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, ბესომ იფიქრა, უმჯობესია, ჩემი მილიციელობა დავმალოო და...

— ვინა ვარ და ერთი უბრალო კაცი ვარ. წუხელ მანქანა მომპარეს და კვალმა ამ ეზომდე მომიყვანა. მანქანა დამიბრუნე და მერე კარგად იყავი.

უცნობი ჩაბჟირდა.

— მანქანას ლოგინში ხომ ვერ ჩავიწვენდი, აგერ, ეზო და აგერ, სახლ-კარი. თუ იპოვი, წაიყვანე, ღმერთმა შეგარგოს.

— იქნებ მეზობელ ეზოში გადამალე?

— ავდგეთ და ის ეზოებიც დავათვალიეროთ. ა, ბატონო, მოგყვები.

სამი საათი იარეს მეზობლებში ბესომ და იმ უცნობმა. ერთს რგოლმოხსნილი, ასაფეთქებლად გამზადებული ხელყუმბარა ეჭირა ხელში, მეორეს კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი. ამასობაში სიმინდებში ჩამალულმა კოლეგებმა რამდენჯერმე ანიშნეს ბესოს, ცოტა განზე გადექი — ვესვრითო. მაგრამ ამანაც ანიშნა, ეს არ გააკეთოთო და რაკი მაინც ვერ ენდო კოლეგებს, იმის შიშით, არ ესროლონო, მხრით აეკრა უცნობს. ახლა ისინი ერთმანეთის ტყვეობაში იყვნენ.

ბოლოს და ბოლოს, ბესომ უცნობს შესთავაზა — შენ სახლში შედი, მაგრამ რომ არ იფიქრო, მესვრისო, აი, ამ პატიოსან კაცს ჩავაბარებ ჩემს ავტომატს და მანამ არ მოვკიდებ ხელს, ვიდრე მაგ ყუმბარას არ ააფეთქებო და ავტომატი ორღობეში მიმავალ ერთ ასაკოვან გლეხს გადასცა. უცნობიც დაყაბულდა. არც მისთვის იყო ადვილი ამდენ ხანს გახსნილი ხელყუმბარის ტარება და სახლის უკან, მიტოვებული ტრაქტორის ქვეშ შეაგდო.

ის იყო, ბესომ თავისიანებს გასძახა, სახლს ალყა შემოარტყით, ეს კაცი უნდა ავიყვანოთო, რომ რიონს გაღმა ხიდს ქუთაისის მილიციის თანამშრომლები მოადგნენ ორი მოზრდილი ავტობუსით. ნირწამხდარმა და მოულოდნელობისგან შეფიქრიანებულმა ბესომ ახლაღა შეიტყო, რომ მას შემდეგ, რაც ის და უცნობი ერთმანეთს შეხვდნენ, მისი ერთ-ერთი თანამშრომელი ალპანის ფოსტაში გაქცეულა და იქიდან ქუთაისში დაურეკავს: მოგვეშველეთ, ჩვენი უფროსი კაცის მკვლელმა მძევლად აიყვანაო. სიტუაცია, ცოტა არ იყოს, კომიკური შეიქნა, მაგრამ ახლა სასაცილოდ არავის ეცალა და სოფელი ალყაში აღმოჩნდა. თუმცა უცნობს ვეღარ მიაგნეს, გონიოს მთაზე გადაესწრო მდევრისთვის.

მართალია, ერთი დღე გაუცდა, მაგრამ ბესო თავს აჯერებდა, უქმად არ გავრჯილვარ. იმაში მაინც დავრწმუნდი, მეოთხე კაცი რომ არ ყოფილა მკვლელებთანო. მით უმეტეს, რომ ამით არაფერი დაშავებულა. თუ ლავთაძის დაკავების ღამეს პაიკიძე და ჯაში კურორტის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, იქიდან მეგზურის გარეშე ვერ გააღწევდნენ. მეგზურის შოვნა კი ადგილზე გაჭირდებოდა. მეორე დღეს ბესომ ორი ცხენოსანი იახლა და ზემოდან მოუარა კურორტს. სათიბებში კაცის ფეხის კვალი არ ჩანდა. სამაგიეროდ, კვალი ღელეში იპოვა და იმაშიც დარწმუნდა, რომ ძებნილებს უმეგზუროდ უცდიათ სვანეთში გადასვლა, მაგრამ უკანვე დაბრუნებულან. ორივენი სადღაც ახლომახლო იმალებიანო, დაასკვნა ბესომ ლაილაში ჩასვლისთანავე და მშიერ-მწყურვალმა ის იყო, პურს ყუა წაატეხა, რომ კურორტის ერთმა თანამშრომელმა ამბავი მოიტანა, საძოვრებიდან რომ ვბრუნდებოდი, ორ უცნობს გადავეყარე. ორლულიანი სანადირო თოფი სამოც მანეთად შემომთავაზესო და მათი გადაადგილების სავარაუდო მარშრუტიც დაასახელა.

— სწორედ ეგ არის მკვლელობის იარაღი. აკი ვთქვი, აქედან ვერ გააღწევდნენ-მეთქი. აქვე ყოფილან...

ტყის ფერდობზე მოხეტიალე წყვილი პატარა სათიბის პირას აღმოაჩინეს.

— ამდენი ხალხი რომ შეგვნიშნონ, შეიძლება გვესროლონ — ავტომატი ისევ ლაბადაში დამალა ბესომ და შეზარხოშებული კაცის ნაბიჯით გაეშურა მათკენ. ძებნილებმა ერთხანს აცალეს, მაგრამ ახლოს რომ დაიგულეს, ესროლეს ბესოს. ბედად ააცდინეს და მაძებარი ისეთი სისწრაფით გაქანდა მათკენ, ჯაშმა თოფის დატენაც ვერ მოასწრო, ისე დააცხრა თავზე. ამასობაში, პაიკიძე ანწლიანში შეძვრა და გაუჩინარდა. ბესომ დაკავებული თანამშრომლებს გადასცა, თვალის დახამხამებაში ხეზე აძვრა და ანწლიანს ზემოდან მოექცა. ძებნილის მოძრაობის შესაბამისად ირწეოდნენ ანწლის ტოტები. ბესომ რაცია ჩართო.

— კურორტის ტერიტორიაზე მოპატრულე თანამშრომლების საყურადღებოდ! რამდენიმე წუთში აღმოსავლეთის მხრიდან გამოსვლას და კურორტის გავლით გაქცევას შეეცდება ერთ-ერთი ძებნილი. ყურადღებით იყავით! — ცოტაც და დაბლიდან გამაფრთხილებელი სროლა გაისმა. შემდეგ მეორე, მესამე. ბესო სირბილით დაეშვა თავქვე. კურორტის ტერიტორიაზე ძებნილი და მაძებრები კატათაგვობანას ეთამაშებოდნენ ერთმანეთს. პაიკიძე ჩაბარებას არ აპირებდა. მაძებრები ისროდნენ. ყურისწამღებად კიოდნენ დამფრთხალი დამსვენებელი ქალები. ისევ ბესომ იმარჯვა. ერთ-ერთი კოტეჯის უკან ჩასაფრდა და ისე უხმაუროდ გაქაჩა ძებნილი, ბევრს არაფერი გაუგია და ერთხანს ისევ აგრძელებდნენ ძებნას...

P. S. იმის შესახებ, თუ ვინ იყო ხელყუმბარიანი უცნობი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს, და როგორ განხორციელდა ეს ოპერაცია, შემდგომში მოგითხრობთ.

***ვაჟა გავაშელი***

# პრიორიტეტი

„კვირის პალიტრა“ წინა ნომერში წერდა, რომ ტურისტული ინდუსტრიის განვითარება საქართველოში, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა, დღევანდელი მონაცემებით, ფაქტია, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურების საერთაშორისო სტანდარტების დონემდე მისაღწევად ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ტურიზმის ბიზნესი საქართველოში ახლა ჩანასახის მდგომარეობაშია. არადა, თავისი ბუნებრივი თუ ისტორიული მონაცემებით, საქართველო უცხოელი ტურისტებისთვის ნამდვილი „წმინდა მიწად“ უნდა იქცეს.

მაგრამ, როგორც ჩანს, ტურიზმის განვითარება არა მარტო კრიმინოგენულმა სიტუაციამ და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებმა შეაფერხა, ტურიზმის ინდუსტრიაზე ზრუნვით თავი მაინცდამაინც არც საქართველოს ხელისუფლებას მოუკლავს.

**გია თომაძე,** ტურიზმის ექსპერტი: — დღევანდელზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ წინა ხელისუფლებამ კარგად იცოდა, საქართველოსთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ტურიზმის განვითარებას, მაგრამ არაფერი გაუკეთებია. ტურისტები მხოლოდ ქაღალდზე სჭირდებოდათ — სტატისტიკისთვის ტურისტებად ითვლებოდნენ ის უცხოელებიც, რომლებიც სამუშაოდ იყვნენ მოწვეული და ჩამოტანის ნაცვლად, პირიქით, ფული აქედან გაჰქონდათ. არადა, საქართველოს კანონით ტურიზმისა და კურორტების შესახებ „ტურისტი არის ფიზიკური პირი, რომელიც დასვენებისა და გართობის მიზნით ნებაყოფლობით მოგზაურობს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, არანაკლებ 24 საათისა და არა უმეტეს ერთი წლის ვადით...“ და მიაქციეთ ყურადღება — „...რომლის მოგზაურობაც არ ანაზღაურდება დროებითი ყოფნის ადგილის საფინანსო წყაროებიდან“.

წინა ხელისუფლებამ ყველა უცხოელი აიყვანა აღრიცხვაზე, რათა ეჩვენებინა, რომ დარგი ვითარდებოდა. ერთი სიტყვით, საკუთარი თავი მოვიტყუეთ, რითაც ქვეყანამ იზარალა.

— **„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში თქვენ ახსენეთ რელიგიური ტურიზმი, რა პრიორიტეტი გააჩნია ამ მიმართულებით საქართველოს?**

— კურორტებს რომ თავი დავანებოთ, საქართველოში 35 ათასი ისტორიული ძეგლია, მათგან ხუთი ათასი სახელმწიფოს დაცვის ქვეშ არის. ამასთან, როგორ ძეგლებზეა ლაპარაკი — ბევრი ჯერ კიდევ მაშინ არის აშენებული, როცა დღევანდელი სახელმწიფოების უმრავლესობა არც კი არსებობდა. როგორ ფიქრობთ, ეს არ დააინტერესებს უცხოელ ტურისტებს?

გავიხსენოთ უფლის კვართი, რომელიც სვეტიცხოველშია დაბრძანებული. ეს არის უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე, რომლის თაყვანსაცემად საქართველოში მილიონობით მორწმუნე უნდა ჩამოდიოდეს. მაგრამ... არავინაც არ ჩამოდის და იცით, რატომ? არავინ იცის, სად არის ქრისტეს კვართი. ტურინის სუდარას მილიონობით მომლოცველი ჰყავს. არანაკლები ხალხი ჩამოვიდოდა საქართველოშიც, ვინმეს რომ შესაბამისი რეკლამა გაეკეთებინა.



# „არავინაც არ ჩამოდის და იცით, რატომ?“

## „მარტო ქრისტეს კვართის მოსალოცად მილიონობით მორწმუნე ჩამოვიდოდა“

— **ჯერ ალბათ ტურისტული ინფრასტრუქტურაა შესაქმნელი.**

— ტურიზმის აუცილებელი კომპონენტებია კვება, ღამისთევა და ექსკურსია. კვება ჩვენთან ძალიან ძვირი ჯდება. ღამის გათევა ნორმალურ პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ასეთ პირობებში კი ექსკურსიის ხალისიც ეკარგება კაცს...

ერთი სიტყვით, ტურიზმის განვითარება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. არადა, საქმის სწორად წარმართვის შემთხვევაში, ქვეყანა მხოლოდ მოიგებდა. ამ სტატიებით თქვენ ნამდვილად დიდი საქმე წამოიწყეთ და მინდა წარმატებები გისურვოთ, იმიტომ რომ ეს მთელი ქვეყნის წარმატება იქნება... როგორც დარწმუნდით, სხვა ღონისძიებათა გარდა, ამ სფეროში ძირეული გარდატეხის მოხდენა რელიგიურ ტურიზმსაც შეუძლია. მცხეთა იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის სიაშია შეტანილი. რა მდგომარეობაა ქართლის პირველ ქალაქში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ამ საკითხში გასარკვევად „კვირის პალიტრამ“ მცხეთა-მთიანეთის ტურიზმისა და კურორტების სამმართველოს უფროსს, **ლალი რევიას** მიმართა:

— მცხეთა ქვეყნის ქრისტიანობამდე ისტორიის ნაწილია, ასევე, ქრისტიანობის აკვანიც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წმიდა ნინომ პირველად მცხეთაში იქადაგა ქრისტიანობა და აქ გამოცხადდა იგი სახელმწიფო რელიგიად. ქრისტიანულ საზოგადოებას სწორედ ეს დააინტერესებს.

— **მნიშვნელოვანი როლი მცხეთაში კვართის არსებობასაც ენიჭება.**

— ცხადია, თავის დროზე მცხეთელი ელიოზის მიერ ჩამოტანილი მაცხოვრის კვართი, რომელიც სვეტიცხოვლის ტერიტორიაზეა დავანებული, უდიდესი სიწმინდეა, რომლის მსგავსი მსოფლიოში თითზეა ჩამოსათვლელი.

— **ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მცხეთაში ალბათ იოლი არ იქნება?**

— ბუნებრივია, აქ დაუშვებელია ისეთი ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორიც არის რესტორნები და სასტუმროები. მაგრამ როგორც მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, ყველაფერ ამის ზომიერად და გონივრულად შეთავსება წაადგება როგორც წმინდა ქალაქს, ასევე მთელ ქვეყანასაც.

— **თუ სასტუმროები არ აშენდა მცხეთაში, ტურიზმი როგორღა განვითარდება?**

— უნდა შეიქმნას ზონები. პირველ ზონაში შევა დაცული ადგილი, ანუ ძველი, არქეოლოგიური ქალაქი, რომლის სახეცვლილება არ შეიძლება. ამ ზონის გარეთ კი ტურისტული ინფრასტრუქტურა ჩამოყალიბდება — სასტუმროებით, რესტორნებითა და ბისტროებით.

ტურისტი მცხეთაში დღეს ორი საათით მიდის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მომსახურების დონე დაბალია. ნახავს ტურისტი სვეტიცხოველს, ჯვარს და უკან ბრუნდება. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ექსკურსია მცხეთაში, რის გამოც ვერც კვების ობიექტები ვითარდება.

— **ე. ი. სასტუმროები რომ იყოს, ტურისტიც დარჩებოდა.**

— უცხოელი ტურისტი თბილისში დაბრუნებას აქ გაჩერებას ამჯობინებდა, რიგიანი სასტუმრო და კვების ობიექტები რომ ყოფილიყო.

თბილისიდან მცხეთამდე კარგი გზაა. ჯვარზეც კარგი გზა მიდის, მაგრამ მხოლოდ ამით ხომ არ შემოვიფარგლებით? როგორ შეიძლება აქ შემოსულ სტუმარს არმაზი ან ზედაზენი არ აჩვენო? იქ მისასვლელი გზები კი არაფრად ვარგა. არმაზშიც ტურისტული ბილიკია გასაკეთებელი. როცა ლაპარაკია ტურისტულ ბიზნესზე, ჯგუფების შემოყვანაზე, რომელსაც აქ ფული უნდა დაახარჯვინო, ყველაფერი საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. ვიმეორებ, თავდაპირველად ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს.

— **ალბათ რეკლამაც საჭიროა?**

— მცხეთაში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პირობა იქნება ტურისტთა საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბება. ეს მსოფლიოში დამკვიდრებული ფორმაა. უნდა გავიდეთ მსოფლიოში ცნობილ ტურისტულ ბაზრებზეც, სადაც საქართველოს ტურისტული პროდუქციის რეკლამას გავიტანთ, ანუ პოპულარიზაციას გავუკეთებთ ჩვენს ქვეყანას.

— **ასეთი რეკლამა საერთაშორისო ბაზარზე ოდესმე თუ ჰქონია საქართველოს?**

— სამწუხაროდ, არა, ამას დიდი ხარჯები სჭირდება. ეს რომ მოხერხდებოდეს, ყველაფერი შეიცვლებოდა და ქვეყანაში ტურისტი თითით საჩვენებელი აღარ იქნებოდა...

P.S. თითით საჩვენებელი უცხოელები საქართველოში საბჭოთა პერიოდში ჩამოდიოდნენ. გახსოვთ, ალბათ, ჩვენთვის უჩვეულო შორტებიანი ბაბუები ქუჩებში რომ დასეირნობდნენ და ცნობისმოყვარეთა თვალის გარდა, მათ „კგბ“-ს აგენტებიც მიაცილებდნენ. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. აგენტები ტურისტებს აღარ აწუხებენ, მაგრამ თითქოს დრო გაიყინა. ჩამოსული უცხოელები ისევ თითზე ჩამოსათვლელნი არიან. იმედია, სახელმწიფო ამ პრიორიტეტული დარგის განვითარებაზე იზრუნებს და ქვეყანა უცხოელი სტუმრებით გაივსება.

***დავით დევიძე***






**საქრისტიანო მოამბე**

# გამოუცხადებელი ომი შთამომავლობის წინააღმდეგ

ეგვიპტეში მყოფი ებრაელი ერის გამრავლება ეგვიპტელთათვის საშიში გახდა. ამიტომ ფარაონმა ყველა ახალშობილი ებრაელი ვაჟის ნილოსში ჩაგდება ბრძანა.

მდინარე აივსო ახალშობილთა უმწეო გვამებით. ნილოსის ნიანგებმა კუჭები ამოიყორეს თოთო ხორცით. ცას მისწვდა ებრაელი დედების გოდება.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, ნილოსში აღარ ყრიან ებრაელთა პირმშოებს, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წყალს კვლავაც მიაქვს ჩვილების ნაფლეთები. თითქოს ფარაონის აჩრდილი გაცოცხლებულა, აჩრდილი კი არა, აჩრდილთა ლეგიონი და ქვეყნიერების ყოველ კუთხეში მცხოვრებთათვის საკუთარი შვილების მსხვერპლად შეწირვა უბრძანებია. თუმცა არა, ამას თვით ფარაონიც ვერ მოიფიქრებდა, მან სხვა ერის შვილების, თან მარტო ვაჟების დახოცვა ბრძანა, ახლა კი საკუთარ შვილებს ხოცავენ სქესის განურჩევლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი ნებით, ისე, რომ დაბადებასაც არ აცლიან. ნიანგის კბილების მაგივრობას დღეს ექიმ-გინეკოლოგის მაკრატელი ასრულებს, მუცელში მოწყვეტილთა ნარჩენებს კი მდინარის ნაცვლად კანალიზაციის ბინძურ წყალს ატანენ. ესაა სატანისადმი გაუცნობიერებელი მსხვერპლთშეწირვა.

კაცობრიობა თითქოს ომში ჩაება საკუთარი შთამომავლობის წინააღმდეგ, დაუნდობლად კლავს თავის შვილებს. ამ მკვლელობას სამედიცინო ენაზე აბორტი ეწოდება.

ეს ცოდვა უმძიმეს ტვირთად აწვება ადამიანს, ოჯახს, მთელ ერს. ამ და სხვა ცოდვების გამოა, ზოგჯერ გაუსაძლისი რომ ხდება ჩვენი ყოფა. თუ არ შევაჩერებთ ამ ცოდვას, უფალი არ შეაჩერებს იმ განსაცდელებს, ჩვენს ერს რომ განუწყვეტლივ ატყდება თავს. ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვება. როგორ შეიძლება, ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, ღვთის წყალობის იმედი ჰქონდეს, თუკი თავისი შვილების ხოცვას არ შეწყვეტს.

საქართველო მოსწრებია ტრაგიკულ სურათს — მუსლიმი დამპყრობლის მიერ ჩვილებით მოფენილი კალოს გალეწვას. ფსკერწამახული კევრი ბავშვების ხორცს მათ ძვლებს ისევე აცლიდა, როგორც თავთავის მარცვალს აცალკევებენ ბზისაგან. ამ სანახაობით სულშეძრული დაღუპული ჩვილების დედები როგორ წარმოიდგენდნენ, რომ მათი შთამომავლები თავად მოუწყობდნენ თავიანთ დაუბადებელ შთამომავლებს სისხლიან კალოს.

ვისაც ეს ცოდვა უკვე ჩაუდენია — მხურვალედ მოინანიოს, ვინც მომავალში აპირებს — შეჩერდეს — თითოეულმა კი ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ხმა აბორტის დამღუპველობის შესახებ ყველას მივაწვდინოთ.

***საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახური***

# ეკლესიისთვის თავშეწირული სოფელი



**აჯანყების დროინდელი იარაღი**



**სოფელი ფუტიეთი**

სამწუხაროდ, XX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ, ძნელბედობის ჟამი დაუდგა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას.

რუსეთის სინოდმა დახურა 15 მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია. რუსეთის ხაზინამ მიიტაცა 150 მილიონი მანეთის საეკლესიო ქონება. ამასთან, ეკლესია-მონასტრებიდან დაიკარგა საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით შემკული სასულიერო ნივთები. ისინი შეურაცხყოფდნენ და აბუჩად იგდებდნენ ქართულ ღვთისმსახურებას, გალობას, ხატწერას, ფრესკებს, ხალხის ზნე-ჩვეულებებს. რუსულ იმპერიას განზრახული ჰქონდა ქართული მართლმადიდებლური ცნობიერების ამოძირკვა და ქართველების გარუსება ეკლესიის დახმარებით. აი რას აცხადებდა იმპერიის სასულიერო უწყება: „კავკასია უნდა დავიპყროთ ხელმეორედ და ამ შემთხვევაში სრულიად სხვა იარაღით. სულიერი გამარჯვების გარეშე არ იქნება მყარი ფიზიკური დაპყრობა. ასეთი გამარჯვება არის სარწმუნოებრივი გამარჯვება“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა ხალხის ფართო მასების აჯანყება გამოიწვია. 1818 წელს ეგზარქოს თეოფილაქტეს დროს დაიწყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აღწერა რეფორმის მიზნით, რამაც მთელი რაჭა, გურია, სამეგრელო და იმერეთი ფეხზე დააყენა. აჯანყებულებს ებრძოდა რუსეთის რეგულარული არმია. მშობლიური ეკლესიის დასაცავად მოსახლეობის ყველა ფენა მონაწილეობდა არტილერიით შეიარაღებული პოლკებისა და ბატალიონების წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსულმა იმპერიამ უკან დაიხია. გენერალ-ლეიტენანტმა ველიამინოვმა გამოაცხადა, რომ წყვეტდა საეკლესიო რეფორმას. შეშინებული ეგზარქოსი თეოფილაქტე 300 ჯარისკაცისა და არტილერიის დაცვით თბილისში გამოემგზავრა. რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, არ შეურიგდა ამ მარცხს. 1819 წელს უფრო ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყო. 1820 წელს დააპატიმრეს მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი, სხვა გავლენიან სასულიერო პირებთან ერთად. ტომარაში ჩატენილი მიტროპოლიტი დოსითეოს ქუთათელი ცემით მოკლეს გორთან ახლოს. ექვთიმე გაენათელი კი რუსეთში გადაასახლეს. ეს უკანასკნელი იყო დიდი პატრიოტი თავისი ხალხისა. მან აღადგინა მრავალი პარტახი სოფელი, ააგო არაერთი ეკლესია, ილვწოდა ქართული სამეფო ხელისუფლების აღდგენა-გაძლიერებისათვის. რუსის ჯარმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ გაჭირვებით გაიმარჯვა უდიდესი დანაკარგებით. მოარბიეს და მიწასთან გაასწორეს მრავალი სოფელი, ეკლესია-მონასტრები, აჯანყებას შეეწირა ათასობით ადამიანის სიცოცხლე. საგულისხმო ის არის, რომ ამ აჯანყებაში მხარდამხარ იბრძოდნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები: ყმა გლეხები, აზატი თუ საეკლესიო გლეხები, აზნაურები, თავადები, სასულიერო პირები და თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთის ხელისუფლების სამსახურში მყოფი პირებიც. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ერმოლოვი ასე იკვეხნიდა: „სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ, ბაღ-ვენახები ძირამდე ავჩეხეთ, ველარასოდეს აღიდგენენ მოღალატენი პირვანდელ მდგომარეობას“. თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მიწასთან გაასწორეს. განსკუთრებით დაარბიეს რაჭა. რაჭაში სოფელი ფუტიეთი ეკუთვნოდა გელათის მონასტერს. ექვთიმე გაენათელის და დოსითეოს ქუთათელის დაპატიმრებამ, ცხადია, აღაშფოთა სოფელი და რუსის ჯარს უსასტიკესი ბრძოლა გაუმართა 1820 წლის 3 ივნისს (ძვ. სტ. 21 მაისს).

სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა ორი ათასმა ქართველმა დადო თავი ფუტიეთთან ბრძოლაში. მათ შორის იყვნენ მებრძოლი მღვდლები და ბერები. ამ უდიდესი ბრძოლის მონაწილეთაგან ზოგიერთის სახელი შემოინახა რუსულმა დოკუმენტებმა. საჭიროა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის თავშეწირულთა გმირული სახელები იცოდეს ჩვენმა შთამომავლობამ: **გლახუნა დონაძე, ადამ ჭელიძე, მიქელა რაზმაძე, გლახუნა ბაკურაძე, ვახტანგ სვანიძე, ბერუკა ხოტებაშვილი, ალმასხან, ჯავახ და ხოსია იაშვილები, ივანე, სიმონ და გიორგი წულუკიძეები, სოსიკა იაშვილი, გრიგოლ და ზურაბ ჯაფარიძეები, ეგნატე კაკრიაშვილი, შოშიტა ტყეშელაშვილი, ბუჭუკა კობაიძე, გოგია გოქაძე, ფირან ნიკოლაიშვილი, ბერუკა, გოგია და ნინია გამყრელიძეები, გრიგოლ ჭიჭინაძე, ივანე იაშვილი, ბერუკა კობახიძე, მღვდლები დავით ბუაძე, შიო და გიორგი მაისურაძეები.** აი, მცირე სია იმ ეკლესიისათვის თავშეწირულთა, რომელთა ვინაობა შემოგვინახა ძველმა საბუთებმა.

აჯანყების მეთაურთა ერთ ჯგუფს, რომელნიც რუსი ჯარისკაცებით იყვნენ გარშემორტყმულნი, მთავარმართებელ ერმოლოვის სახელით მიეცათ წინადადება — დაეყარათ იარაღი და დანებებულიყვნენ. მათ შორის პირველმა თავადმა ლევან წულუკიძემ იშიშვლა ხმალი და შეჰყვირა: „სიცოცხლე და თავისუფლება ერთია“. მას მიჰყვნენ დანარჩენებიც და ხელდახელ მოხდა შეტაკება. თავადი ლევან წულუკიძე და კიდევ ორი კაცი ხიშტებზე წამოაგეს, სხვები კი მძიმედ დაჭრილები შეიპყრეს და გაასამართლეს. ასე აღწერს ამ ამბავს თვითმხილველი რუსი ოფიცერი დუბეცკი.

აღნიშნული ისტორიული ფაქტები, თითქმის მთელი ორასი წელი და განსაკუთრებით კი საბჭოთა პერიოდში, სასტიკად იყო ტაბუდადებული. პირველად მხოლოდ 1990 წლის 3 ივნისს, სოფელ ფუტიეთში აღინიშნა ამ აჯანყების 170 წლისთავი.

სად ვართ ჩვენ, სად არის ჩვენი საზოგადოება, რატომ არ უნდა ვაიძულოთ ჩვენი ჩრდილოელი „ერთმორწმუნე“, გულით მოინანიოს ეს დიდი ცოდვა, რათა მომავალში შევძლოთ კეთილქრისტიანული და კეთილმეზობლური ცხოვრება.

ეს გმირები არა მარტო გახსენებას, შეიძლება წმინდანთა დასში ჩარიცხვასაც კი იმსახურებენ, ვინაიდან მათ თავი შესწირეს მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის დაცვას. ჩვენი აზრით, 3 ივნისის ბრძოლა უნდა იქცეს ქართული ეკლესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოსახსენიებელ დღედ. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს თავისი ჭეშმარიტი წმინდა მამულიშვილების სახელები, ჩვენმა შთამომავლობამ კი უნდა შეძლოს მათ საფლავებთან მისვლა და პატივის მიგება.

***ავთანდილ გიორგობიანი***



## რას გვეტყვი, მამაო?

**— მითხრეს, რომ ლოცვების წაკითხვა მოძღვრის კურთხევის გარეშე არ შეიძლება. ეს მართალია?**

— თუ ადამიანი საერისკაცო დილა-საღამოს ლოცვების, საგალობლების კითხვას დამოუკიდებლად იწყებს, ეს მხოლოდ მისასალმებელია, ლოცვების წაკითხვის სურვილი ღვთის ნებით ჩნდება. ლოცვა ყოველთვის გაგაძლიერებთ, რადგან ამ დროს ღვთისკენ მიემართებით. მაგრამ სასურველია, მხოლოდ შინ ლოცვებით არ შემოიფარგლოთ, ეკლესიაში მიბრძანდეთ და მრევლთან ერთად ევედროთ უფალს. დიდი ძალა აქვს მრავალი მორწმუნის ერთად ლოცვას, გაერთიანებული ლოცვა ადვილად ლახავს ბოროტს და უფლისკენ გაძლიერებულად მიემართება. გარდა ამისა, მოძღვარი გირჩევთ იმ ლოცვების წაკითხვას, რომელიც ამა თუ იმ გარემოში თქვენს სულს დასამშვიდებლად და გასაძლიერებლად დასჭირდება.

**— ვცხოვრობ ახალციხეში. ადრე ჩვენთან რუსული ჯარის ნაწილი იდგა. რამდენიმე წლის წინ, უბედური შემთხვევის გამო, ამ ნაწილში ჯარისკაცები დაიღუპნენ. არ ვიცი, რა მიზეზით, ჯარისკაცები ადგილობრივ სასაფლაოზე დაკრძალეს. ცოტა ხანში ისინი ახლობლებმა გადაასვენეს. ახლა ამ ადგილზე აღარავინ არის დაკრძალული, მაგრამ მაინც ვერიდებით ჩვენი მიცვალებულების დაკრძალვას. როგორ მოვიქცეთ?**

— მართალი ბრძანდებით, რომ იმ ადგილის გამოყენებას ერიდებით, რომელიც ადრე მიცვალებულთა ძვალთშესალაგი იყო. არა მხოლოდ მართლმადიდებლური რწმენით, არამედ უძველესი საერო ტრადიციებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული პატივისცემით ვეპყრობით მიცვალებულთა ხსოვნას — ეს ჩვენი მოვალეობაა ღვთისა და მიცვალებულის წინაშე. ამ ადგილის დანიშნულებისამებრ გამოყენება დამშვიდებულად მაშინ შეგიძლიათ, თუ ამ მიწას ადგილობრივი მართლმადიდებელი სამღვდელო პირი აკურთხებს. სთხოვეთ ადგილობრივ ეკლესიას ამ წესის აღსრულება და იმ მიცვალებულთა წინაშე ვალმოხდილი იქნებით.




# მეუფე-პოეტის ჩუმი გალობა



**ღმერთმა ნუ ქნას აქ, დამთავრდეს**
**უფლის განაჩენი...**
**ცოცხალი ხარ?**
**— ჯერ კიდევ გაქვს**
**ჟამი გადარჩენის...**

ამ შესანიშნავი სტრიქონების ავტორია **მთავარეპისკოპოსი თადეოზი**, ერისკაცობაში მირიან იორამაშვილი.

მასზე ბევრი რამ მსმენია, მაგრამ ასეთ შესანიშნავ ლექსებს რომ წერდა, არ ვიცოდი. და აი, მზის სინათლეზე გამოვიდა მეუფე თადეოზის ლექსების კრებული.

რაოდენ სასიხარულოა, რომ პირადად მქონდა ბედნიერება შევხვედროდი პოეტ-მეუფეს, ტრაპეზების დროს მომესმინა მისი ღვთიური, მართლაც გალობასავით წარმოთქმული ლექსები.

მეუფე თადეოზი დაიბადა გორში და იქვე პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ კი სასულიერო სემინარია. იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი. 1978 წლიდან მთავარეპისკოპოსია და ამჟამად ბოლნისის ეპარქიას განაგებს.

ეს მხოლოდ მცირე შტრიხებია მეუფის ცხოვრებიდან. ექვსი საკუთარი შვილისა და უამრავი ქართველის სულიერი მამა პოეზიით ცხოვრობს, მას დიდ მთქმელსა და მგოსანს ეძახიან.

**ვინც სიყვარულით აჯობა ყველას,**
**იგი შემორჩა გულს სიხარულად...**
**სხვაფრივ უაზროდ და**
**უფერულად,**
**მიფრინავს ასე დღეთა მარულა.**

მეუფე შესთხოვს დიდ მეფე დავით აღმაშენებელს:

**...შენი მახვილი უხილავი დაეც**
**ორგულებს,**
**შეზარე კვალად,**
**გოლიათებრ ვითარ ზარავდი,**
**მამულის მტერი დააჩოქე**
**შენს ცათა ქვეშე,**
**იავარ ჰყავი გარეწარი**
**და მოთარეშე...**
**შენ დაგვიფარე, ვით გვფარავდი,**
**აწ და მარადის...**

რთულია შეაფასო და გააანალიზო მეუფის პოეზია. მას დიდი ნიჭი აქვს. მეუფე ასე მიმართავს პატარებს:

**თქვე ერთმანეთზე კარგებო,**
**სხივებით დასაქარგებო,**
**ყოველთვის გულთან სამყოფნო,**
**ერის მტრებდასაკარგებო.**

დღეს მეუფე თადეოზი ჯვრითა და კალმით ლოცავს სრულიად საქართველოს.

**ღმერთი დიდია, ის გვიხსნის,**
**მტერო, ნუმც გაგიხარია...**
**ჯვარს გოლგოთაზე აიტანს,**
**გასწევს, ვინც კარგი ხარია.**

დღეგრძელი იყავ მეუფეო, გფარავდეთ უფალი.

***ვახტანგ მამფორია***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



***გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ***

CMYK

# კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილი „ხალვა“ ესპანეთში დააკავეს

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ომეხ აფრასიძის სახელის გაჟღერებამ ინფორმაციას მეტი საიმედოობა შესძინა და კალაძეებმა 200 000$ გადაიხადეს, მაგრამ ლევანი ოჯახში მაინც არ დაბრუნებულა. მივიდა თუ არა ფული ომეხ აფრასიძემდე, ამას გამოძიება არკვევს. სწორედ ეს ეპიზოდი გახდა ახალი ვერსიის წარმოშობის მიზეზი. კალაძის კვალი ზემო სვანეთში უნდა ეძებნათ. კალაძის ოჯახმა დახმარებისთვის ახალ ხელისუფლებას მიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური სამმართველოც კი შეიქმნა, რომელიც რეზონანსული საქმეების გახსნისათვის იყო მოწოდებული. სამმართველოს უფროსად ბათუ სალინაძე დაინიშნა. გამოძიება ახალ ფაზაში შევიდა. დაგროვილი ინფორმაციით, ომეხ აფრასიძეს შეიძლება რაიმე სცოდნოდა კალაძის საქმესთან დაკავშირებით, ამიტომ გამოძიება მასთან მოლაპარაკებას გეგმავდა. თუმცა 2004 წლის 24 მარტს, აფრასიძეებზე განხორციელებული სპეცოპერაციის დროს მეტად საეჭვო გარემოებაში ომეხ აფრასიძე მოკლეს. აფრასიძის სიკვდილმა კვლავ დასვა ის კითხვა, რომელიც ნოე ბალავაძის მკვლელობის შემდეგ გაჩნდა: რატომ იშორებს გამოძიება იმ ხალხს, რომელიც მას გამოძიებისათვის ყველაზე მეტად სჭირდება? შეკითხვა ისევ უპასუხოდ დარჩა, გამოძიება კი კვლავ ჩიხში შევიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებების გამო ბათუ სალინაძე დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კალაძის გატაცებიდან 3 წელი გავიდა. იქნებ დროა გამოჩნდეს შუქი გვირაბის ბოლოს.

*ნინო ბურჭულაძე*

# რაც აჭარაში მოხდა, დაბალი რანგის ახალი ნომენკლატურის ინიციატივა იყო

## „თუ დაგვასწრებენ და უმრავლესობიდან გაგვრიცხავენ, მეტად საინტერესო იქნება“



(დასაწყისი იხ. გვ. 7)

აჭარა სპეციფიკური რეგიონია. იქ პოლიტიკური ბრძოლის ცოდნითა და გამოცდილებით ჩვენ ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას ვჯობდით. ვფიქრობდით, რეგიონში სახელისუფლებო ძალასთან ოპონირება კონფლიქტად არ იქცეოდა. სამწუხაროდ, დაპირისპირებამ კონფლიქტის სახე მაინც მიიღო, მაგრამ ეს ჩვენი გამოისობით არ მომხდარა. გაცილებით უფრო მძლავრმა სუბიექტმა აჭარაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოგვიცხადა. ბრძოლაში გამოიყენეს დიდი ადმინისტრაციული შესაძლებლობები, რათა აჭარაში ერთპარტიული (უფრო სწორად, უპარტიო) პარლამენტი მიეღოთ. ასეთ პირობებში ათ წელზე მეტხანს ისედაც ცხოვრობდნენ აჭარლები. მეტსაც გეტყვით, ყოველივე ამაში შემაშფოთებელ სიმპტომს ვხედავ — სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურების სრული შერწყმის ტენდენციას; ანუ შეიქმნება ისეთი ვითარება, როგორიც შევარდნაძის დროსაც კი არ ყოფილა. ვგულისხმობ იმ პერიოდს, როდესაც ყოფილი პრეზიდენტი „მოქკავშირის“ კომპარტიისმაგვარ ორგანიზაციად გადაქცევას ცდილობდა. ახლა ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები იქცნენ ერთადერთ მმართველად, — მაორგანიზებელ, ყველაზე სწორ, ყველაზე ჭკვიან და ყველაზე ნათელ ორგანიზაციად. ჯერ ერთი, ეს ტენდენცია ეწინააღმდეგება დემოკრატიულ და პლურალისტურ ტენდენციებს და მეორე — ქვეყნისათვის არის სახიფათო. ასეთ ტენდენციას მხოლოდ რესპუბლიკელები კი არა, მთლიანად საზოგადოება უნდა შეეწინააღმდეგოს.

— **ცნობილია, რომ რესპუბლიკელების კრიტიკის ობიექტი ხშირად იყო ზურაბ ჟვანია. თქვენ მიერ ნახსენები პროცესებისა და საშიში ტენდენციების განვითარების მიზეზი რამდენად არის პრემიერი, თუ თქვენს შენიშვნებს ამჯერად სხვა ადრესატი ჰყავს?**

— ჟვანიას თავისი ცოდვები ჰქონდა... დღეს ის სააკაშვილის პრემიერ-მინისტრია. ის არის იმ პოლიტიკური შეკვეთების შემსრულებელი, რომლებსაც პრეზიდენტისა და მისი პარტიისაგან იღებს. სხვათა შორის, სულაც არ ვფიქრობ, რომ ჟვანია ურიგოდ მუშაობს. ჟვანიაფობია სულაც არ მჭირს, ამიტომ თუ რამეს კარგს გააკეთებს, მასთან პრეტენზია არ მექნება და თუ რამეს დააშავებს, ვიტყვი, ცუდს აკეთებს-მეთქი. მინდა ვიქონიო იმედი, რომ რაც აჭარაში მოხდა, სააკაშვილის დაკვეთა არ ყოფილა და მხოლოდ და მხოლოდ დაბალი რანგის ახალი ნომენკლატურის ინიციატივა იყო. მაგრამ, ვფიქრობ, პრეზიდენტამდე უნდა მისულიყო საჭირო სიგნალი, აჭარაში მთლად კარგად ვერ მიდის საქმეო და მასაც ადეკვატური რეაგირება მოეხდინა. თუმცა, ეს არ მოხდა. მეტიც, საქართველოსთვის გადმოცემული ავტობუსები საარჩევნო კამპანიის დროს ნაციონალებმა აგიტაციისათვის გამოიყენეს. ეს ავტობუსები ნაციონალური მოძრაობისთვის არავის მიუცია და არც ის უთქვამთ, 5 ნომერი დააწერეთო, მაშინ, როდესაც №№1, 2, 3, 4 ავტობუსები არ არსებობდა. ასევე მიჩნდება კითხვა, — ვინ იხდიდა ფულს, როდესაც საარჩევნო კამპანიის დროს სააკაშვილი შვეულმფრენით დადიოდა აჭარის ტერიტორიაზე. ეს ფული სააკაშვილის საკუთარი ფულია, ნაციონალური მოძრაობის თუ სახელმწიფოსი? თუ ეს სახელმწიფო ფულია, ე. ი. იგი კონკრეტული პარტიის საარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენეს, რაც კანონდარღვევაა.

— **როგორ ფიქრობთ, ამ სიტუაციაში უმრავლესობაში დარჩენა სჯობს თუ წასვლა?**

— ამ საკითხზე თანაპარტიელებსაც ვესაუბრე და უმრავლესობას არ აქვს პასუხი კითხვაზე — რატომ გაგვიკეთეს ეს. საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა ნამდვილად არ გვქონია. აჭარის პარლამენტში 6-7 კაცის გაყვანას ვგეგმავდით და ვერ გამიგია, 6 დეპუტატს რა პრობლემები უნდა შეექმნა ჩვენი პოლიტიკური პარტნიორებისათვის? როდესაც კითხვაზე პასუხი არ გვაქვს, ბუნებრივად ჩნდება ეჭვი — ვჭირდებით კი პარტნიორებად? თუ არ ვჭირდებით, ჩვენს თავს ძალად არავის მოვახვევთ. ვფიქრობ, ლევან ბერძენიშვილის კომიტეტის თავმჯდომარედ ყოფნა სასარგებლო იყო ქვეყნისათვის, პარლამენტისა და ნაციონალური მოძრაობისთვისაც. თუ ვინმეს არ სჭირდება მისი ყოფნა ამ პოსტზე, რას ვიზამთ? აჭარის არჩევნებში 9 თუ 10%-ის აღებაც, ვფიქრობ, დიდი გამარჯვებაა, მაგრამ რესპუბლიკელები სხვანაირად, უფრო სტრატეგიულად ვუყურებთ ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს. ამიტომ რაკილა ვხედავთ შეშფოთების საფუძველს, ახლავე გვინდა მივანიშნოთ საზოგადოებას, რომ დროა, ეიფორიიდან გამოვიდეთ და რალაცებზე დავფიქრდეთ.

ჩვენ არ უარვყოფთ მიხეილ სააკაშვილის პირად წვლილს აბაშიძისაგან აჭარის გათავისუფლებაში. იმასაც ვხედავთ, ქვეყანა რომ გამოცოცხლდა და ცხინვალის დასაბრუნებლადაც მიმდინარეობს მუშაობა. რაც კარგია, იმაზე კარგს ვიტყვით, მაგრამ ცუდსა და შემაშფოთებელს როცა დავინახავთ, არ გავჩუმდებით. უმრავლესობიდან წასვლის გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია. არ შევკრებილვართ და არ გვიმსჯელია. არ დაგიმალავთ, ჩვენ კონსულტაციებს ვატარებთ იმ ხალხთან, რომელთა აზრსაც ყოველთვის ვუწევდით ანგარიშს. ჩვენს ორგანიზაციაში მხოლოდ ლიდერის სურვილისამებრ არასოდეს გადაწყვეტილა რაიმე, მაგრამ ამ საკითხზე (უმრავლესობაში დარჩენა-არდარჩენისა) პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ბერძენიშვილის აზრი პრიორიტეტულად მიმაჩნია. ცალკე ფრაქციის შექმნა ჩვენთვის არ არის თვითმიზანი. უამისოდაც მოვახერხებთ აზრის გამოხატვას და პოზიციის დაცვას. მცირერიცხოვნობის მიუხედავად, არც დებატებში დავუდებთ ვინმეს ტოლს. ვფიქრობ, თანდათან გამოჩნდება ხალხი, რომელიც მიხვდება, რომ ყველაფერი როდი მიდის ისე, როგორც მათ სურთ.

— **ნოდარ გრიგალაშვილმა ამას წინათ ალბათ უმრავლესობის ხელმძღვანელობის პოზიცია გაახმაურა — თუ რესპუბლიკელები მოინანიებენ, შევუნდობთ, არადა, ფრაქციიდან გავრიცხავთო.**

— მოსანანიებელი გრიგალაშვილთან არაფერი მჭირს. მან ის მოინანიოს, მაინცდამაინც ლევან ბერძენიშვილის პოსტის დაკავება რომ უნდა. ჯობს იმაზე დაფიქრდეს, რამდენად შეესაბამება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს.

ჯერჯერობით არ გვითქვამს, რომ რესპუბლიკელები გავალთ უმრავლესობიდან და საინტერესოა, როგორ გაგვრიცხავენ? რა ვიცი, სცადონ! თუ დაგვასწრებენ და სანამ გავალთ, მანამდე გაგვრიცხავენ, მეტად საინტერესო მოვლენები გველის წინ...

არავის უნდა ჰქონოდა ილუზია, რომ რესპუბლიკელებს თავის ჭკუაზე გვატარებდნენ, ეს შეუძლებელია. ჩვენ მხარს დავუჭერთ პროგრესულ, რეფორმატორულ იდეებს და შევეწინააღმდეგებით დემოკრატიული სივრცის შეზღუდვას. რამდენად მძაფრი ოპოზიცია ვიქნებით, ეს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

*იზო რკაძე*


## სამშენებლო კომპანია „ბურჯი“ აცხადებს კონკურსს შემდეგ სპეციალობებზე

**მთავარი სპეციალისტი (ელექტროინჟინერი; წყალმომარაგება-კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი, ავტოტრანსპორტისა და მექანიზმების ინჟინერი)**

**საკვალიფიკაციო მონაცემები:**

1. უმაღლესი ტექნიკური განათლება – ელექტროინჟინერი; წყალმომარაგება-კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი, ავტომექანიკოსი (შესაბამისი სპეციალობით);
2. საპროექტო და საწარმოო მუშაობის გამოცდილება სპეციალისტად ან ხელმძღვანელად არანაკლებ 5 წელი;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების, საპროექტო გადაწყვეტების და მასალების ღრმა ცოდნა;
4. უცხოურ ფირმებში მუშაობის ან თანამშრომლობის გამოცდილება 1999წ-დან 2004წ-მდე;
5. სათანადო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა Windows XP, MS Office, MS Internet Explorer, AutoCAD;
6. ინგლისური და რუსული ენების კარგი ცოდნა.

**სამუშაოს შინაარსი:**

პროექტის შესაბამის ნაწილში პრინციპული სქემების შემოწმება და გადაწყვეტილებების მიღება, საპროექტო დავალებების გაცემა შესაბამისი სპეციალობების პროექტანტებისთვის და მათი ხელმძღვანელობა. მონაწილეობის მიღება მომარაგების სამსახურთან ერთად საჭირო მასალების და დანადგარების მოძიებაში. მიღებული მასალების და დანადგარების კომპლექტაციის და ხარისხის შემოწმება. სამუშაოთა მწარმოებლებზე საჭირო რეკომენდაციების, სამონტაჟო სქემების გაცემა და სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობა. პირადი პასუხისმგებლობა მთელი ტექნიკური ციკლის ხარისხიან და დროულ შესრულებაზე.

ავტოტრანსპორტისა და მექანიზმების ინჟინერისათვის: ავტოტრანსპორტისა და მექანიზმების მომსახურებისა და ექსპლუატაციის კოორდინირება და მათი ხელმძღვანელობა, მონაწილეობის მიღება მომარაგების სამსახურთან ერთად საჭირო მექანიზმებისა და სათადარიგო ნაწილების მოძიებაში. მიღებული მექანიზმებისა და სათადარიგო ნაწილების კომპლექტაციის და ხარისხის შემოწმება.

**გვესაჭიროება ენერგიული, კომუნიკაბელური კადრები საპროექტო ჯგუფში, საწარმოო-ტექნიკურ განყოფილებაში და სამშენებლო ობიექტებზე სამუშაოდ, მაღალი ანაზღაურებით. სამშენებლო ობიექტები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.**

**საპროექტო ჯგუფი:**

1. ელექტროინჟინერი (პროექტანტი);
2. წყალმომარაგება-კანალიზაციის ინჟინერი (პროექტანტი);
3. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (პროექტანტი).

**საწარმოო ტექნიკური განყოფილება:**

1. მშენებელ-ინჟინერი (სტგ-ში მუშაობის გამოცდილებით);
2. ელექტროინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
3. წყალმომარაგება-კანალიზაციის ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
4. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება).

**სამუშაოთა მწარმოებელი:**

1. ინჟინერ-მშენებელი;
2. ელექტროსამონტაჟო;
3. წყალმომარაგება-კანალიზაციის;
4. თბოაირმომარაგების, ვენტილაციის, კონდენცირების.

**მოთხოვნები:**

1. უმაღლესი ტექნიკური განათლება (შესაბამისი სპეციალობით);
2. საწარმოო და საპროექტო (მოთხოვნის შესაბამისად) გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მასალების ღრმა ცოდნა;
4. სათანადო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (საპროექტო ნაწილისთვის);
5. სასურველია საერთაშორისო და საზღვარგარეთის ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება.

**წარმოსადგენი საბუთები:**

1. CV
2. განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა

**საბუთები მიიღება 2004 წლის 15 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 39ა, მისაღები („ქართუ ჯგუფის“ შენობა)**

**მიანიშნეთ შპს „ბურჯი“ კონკურსისათვის**

☎ 25-34-86; 25-34-87; fax: 25-34-93
E-mail: office@inter-servise.com.ge

**ორგანიზაცია არ გასცემს ახსნა-განმარტებებს კონკურსის შედეგების შესახებ**

# საქართველო და ჩეჩნეთი: ინტრიგები 3000 მეტრის სიმაღლეზე



მაღალმთიან სოფელში, რომელსაც ამერიკულ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველი მეომრები იცავენ, ერთმანეთს შეხვდნენ შვედი, ბულგარელი და ირლანდიელი. ეს წინადადება ანეკდოტის დასაწყისს კი ჰგავს, მაგრამ მართლა ასეთი მდგომარეობაა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, მაღალმთიან სოფელ ომალოში, რომელსაც არწივები უფრო ხშირად სტუმრობენ, ვინემ უცხოელები. ამ უცნაური შეხვედრის მიზეზი კი ქედის გაღმა იმალება — იქ ჩეჩნეთია. 1999 წელს, როცა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კვლავ მოინდომა რესპუბლიკაზე კონტროლის დაწესება, სწორედ ამ მთების ბილიკებით ახერხებდნენ ამბოხებული ჩეჩნები საქართველოში, პანკისის ხეობის ბანაკებში გადასვლას. თოვლის დადნობასთან ერთად ეს გზები შეიძლება კვლავ აღდგეს. ამიტომ უღელტეხილზე სიტუაციის შესამოწმებლად ევროპაში უშიშროების თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) შექმნა 150-კაციანი საერთაშორისო ჯგუფი, „ეს არის „მესამე ძალა, მათ ზუსტად იციან, ვინ და როდის დაარღვია საზღვარი", — ამტკიცებს სამხედრო ანალიტიკოსი ირაკლი ალადაშვილი. ორი წლის წინ რუსეთი დაემუქრა საქართველოს — საზღვრის დარღვევის გამო რეგიონში ჯარებს შემოვიყვან და პანკისის ხეობას დავბომბავო. ამან კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია. ამის შემდეგ შევარდნაძე, როგორც იქნა, მიხვდა, რა საფრთხეს წარმოადგენდნენ ქვეყნისთვის ჩეჩენი მეამბოხეები და პანკისის ხეობაზე კონტროლი გაამკაცრა, რასაც ძალზე შეუწყო ხელი ამერიკელების მიერ ქართული ჯარის გაწვრთნამ. ეუთო-ს მოღვაწეობასაც სარგებელი მოაქვს. ის საყურადღებო სადაზვერვო მონაცემებს აწვდის ვენის შტაბბინას.

საქართველოს ახალი პრეზიდენტი ძალიან ცდილობს მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენას. მისი თქმით, საქართველო მზადაა ნამდვილი ჩეჩენი ლტოლვილების მისაღებად, „მაგრამ არა — იარაღიანი ხალხისა". აპრილში ხელმოწერილი შეთანხმებების თანახმად, რუსეთის და საქართველოს მესაზღვრეები ზონაში ერთობლივ პატრულირებას ჩაატარებენ. ქართული მხარე იმედოვნებს, რომ ეს, რუსეთს აიძულებს, შეამსუბუქოს სავიზო რეჟიმი და შეამციროს სეპარატისტული „კვაზისახელმწიფოების" — სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მხარდაჭერა.

***ეკონომისტი***
***დიდი ბრიტანეთი***

# პატრიოტი ოლიგარქი

ის კომპლექციით რაინერ კელმუნდს, კლუბ BAYER LEREKRUSEN-ის მენეჯერს ჩამოჰგავს, მაგრამ მათი მსგავსება ამით ამოიწურება. ფეხბურთი კახა ბენდუქიძეს მაინცდამაინც არ იტაცებდა, პროფესიით ბიოლოგმა ეკონომიკაში გადაინაცვლა. კომპანია „გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების" გენერალურმა დირექტორობამ ბენდუქიძე რუსეთის ოლიგარქთა რიგებში მიიყვანა. როდესაც პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი კრემლში ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე გავლენიან ბოსებს იწვევდა, მათ შორის, ყოველთვის იყო ბენდუქიძეც.

ახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ბენდუქიძე, როგორც „ნამდვილ მამულიშვილს" შეეფერება, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინადადებას დასთანხმდა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი გახდა.

რამ აიძულა რუსეთის უმდიდრესი მეწარმე ღატაკი საქართველოს მინისტრი გამხდარიყო? ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ენერგიული ბენდუქიძის შეჯახება ფედერალურ ხელისუფლებასთან. 2003 წელს საწარმომ, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, შეძლო კონტროლი დაეწესებინა იმ ორად-ორ რუსულ ფირმაზე, რომლებიც საზღვარგარეთ ატომურ ელექტროსადგურებს აშენებდნენ. ეს ატომური ენერგეტიკის სამინისტროსთვის მომაკვდინებელი იყო, რადგან იქ დღემდე ოცნებობენ მილიარდიან შეკვეთებზე, უპირველესად, ირანში. რას არ მიმართავდნენ ხელისუფლებისთვის ბრძოლაში გაწაფული „ჩინოსნები": წარამარა ამოწმებდნენ „მანქანათმშენებელი ქარხნების გაერთიანებას" გენერალური პროკურატურის, კონტროლის პალატის და სხვა ორგანოების მეშვეობით. 2003 წლის დამლევს ბენდუქიძემ თავისი მანქანათმშენებელი გიგანტი კოლეგას — ოლიგარქ ვლადიმირ პოტანინს მიჰყიდა და აქტიური ბიზნესიდან წავიდა, დაიტოვა პოტანინის ჰოლდინგ „ინტერროსის" აქციების 13%. ეტყობა, ამის შემდეგ რუსეთში აღარაფერი აკავებდა და სააკაშვილის მიწვევას დასთანხმდა: — მჯერა, რომ იქ ულტრალიბერალური რეფორმების რეალიზაციის და ეკონომიკის დარეგულირების საშუალება მექნებაო.

ბენდუქიძე აპირებს, უპირველესად, მოახდინოს ენერგეტიკული სფეროების და პორტების პრივატიზაცია, მისი მიზანია ტურიზმის აღორძინება და სამეწარმეო გადასახადების შემცირება. ის მსხვილი ეკონომიკური სტრუქტურების გაყიდვას გეგმავს და სულერთია, ვინ იყიდის — რუსი, ამერიკელი თუ ავსტრალიელი: „ობიექტებს მივყიდით მათ, ვინც მაქსიმალურად მაღალ საფასურს გადაიხდის", — დაჰპირდა ბენდუქიძე თანამემამულეებს. ხალხი კი ალმაცერად უყურებს ახალ მინისტრთა კაბინეტს და მხოლოდ ის ამშვიდებს, რომ ბენდუქიძე მდიდარია და აღარაფერს მოიპარავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის მეთაური ზურაბ ჟვანია თავისი ახალი მინისტრის ქებაშია, ეტყობა, მაინც არ ენდობა.

არც პრემიერისა და პრეზიდენტის ურთიერთობას ეთქმის სანიმუშო. როგორც თბილისში ვარაუდობენ, სააკაშვილი ადრე თუ გვიან მას ბენდუქიძით შეცვლის.

***დი ველტი***




# მილიონიანი კრედიტები — დასავლეთიდან

ზურაბ ჟვანიას რეფორმატორული გუნდის კონფლიქტების დარეგულირების მინისტრი გოგა ხაინდრავა პროფესიით ოპერატორი, სცენარისტი და რეჟისორია. 90-იან წლებში აფხაზეთში სამოქალაქო ომზე ხაინდრავას მიერ გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმა განაპირობა ის, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების საკითხების განხილვისას, მისი აზრი ანგარიშგასაწევი გახდა. ორგანიზებული ბოროტმოქმედება, თბილისის სახელისუფლებო ორგანოების კორუმპირებულობა, რომელიც რუსეთიდან იმართებოდა, ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლების რღვევას. „ეს არ უნდა გაგრძელდეს, — ამბობს ხაინდრავა, ახლა ჩვენ მათ პირობებს ვთავაზობთ და მშვიდობიან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ". სახელმწიფოს მეთაურმა მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შესთავაზა აფხაზებსა და ოსებს თანამშრომლობა, წარუდგინა სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირების დეტალური გეგმა. „მე თქვენ ყველანი მიყვარხართ", — მიმართა მათ პრეზიდენტმა ჩვეული გულწრფელობით. სამხრეთ ოსეთის მეთაურმა ედუარდ კოკოითიმ და აფხაზეთის „პრეზიდენტმა", სნეულმა ვლადისლავ არძინბამ მაშინვე უარყვეს ეს წინადადებები.

რეგიონული უშიშროების სამხრეთკავკასიური უნივერსიტეტის დირექტორი ალექსანდრ რუსეცკი თვლის, რომ სააკაშვილი და მისი მთავრობა აფხაზეთის პრობლემების გადაწყვეტის საკითხს არასწორად უდგებიან. თბილისმა მოლაპარაკებები ჯერ მოსკოვთან უნდა აწარმოოს და მერე სოხუმთან. გასათვალისწინებელია ლტოლვილთა აზრიც. გარკვეული პრეტენზიები ახალგაზრდა რეფორმატორთა მიმართაც არსებობს — სააკაშვილის ქარიზმის და ენერგიის მიუხედავად, ყველაზე დიდ დაბრკოლებას არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მისული პოლიტიკურად გამოუცდელი მინისტრები და ხელისუფლების მრავალრიცხოვანი და ჭრელი საპარლამენტო ფრაქცია ქმნის. შეძლებს კი ეს ფრაქცია ეკონომიკაში გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველო უზარმაზარ ფინანსურ დახმარებას იღებს საზღვარგარეთიდან. პრემიერ ჟვანიას ბრიუსელში გამართულ კრედიტორების კონფერენციაზე 1 მლრდ დოლარის დახმარებას დაჰპირდნენ. ამას გარდა, 500 მლნ დოლარს აშშ გამოყოფს ქართული არმიის სწავლებისთვის. პირველი კრედიტი — 144 მლნ დოლარი სავალუტო ფონდმა გაიღო. მექრთამეობის მოსასპობად ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ (OOH UNPP) და ამერიკელმა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა მინისტრებისა და პრეზიდენტის ხელფასებს 1200 და 1500 დოლარი დაუმატეს. თავის მხრივ, სააკაშვილმაც ბრძანა, პოლიციელების ხელფასები გაორმაგდებაო. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა: გადიდებული ხელფასი მხოლოდ ორ თვეს ეძლეოდათ.

***დერ შტანდარტი***

# დიანა, შეახსენე, რომ ჩვენ ვარსებობთ...



**დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის განყოფილების უფროსის მიხაილ ალექსანდროვის აზრით, აჭარაში არჩევნები გაყალბდა, ხოლო არჩევნების მეორე დღეს ასლან აბაშიძის ქალიშვილის იძულებითი დაკითხვა, მისი მცველების დაპატიმრება — ყოფილი მმართველი კლანის დაშინებას ისახავდა მიზნად.**

— საქართველოში არჩევნების გაყალბების უკვე კარგად აწყობილი სისტემა არსებობს, რომელიც წარმატებით გამოიყენეს შარშან ნოემბერში. აჭარაშიც იგივე განმეორდა. ეს სისტემა მანიპულირების საშუალებას იძლევა და ხელისუფლებაში მოჰყავს დასავლეთისკენ ორიენტირებული ძალები. დასავლეთი თავიდანვე მხარს უჭერდა ამ სისტემას, ახლა ევროსაბჭოს მხრიდან სუსტი კრიტიკა კი გაისმა, მაგრამ დანარჩენები ჩუმად არიან. სააკაშვილს არჩევნების გაყალბება ხელს აძლევს და თავდაჯერებულობას მატებს. როგორც შევარდნაძე აყალბებდა არჩევნებს და არ გადადგა, არც სააკაშვილი წავა თავისი ნებით — გააგრძელებს არჩევნების გაყალბებას. ამიტომაც ხდება საქართველოში გაუთავებელი გადატრიალებები. სწორედ ამის გამო ჩავიდა ბათუმში დიანა აბაშიძე.

— *გგონიათ, რომ ეს არჩევნებთან იყო დაკავშირებული?*

— დიახ, არჩევნებთან და მისი შედეგების გაყალბებასთან. დიანა აბაშიძე და აბაშიძის ნებისმიერი ნათესავი (მათი კლანი აჭარას საუკუნეების მანძილზე მართავდა) ოპოზიციის მედროშე შეიძლება გახდეს. თანაც ეს რეალური ოპოზიცია იქნება. აბაშიძე კარგად ახსოვთ აჭარაში, მას იქ ნათესავები ჰყავს, აქვს კავშირები, რაღაც ფინანსური საშუალებები, რომელიც მან თავისი მმართველობის დროს დააგროვა. ასე რომ, აბაშიძეს და მის ნათესავებს ოპოზიციის თავკაცობის რეალური საშუალება აქვთ, სააკაშვილს კი ამის ძალიან ეშინია. ამიტომაც ჩატარდა ეს აქცია დიანა აბაშიძის წინააღმდეგ. აბაშიძეებს მიანიშნეს — ჩუმად, თავი არსად გამოყოთო...

— *ეტყობა, მამამ დიანას უთხრა: „გაემგზავრე. არჩევნების გაყალბების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, უნდა შევახსენოთ ყველას, რომ ჩვენ ვარსებობთ".*

— უეჭველად. და ამან თბილისი გააღიზიანა. ამიტომაც მოაწყვეს ეს ინსცენირება სროლებით. ამბობენ, შეხლა-შემოხლა სამართალდამცველებსა და დიანას მცველებს შორის მოხდაო. ხომ შეეძლოთ წყნარად, უწყებით გამოეძახებინათ პროკურატურაში დასაკითხად?

***სტრანა.რუ***

# 6 მლნ დოლარი — ყოველწლიურად!

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის შემდეგ საქართველოს რკინიგზაზე კორუფციის დონე იოტისოდენადაც არ შეცვლილა, — აცხადებს სომხეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობტრეიდერის კომპანია „ფლეშის" ექსპერტი მუშეღ ელჩიანი. საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კომპანიას იმედი მიეცა, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლებოდა მაგრამ... „როგორც ადრე იღებდნენ, ახლაც იმასვე აკეთებენ". ელჩიანის განცხადებით, აპრილში კომპანია „ფლეშს" საქართველოს მთავრობასთან დაახლოებული სტრუქტურებიდან მიაკითხეს და ჩრდილოვანი მიწოდებების სანაცვლოდ — საქართველოს რკინიგზაზე ნავთობპროდუქტების შედარებით იაფიანი ექსპედიცია შესთავაზეს, მაგრამ კომპანიამ ამაზე უარი თქვა. ელჩიანის აზრით, ეტყობა, საქართველოს ახალი ხელისუფლებაც ვერ მოერევა ქვეყანაში გამეფებულ განუკითხაობას, სადაც „კანონიერ ქურდებს" განმსაზღვრელი ფაქტორი აკისრიათ. „ფლეშის" ექსპერტის განსაზღვრით, შავიზღვისპირეთის პორტიდან სომხეთის საზღვრებამდე ერთი ტონა დიზელსაწვავის გადაზიდვა, უწინდებურად, სომხეთის კომპანიებს ნაცვლად ოფიციალური 20 დოლარისა, ტონა 40 დოლარი უჯდებათ. არადა სააკაშვილის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება საქართველოს რკინიგზაზე კორუფციის აღმოფხვრა და სომხეთის კომპანიებისთვის გაუმართლებლად მაღალი საგადასახადო ტარიფების შემცირება იყო.

აღსანიშნავია, რომ 2003 წლის შედეგებით, სომხეთში ბენზინის იმპორტის მოცულობა შეადგენდა 195 ათას ტონას, ხოლო მიმდინარე წელს იმპორტირებული იქნება 210 ათასი ტონა ბენზინი და 116,4 ათასი ტონა დიზელსაწვავი. ასე რომ, სომხეთის ნავთობპროდუქტების იმპორტიორები საქართველოს ჩინოსნებს დაახლოებით 6 მლნ დოლარს უტოვებენ.

***ია რეგნუმი***

***გვერდი მოამზადა***
***თინათინ მარგველაშვილმა***

სახელმწიფოს ლიცენზირებული
საქართველო-ისრაელის
სტომატოლოგიის ინსტიტუტი
და მრავალპროფილიანი
სამედიცინო კოლეჯი
მინიმალური გადასახადი
სახელმწიფო დიპლომი
დასაქმება
www.medical.edu.ge
☎ 61-54-23
61-69-77
71-55-11



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიითხოიან

4 წლის **თიკუნა იაკობაშვილმა** ქოთანში ყვავილის გვერდით აღმოცენებულ პატარა ბალახს სიხარულით დახედა:

— ბებო, ნახე, ჩვენს ყვავილს როგორი შვილი გაუზრდია?!

***

პატარა **ვანიკომ** ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა და ბებიას დაენახვა. ბებიამ გაიხუმრა.

— ტანსაცმელი კი მომწონს, მაგრამ ბავშვი არა.

გაბრაზებული ვანიკო დედას მიუბრუნდა და ბებიას გასაგონად უთხრა:

— ლაო, დე, ლა თქვა, ბავშვი ალ მომწონსო? მე ეგ ქალი მიკვალდა პატალა ლო ვიკავი და ახლა სულ ალალ მიკვალს.

***

5 წლის **პაატა ხათაშვილს** თავი ასტკივდა. დედამ უთხრა, დაწექი და ტკივილი გადაგივლისო. პაატამ გაიოცა, — როგორ გადამივლის, ფეხები ხომ არა აქვს?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„თუმცა მხედარი არ არის, მაგრამ ატარებს დეზებს, სიმღერით ხვდება განთიადს, ადრე იღვიძებს მზეზე.“.**

I



დააკავშირე ნახატები ერთმანეთთან შინაარსის მიხედვით?




## [illegible]

ზ ღ ა პ ა რ ი

იყო ერთი ბერიკაცი. ამ ბერიკაცმა აიჩემა, ჩემი ვირი მეფის ვეზირებს ჭკუით აჯობებსო.

ვეზირებმა გაიგეს ეს ამბავი და მეფესთან იჩივლეს: ერთი ბერიკაცი ხალხში დადის, ასე და ასე სახელს გვიტეხსო.

ხელმწიფემ ბერიკაცი თავისთან იხმო და ჰკითხა:

— მართლა ამბობ ხალხში, ჩემს ვირს მეფის ვეზირებზე მეტი ჭკუა აქვსო?

— მართლა ვამბობო, — მიუგო ბერიკაცმა, — და აი, რატომ: ერთხელ შევჯექი ვირზე და საქმეზე წავედი. გზად ხიდი უნდა გაგვევლო. მოულოდნელად ვირს ფეხი ფიცრებშუა გაეჭედა და ძლივძლივობით ამოაძრო. მას მერე, როცა ამ ხიდზე მომიხდება გავლა, ჩემი ვირი ერთხანს შედგება, ამოიხვნეშებს და ისკუპებს, გადაახტება იმ ადგილს, აი, რა ჭკვიანი პირუტყვია ჩემი ვირი! შენი ვეზირები კი?..— ათასნაირ დანაშაულს სჩადიან და, როგორც არ უნდა დასაჯო, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში იმასვე იმეორებენ. ახლა შენ თვითონა თქვი, ჩემი ვირი აქ რომ იყოს, შენს ვეზირებს ჭკუით ვერ აჯობებდაო?

მეფეს მოეწონა ბერიკაცის ნათქვამი და ხალათი უბოძა. თავის ვეზირებს კი უბრძანა:

— რაც ამ ბერიკაცმა თქვა, სრული სიმართლეა, დღეიდან ამ კაცის ვირისგან აიღეთ მაგალითიო.

უტვინო ვეზირებმა, მართლაც, იმ დღიდან ვირი მაგალითად გაიხადეს.

ისრების მიხედვით მიიყვანე ბაყაყი ქოლგასთან



## II ანა, გამოიცანი

**1) რომელი სიტყვა ნიშნავს განუხორციელებელ მოლოდინს, ოცნებას?**
ა) ილუზია; ბ) მირაჟი; გ) ჰალუცინაცია; დ) ქარიზმა.

**2) რას უწოდებენ ამჟამად სპარსეთს?**
ა) ირანს; ბ) თურქეთს; გ) მონღოლეთს; დ) ერაყს.

**3) დაასრულე ცნობილი გამონათქვამი: „თუ გსურს შეგიყვარონ...“**
ა) მიელაქუცე; ბ) გაუღიმე; გ) შეიყვარე; დ) მოუთმინე.

**4) რომელი ქრისტიანული დღესასწაულია 19 აგვისტოს?**
ა) კვირაცხოვლობა; ბ) ჯვართამაღლება; გ) ალავერდობა; დ) ფერისცვალება.

**5) რომელია ბავშვთა ექიმი?**
ა) უროლოგი; ბ) პედიატრი; გ) ტრავმატოლოგი; დ) კარდიოლოგი.

**6) საქართველოს რომელ კუთხეში მდებარეობს ნიკორწმინდის ტაძარი?**
ა) სვანეთში; ბ) კახეთში; გ) სამეგრელოში; დ) რაჭაში.

**7) რომელი მეფის დროს გადმოიტანეს სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში?**
ა) დაჩის; ბ) ვახტანგ გორგასლის; გ) მირიან III-ის; დ) გიორგი I-ის.

**8) რომელი მცენარის ჯიშია თავთუხი?**
ა) სოიის; ბ) სიმინდის; გ) ლობიოს; დ) ხორბლის.

## იპოვე 10 განსხვავება





პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — ✚ და სია აჩვენეთ მშობლებს

1. ○ მელია და მწყერჩიტა
2. ○ ქალთევზა
3. ○ ნაცარქექია
4. ○ მძინარე მზეთუნახავი
5. ○ კომბლე
6. ○ ირმისა
7. ○ ჩიპოლინო
8. ○ წითელქუდა
9. ○ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ○ ხუთკუნჭულა
11. ○ მაკნატუნა
12. ○ თოვლის დედოფალი
13. ○ ბრემენელი მუსიკოსები
14. ○ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ○ სამი გოჭი
16. ○ თორმეტი თვე
17. ○ სიზმარა
18. ○ მაუგლი
19. ○ ჩექმებიანი კატა
20. ○ მგელი და შვიდი თიკანი
21. ○ ნამცეცა
22. ○ ნახევარქათამა
23. ○ სამი ფორთოხალი
24. ○ გოგონა და ურჩხული
25. ○ წიქარა
26. ○ ალადინი
27. ○ ღორების მწყემსი
28. ○ მძლეთამძლე
29. ○ ქოჩორა რიკე
30. ○ უფლისწული ბაყაყი
31. ○ ბულბული
32. ○ რიკი-ტიკი-ტავი
33. ○ კონკია
34. ○ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ○ კატა, მამალი და მელა
36. ○ ცეროდენა
37. ○ გაუცინარი პრინცესა
38. ○ ველური გედები
39. ○ გაქვავებული სამეფო
40. ○ გოგონა და სამი დათვი
41. ○ წითელი ფეხსაცმელები
42. ○ მოჯადოებული კატა
43. ○ მეჩონგურე
44. ○ თხისყურებიანი მეფე
45. ○ ბურატინოს თავგადასავალი
46. ○ ლომი და კურდღელი
47. ○ მოჯადოებული ტყე
48. ○ არვიცის ამბავი
49. ○ ჯიუტი სილუკა
50. ○ შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

CMYK

***ამ ცოტა ხნის წინ გავრცელებულ ინფორმაციას ოჩამჩირის რაიონში ბედიის ტაძრისა და ბაგრატ მესამის საფლავის ხელყოფის შესახებ, მძაფრი რეაქცია მოჰყვა და არა მხოლოდ საქართველოს მხრიდან. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველოს უფროსმა ვადიმ ბჟანიამ კატეგორიულად უარყო აღნიშნული ფაქტი და ამას მორიგი მონაჭორი უწოდა. თანაც ისიც დასძინა, რომ გასულ წლებში საქართველო-აფხაზეთის ომში დაზიანებული ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოებიც კი განახორციელეს... მაგრამ ამავე დროს, იუნესკოს ექსპერტებს უარი უთხრეს აფხაზეთის ტერიტორიაზე შესასვლელად — თქვენს უსაფრთხოებას ვერ უზრუნველვყოფთო(!).***

***ამ პარადოქსულმა გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვი საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.***

***გთავაზობთ ყველა იმ, ჩვენი აზრით, საყურადღებო მასალას, რომელიც ბედიის ტაძარს და მის საგანძურთაგან შემორჩენილ ოქროს ბარძიმს უკავშირდება.***

მოწამეთის, ბაგრატის, ბედიის ტაძართა აღმშენებელი მეფე ბაგრატ მესამე „მატიანე ქართლისაიში“ ასე მოიხსენიება: „შემდგომად დიდისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა“...

ბედია იმითაცაა გამორჩეული, რომ სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა „ეკლესიათა მაშენებელმა და გლახაკთა მოწყალე აფხაზთა და ქართუელთა მეფემ“ მეათე საუკუნის დასასრულს და გაამთლიანა კიდეც ქვეყანა.

მეისტორიენი იმასაც ვარაუდობდნენ, რომ მოწამეთის, ბედიისა და ბაგრატის ტაძრის ხუროთმოძღვარი დიდოსტატი არსუკისძე იყო, რომლისთვისაც სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის აღშენება მიუნდვია ბაგრატ მესამეს (განუსრულებია კიდეც ტაძარი არსუკისძეს ბაგრატის ძის, გიორგი პირველის მეფობისას).

მრავალი განსაცდელი გადაუტანია ბედიის ტაძარს. მტერი ხომ პირველ რიგში წმინდა ადგილებს მუსრავდა. ბედიაც დაუნგრევიათ, მე-13-14 საუკუნეებში ისევ აღუდგენიათ სასახლითა და სამრეკლოთი... ქართული წარწერებიც მრავლად დაუტანებიათ ტაძრის კედლებზე, მოხატულობებზე, რომლებიც ფრაგმენტული სახით შემონახულა.

მოგვიანებით ეს წარწერებიც გაანადგურეს, ისევე როგორც არაერთი უტყუარი ნიმუში სწორუპოვარი ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ძლიერების დამადასტურებელი. საბედნიეროდ, მე-19 საუკუნეში აკადემიკოს ნიკო მარს მოუსწრია და ბედიის ტაძრის იმ დროისათვის შემორჩენილი ყველა ქართული წარწერა აღუნუსხავს მისხალ-მისხალ...

ბედიის ტაძრის დიდების მოწმედ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ზიარების ოქროს ბარძიმიც კმარა. ამ ბარძიმს არანაკლებ მძიმე გზა გამოუვლია, რის შესახებაც გვესაუბრება მუზეუმის საგანძურის მთავარი მცველი, ქალბატონი **ელენე კავლელაშვილი**.

— ბარძიმმა ჩვენამდე ნაკლული სახით მოაღწია. მისი მხოლოდ ზედა ნაწილია წარმოდგენილი. ბარძიმს ჰქონია მაღალი ფეხი, ალბათ ოქროსივე, რომელიც მე-16 საუკუნეში უკვე დაკარგული ყოფილა. ეს იქიდან ჩანს, რომ 1865 წელს აკადემიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ ბარძიმი ილორში ვერცხლის ფეხით ნახა, რომ-



**ბაგრატ მესამის ფრესკა ბედიის ტაძარში რესტავრაციის შემდეგ**

ლის საქტიტორო წარწერაში იხსენიებოდა მე-16 საუკუნის მოღვაწე გერმანე ჩხეტიძე (ბედიელი ეპისკოპოსი). მოგვიანებით, ეს ვერცხლის ფეხიც დაიკარგა...

ბარძიმი დამზადებულია ხალასი ოქროსგან, იწონის 752 გრამს (სიმაღლე 12,5, ხოლო დიამეტრი 14 სმ) და ერთი მთლიანი ფურცლისგან არის ნაჭედი. ბარძიმის პირის კიდეზე განაწილებულია ქართული ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე და დედამისი გურანდუხტი. დადიანების ქრონიკის მიხედვით, 999 წელს ბაგრატმა საზეიმოდ აკურთხა ბედიის ტაძარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს ბარძიმი უკვე მოჭედილი ყოფილა, რადგან ბაგრატმა არა მარტო აღაშენა ტაძარი, არამედ „შეამკო ყოვლითა სამკაულითა“.

— **ბუნებრივია, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა მემატიანეთ არ გამორჩებოდა...**

— ამ მხრივ საინტერესოა ის გარემოება, რომ ისეთი ღვაწლმოსილ მეფეს, როგორიც ბაგრატ მესამე გახლდათ, მემატიანე მაინც ბედიის სამკაულით წარმოაჩენს: „ოდესმე (ვინმეს) ენებოს განცდად დიდებისა ბაგრატ მესამის მეფობისა, მაშინ იხილოს სამკაული ბედიისა“...

— **რა შედიოდა ამ სამკაულში?**

— სამკაულში, ცხადია, შედიოდა ის ძვირფასი კედლის მხატვრობა, რომელიც ტაძარს ამკობდა. ჯვარ-ხატები, ბარძიმ-ფეშხუმი... ბარძიმის საქტიტორო წარწერაში ბაგრატ მესამე მოიხსენიება „ამა ტაძრისა აღმშენებლად, ამა საკურთხ-

# რა ბედი ელის ბედიის ტაძარს?..



**... ვინ უნდა დააზუსტოს ინფორმაცია ბედიის ტაძრის დანგრევა-არდანგრევის შესახებ.**

**... ბედიის ტაძარი – ერთიანი საქართველოს სიმბოლო.**

**... ბედის ოქროს ბარძიმი – ქართული ოქრომჭედლობის უტყუარი ძეგლი.**

**... ვინ მოიპარა სოხუმში ბედიის ბარძიმის ასლი.**

**... როგორ „გადაარჩინა“ ხრუშჩოვის ცოლმა ქართული საგანძური.**

**... რას გადაჰყვა ვიქტორია სირაძის კარიერა.**

**... ხალხი გადადის და გადმოდის აფხაზეთში, ბედიის ტაძრამდე კი ვერავინ მიაღწია(!).**

**... ექსკლუზივი ლტოლვილებისგან.**

ევლისა შემამკობლად და ამა ბარძიმისა შემწირველად“.

— **გამოდის, რომ ბედიის ოქროს ბარძიმს უზარმაზარი ისტორიული დატვირთვა აქვს.**

— ეს ერთი მხარეა, მაგრამ მეორეა ბარძიმის მხატვრული ღირებულება, რომლითაც იგი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართული ლითონმქანდაკებლობის განვითარების ისტორიაში. ბარძიმის მთელი პერიმეტრი თაღების მეშვეობით დაყოფილია 12 ნაწილად, ანუ თაღად. ერთ მხარეს გამოსახულია მაცხოვარი საყდარზე დაბრძანებული, მაკურთხებელი მარჯვენით. საპირისპირო მხარეს ღვთისმშობელია დაბრძანებული, რომელსაც ყრმა მარცხენა ხელზე უზის. ასე რომ, კომპოზიციურად ბარძიმი ორ აზრობრივ ცენტრს შეიცავს — მაცხოვრისა და ღვთისმშობლის და ორივე ერთ სიმაღლეზეა აყვანილი. ეს ალბათ იმითაც უნდა აიხსნას, რომ ბედიის ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა, საიდანაც იკვეთება ღვთისმშობლის პრიორიტეტი საქართველოში. დანარჩენ 10 თაღში განაწილებულია მახარებელთა და მოციქულთა ფიგურები. ოსტატი შემოქმედებითად, თავისუფლად უდგება მოციქულთა გამოსახვას, არ ცდილობს 12-ივე წარმოადგინოს. თუმცა, გამოსახულთაგან თადეუსი და ლებეუსი ორი ფიგურის სახითაა, არადა როგორც ცნობილია, ერთი და იმავე პიროვნების სახელია. ამ ფიგურათა გარდა, გამოსახულთა შორის არიან წმინდანები იოანე, ანდრია, ლუკა, მარკოზი, პავლე, პეტრე, ბართლომე და იაკობი.

— **ოსტატის სახელი თუ არის ცნობილი?**

— თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ ქართველი ოსტატები, მათთვის უმთავრესი გახლდათ ღვაწლი უფლის მიმართ. ამიტომ ყოველთვის არ თავსდებოდა საავტორო წარწერები მათ ნამუშევრებზე.

— **რას გვეტყვით ამ ძეგლის გადარჩენის ისტორიის შესახებ?**

— ბარძიმი 1930 წლამდე ინახებოდა ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში (აქვე ინახებოდა ბედიის მეორე ბარძიმი და მტრედის ფიგურა, რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულია. — ავტ.). მერე იგი სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაიტანეს. 1951 წელს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ქართული საგანძურის გამოფენა მოეწყო. მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა დროებით, საგამოფენოდ ითხოვა ბარძიმი. როდესაც მისი უკან დაბრუნება მოითხოვეს, გამოფენა ისევ გრძელდებოდა (ხანგრძლივი ექსპოზიცია იყო გათვალისწინებული), ამიტომ ბატონმა შალვამ სოხუმში ბარძიმის ასლი აახლა. ორ კვირაში სოხუმიდან ბედიის ბარძიმის ასლი დაიკარგა(!). ვინ მოიპარა ბედიის ბარძიმის ასლი, არავინ იცის. მისი კვალი დღემდე არსად გამოჩენილა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ბარძიმს დავაბრუნებდით, იგი უეჭველად დაიკარგებოდა! ამიტომ ძალზე სათუთი დამოკიდებულება სჭირდება ასეთ ძეგლებს გადარჩენის თვალსაზრისით...

— **ბედიის ბარძიმის ასლი ვინ დაამზადა?**

— ირაკლი ტარიაშვილმა, მუზეუმის ქიმიკოსმა. შემდგომ თეიმურაზ თოდუამ. ეს მეორე ასლი ფონდში გვაქვს დაცული...



**ბედიის ბარძიმი**

— **ბედიის ტაძარი როდემდე იყო მოქმედი?**

— როგორც ჩანს, მე-19 საუკუნეში ბედია უკვე „უქმ იქნა“ და ამიტომ გადაუტანიათ საგანძური ილორში...

— **თუ არ ვცდებით, 60-იან წლებში ბედიის ბარძიმი განსაცდელს გადაურჩა...**

— და არა მარტო ბედიის ბარძიმი. მაშინდელმა საკავშირო ცეკას გენერალურმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ნება დართო იაპონიის წარმომადგენლობას, ყურადღება გაემახვილებინათ ქართულ კულტურაზე. ერთ დღესაც, საღამოს 9 საათზე, იაპონელი სტუმარი აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს ურეკავს და ითხოვს საგანძურის გახსნას. ბატონი შალვა მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და სტუმარს თავაზიანად აუხსნა, რომ ასე გვიან უფლება არ ჰქონდა საგანძურის გახსნისა და მეორე დღისთვის დაიბარა. ამით ორმხრივი საქმე გააკეთა — დაიცვა სამუზეუმო წესი და დროც მოიგო. მეორე დილით, მუზეუმში მისულმა იაპონელმა სტუმარმა საგანძურის ექსპოზიციაში მიუთითა იმ სიძველეებზე, რომელთა შესყიდვაც სურდათ. ამ სიაში თავმოყრილი იყო ბედიის ბარძიმი, ახალგორის განძი, ხახულის კარედი ხატი და სხვა... იაპონელის გასტუმრებისთანავე ბატონი შალვა მაშინდელი საქართველოს ცეკას პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან მივიდა და სიტუაცია აუხსნა. მჟავანაძემ ყურადღებით მოუსმინა დიდ მეცნიერს, უთხრა, ბევრს ვერაფერს გიშველით, მაგრამ ამ საქმეს ერთი კვირით გადავადებინებო. ბატონ შალვას გაუხარდა, რადგან დროის ამ მონაკვეთში იგი შეძლებდა ხალხისთვის შეეტყობინებინა მოსალოდნელი საფრთხე. მჟავანაძე კი მოსკოვში გაფრენილა. მოგეხსენებათ, მისი და ხრუშჩოვის მეუღლეები მეგობრობდნენ. ხრუშჩოვი მეუღლემ სასტიკად „დატუქსა“ თურმე. იაპონელი საქართველოდან ხელცარიელი გაბრუნდა. მართალია, ყველაფერი კარგად დასრულდა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ნერვული სტრესი, ბატონმა შალვა ამირანაშვილმა ინფარქტი მიიღო...

— **1978 წლის ამბებზე რას იტყვით?**

— საქართველოს მუზეუმებმა ცენტრალური კომიტეტიდან დავალება მიიღეს, რათა საქართველოში დაცული სიძველეთა ერთი ნაწილი გადასცემოდა აფხაზეთს. განკარგულებას ხელს ვიქტორია სირაძე აწერდა, მაშინდელი ცეკას მდივანი. ამ განკარგულებას ქართველი მეცნიერების დიდი საპროტესტო გამოსვლა მოჰყვა. გადაიკეტა რუსთაველის პროსპექტი. დემონსტრაციას სათავეში ედგა აკადემიკოსი ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, დიდი ივანე ჯავახიშვილის ვაჟიშვილი. ბატონმა ლალიმ შევარდნაძეს განუცხადა, საქართველოს საგანძურიდან ცოცხალი არაფერს გაგატანთ, თუ მომკლავთ და მკვდარს გადამაბიჯებთ, მკვდარს არაფერი მოეთხოვებაო... მაშინ შევარდნაძემ თავი იმართლა, ეს ჩემი წინადადება არ იყოო(!)... საბოლოოდ, ამ საქმეს ვიქტორია სირაძის კარიერა გადაჰყვა.

— **რას ითხოვდნენ მაშინ?**

— ბედიის ბარძიმს, ბიჭვინთის ღვთისმშობლის ოქროს ჭედურ ხატს, ბიჭვინთის საწინამძღვრო ოქროს ჯვარს, ბიჭვინთის მოზაიკური იატაკის ფრაგმენტებს და სხვა. და ალბათ ყველაფერ ამას რუსეთი წაიღებდა... ასე რომ, ქართველ მეცნიერთა ბრძოლა ეროვნული საგანძურის გადასარჩენად ალბათ დაუსაბამო იქნება.

ბედიის ტაძარზე მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ ვესაუბრებით საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს, **გიორგი ანჩაბაძეს**.

— მართალი გითხრათ, არ მჯერა თითქოს ბედიის ტაძარი ხელყვეს. თუნდაც იმიტომ, რომ აფხაზები მას თავიანთი კულტურის ძეგლად თვლიან...

— **ბატონო გიორგი, როგორც ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში გვითხრეს, აპრებენ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მონიტორინგის ჩატარებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების მდგომარეობის შესასწავლად. თქვენ, მგონი, ერთადერთი ხართ, ვინც თბილისშიც მოღვაწეობთ და სოხუმშიც (გიორგი ანჩაბაძე სოხუმის უნივერსიტეტშიც კითხულობს ლექციებს. — ავტ.), ამდენად, ამ მონიტორინგში თქვენი ჩართვა, ალბათ, აუცილებელიცაა...**

— ჩემთვის ამის შესახებ მხოლოდ მასმედიიდან გახდა ცნობილი. ვფიქრობ, საინტერესო იქნება მონიტორინგის შედეგები...

— **ნუთუ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ოჩამჩირეში, ბედიის ტაძრამდე რომ მიეღწია და ზუსტი ინფორმაცია მიგვეღო?**

— არავითარი სიძნელე ამაში არ არის. ხალხი გადადის და გადმოდის აფხაზეთში. ენგურის ხიდიდან მანქანით ბედიამდე ერთი საათის სავალიც არ არის...

— **მაგრამ ბედიის ტაძრამდე ვერავინ მიაღწია...**

— მე კი ვთვლი, რომ ეს განაცხადი შეცდომაა, გაუგებრობაა, ინფორმაცია დასაზუსტებელია...

ინფორმაციის დასაზუსტებლად აფხაზეთიდან ლტოლვილ მეცნიერებს მივმართეთ.

**თეიმურაზ მიბჩუანი**, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი:

— თუ ეს მართლა გაკეთდა, ამას ნორმალური აფხაზი (მით უმეტეს, ქართველი) არ ჩაიდენდა. სხვათა შორის, ბაგრატის შთამომავალს უწოდებს თავის თავს აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. ისიც თქვა, როდესაც ქართველები ბაგრატიონთა გერბს „იგონებენ“, პირველ რიგში მე უნდა მკითხონო... ამიტომ კაცი, რომელიც თავს ბაგრატის შთამომავლად თვლის, მის საფლავს უნდა აფეთქებდეს?

**ჯანო ჯანელიძე**, პოეტი, აფხაზეთის განათლების მინისტრი:

— შარშან, სოხუმში დიდი ზეიმით აღინიშნა ბედიის ტაძრის აღშენების 1000 წლისთავი. ამ იუბილეზე ქართველები, რა თქმა უნდა, არ მიუწვევიათ. ბედიის ტაძარს ხომ აფხაზები თავიანთი კულტურის ძეგლად თვლიან...

ბატონმა ჯანომ, ისიც გვითხრა, რომ თავის დროზე ლექსიც კი მიუძღვნა ბედიის ტაძარს. ეს ლექსი, ისევე როგორც მისი შემოქმედების დიდი ნაწილი, აფხაზეთის ომის დროს დაიკარგა. პოეტმა ჩვენი „შეკვეთით“ დღევანდელ ბედიას ახალი ლექსი მიუძღვნა, რომლის ფრაგმენტსაც სიამოვნებით გთავაზობთ:

*სუყველაფერი ბედისწერა და*
*სუყველაფერი მართლაც ბედია,*
*აქ ბაგრატ მეფის ხმალი ელავდა*
*და მზე კოცნიდა ლამაზ ბედიას...*
*აქა სათიბივით მეც ბევრჯერ მცელეს,*
*ვეცემი, ვდგები, ვდგები, ვეცემი,*
*აქ გურანდუხტის ცრემლის ნამცეცებს*
*დავალ, დავეძებ ხელის ცეცებით...*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარეს **გიორგი კალანდიას**:

— ფონდის მუდმივი ყურადღების არეალში გახლავთ ის ტაძრები, რომლებიც ისტორიული ოდიშის ტერიტორიაზე მდებარეობს. მათ შორისაა ბედიაც, რომლის მიმართ განსაკუთრებული „გართულება“ აქვთ აფხაზებს, განსხვავებით ვთქვათ, ბიჭვინთისა და ლიხნის ტაძრებისგან. იმიტომ, რომ ბედიის ტაძარი ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ აღიქმებოდა ყოველთვის და ასეა ახლაც. სოფელ აგუბედიის მოსახლეობა, სადაც ეს ტაძარია, აცხადებს, რომ დასავლეთისა და სამხრეთის კედლები აფხაზებმა მიზანმიმართულად მთლიანად დაანგრიეს, რადგან მათზე იყო ქართული წარწერები და ბაგრატ მესამის ერთადერთი ფრესკა... გარდა ამისა, სამი თვის წინ გავრცელდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, — 1888 წელს ილორის ტაძრიდან დაკარგული ბედიის ბარძიმი დაკრძალული უნდა იყოს ბედიის ტაძარში და ამიტომ მის მოსაძებნად დაიწყეს გათხრა. ამ დროს შეურაცხყვეს ბაგრატ მესამის საფლავიო. თუმცა, ამას აფხაზები კატეგორიულად უარყოფენ. რუსლან ქიშმარიამ, გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ისიც კი მითხრა, ბაგრატ მესამის საფლავი აქ არასოდეს ყოფილაო(!)... რაც შეეხება ტელეკომპანია „მზის“ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას კოსმოსიდან ტაძრის ხელყოფის შესახებ, დაზუსტებით ამის თქმა შეუძლებელია. მართალია, კოსმოსიდან ტაძრის კონტურები არ ჩანდა, მაგრამ ხილვადობას ხელი შეიძლება მეტეოროლოგიურმა პირობებმაც შეუშალა...

**P.S.** ***დახმარებისთვის ისევ რიგით ლტოლვილებს (მათ ვინაობის გამხელა არ ისურვეს) მივმართეთ, რომელთაც ახლობლები ჰყავთ ოჩამჩირეში და ექსკლუზიური ინფორმაციაც მოგვაწოდეს. დაგვამშვიდეს, რომ ბედიის ტაძარიც ისევ თავის ადგილზე დგას. ოღონდ ომის წლებში გვარიანად შელანძღული, საპატრონო და მისაფერებელი. არც ტაძრის ეზო გადაუთხრია ვინმესო.***

***ღმერთმა ქნას, ასე იყოს...***

***ელენე სალარიძე***

DURA LEX SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი N36 28.06.2004

„წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაცია“ საქართველოს ხელისუფლების ყურადღებას 22 აპრილს გია ლობჟანიძისა და ვალერი კურტანიძის დაკავებისა და მათი წამების ფაქტზე ამახვილებს და საქართველოს მთავრობისგან აღიარებულ ფაქტზე რეაგირებას მოითხოვს.



# წამება ტრადიციული მიზნით

## „წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაცია“ მოძალადე პოლიციელთა დასჯას მოითხოვს

თამუნა ტაბატაძე

მომხდარის შესახებ დეტალებს აზუსტებს დაზარალებული ლობჟანიძის ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი, წამების ფაქტებს ადასტურებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი და კატეგორიულად უარყოფენ დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ჟორა სართანია და გამომძიებელი ნოდარ კაპანაძე.

ოფიციალური ვერსიით, ამ პირთა დაკავება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. დაკავებულები ქურდობაში ეჭვმიტანილნი არიან. სამართალდამცავთა განცხადებით, ქურდობა განხორციელდა სწორედ იმ სადარბაზოში, სადაც აღნიშნულ პირთა დაკავება მოხდა. თუმცა ერთ-ერთი დაზარალებულის ადვოკატის, ზურაბ როსტიაშვილის მტკიცებით, ამ პირთა დაკავება სრულიად უკანონოდ მოხდა, რადგან საქმეში რაიმე ნივთმტკიცება და იარაღი აღმოჩენილი არ არის.

დაცვის მხარეს მომხდარის საკუთარი ვერსია აქვს: 2004 წლის 22 აპრილს, დიღმის მასივის მე-5 კვარტალის ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციელებმა რუსთავში მცხოვრები 1972 წელს დაბადებული გია ლობჟანიძე და 1978 წელს დაბადებული ვალერი კურტანიძე დააკავეს. ადვოკატის მტკიცებით, შეიარაღებულმა უფორმო მამაკაცებმა ლობჟანიძე და კურტანიძე გარეთ გამოიყვანეს, სასტიკად სცემეს და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ განყოფილებაში წაიყვანეს. ამჟამად თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში მყოფი გია ლობჟანიძისა და ვალერი კურტანიძის დამცველის განცხადებით, ისინი ჯერ დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ პოლიციის მთავარ სამმართველოში სცემეს და აწამეს.

დაზარალებულთა მტკიცებით, ძალადობის მიზეზი ტრადიციული იყო – დაკავებულთაგან აღიარებითი ჩვენების მოპოვება. მას შემდეგ, რაც დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლები სასტიკი ცემით ვერაფერს გახდნენ, რადგან დაკავებულებმა აღიარებითი ჩვენება არ მისცეს, ადვოკატის ინფორმაციით, ისინი პოლიციის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს, სადაც მათზე ძალადობა გაგრძელდა. ზურაბ როსტიაშვილის ცნობით, მისი კლიენტები აცხადებენ, რომ ორივე ადგილზე მათ ელექტროდენით აწამებდნენ. კერძოდ, ყუთიდან გამოსულ ორ სადენს ცალ-ცალკე ორივე ფეხის ცერა თითებზე უერთებდნენ, რომელზეც წინასწარ წყალს ასხამდნენ. ლობჟანიძის თქმით, ამ დროს მას აკანკალებდა, გრძნობდა დაჭიმულობას მთელ სხეულსა და კუნთებში. მისი განცხადებით, სადენებს ყურებზეც ახვევდნენ, რა დროსაც განიცდიდა აუტანელ ტკივილს, მხედველობის დაბინდვას, პერიოდულად კარგავდა გონებას, ხოლო პოლიციელები ნიშადურის სპირტით ასულიერებდნენ. პოლიციელები აიძულებდნენ, დაეწერათ აღიარებითი ჩვენება და უარი ეთქვა ადვოკატზე, რასაც მოჰყვა დამატებითი გართულებები, რადგან იგი ცაციაა, ხოლო სამართალდამცველები მას მარჯვენა ხელის გამოყენებას სთხოვდნენ.

ზურაბ როსტიაშვილის ცნობით, შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში წამებისას ლობჟანიძემ ტკივილისაგან ენა მოიკვნიტა, რასაც შედეგად ენიდან ძლიერი სისხლდენა მოჰყვა და თითქმის ნახევარი ლიტრი სისხლი დაკარგა. მას ჯინსის შარვალი სისხლით დაესვარა, რომელიც გახადეს და შემდეგ გარეცხილი დაუბრუნეს, თუმცა შარვალს იქ, სადაც სისხლის ლაქები იყო, კვლავ ატყვია გამოხუნებული ადგილები. ენის მიდამოში ძლიერი ტკივილის გამო 5 დღის განმავლობაში იგი ენას ვერ ამოძრავებდა, ვერ ჭამდა და უჭირდა მეტყველება. საპყრობილეში მისთვის სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩენიათ. ადვოკატის განცხადებით, ლობჟანიძემ მეტყველების უუნარობის გამო ვერ მისცა გამამართლებელი ჩვენება, ამიტომ მომხდარის შესახებ ახსნა-განმარტება მხოლოდ ჟესტიკულაციის და მოკუმული პირით გამოცემული ბგერების მეშვეობით შეძლო.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა 27 აპრილს დაკავებულებს ექსპერტიზა ჩაუტარა. მისი დასკვნის საფუძველზე: დაკავებულებს სხეულზე აღენიშნებათ დაზიანებები, რომლებიც შესაძლოა მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით. შესაძლოა, ეს დაზიანებები დროის იმ პერიოდსა და იმ პირობებშია განვითარებული, როგორშიც ამას დაკავებულები მიუთითებენ. ნიკოლეიშვილის დასკვნის საფუძველზე, ლობჟანიძეს ზურგისა და მარცხენა წვივის მიდამოებში აღენიშნება ნაჭდევები. ენის ნაკბენი დაზიანებები მიყენებულია კბილის მოქმედებით. ლობჟანიძის სხეულზე რაიმე დაზიანება, რომელიც ელექტროდენის მოქმედებაზე მიუთითებს, შემოწმების მომენტისათვის აღარ აღენიშნა. თუმცა როგორც ნიკოლეიშვილმა განაცხადა, ლობჟანიძის მიერ მოთხრობილი ელექტროდენით წამების დეტალები და მისი შეგრძნებები ემთხვევა სინამდვილეში ელექტროდენის მოქმედებას. ექსპერტის დასკვნით, კურტანიძეს აღენიშნება ნაჭდევები იდაყვისა და ყურის ბიბილოს მიდამოში. ყურის მიდამოში არსებული დაზიანება, დამოუკიდებელი ექსპერტის აზრით, შესაძლებელია განვითარებულიყო ელექტროდენის მოქმედებით.

დასასრული მე-18 გვერდზე

# გიგა ბოკერია მინდობილობებს არ ენდობა

დავით თოდაძე

პარლამენტის წევრმა გიგა ბოკერიამ იურიდიული კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატავა გაახმოვანა. მისი განცხადებით, სულ მალე გაუქმდება ავტომანქანების მართვის უფლებაზე ჩვეულებრივი მინდობილობის გაფორმების აუცილებლობა.

საერთოდ მინდობილობა ორი სახის არსებობს: გენერალური და ჩვეულებრივი. ამ ეტაპზე უქმდება მხოლოდ ჩვეულებრივი მინდობილობები. ანუ თუ მოქალაქე გადაწყვეტს, რომ თავისი ოჯახის წევრს, ახლობელს ან სულაც მეგობარს ათხოვოს ავტომანქანა, ამის გაკეთება მას მხოლოდ ტექპასპორტისა და რა თქმა უნდა, ავტომანქანის გასაღების გადაცემით შეეძლება და არავითარი ნოტარიული დამოწმება ამას არ დასჭირდება. ძალაში რჩება გენერალური მინდობილობების პრაქტიკა, რადგან ასეთი მინდობილობით მოქალაქე სხვა პირს გადასცემს არა მარტო მართვის, არამედ ავტომობილის გაყიდვის უფლებასაც. ეს მესაკუთრის მიერ მისი ქონების განკარგვის უფლებაა და ამდენად მისი შეზღუდვა არ შეიძლება. თუმცა, გარკვეული შეზღუდვა ჩვეულებრივ მინდობილობებზე მაინც დარჩება. კერძოდ, თუ ნათხოვარი მანქანით საქართველოს საზღვრის გადაკვეთას, ცხინვალისაკენ ან სოხუმისაკენ გამგზავრებას გადაწყვეტთ, მინდობილობის გაფორმება მაინც დაგჭირდებათ და ეს ბუნებრივია, რადგან გატაცებული მანქანების უდიდესი ნაწილი სწორედ ამ მიმართულებით მიედინება და პოლიციას კონტროლის ეს მექანიზმი აუცილებლად სჭირდება.

ამ თითქოსდა მარტივ ინიციატივასაც გამოუჩნდნენ ოპონენტები, რომელთა აზრით, მინდობილობების პრაქტიკის გაუქმება გაზრდის ავტომობილების გატაცე-



ბების რაოდენობას და შექმნის რიგ სამართლებრივ კოლიზიებს. ასე მაგალითად, თუ ავტომობილი, მისი ოფიციალური მფლობელის ნებართვის გარეშე, ოჯახის რომელიმე წევრმა წაიყვანა და რაიმე ინციდენტი შეემთხვა, ასეთ შემთხვევაში ინიციატივის ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ გართულდება დამნაშავის ვინაობის დადგენა, რადგან მანქანის მფლობელი განაცხადებს, რომ მას ავტომობილი მოჰპარეს და რომ წარმოდგენა არა აქვს, ვინ მართავდა მას. თუმცა გაუგებარია, თუ რატომ არ შეიძლება იმავეს თქმა მინდობილობის არსებობის შემთხვევაში. ასეთი შემთხვევები გამოძიებამ უნდა შეისწავლოს და საქმის ჭეშმარიტება დაადგინოს.

არცთუ დამაჯერებელია იმის მტკიცება, რომ მინდობილობების გაუქმება მანქანების გატაცების რაოდენობას გაზრდის, რადგან ნებისმიერი საქმეში ჩახედული ადამიანი დაგიდასტურებთ, რომ გამტაცებლები ათასი სხვა მეთოდით სარგებლობენ და გატაცების ფაქტის დადგენა მინდობილობის არარსებობით არ ხდება.

## პრესის საჩივრების კომისია გარდიანის წინააღმდეგ

**სარჩელი:** პრესის საჩივრების კომისიამ შეისწავლა საკითხი, თუ რამდენად შეესაბამებოდა გარდიანის მიერ 2003 წლის 7 აპრილს გამოქვეყნებული მასალის მოპოვების მეთოდები კოდექსის მე-17 (**კრიმინალებისთვის თანხის გადახდა**) მუხლის მოთხოვნებს.

გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია, სათაურით *„ჩემთან შედარებით, ის დამწყები თაღლითია“*, რომელშიც ასახული იყო პატიმარ ჯონ უილიამსის დღიურის ეპიზოდები. უილიამსი ამ საპატიმრო დაწესებულებაში ლორდ ჯეფრი არჩერთან ერთად იმყოფებოდა და სტატიაში აღწერილი იყო მათი შეხვედრის დეტალები, აგრეთვე, კარცერის ყოველდღიურობა და მის მიმართ სხვა პატიმართა დამოკიდებულება.

კომისიამ შეკითხვით მიმართა რედაქციას, რათა დაედგინა, მიიღო თუ არა ავტორმა ანაზღაურება აღნიშნული პუბლიკაციისათვის. კომისიამ მოსთხოვა რედაქციას, დაესაბუთებინა საზოგადოებრივი ინტერესის ხარისხი აღნიშნული თემისადმი და თუ ანაზღაურება გაიცა, ამის აუცილებლობაც აეხსნა.

რედაქციამ კომისიას აცნობა, რომ ბატონ უილიამსს სტანდარტული ჟურნალისტური ჰონორარი გადაუხადეს, რადგან ის იყო ავტორი და თავს წერით ირჩენდა. საჯარო ინტერესთან მიმართებაში რედაქციამ განაცხადა, რომ საპატიმრო დაწესებულებაში ლორდ არჩერის ყოფნის დეტალები საზოგადოების დიდ ნაწილს აინტერესებდა, რადგან არსებობდა ბრალდებები მის მიმართ პრივილეგიური დამოკიდებულების შესახებ და ამ საკითხის გამოკვლევა, საზოგადოების ინტერესს წარმოადგენდა. რედაქციის აზრით, ჯონ უილიამსის დღიურის გამოქვეყნება იყო უნიკალური შანსი საზოგადოებისათვის, რათა მიეღო ინფორმაცია პირველწყაროდან ანუ იმ ადამიანისგან, რომელსაც უშუალო შეხება ჰქონდა ლორდ არჩერის ყოველდღიურ ყოფასთან საპატიმროში. იმავე დროს, გაზეთმა კომისიის ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ლორდმა არჩერმა გამოსცა წიგნი, რომელშიც ის საპატიმროში მისი ცხოვრების სიმძიმეს აღწერდა, ბატონ უილიამსის დღიურის გამოქვეყნება კი შედარების საშუალებას იძლეოდა. რედაქციამ პრესის საჩივრების კომისიის ყურადღება კომისიის წინა გადაწყვეტილებებსაც მიაპყრო, რომელთა თანახმად, *„პრაქტიკის კოდექსი არ არის შექმნილი იმისათვის, რომ ყველა შემთხვევაში, განურჩევლად ობიექტური ვითარებისა, სამუდამოდ აუკრძალოს გასამრჯელოს მიღება იმ პირებს, რომლებიც კრიმინალური ქმედებებისათვის იყვნენ მსჯავრდებულნი“*. რედაქცია თვლიდა, რომ მათი გამტყუნება გაზეთის საქმიანობაში ჩარევა და ბატონი უილიამსისათვის ადამიანის უფლებათა 1998 წლის აქტით მინიჭებული აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იქნებოდა.

**გადაწყვეტილება:** კომისიამ სარჩელი დააკმაყოფილა.

**მოტივაცია:** კომისიამ დაადასტურა, რომ კოდექსი არ იყო შექმნილი იმისათვის, რომ აეკრძალა რედაქციებისთვის ჰონორარის გადახდა მათთვის, ვინც ოდესმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის იყო მსჯავრდებული. კომისიამ განაცხადა, რომ კანონი ადგენს რეაბილიტაციის ნორმას და კომისიას მიაჩნია, რომ ეს ყველა ადამიანს ეხება. კოდექსი ასევე არ უკრძალავს მსჯავრდებულს, წეროს საკითხზე, რომელიც მის დანაშაულს არ უკავშირდება. უფრო მეტიც, კომისიამ განაცხადა, რომ დაუშვებელია, აეკრძალოს პირს საპატიმროებში არსებულ მდგომარეობასა და ამ სისტემაში მთავრობის პოლიტიკის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება იმის გამო, რომ ისინი თავად არიან ან ადრე ყოფილან მსჯავრდებულნი.

კომისიამ ასევე გაიზიარა გარდიანის პოზიცია საკუთრივ გაზეთისა და ბატონ უილიამსის აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

გაზეთის მიმართ კომისიის პრეტენზია იყო არა ის, რომ გაზეთმა ფული გადაუხადა პატიმარს სტატიისათვის, რომელშიც საუბარი იქნებოდა საპატიმრო ადგილებში არსებულ მდგომარეობაზე (რაც შესაძლოა, საზოგადოების ინტერესებში ყოფილიყო), არამედ ის, რომ რედაქციამ დააფინანსა ცუდი რეპუტაციის ლორდ არჩერის ოპორტუნისტული პუბლიკაცია. საგულისხმო იყო ისიც, რომ პატიმარმა სარგებელი მიიღო იმის გამო, რომ დანაშაულისათვის სასჯელს იხდიდა და მხოლოდ ამიტომ მიეცა საშუალება, თვალი ედევნებინა ლორდ არჩერის ცხოვრებისათვის საპატიმროში. კომისიის აზრით, ეს ვითარება წარმოშობდა წინააღმდეგობას კოდექსის მე-17 მუხლთან მიმართებაში.

საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობასთან დაკავშირებით კომისიამ განაცხადა, რომ სტატიაში აღწერილი დეტალები (მაგალითად: პატიმართა გაყვანა სხვა ოთახში, როდესაც ლორდი არჩერი საკანში მიჰყავდათ ან მისი კვება სხვა პატიმრებთან ერთად) არ იყო მნიშვნელოვანი და არ ასახავდა საზოგადოებისთვის საინტერესო მოვლენებს. კომისიამ მიიჩნია, რომ პუბლიკაცია უფრო სახასიათო ნარკვევი იყო, ვიდრე საინფორმაციო სტატია.

კომისიამ არ გაიზიარა რედაქციის არგუმენტი, რომ პუბლიკაცია ლორდ არჩერის იმ წიგნის საპირწონედ გამოქვეყნდა, რომელშიც ეს უკანასკნელი ციხეში თავის დუხჭირ ყოფას აღწერდა. კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აღნიშნულ წიგნში აღწერილი იყო სულ სხვა, განსაკუთრებული რეჟიმის საპატიმრო დაწესებულება. ცხადი იყო, რომ ამ დაწესებულებაში განსხვავებული პირობები იქნებოდა.

კომისიამ აღნიშნა, რომ სხვა გაზეთებში ამავე საკითხზე გამოქვეყნებულ სტატიებზე აპელირება რედაქციის მხრიდან ნათლად მეტყველებდა არა მარტო იმაზე, რომ საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა, არამედ იმაზეც, რომ შესაძლებელი იყო მასალების მოპოვება კრიმინალთათვის ფულადი ანაზღაურების გარეშე. არც ერთ სხვა გაზეთს კრიმინალებისათვის ფული არ გადაუხდია. ეს იყო დამატებითი არგუმენტი იმისა, რომ ინფორმაციის მოპოვება, კრიმინალთათვის ფულის გადახდის გარეშეც შეიძლებოდა, ხოლო არც გაზეთი და არც ბატონი უილიამსი, თავიანთ უფლებებში შეზღუდულები არ იყვნენ. ბატონ უილიამსს შეეძლო დაეწერა, ხოლო გაზეთს გამოექვეყნებინა დღიური, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

**7 აპრილი, 2003 წელი**

# კრიმინალებისთვის თანხის გადახდა



**დიდი ბრიტანეთის პრესის „პრაქტიკის კოდექსი“ შეიცავს მუხლს, რომელსაც „კრიმინალებისთვის თანხის გადახდა“ ჰქვია და შემდეგი შინაარსისაა:**

***„დაუშვებელია ამბის, სურათების ან ინფორმაციის მოპოვების სანაცვლოდ თანხის შეთავაზება ან გადახდა გასამართლებული ან დანაშაულში მხილებული კრიმინალებისთვის ან მათთან დაახლოებული პირებისთვის (რაც შეიძლება მოიცავდეს ოჯახის წევრებს, მეგობრებს, კოლეგებს), გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ინფორმაციის გამოქვეყნება აუცილებელ საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს და რისთვისაც გარდაუვალია თანხის გადახდა.“***

**აღნიშნული მუხლის საფუძველზე დიდი ბრიტანეთის პრესის საჩივრების კომისიამ არაერთი საჩივარი განიხილა. ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:**

---

# წამება ტრადიციული მიზნით

## „წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაცია“ მოქალაქე პოლიციელთა დასჯას მოითხოვს



დასასრული.
დასაწყისი მე-17 გვერდზე

დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ჟორა სართანია და გამომძიებელი ნოდარ კაპანაძე კატეგორიულად გამორიცხავენ პოლიციაში წამების ფაქტს. მათი განცხადებით, ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული დაზიანებები შესაძლოა სხვა არაფერია, თუ არა დაკავებისას წინააღმდეგობის გაწევის შედეგი.

ამჟამად გია ლობჟანიძე და ვალერი კურტანიძე წინასწარი დაკავების №5 იზოლატორში იმყოფებიან და წინასწარი დაკავების სამთვიან ვადას იხდიან. **„ლობჟანიძის და კურტანიძის წინასწარი დაკავების იზოლატორში ყოფნა ყოვლად უკანონოა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს ეყრდნობა. ეს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გავასაჩივრეთ, მაგრამ საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო კოლეგიამ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა“**, – განაცხადა ლობჟანიძის ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა, რომლის ცნობით, სისხლის სამართლის საქმე წამების ფაქტზე არ აღძრულა და არც აპირებენ მის აღძვრას. დაზარალებულის დამცველს საქმის სამართლიანად გამოძიების იმედი არა აქვს.

დაკავებულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვა, მიუკერძოებელი, სამართლიანი და საფუძვლიანი გამოძიების ჩატარება, დარღვევების გამოვლენისა და დამნაშავეთა დადგენისა და დასჯის მიზნით, – სულ ეს არის, რასაც მომხდართან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებისაგან მოელის.

ადამიანთა უფლებების დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე ლობჟანიძისა და კურტანიძის ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა იმ შემაშფოთებელ მდგომარეობაზე საუბრობს, რომელიც პოლიციის განყოფილებებსა და წინასწარი დაკავების საკნებში კვლავ პრობლემატურია და ადამიანთა წამებასა და ძალადობაში გამოიხატება. ქალბატონ ელენეს ხელთ არსებული მონაცემებით, ასეთი ფაქტების რიცხვი წინა წელთან შედარებით აბსოლუტურად არ შეცვლილა. **„№1 საპყრობილეში გადაყვანილი ყოველი 10 პატიმრიდან 4-ს სხეულის სერიოზული დაზიანებები აღენიშნება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანთა წამებისა და ძალადობის ფაქტები საკმაოდ ხშირია“**, – აცხადებს ადამიანის უფლებათა დამცველი.



სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირების სამოქალაქო მხარდაჭერა

სასამართლო რეფორმა

„ავაშენოთ ჩვენი სკოლა“

აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენები

ჩ ვ ე ნ ს ფ ო რ უ მ შ ი

WWW.ALPE.GE

# კვლევა განვითარებისათვის

საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს 28 ქალაქსა და 58 სოფელში ჩატარდა. გამოიკითხა 1500 რესპონდენტი.

## საზოგადოება და სასამართლო/იურიდიული სისტემა




შეკითხვა: რომ გქონდეთ სისხლის სამართლის სადავო საკითხი, მის გადასაწყვეტად რომელ ინსტიტუტებს მიმართავდით?




შეკითხვა: რომ გქონდეთ სამოქალაქო ხასიათის სადავო საკითხი, მის გადასაწყვეტად რომელ ინსტიტუტებს მიმართავდით?




შეკითხვა: რომ გქონდეთ ბიზნესთან დაკავშირებული სადავო საკითხი, მის გადასაწყვეტად რომელ ინსტიტუტებს მიმართავდით?

GORBI ALPE

# თუ ქრთამი მოგთხოვეს...

## იუსტიციის სამინისტრო ცხელ ხაზსა და ფხიზელ ყურს გვპირდება

გვანცა ლიპარტელიანი




თუ თქვენ მმაჩის ან მოქალაქეთა რეგისტრაციის ბიუროში ქრთამი მოგთხოვეს, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებსა ან აღსრულების სამსახურებში ციხის კედელივით გაუვალ უსამართლობას გადაეყარეთ, **დარეკეთ ტელეფონზე: 75 82 21** და ცხელი ხაზის მეშვეობით დაუპირისპირდით იმას, რასაც სახელმწიფო დაწესებულებაში კორუფცია თუ სხვა სახის კანონდარღვევა ჰქვია. ეს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზია, რომელიც ერთ-ერთი კომპონენტია იმ რეფორმისა, რასაც იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის რეორგანიზაცია ჰქვია და მოსახლეობასა და სამინისტროს შორის კომუნიკაციის ახალი





მეთოდების დანერგვას გულისხმობს.

**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ აამოქმედოს არა მარტო ცხელი ხაზი, არამედ ჰქონდეს სპეციალური კომუნიკაციის საშუალება მოსახლეობასთან. ცხელი ხაზი შესაძლოა დარჩეს შიდაუწყებრივ ტელეფონად, რომელსაც არავინ მიაქცევს ყურადღებას; ცხელი ხაზის მთავარი მიზანი არის ის, რომ სამინისტროს გენერალურ ინსპექციამდე მიაღწიოს ინფორმაციამ, იქ მოხდეს მისი დამუშავება და შესაბამისი რეაგირება სამინისტროს მხრიდან"**, – განაცხადა იუს-ტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა გენერალური ინსპექციის რეფორმის პროექტის პრეზენტაციაზე, რომელიც ამერიკის იურისტთა ასოციაციის მხარ-დაჭერით ხორციელდება.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ცხელი ხაზის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი სპეციალური ვიდეოკლიპი, პლაკატები და მოქალაქეებისთვის დაბეჭდილი საჩივრის ფორმები, რომლებიც ცხელი ხაზის ეფექტურად ამუშავებას შეუწყობენ ხელს. მინისტრი თვლის, რომ საინფორმაციო საშუალებებში ცხელი ხაზის პოპულარიზება არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ მოსახლეობა მიიღებს ინფორმაციას ასეთი სამსახურის არსებობის შესახებ და დარღვევების შემთხვევაში მათ მიეცემათ შესაძლებლობა, მიმართონ იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზს.

გიორგი პაპუაშვილის აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინსპექციის დაკომპლექტება პროფესიონალი, სპეციალურად მომზადებული კადრებით, რადგან მოქალაქეებთან ურთიერთობისას ბევრი პრობლემა არა მხოლოდ კანონის განზრახ დარღვევის გამო წარმოიშობა, არამედ მისი არცოდნის გამოც, რასაც საჯარო მოსამსახურეთა მხრიდან მოქალაქეების მიმართ ბიუროკრატიული, ანუ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ემატება.

პრეზენტაციაზე აღინიშნა ისიც, რომ პროექტი სამოდელო ხასიათს ატარებს და წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი სხვა ანალოგიური უწყებების გენერალურ ინსპექციებში „ექსპორტირება". მანამდე კი აკრიფეთ ნომერი, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ თქვენთან კომუნიკაციის დასამყარებლად გამოყო და მიაწვდინეთ ხმა მათ, ვინც რეფორმას დამნაშავის დასჯის გზით გპირდებათ.

მას[illegible]ანე

მოამზადა სოფო ბუკიამ, მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი



# მაგრატლიანი კაცის ზრახვები

ამას წინათ ერთი კაცი მისულა კიევში ერთ მჭედელთან, სადაც ახალი მაგრატლის ნიმუში მიუტანია და უთხოვია, რომ ამისთანა მაგრატელი გამიკეთეო. მჭედელს უთქვამს, სამი დღის შემდეგ შემობრძანდი და მზად იქნებაო. მოვიდა ის კაცი სამი დღის შემდეგ, მჭედელმა მისცა გამზადებული მაგრატელი და უთხრა, „თუ გიყვარდე, ერთი მითხარი რისთვის გინდა ამისთანა მაგრატელიო?“ „მხოლოდ საიდუმლოდ გეტყვიო“, უთხრა უცნობმა კაცმა და თან მიიწია იმის ყურთან და ჩაუჩურჩულა, რომ ეს მაგრატელი საათების ძეწკვების ასაჭრელად მინდაო. ცოტა ხნის შემდეგ მჭედელმა მოისტუმრა მუშტარი, შევიდა თავის ცოლთან და უამბო ეს ამბავი. უეცრად ცოლმა ჰკითხა: „შენი საათი რა უყავიო?“ მართლაც მჭედელს საათი აღარ ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ამ ქურდს მაგრატლის სიმარჯვე პირველად იმის გამჭედისათვისვე დაუმტკიცებია. მჭედელმა პოლიციას უთხრა ეს ამბავი. პოლიციის უფროსს უთქვამს მჭედელისთვის, „სულ არ მეცოდები, რატომ მაშინვე არ გვითხარი, როცა იმ კაცმა თავის განზრახვა გაგანდოო?“ ახლა კიევში თურმე ფურცლები გამოუკრავთ, სადაც იტყობინებიან მაგრატელიან კაცს ერიდეთო.

„დროება“ №11, 1872 წელი

# „მიცვალებული“ ადვოკატი დააპატიმრეს

თუმცა საზოგადოდ ადვოკატები ეხლა ნეტარებაში არიან, მაგრამ, როგორც სჩანს ხან-და-ხან მათაც უჭირთ საქმე. თურმე ამ დღეებში მოსკოვში ერთ ცნობილ და პატივცემულ ადვოკატს გასამართლება ელოდება. ამ მოსკოველ ადვოკატს თურმე ვალები დაედვა და გადახდის სახსარს კი ვერსად ვერა ხედავდა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მოიფიქრა, რომ სიკვდილს მოვიგონებო. მართლაც, ერთმა იმის

ამხანაგმა გამოაცხადა, რომ ამ და ამ ადვოკატმა ბევრ შრომას ვერ გაუძლო და ღმერთს მიაბარა სულიო. დაკრძალვის დღეც დაუნიშნავთ თურმე, ბევრი ხალხი მისულა ყვავილებით, „მიცვალებულის ცხედარი“ საფლავამდე მიუცილებიათ. ამ კაცის ამხანაგებმა, რომელთაც არა იცოდნენ რა, იმის საფლავზე ჭრელი კანონის წიგნიც გამოახატვინეს. ამ დროს ეს ჩვენი პატივცემული ადვოკატი კიევში გაპარულა თურმე და იქ არხეინად დასეირნობდა. ამ ადვოკატს კიევში ხელ-ახლივ დაუწყია თავის საქმიანობა, მაგრამ, საუბედუროდ, ერთ სხვა ადვოკატს უცვნია თურმე და მოსკოვში შეუტყობინებია. მატყუარა ადვოკატი დააპატიმრეს და კარგადაც დასჯიან თურმე...

„დროება“ №47, 1872 წელი





# ხუმრობით მკვლელობა

ქალაქ ორიოლში ერთი ახირებული მკვლელობა მოხდა: ერთხელ ერთი იქაური გლეხი და იმის ცოლი მარტო დარჩნენ თურმე სახლში; ცოლმა რაღაც თამაშობა მოიგონა და ამნაირად თავს იქცევდნენ. ამ თამაშობის დროს, ცოლმა ხუმრობით ჯერ ორივე ხელები შეუკრა ქმარს უკან და მერე აგრეთვე ხუმრობით ყელში წაუჭირა ხელი და თან გაგიჟებით კოცნიდა თურმე. მაგრამ ბოლოს ხუმრობას თავი დაანება და მართლა დაახრჩო. ოლქის სასამართლო ექიმების დამოწმებით, დარწმუნდა, რომ ამ დროს ეს ქალი სრულ ჭკუაზე არ იყო იმდენად გარდარეულად უყვარდა ქმარი, ამიტომ ეს ქალი სასჯელისგან გაათავისუფლეს.

„დროება“ №47, 1872 წელი

# კანიბალების თამაში ძვლებით

ერთს სტამბოლელ გაზეთში საშინელ ამბავს იწერებიან: ერთს სპარსეთის ქალაქში ორ დედაკაცს, შვიდი კაცის შემწეობით, სამი კაცი მოუპარავს და შეუჭამია. მთავრობას ეს ამბავი გაუსჯია და გადაუწყვეტია, რომ ეს ორი დედაკაცი ჩამოეხრჩოთ, ის კაცები კი საპყრობილეში ჩაეგდოთ და შიმშილით დაეხოცათ. ერთი კვირის შემდეგ რომ შესულან საპყრობილეში უნახავთ, რომ 5 იმათგანს ორი თავის ამხანაგი შეუსანსლავთ და ისხდნენ არხეინად და იმათი ძვლებით რაღაც უცნაურ თამაშობას თამაშობდნენ.

„დროება“ №27, 1872 წელი



ჩანართი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.

ჩანართში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და მათი შინაარსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

ასოციაცია ALPE
მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

# ამბობენ, ზღვაზე მზის ბილიკის ყურება სურვილს ასრულებსო



ლია თ.-ს დაუსრულებლად შეუძლია გაგრაში გატარებულ ბავშვობასა და ყმაწვილქალობაზე ლაპარაკი, გასახსენებელი კი, მართლაც ბევრი აქვს...

— ჩემი მშობლები 17-18 წლისანი იყვნენ, როცა დაქორწინდნენ. არდადეგები დამეწყებოდა თუ არა, გაგრაში გავრბოდი, რადგან ჩემთვის სწორედ ის სამი თვე გახლდათ უმნიშვნელოვანესი. ორივე ოჯახის პირველი შვილიშვილი მე ვიყავი და როგორც შეეძლოთ, მანებივრებდნენ.

მაშინ, როცა უბნის გოგო-ბიჭები ერთად შევიკრიბებოდით, ჩვენ შორის სულ არ იგრძნობოდა დაძაბულობა. ამაზე ლაპარაკიც კი არასოდეს ყოფილა: ეს ქართველია, ეს რუსი, ის კი — აფხაზიო. ხანდახან რუსულად ვსაუბრობდით, აფხაზურიც მესმოდა, მაგრამ უფრო ქართულად ვლაპარაკობდით.

მე გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ, რადგან „რაღაც-რაღაცებს“ ვითვალისწინებ, სახელებს კი დავტოვებ, დარწმუნებული ვარ, ვინც მე და „მას“ გვიცნობს, ვინც იცის, ან ყურმოკრული აქვს ჩვენი ამბავი — ყველა მიხვდება, ვინ ვინ არის!

ალექსანდრეს დედა, ნინა, აფხაზი იყო, ექიმი-თერაპევტი გახლდათ, ძალიან გოროზი და მკაცრი. ალექსანდრეს საოცარი რიდი ჰქონდა დედისა... დრო გადიოდა, ჩვენ ვიზრდებოდით. მეათე კლასში ვიყავი, ალექსანდრე სიყვარულში გამომიტყდა. სულ ველოდებოდი, რომ ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა, რადგან იქაური მეგობრები მეუბნებოდნენ, საშას უყვარხარო... და მიუხედავად ამისა, მაინც გამიკვირდა — სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს, ძალიან ღელავდა, როცა მელაპარაკებოდა...

მალე ყველამ გაიგო ჩვენი სიყვარულის ამბავი. საშას დედას არაფერი გამოუხატავს, თუმცა ყოველთვის ვგრძნობდი მისგან სიცივეს. სიტყვაძუნწი ქალი გახლდათ, მაგრამ ერთხელ ერთ-ერთ მეზობელთან დასცდა (ალბათ შეგნებულად თქვა, რადგან იცოდა, ის მეზობელი ჩვენი ახლობელი იყო): საშა ახალგაზრდაა, სანამ ცოლს მოიყვანს, ათას გოგოსთან გაივლის. გოგოს პატრონმა იკითხოს, თორემ მე არაფერი მაქვს სანაღვლო, თანაც ვიცი, ჩემი შვილი ქართველს არ მოიყვანს ცოლადო... მეორე დღესვე მოუტანეს ამბავი ბებიაჩემს: ასე და ასე თქვა ნინამო. გაელიმა ბებიას: მაგას კუდი ნუ აქვს გაბზეკილი, თორემ ინანებს, რადგან, როგორც ვიცი, საშას ძალიან უყვარს ჩემი შვილიშვილიო. ბებიას ეგონა, ამ დროს მეძინა, მაგრამ ყველაფერი გავიგონე. საშა ერთი წლით უფროსი იყო ჩემზე. იმ წელს ამთავრებდა სკოლას. 1977 წელი იდგა. რამდენიმე დღე აღარ შევხვედრივარ საშას, მერე თვითონ მოვიდა და გაკვირვებულმა მკითხა, — რატომ აღარ გამოდიხარ უბანშიო?

მეცადინეობაში შეგიშლი ხელს-მეთქი.

რაღაც იეჭვა და — გინდა თუ არა, მითხარი, რა გჭირსო. აღარ დავუმალე... გადაფითრდა, თუმცა არაფერი უთქვამს... მერე, ისევ ჩვეულებრივად გავაგრძელეთ ურთიერთობა. თითქმის ყოველ საღამოს გავდიოდით სანაპიროზე და დიდხანს ვუმზერდით ჩამავალი მზის ბილიკს. ორივეს გვჯეროდა, რომ „ბილიკის“ გაქრობამდე თუ სურვილს ჩავუთქვამდით, აუცილებლად აგვისრულდებოდა. ჰოდა, ვოცნებობდით დაუსრულებლად...

ჩვენი ოცნებები არ აცხადდა, ზღვაში ჩაიკარგა, მაგრამ სიყვარული დარჩა...

იმ ზაფხულს, დედამისმა საშა ოდესაში, თავის დასთან გაისტუმრა. იქ სამედიცინოზე ჩააბარა საშამ. თავდაპირველად, ხშირად მწერდა, მერე... მითხრეს, უკრაინელი გოგო შეირთო ცოლად, დედამ და დეიდამ აიძულესო...

ძალიან განვიცადე საშას დაკარგვა... 1983 წელს მეც გავთხოვდი. ზაფხულობით კვლავ ჩავდიოდი ბებოსთან. შორიდან ვიგებდი საშას ამბებს.

ორი წლის მერე შემთხვევით შევხვდით მე და საშა ერთმანეთს... მას თავისი გოგონა ჰყავდა ჩამოყვანილი, მე ჩემს შვილთან ერთად ვიყავი გაგრაში. დავიბენით ერთმანეთის დანახვაზე, თუმცა, უბრად რაღატომ უნდა ვყოფილიყავით? იქვე ჩამოვსხედით და კარგა ხანს ვისაუბრეთ. თურმე ცოლს გაშორებია, სამსახური კარგი უშოვია ოდესაში, ამიტომ არ აპირებდა გაგრაში დაბრუნებას. თუმცა, — ძლივს ამოთქვა, — თუ შენ გამომყვები, დაბრუნებაზე შეიძლება ვიფიქროო. გაკვირვება ვერ დავმალე და წავკბინე კიდეც, — დედიკოს აღარ ეკითხები? იქნებ ის ნებას არ გრთავს-მეთქი... გაჩუმება არჩია. იმ ორი კვირის მანძილზე (სანამ ორივე იქ ვიყავით) აღარ შევხვედრივართ... შემდეგ წელიწადს აღარ ჩავედი გაგრაში, მეუღლე დამეღუპა ავტოავარიაში. 1988 წელს ბებია გარდამეცვალა, ივნისის ბოლო იყო... არ ვიცი, ვინ გააგებინა საშას ბებიაჩემის სიკვდილი, სამძიმარი მითხრა, დაკრძალვას დაესწრო, მერე წავიდა, მაგრამ აგვისტოს 10-ში ისევ ჩამოვიდა... ერთ საღამოს შინ მომაკითხა. ძლვენი მოართვა ბაბუას, ცოტა ხანს ესაუბრა, მერე კი მომიბრუნდა და მითხრა, — აივანზე გავიდეთ, სალაპარაკო მაქვსო. გავყევი... კვლავ ცოლობა მთხოვა, სოხუმის საავადმყოფოში სამუშაოდ გადმოვდივარ, იქნებ ახლა მაინც იფიქრო ჩემზეო. უარით გავისტუმრე. მასზე ფიქრს მთხოვდა! განა არ იცოდა, გამუდმებით რომ მას დატრიალებდა ჩემი ფიქრი? ძალიან კარგადაც იცოდა, მაგრამ მე მაინც არ შემეძლო მასთან ერთად ყოფნა. მაშინ მეგონა, დედამისის გულს ვერასოდეს მოვიგებდი. თითქოს მიმიხვდა საშა... მოგვიანებით მეგობარი მომიგზავნა, — დედაჩემის გამო თუ იკავებს თავს, ეგ ნუღარ აფიქრებსო...

უბანი რაღაცის მოლოდინში გაისუსა, ყველას აინტერესებდა, რით დამთავრდებოდა ჩვენი ურთიერთობა. აღარ მინდოდა იქ გაჩერება. მოვკიდე ბაბუაჩემს ხელი და თბილისში დავბრუნდი.

მოგვიანებით გავიგე, რომ სოხუმის საავადმყოფოში ქვეყნის არევამდე მუშაობდა საშა. მერე კი მოსკოვში გადავიდა. ბოლო წლებში მოსკოვში ბევრმა ჩვენმა საერთო ნაცნობმა დაიდო ბინა. ერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა გამაგებინა საშას მოსკოვური ცხოვრების შესახებ: მას რუსი ქალი შეურთავს ცოლად, კვლავ გოგო გასჩენია, რომლისთვისაც ლიანა (ჩემი სახელი) დაურქმევია. ძალიან უნდოდა თურმე გაგრაში დაბრუნება, მაგრამ ისევე, როგორც ბევრი შეგნებული აფხაზი, საშაც იმეორებს: მანამ არ დავბრუნდები, სანამ ქართველებიც არ დაბრუნდებიანო...

**— საშა გიყვარდათ... მაშ რატომ უთხარით უარი, ნუთუ მარტო იმის გამო, რომ დედამისს არ სურდა ქართველი რძალი?**

— მთავარი მიზეზი მართლაც ეს იყო, თანაც არ მინდოდა, ჩემს ვაჟს მამინაცვალი ჰყოლოდა, არადა ვიცი, საშა ჩემს შვილს არაფერს მოაკლებდა. გარდა ამისა, დღემდე გული მტკივა, რომ პირველმა მან თქვა ჩემზე უარი, წავიდა ოდესაში და ცოლიც შეირთო.

**— შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული.**

— შეცდომა არ ერქვა იმას, რაც საშამ ჩაიდინა. ეს იყო შეგნებულად გადადგმული ნაბიჯი, ახლობლების საამებლად გაკეთებული. რაც შეეხება მიტევებას, მე კარგა ხანია ვაპატიე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასთან საუბარსაც ვერ შევძლებდი. მისი ცოლობა კი, უბრალოდ, არ შემიძლია.

**— მეუღლე გიყვარდათ, ალბათ!**

— რა თქმა უნდა. ის ხომ ჩემი შვილის მამა იყო.

**— მას მერე საშა არ გინახავთ?**

— არა. ამ რამდენიმე თვის წინ დედამისი გარდაიცვალა. მინდოდა სამძიმარზე ჩასვლა, მაგრამ დედაჩემმა მირჩია, არ წავსულიყავი. არ ვიცი, რამდენად სწორად მოვიქეცი, ალბათ მაინც ჯობდა, რომ როგორმე მომეხერხებინა იქ ჩასვლა.

**— საშას რომ კვლავ ეთხოვა თქვენთვის ცოლობა, რას იზამდით?**

ლია დაფიქრდა, მერე კი მითხრა:

— ძნელია ამაზე პასუხის გაცემა, თუმცა ალბათ ველარ ვეტყოდი უარს, მაგრამ ესეც ბედისწერაა, რომ მე არ წავედი. თანაც საშას ხომ ცოლ-შვილი ჰყავს...

**— თქვენი სურვილი?**

— — ჩემი სურვილი — ბებია-ბაბუის სახლის დაბრუნებაა. სხვათა შორის, არც დაუწვავთ, არც დანგრეულა. ახლა სხვები ცხოვრობენ, აფხაზები... იმედი მაქვს, რომ აფხაზეთი აუცილებლად დაგვიბრუნდება. იქნებ სასწაულიც მოხდეს და... მზის ბილიკის ყურებისას ჩათქმული სურვილი ამიხდეს...

***მარინა ბაბუნაშვილი***

ჩვენი გვერდი

# მის დაკარგვას ვერ გადავიტან...

„44 წლის ქალი ვარ. ოცი წლიდან მიყვარდა ერთი ბიჭი — ლამაზი, ახოვანი, მაგრამ იმდენ გოგოს უყვარდა, რომ ჩემს გრძნობას ვერ ვამჟღავნებდი. როცა მან ცოლი მოიყვანა, ოჯახის შექმნაზე აღარც მიფიქრია. ჩემი ცხოვრების არსი სკოლა და მოსწავლეები გახდა. გავიდა 22 წელი. ამდენი ხნის მანძილზე არ მინახავს, ამ ორი წლის წინ კი, წყალტუბოში ახლობლის დაკრძალვაზე შემთხვევით შევეყარე. მოტეხილი და მობერებული მეჩვენა. თბილად შემხვდა — ჩვენ ხომ სკოლელები ვიყავით. მე კი მის დანახვაზე ელეთმელეთი მომივიდა. მიამბო თავისი ამბავი — პირველ ცოლს მალე გაშორებია, მასთან ერთი გოგონა ჰყოლია, მეორესთან — ვაჟი გასჩენია. რვა წლის შემდეგ ავტოავარიაში მოხვედრილა და მარცხენა ფეხი მოუკვეთავთ. ინვალიდს აღარ გასჩერებია ცოლი. დარდით გალოთებულა. ამის გამო საავადმყოფოში დაუწვენიათ... ახლა უმუშევარი ვარ, და და სიძე რომ არ მეხმარებოდნენ, შიმშილით მოვკვდებოდიო... ვუყურებდი თვალებში მას და გული მიკვნესოდა: ნუთუ, ესაა ის კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ისე მიყვარდა და რომლის გამოც გაუთხოვარი დავრჩი-მეთქი. გარეგნობა წლებს და დარდს წაეღო, ხასიათიც აღარ უჩანდა ისეთი მტკიცე და ურყევი, მაგრამ ვიგრძენი, რომ კვლავ მიყვარდა. მომინდა, გულახდილად მეთქვა ყველაფერი... გაოცებული მისმენდა... ერთად დავბრუნდით თბილისში. მას შემდეგ ჩვენი ურთიერთობა გამყარდა, თუმცა მეგობრულს არ გასცილებია. არადა, მინდა ჩემ გვერდით იყოს, მასზე ვზრუნავდე, ვუვლიდე... ამას წინათ ფილტვების ანთება გაურთულდა და ლოგინად ჩავარდა. დღეში სამჯერ მივდიოდი და ნემსებს ვუკეთებდი. ბოლოს, მოთმინების ძაფი გამიწყდა და ვუთხარი: ან შენ გადმოდი ჩემთან, ან მე გადმოვალ, აღარ შემიძლია ცალ-ცალკე ყოფნა-მეთქი. დანაღვლიანდა. ბოლოს, სევდიანად მითხრა: მე ახლა იმ მდგომარეობაში ვარ, ბედნიერებას ვერ მოგანიჭებ. მიყვარხარ და ამიტომ შენგან შორს უნდა ვიყოო. ატირებული წამოვედი იქიდან... ერთი თვის მერე დამირეკა. კვლავ თბილად შევხვდი, რადგან მივხვდი, მის ხელმეორედ დაკარგვას ვერ გადავიტან. ვგრძნობ, მასაც არ შეუძლია ჩემ გარეშე...

მირჩიეთ, როგორ მოვიქცე. ნუ გაგეღიმებათ — რა დროს ამის სიყვარულიაო. მერწმუნეთ, ცხოვრება სწორედ 40 წლის მერე იწყება.

***თქვენი ერთგული მკითხველი ლია თ.“***



# სატენიანი თევზი

1 კგ თევზი გაწმინდეთ, ბასრი დანით ამოჭერით ზურგის ნაწილი მთელ სიგრძეზე, მსხვილად დაჭერით, გამოაცალეთ ძვლები და შიგნეული ისე, რომ ნაჭრებმა ფორმა არ დაკარგოს.

ზურგის ანათალი, 1 თავი ხახვი, 50 გ დამბალი და გაწურული თეთრი პური გაატარეთ ხორცსაკეპში, შეაზილეთ 1 ცალი კვერცხი, მარილი, წიწაკა და ცოტა ზეთი.

გამოტენეთ თევზის ნაჭრები მზა მასით. ქვაბში ჩააწყვეთ თხლად დაჭრილი 1 თავი სტაფილო და 1 პატარა თავი ჭარხალი, ბოსტნეულზე ფრთხილად დაალაგეთ თევზი და დაასხით იმდენი წყალი, რომ დაიფაროს. ჩაუმატეთ მარილი და წიწაკა — გემოვნებით. ადუღეთ თავლია ძალიან ნელ ცეცხლზე ნახევარი საათი. მზა კერძი ამოალაგეთ თხელ ლანგარზე, მოასხით გაწურული ბულიონი, მორთეთ სტაფილოს ნაჭრებით და რომელიმე მწვანილით.

# ბექჰემმა დამიღუპა ოჯახი...

*მეგობარს დავურეკე. ყურმილი მისმა ქმარმა აიღო — შენს დაქალს არ სცალია, ესპანეთს „ბალელშჩიკობსო“. უცებ ვერ გავიგე, რას გულისხმობდა. თურმე ჩემი მეგობარი ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატს ადევნებდა თვალს, რომელიც „დაუვსო“ კიდეც ფეხბურთის ტრფიალმა. ესპანელების მოულოდნელი მარცხის გამო გვარიანი თანხა წააგო ტოტალიზატორში. ორიოდე დღის წინ ფეხბურთზე „გადარეული“ ორი მშვენიერი ქალის საუბარს ვუსმენდი. არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ფაქტია, ქალები უკვე არა მარტო ჩაცმის სტილით და ცხოვრების წესით, ფეხბურთის სიყვარულითაც ემსგავსებიან მამაკაცებს. მეტიც, „უჯოკრავენ“ კიდეც.*

**მერაბი (42 წლის):** — ფეხბურთის მაგარი ფანი ვიყავი. ტოტალიზატორშიც მაგრად მიმართლებდა, მაგრამ ეშმაკმა დედა კინაღამ მიტირა. მოგებით გათამამებული ფსონების და თანხების რაოდენობას თანდათან ვზრდიდი. რაც მეტ გაბედულებას ვიჩენდი, მით უფრო მეცარებოდა ხელი. ძმაკაცებმა მიშველეს. ფეხბურთზე სიტყვის თქმის უფლებასაც არ მაძლევდნენ. განვიკურნე, მაგრამ რა, ცოლი, რომელიც კინაღამ გამცილდა ამ უბედურების გამო, თვითონ დაავადდა ფეხბურთით და ტოტალიზატორით. ბექჰემის ტრფიალით ფეხბურთის მოყვარული გახდა. მერე მასაც შეუჩნდა ეშმაკი, ტოტალიზატორში მივიდა და სულ აგებს, თუმცა, ევროპის ჩემპიონატზე ჩეხებზე მაგრად გაუმართლა. იტალიელებზე კი უმტყუნა ბედმა და ახლა გლოვობს. ეჰ, ბექჰემმა დამიღუპა ოჯახი...



**ნატა (28 წლის):** — ქალების უმრავლესობას ფეხბურთი იმდენად არ უყვარს, რამდენადაც ფულის მოგების სურვილი ამოძრავებს. წელს მაინც გადაირივნენ ქალები. ტოტალიზატორებში მგონი, ეგენი უფრო მეტნი არიან, ვიდრე მამაკაცები. ჩემს მეზობლად ორი და ცხოვრობს და უნდა ნახოთ, რა დღეში არიან ფეხბურთის ყურებისას, თანაც სახლში კი არა, ტოტალიზატორებში და კაცებივით იგინებიან, შინ გვიან ბრუნდებიან, მეორე დღეს კი გამწარებულები არჩევენ მატჩებს. რაც ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, გადაგვარდნენ.

**ნინიკო (23 წლის):** — ჩემს დაქალებს კედლებზე მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების უზარმაზარი პლაკატები აქვთ გამოჭიმული. ერთ-ერთმა ლამის კერპად გაიხადა რობერტო ბაჯო და პაოლო მალდინი. ტოტალიზატორების ბუმმა ეგენიც დააინტერესა. ყავასა და ბანქოზე მკითხაობენ საფეხბურთო გუნდების წაგება-მოგებას. მერე კი გარბიან და ფსონს დებენ. მხოლოდ ერთხელ მოეცარათ ხელი, მაგათ რომ ჰკითხო, მკითხაობა შველით, სინამდვილეში იმდენად კარგად ერკვევიან ფეხბურთში, რომ ცოდნის და ინტუიციის წყალობით აკეთებენ სწორ გათვლებს. ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, ნეტავ რას დაეძებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელებს უცხოეთში, როცა აქ ჩემი დაქალების სახით შესანიშნავი კანდიდატურები ჰყავს-მეთქი. თაკოც და მანოც მაგარი მწვრთნელები იქნებოდნენ. ისე, მგონი, ქალი მწვრთნელი ურიგო არ უნდა იყოს. სხვანაირად მოუსმენენ და დაუჯერებენ ჩვენი ბიჭები.

**თემური (37 წლის):** — ქალებმა აშკარად გვაჯობეს ფეხბურთის გულშემატკივრობაში, თანაც რაღაც უცნაური ალღოთი ხვდებიან თამაშების მოსალოდნელ შედეგებს. ტოტალიზატორში ფსონს ვდებდი, ძმაკაცის ცოლმა მითხრა, — შენი ვარაუდი არ გაამართლებს. მოდი, ეგ თანხა შუაზე გაყავი, მეორე ვარიანტი ჩემი რჩევით შეადგინე და ფული ამაზეც დადე, აუცილებლად მოიგებო. არ დავუჯერე — რა ესმის-მეთქი. ნეტავ დამეჯერებინა, ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ჩემი ძმაკაცის ცოლის პროგნოზი გამართლდა.

**ლაშა (21 წლის):** — ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატმა ერთი მაგარი გოგო გამაცნო. ტოტალიზატორში ერთად ვუყურებთ ხოლმე ფეხბურთს. მაგარი ფანია ინგლისის, მე იტალიის ფანი ვიყავი, მაგრამ იმდენი მელაპარაკა ინგლისელი ფეხბურთელების ღირსებებზე, რომ ალბიონელებიც შემაყვარა და თავისი თავიც. ახლა ის საღამოობით ფეხბურთის საყურებლად და ფულის მოსაგებად დადის ტოტალიზატორში. მე კი ფეხბურთი სულ აღარ მადარდებს და მხოლოდ ლიკასთან შესახვედრად მივდივარ.

**ნინო (40 წლის):** — ვინც ეგ ფეხბურთი მოიგონა, იმას დაედოს ჩემი ცოდო. მთელი დღის ნაშრომ-ნაწვალები, შინაც ვერ ვისვენებ. დილის 4 საათამდე ტელევიზორი გუგუნებს. მეორე დღეს ლოთივით გაბრუებული მოვდივარ სამსახურში. ეს თამაში 4 წელიწადში ერთხელ არისო, — მამშვიდებს ქმარი. თვითონ რა ენაღვლება, დღისით დაიძინებს. მე კი ჩემი მემართება, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს?

***ეკა ლომიძე***

CMYK

*„ტელე-იმედის“ საკვირაო გადაცემა „დროება-ში“ ნანახმა კადრებმა ფერეიდნელ ქართველთა შესახებ ტელემაყურებელთა უმრავლესობის მსგავსად შოკი, ცრემლი და ტკივილი მომგვარა. დიდხანს ვფიქრობდი იმ ადამიანზე, რომელმაც არა მარტო საკუთარი, არამედ წინაპართა ოცნებაც აიხდინა — საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ სამოთხეში მოხვედრის იმედი გაუცრუვდა, ცხოვრებამაც ხელმოცარულ კაცად აქცია და დღეს სამშობლოში დაუცველი, დანარჩენი ქართველებივით გაჭირვებული, ხსნის გზას ისევ ირანისკენ დაადგა. ასე მგონია, ჩვენი დიდი წინაპრები საფლავში გადაბრუნდებოდნენ, ეს რომ ენახათ. ვერასოდეს დავივიწყებ ვერც იმ ბექას სახეს, რომელიც სულ პატარა ჩამოუყვანიათ ფერეიდნიდან, ახლა კი ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი სევდიანად მისჩერებია ფოტოს, რომელზეც ფერეიდნის ხრიოკი მთებია გამოსახული და ოთხი საუკუნის წინ გადასახლებულ ქართველთა ძვლები განისვენებს. ბექას თვალებში უკვე იგრძნობა ფერეიდნის ნოსტალგია. თითქოს იქ არის მისი ნამდვილი სამშობლო. არადა იქ, შორეულ ფერეიდანში ქართველები კვლავ ოცნებობენ საქართველოში დაბრუნებაზე. ორი მათგანი თაკარა მზის ქვეშ გაშლილ ტრამალებზე დღესაც ფეხით მოდის სამშობლოსაკენ. ისინი ზუსტად 40 დღეში იხილავენ „აღთქმულ ქვეყანას“, არ იციან, როგორ შეეყრება მათი ქვეყანა, მაგრამ მაინც მოდიან ცისარტყელას სხივებში „განბანილნი“. გთავაზობთ ინტერვიუს „დროების“ კორესპონდენტ* ***მაია ასათიანთან****, რომელიც ჯერ ისევ ფერეიდნული განცდების ტყვეობაშია.*

# მათთან ურთიერთობისას მიხვდები, რას ნიშნავს ქართველობა



## ჰგონიათ, რომ ჯვარი საქართველოა, სალოცავად კი... მეჩეთში დადიან

— 8 დღის განმავლობაში ვიმყოფებოდი ირანში. იქაური წეს-ჩვეულებებით ძალიან დავითრგუნე. მე და ოპერატორი სკამის დანახვას ვნატრობდით. უავეჯო სახლებში მხოლოდ ხალიჩებია მოფენილი. პირველ ღამეს, როცა იატაკზე გაშლილ ფარდაგზე ფერეიდნელი ქალების გვერდით ვიწექი, ვფიქრობდი, რომ ეს არასოდეს დამავიწყდებოდა. ირანი ძალიან მძიმე ქვეყანაა, მაგრამ რაც ვნახე და განვიცადე, ღირდა წვალებად, რომ იგი მაყურებლამდე მიმეტანა. ქართველებისთვის ქართველების სიტყვა მიმეწვდინა.

— **გაგვაოგნა ცისარტყელას ამბავმა, ნუთუ მართლა სჯერათ, რომ მის ქვეშ გაძრომა საკმარისია საქართველოში დასაბრუნებლად?**

— ირანში წვიმა იშვიათობაა, ცისარტყელას გამოჩენა კი — სასწაული, ამიტომაც გააიგივეს ამ სასწაულთან სამშობლოში დაბრუნების სირთულე. თუ უდაბნოში ცისარტყელას ქვეშ გაძრომა შეიძლება, მაშინ საქართველოში ჩამოსვლაც შესაძლებელიაო — ირწმუნეს ოდითგანვე. მაგრამ რა, კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებაზე, „გაძვრა ცისარტყელაში“, ოცნებაც აიხდინა. აქ ჩამოვიდა და იმის მაგივრად, რომ მოვფერებოდით, თათარი დავუძახეთ... ჩემი აზრით, რაღაც ძირფესვიანად გვაქვს შესაცვლელი ცნობიერებაში. სიკეთითა და კაცთმოყვარეობით სახელგანთქმულები ზოგჯერ უაზროდ ღვარძლიანები ვართ. ეს მტკივა და მეშინია იმ ბიჭების გამო, ახლა თაკარა სიცხეში რომ მოეშურებიან საქართველოსკენ. ვთხოვე, ახლა ნუ წახვალთ, სიგრილეში წადით-მეთქი. არა, ასე უფრო ტკბილი იქნება სამშობლოსთან შეხვედრაო. ისინი საოცარი ქართველები არიან. ღვინის სმა ეკრძალებათ და შუაგულ ირანში, იქ, სადაც ბალახიც ძლივს ხარობს, ვაზს ახარებენ. ისინი ორთოდოქსი მუსლიმანები არიან. წუხან, ჩვენი წინაპრების სჯული აღარ გვაქვს, კულტურას და ადათს ვკარგავთ. ერთადერთი, რაც არ დაგვიკარგავს, მშობლიური ენააო. ამის თქმა იქ გილიოტინაზე ნებით ასვლის ტოლფასია.

— **არ გაგიჭირდათ მძიმე სამოსის ტარება?**

— სიტყვით ვერ გადმოგცემთ, რას განვიცდიდი. მეჩეთში უნდა შევსულიყავით გადასაღებად. მძღოლი მანქანიდან გადავიდა, ქალის წინდები მიყიდა და მითხრა, ხელებზე ჩაიცვიო. გავოგნდი, რატომ-მეთქი. მეჩეთში ხორცი თითქმის არ უნდა გიჩანდესო. სერიოზული კომპლექსი გამიჩნდა იქ ყოფნისას. იმ მძიმე ქვეყანაში ჩემთვის ღვთის სასწაული იყო ქრისტიანული ეკლესიის დანახვა... იგი მიტოვებული და გაპარტახებული იყო, მაგრამ მაინც ჯვრიანი. მაჰმადიანთა სამყაროს შუაგულში ჯვარი რომ დავინახე, სიზმარში მეგონა თავი. არც მე და არც ოპერატორი ეკლესიურები არა ვართ, მაგრამ ჯვრის დანახვისას ბუნებრივად დავვარდით მუხლებზე და თაყვანი ვეცით. როცა ეკლესიას მივეახლეთ, ასე გვეგონა, სამშობლოს მოვკიდეთ ხელი, მაშინ სხვაგვარად შევიგრძენით სამშობლოს სიყვარული.

— **როგორ მოხდა, ჯვარი რომ დატოვეს ირანელებმა?**

— ირგვლივ სომხები ცხოვრობენ და მათ მოახერხეს ამის შენარჩუნება. სამწუხაროდ, იქ ქრისტიანი ქართველები აღარ არიან. თუმცა, იქაური ქართველები, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მტკიცე მუსლიმანებად და კანონმორჩილებად ითვლებიან, ყველაზე უკეთ იცავენ იქაურ ადათ-წესებს, ვენახებსაც ძველებურად უვლიან. ეტყობა, გენეტიკური კოდი თავისას შვრება. ქართულ ენას „დედას ენას“ ეძახიან, რადგან მას დედა ასწავლის. ფერეიდანში ერთმანეთთან სულ ქართულად ლაპარაკობენ. პურზე ჯვარს სახავენ და ჰგონიათ, რომ ჯვარი საქართველოა, სალოცავად კი... მეჩეთში დადიან.

— **ქართველი შაჰიდების შესახებ რას გვეტყვით?**

— შაჰიდი თავდადებულს ნიშნავს. შაჰიდები ირან-ერაყის ომში იბრძოდნენ და ირანისთვის დადეს თავი. მათ საფლავებთან, შორეული ისტორია ცოცხლდებოდა და გონებაში ზარივით რეკდა სიტყვები: „სულ სხვის ომებს ვეწირებოდით“ და... დღესაც ვეწირებით. ალავერდიხანი უნდილაძე გამახსენდა, ქართველთა მზეთუნახავების ბედი წარმოვიდგინე ირანელი შაჰების ჰარამხანაში და ბოლმა შემომაწვა. როცა შაჰ-აბასის საფლავი ვნახე, ნიშნისმოგებით გავიფიქრე, — სისხლისმსმელო, შენ თითქმის აღარავის ახსოვხარ. შენგან გაუბედურებული ქართველთა შთამომავალნი კი სამშობლოში ბრუნდებიან.

— **მაია, ალბათ უმძიმეს რეჟიმში გიწევდათ მუშაობა იმის გამოც, რომ ქალი ხართ...**

— რა თქმა უნდა. ისლამური დამოძღვრის სამინისტროს ნებართვის გარეშე იქ ვერაფერს გავაკეთებდით. პატარა ვიყავი, როცა გურამ პატარაიას ფილმი „შორია გურჯისტანამდე“ ვნახე. იქიდან მოყოლებული, სულ ვოცნებობდი ფერეიდანში წასვლაზე. ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ამისრულდა.

— **იქაურებისთვის რას ნიშნავს გურჯობა?**

— გურჯობა ფერეიდნელი ქართველებისთვის მძიმე ტვირთიც არის და დიდი ბედნიერებაც. ზოგს წარმოდგენაც კი არ აქვს, რას ნიშნავს გურჯობა. მაგრამ იცის, რომ გურჯია და გაუთვითცნობიერებელი სიამაყით წარმოთქვამს ამას. ფერეიდნელ ქართველებს ჩვენი იქ ყოფნის დროს ლაზეთიდან მოუვიდათ სიყვარულით აღსავსე წერილი. წერდნენ — ჩვენც ქართველები ვართ, იქნებ ურთიერთობა გავაბათ ერთმანეთთანო. უნდა გვახსოვდეს, რომ იქ, შუაგულ ირანში ცხოვრობს ხალხი, და რომ მათთან ურთიერთობისას მიხვდები, რას ნიშნავს ქართველობა. მათ ფოტოებში ნანახი ესკიზების მიხედვით შეიკერეს ჩოხები და „სულიკოს“ სიმღერის დროს გულზე ისე უდევთ მარჯვენა, თითქოს საქართველოს ჰიმნს მღერიანო, თუმცა ამ ჩოხებით ქუჩაში გამოსვლა ეკრძალებათ.

— **გასაოცარია საიდის ქართული სკოლა. იქ სპარსულთან ერთად ქართულსაც სწავლობენ...**

— როცა სპარსულ სკოლებში არდადეგები იწყება, ქართულ სკოლაში მიდიან ბავშვები... საიდი ცნობილი პიროვნებაა ირანში. იგი ყველა ქართველ ბავშვს ასწავლის მშობლიურ ენას. თუმცა, არასდროს ყოფილა საქართველოში. მისი შეგირდებივით ტკბილად ნათქვამი „აი ია“ არასდროს მომისმენია.

— **საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ თუ იციან რამე?**

— თითქმის ყველაფერი. ცდილობენ უყურონ ქართულ ტელეგადაცემებს. რამდენიმე ოჯახში კედელზე სტალინის, გამსახურდიას, შევარდნაძის და სააკაშვილის ფოტოები ვნახეთ. მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვის რა შეეშალა, ამბობენ, ჩვენთვის მთავარია, ყველა მათგანი რომ ქართველია და ყველა იცნობსო. ძალიან უყვართ ქართველი ფეხბურთელი ჯაბა მუჯირი, რომელიც ირანის გუნდში თამაშობს. სენსაცია მოვახდინეთ ირანში. ქალს სტადიონის ტრიბუნებზეც ეკრძალება შესვლა. მე კი დამოძღვრის სამინისტროსგან ნებართვა მივიღე და ფეხბურთის მატჩს დავესწარი. მერე ჯაბა სტადიონზე ჩავიყვანე, იქ ჩავწერე. ამაზე ერთი ამბავი ატყდა და იქაური ტელევიზიითაც კი გადასცეს — ირანის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა, ქალი სტადიონის მინდორზე ჩავიდაო. იქ ქალთან ხელის ჩამორთმევაც კი არ შეიძლება. თუმცა, ქართველები ამ წესს არღვევდნენ იმის აღსანიშნავად, ჩვენ ირანელები არა ვართო და ხელს მხურვალედ მართმევდნენ დიდი სიყვარულის ნიშნად.

# „რა დროს ომია, ხალხო!..“



*ცნობილი მსახიობი მერაბ ნინიძე ახალ ამპლუაში მოევლინება მაყურებელს. „რა დროს ომია, ხალხო!..“ — ასე ჰქვია სიმღერას, რომელსაც მსახიობი წარმოადგენს ტექსტისა და მუსიკის ავტორთან, სარდაფის თეატრის მსახიობ კახა აბუაშვილთან ერთად. ქვეყანაში კვლავ დაძაბული და ფეთქებადსაშიში სიტუაციის ფონზე ახალი სიმღერა საზოგადოებამ მიმდინარე მოვლენებზე გამოხმაურებად მიიღო, თუმცა, სიმღერა სხვაგვარად დაბადებულა. ამის შესახებ* ***კახა აბუაშვილი****, მეტსახელად „კაბუ“ მოგვითხრობს.*

— „რა დროს ომია, ხალხო!..“ ერთი წლის წინ ჯერ ლექსად გაჩნდა, შემდეგ კი სიმღერად ვაქციე. ეს გულიდან წამოსული გრძნობაა, რომელიც ეძღვნება ბავშვებს და გლობალურ პრობლემებს. კლიპში სიმღერის ტექსტის ნაწილს ვკითხულობთ მე და მერაბ ნინიძე, მღერიან ჯაზბენდის ბავშვები. ვიჯექი ჩემს სამუშაო ოთახში, ვფიქრობდი ცხოვრებაზე, ჩემს შვილზე. მაშინ ერთი მყავდა, ერთი წლის იყო. ახლა ორი მყავს. უფროსი ორი წლისაა, უმცროსი — 3 თვის. წარმოვიდგინე, რა ელის კაცობრიობას, თუ კაენის დროიდან დაწყებული კაცთა კვლა ისევ უსასრულოდ გაგრძელდება. თუ ცივილიზებული ადამიანები ვართ, კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი ცარიელ, უაზრო ცნებებად არ უნდა ვაქციოთ.

— **როგორც ვიცი, ომში თავადაც იბრძოდით.**

— სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე, აფხაზეთში სიტუაცია რომ აირია, აკადემიური ავიღე და ომში წავედი. არც მინდა იმ დროზე ლაპარაკი... ომიდან დაბრუნებულმა ჩემი ადგილი ვერსად ვიპოვე და სულიერი სიმშვიდისთვის მონასტერს მივაშურე... მერე ისევ ჩვეულებრივ ყოფას დავუბრუნდი და კინაღამ გზას ავცდი...

— **ალბათ დიდი იყო ცდუნება, გზიდან გადაგეხვიათ. ჩვენი თაობის ნაწილი ხომ „დაკარგულ თაობად“ იქცა.**

— ალბათ ასეც მოხდებოდა, რომ არა დუტა, გია გოგიაშვილი და ლევან წულაძე. ბატონმა ლევანმა ხელი მომკიდა, როგორც გზააბნეულს, შთამაგონა, რომ მომავლის რწმენა არ უნდა დამეკარგა. ახლა ამ სიტყვებს სიამაყით ვამბობ, რადგან ლევან წულაძემ ერთი კახა აბუაშვილი კი არ გადაარჩინა, არამედ იმედი, რომელსაც მე სხვებს გადავცემ.

— **თქვენი სიმღერა, საუბრის ტონი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ცხოვრებამ დაგღალათ.**

— რა თქმა უნდა, დამღალა, ისევე როგორც თითქმის მთელი ჩვენი თაობა... ბევრმა ვერ გაუძლო ამ დარტყმას, აირია ცხოვრება. აღარ მინდა იგივე განმეორდეს. ახლა მარტო აღარ ვარ, შვილები მყავს. უკვე ყველაფერი მათთვის მინდა და... რა დროს ომია, ხალხო!.. გაიღიმეთ, ღიმილმა და სიყვარულმა გაგვათბოს.

— **თქვენ და მერაბ ნინიძე პარტნიორები ხართ სპექტაკლში „ვენეციელი ვაჭარი“. კლიპში ერთად როგორ მოხვდით?**

— მერაბი შარშან რომ ჩამოვიდა, მითხრა, რეპს მეც ვუსმენო. გამიხარდა, ჩემი სიმღერები მოვასმენინე, მათ შორის ესეც — „რა დროს ომია, ხალხო!..“ მოეწონა. შევთავაზე, ერთად ხომ არ ჩაგვეწერა-მეთქი. რატომაც არაო — მითხრა და ჩავწერეთ სიმღერა. მერე მერაბი ისე წავიდა, კლიპის გადაღება ვერ მოვასწარით. ამჯერად ეს საქმე ბოლომდე მივიყვანეთ.

— **გარემოებათა გამო, „რა დროს ომია, ხალხო!..“ დროულად გამოვიდა, თითქოს საგანგებოდ შეიქმნა.**

— ალბათ ასეცაა. ომმა დიდი ტკივილი დატოვა ჩემში, სხვებშიც. როგორც არ უნდა უმკურნალო ამ ტკივილებს, ბოლომდე ვერ მოაშუშებ. საბედნიეროდ, ღვთისა და კეთილი ადამიანების წყალობით, ჩემში ტკივილი ლექსებად და მუსიკად იქცა. მე არაფერს ვქმნი განსაკუთრებულს, შეიძლება უბრალოდ ჩემს ჭიას ვახარებ, მაგრამ მინდა ხალხმა იფიქროს, რომ აგრესიაში სიკეთე არ არის, არც ბოროტებასთან ბოროტებით ბრძოლას აქვს აზრი. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ჩვენი გადარჩენა.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***




CMYK

## ორშაბათი 28 ივნისი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 სერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" (სევილია) 15.20 სერიალი „რვაფეხა-5" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 16.20 დოკ. ფილმი „ტანგო" 17.05 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 17.25 „ჩემი მშვენიერი ლედი" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 1-ლი ს. 18.45 „ევრო-2004" (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „გაალეთ პოლიცია-2" (12)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 პალიტრა 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „ძაღლი კეგლის თამაშისას" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „კვინი ჩრდილოეთიდან" (U) 15.20 სერიალი „სასწრაფო" 16.25 სერიალი „მაშველები" 17.25 პერეკრესტოკი 18.20 „ტელელიპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „უკვდავი" 23.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი 3". მთ. რ-ში: მელ გიბსონი (U). 02.30 მხ. ფილმი „წვიმის კაცი". მთ. რ-ში: დ. ჰოფმანი, ტომ კრუზი (18).

18.00 მინისერიალი „ბაბაბალი" 1-ლი ს. 18.55 დოკ. ფილმი 21.50 დოკ. ფილმი 22.30 მხ. ფილმი „სადილი 13 კაცზე" (12)

07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.20, 13.15, 16.40, 17.20, 01.35 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.00 დროება 11.30 სპ. პროგრამა „ასი" 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 01.05 ტვ-მარკეტი 14.05 თამაში „უდაბნოს სამჭედლოები" 15.15 ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.45 ქრონიკა 17.30 ლუდი „ალუდას" ნამა-ხალისხებელი გათამაშება 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30 „ვაკაჭი-ნიუსი" 23.00 მხ. ფილმი „შეუპოვარი" (ივ მონტანი) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.10, 20.50 მინისერიალი „კლეოპატრა" 12.00, 15.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „კოდი კოპერნიკი" 13.10 მხ. ფილმი „აფეთქება წარსულიდან" (U) (ბ. ფრეიზერი) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.10 სერიალი „დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „არგაი" 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 „მზერა დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი „ეშმაკის ყური" (18)

12.00 ინდ. მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 18.00 სერიალი „მილედი" 1-ლი ს. 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 „საქმე და ეკონომიკა"

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო," "РТР Планета -ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.15 ექიმი გვირჩევს 14.15 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი" "РТР Планета -ს" პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.30 ჩემი თანატოლები 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 „ვესტი" 21.30 ინდ. ფილმი „სურვილი" (15) 00.00 "РТР Планета -ს" პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 პროფათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო"

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „იტალიური სამუშაო" (მ. უორკბერგი) (12) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „უარესი რა უნდა იყოს" (ვ. პარკ-ლსონი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „გაზის დამტარებელი" (პირს ბროსნანი) (18)

08.30, 01.10 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 სათავგადასავლო ფილმი „ოქროს კულულები" 10.30 „სტარტი" 10.45 კომედია „სასწაულებრივი გარდასახვა" 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 ისტორიული ფილმი „სიცოცხლე და მეტი არაფერი" 14.55 მუსიკა 15.00 კომედია „შესანიშნავი" 16.45 მულტფილმი „ციური ჯარისკაცები" 18.05 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 19.00 დოკუმენტური ფილმი 19.50 მუსიკა 20.15 „სტარტი" 21.00 თრილერი „სისხლიანი სპორტი" 23.00 მხ. ფილმი „მოკვდი ოღონდ ახლა არა" 01.40 ისტორიული ფილმი „სირანო დე ბერჟერაკი" 04.00 მუსიკა 04.10 ფილმი-კატასტროფა „გაიხსენე ყველაფერი"

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Прикл. фильм "ЗАТЕРЯННЫЙ МИР: ПАРК ЮРСКОГО ПЕРИОДА". 11.40 Следствие ведет Колобков. 12.10 Марина Левтова в фильме"НА ЧУЖОМ ПРАЗДНИКЕ". 13.40 "Ералаш". 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 Сериал "СКАРЛЕТТ". 16.20 "Угадай мелодию" 16.50 "Большая стирка" 18.20 "Шутка за шуткой". 18.50 Сериал "КЛОН". 19.50 "Стирка на миллион". 20.00 Жди меня. 21.00 Время. 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 22.30 Криминальная Россия. "Репортаж с того света". 2-я с. 23.00 Искатели. "Чумной форт". 23.30 "Сканер". 00.00 Док. фильм "Академия жизни". 00.30 "Русский экстрим". 01.00 Лили Томлин в комедии "БОЛЬШОЙ БИЗНЕС" 02.35 Мэрил Стрип в фильме "ДО И ПОСЛЕ"

## სამშაბათი 29 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლეგრის შოუ 15.20 სერიალი „რვაფეხა-5" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 16.20 დოკ. ფილმი „მხატვრები და პროვანსი" 17.00 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 17.30 „ამბობენ" (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 დოკ. ფილმი „კონტაქტი" 1-ლი ს. 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 სერიალი „ფსიქფაქტორი" (12) 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.00 „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „ოსტატის შეხება" (15)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 კანის ფესტივალი 21.30 ისტორიანი 22.00 მხ. ფილმი „წინააღმდეგობა" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „უკვდავი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „ფულს სუნი არ უდის" (U) 15.20 სერიალი „სასწრაფო" 16.25 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 მხ. ფილმი „ლიფტი". მთ. რ-ში: ჯეიმს მარშალი, ნაომი უოტსი (18). 02.20 მხ. ფილმი „მოდი დაწექი ჩემთან". მთ. რ-ში: ივ მონტანი, მ.მონრო (18).

18.00 მინისერიალი „ბაბაბალი" მე-2 ს. 18.55 დოკ. ფილმი 19.55 კონცერტი 21.15 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი „ლუსი ობრაკი" (15)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 11.20, 13.15, 16.45, 17.20, 02.05 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 „იმედითა შენითა" 12.10 სერიალი „კლონი" 13.30, 01.35 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.15 მხ. ფილმი „შეუპოვარი" (U) 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.15 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30 ლარის მახე 23.00 „ერთხელ ჰოლივუდში" 23.30 მხ. ფილმი „დოყლაპია" (ჟ. ბურვილი) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „კლეოპატრა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „კოდი კოპერნიკი" 13.10 მხ. ფილმი „მედაფდაფეთა რიგი" (U) (ნიკ კეიჯი) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „საჰაერო დარტყმა" (რობერტ რასელი) (18)

13.00 მუსიკა 14.00 მხ. ფილმი „მის კონგენიალობა" 16.00 „საქმე და ეკონომიკა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 1-2 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 22.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში" 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო," "РТР Планета -ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი" "РТР Планета -ს" პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 მუს. პაუზა 21.00 „ვესტი" 21.30 სალონი 23.00 ინდ. მხ. ფილმი „ოცნების გამყიდველი" (U) 00.00 "РТР Планета -ს" პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე (გამ). 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მორჩენება" (პატრიკ სუეიზი) (15) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „პირველი რაინდი" (შონ კონერი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „მაგნოლია" (ტ. კრუზი) (18)

08.30, 00.50 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 ფილმი-ზღაპარი „გალგამეტი" 10.40 „სტარტი" 10.55 კომედია „ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი" 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 მხ. ფილმი „ნიკიტა" 14.35 მუსიკა 14.50 კომედია „უშროშოდ ბევერლი ჰილზში" 16.45 მულტფილმი „მულანი" 18.15 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 19.00 დოკუმენტური ფილმი 19.55, 03.30 მუსიკა 20.15 „სტარტი" 21.00 მხ. ფილმი „შეშლილების მარათონი" 23.00 თრილერი „დიდი ცუდი სიყვარული" 01.20 მხ. ფილმი „ჯერი მაგუაირი" 03.40 მხ. ფილმი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.20, 18.50 Сериал "КЛОН". 11.20 "Ералаш". 11.40 Дисней-клуб: "Мышиный дом". 12.10 Витаутас Томкус в детективе "РАЛЛИ". 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 Сериал "СКАРЛЕТТ". 16.20 "Угадай мелодию" 16.50 "Большая стирка" 18.20 Док. сериал "Баллада о большом Але". 19.50 "Стирка на миллион". 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00, 23.30 Время. 22.30 Тайны века. "Советский шпион. Мартин Борман". 23.50 Док. фильм "Секретный конструктор". 00.30 Максим Никулин в программе "Форганг". 01.00 "Кинодвижение". 01.40 фильм "БЛЕДНЫЙ ВСАДНИК" 03.45 Кевин Спейси в фильме "ЖЕЛЕЗНАЯ ВОЛЯ".

## ოთხშაბათი 30 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 00.40 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „შავკანიანთა მუსიკა" მე-2ს. 15.20 სერიალი „რვაფეხა-5" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.20 ოპერა „კარმენი" 17.00 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 17.30 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 „ევრო-2004" (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი „სოლედადი" 22.35 ფეხბურთი. ნახევარფინალი. 01.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 01.20 მხ. ფილმი „თიხის ძაღლის საიდუმლო" (15)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 მოდი ვიცეკოთ 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმები „ნივთმტკიცება" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „მოწმეების გარეშე" (U) 15.20 სერიალი „სასწრაფო" 16.25 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 სერიალი „ნათლია" 23.00 მხ. ფილმი „ჩარლის ანგელოზები: სრული სვლით". მთ. რ-ში: კამერონ დიასი (15). 02.20 მხ. ფილმი „კლდე". მთ. რ-ში: შონ კონერი (18).

18.00 მინისერიალი „ბაბაბალი" მე-3 ს. 18.55 დოკ. ფილმი 19.55 კონცერტი 21.30 დოკ. ფილმი 22.20 მხ. ფილმი „ჯული და ჯიმი" (15)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.50, 17.20, 01.55 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 „X-კლუზივი" 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 01.25 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.15 მხ. ფილმი „დოყლაპია" (U) 17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „შავი მეეკობრე" 1-ლი ს. 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30 „პირველი ნახევარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი „მატყუარა" (ტ. როტი) (U)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10 მინისერიალი „კლეოპატრა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „კოდი კოპერნიკი" 13.10 მხ. ფილმი „შავი რაინდი" (U) (მარტინ ლოურენსი) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 20.50 მინისერიალი „ვირტუალობით შეპყრობა" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „ჩრდილი" (18) (ალეკ ბოლდუინი)

13.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 2-3 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 22.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში-2" 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო," "РТР Планета -ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 მხ. ფილმი 15.00 „ვესტი" "РТР Планета -ს" პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 „თინეიჯერი" 21.00 „ვესტი" 21.30 მუსიკა 22.00 ინდ. მხ. ფილმი „განგო შენი წყლები აიმღვრა" (15) 00.00 "РТР Планета -ს" პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ტუტსი" (დ. ჰოფმანი) (U) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „ოპერაცია „ტუშონკა" (ჟან რენო) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ტყვია" (მიკი რურკი) (18)

08.30, 01.55 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 სათავგადასავლო ფილმი „ოთხფეხა პატარა" 10.30 „სტარტი" 10.40 მუსიკა 10.50 ფანტასტიკა „უცხოპლანეტელებზე მონადირე" 12.20 მუსიკა 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 მელოდრამა „სილვია" 14.35 მუსიკა 14.30 ბოევიკი „ფბი" 16.45 მულტფილმი „ველური ტორნბერელების თავგადასავალი" 18.10 „მზე აქ შემოჩერდება" 18.20, 04.10 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 19.00 კომედია „კურიერი" 20.20 „სტარტი" 21.00 თრილერი „მუქი წყლები" 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.00 კომედია „ადამიანი მთვარეზე" 02.15 მელოდრამა „საკმარისია" 04.25 თრილერი „ჩუმი გაფრთხილება"

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.20, 18.50 Сериал "КЛОН". 11.20 Мультсериал "Кошки-мышки". 11.40 Дисней-клуб: "Мышиный дом". 12.10 Ирина Мирошниченко в фильме "ТАЙНЫ МАДАМ ВОНГ" 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 Сериал "СКАРЛЕТТ". 16.20 "Угадай мелодию" 16.50 "Большая стирка" 18.20 Док. сериал "В поисках гигантского когтя". 19.50 "Стирка на миллион". 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00 Время. 22.40 "Человек и закон" 23.30 Ночное "Время". 23.50 Теория невероятности. "Харизма". 00.20 Крылья. 00.50 Док. фильм "Потерянное сокровище Тибета". 01.30 Николас Кейдж в триллере "ПРИДОРОЖНОЕ ЗАВЕДЕНИЕ" 03.05 Джерри О'Коннелл в комедии "КОТ В МЕШКЕ"

## ხუთშაბათი 1 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „გოდარი ტელევიზიაში" 15.15 სერიალი „რვაფეხა-5" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.15 დოკ. ფილმი „მხატვრები და პროვანსი" 17.30 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 „ევრო-2004" (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 სერიალი „ფსიქფაქტორი" (12) 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „ბუშაირი" (12)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 ცხოველის ბედი 22.00 მხ. ფილმი „რისკით უნდა იცხოვრო" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.45, 04.00 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „ცხოველი" (U) 15.20 სერიალი „სასწრაფო" 16.30 უიმბლდონის ნახევარფინალი ქალთა შორის 17.20 „მაშველები" 18.20 „ტელელიპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 საფეხბურთო მიმოხილვა 22.40 ევროპის ჩემპიონატი ნახევარფინალი. 02.00 მხ. ფილმი „სიბრაზის მართვა". მთ. რ-ში: ა. სენდლერი. (15).

18.00 მინისერიალი „ბაბაბალი" მე-4 ს. 18.55 დოკ. ფილმი 19.55 კონცერტი 21.30 დოკ. ფილმი 22.20 მხ. ფილმი „საშობაო ღვეზელი" (15)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 17.20, 02.00 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.30 არტ-ბულვარი 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 01.30 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი „მატყუარა" (U) 17.25 ანიმაციური ფილმი „შავი მეკობრე" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 სერ. „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30 საქმე № 23.00 „ესტაფეტა" 23.30 მხ. ფილმი „ნორჩი დონ ჟუანი" (ბ. დანჯელო) (15)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ვირტუალობით შეპყრობა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „კოდი კოპერნიკი" 13.10 მხ. ფილმი „ჯაშუში ვარ" (ედი მერფი) (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი „კლიფორდი" 18.35 დოკ სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი „კლივლენდის ქურდები" (პოპ გიამატი) (15)

13.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში-2" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 3-4 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 22.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში-3" 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო," "РТР Планета -ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუსიკა 15.00 „ვესტი" "РТР Планета -ს" პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 „ვესტი" 21.30 სალონი 23.00 მუს. პაუზა 00.00 "РТР Планета -ს" პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 „ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „თაღლითები" (მეთიუ პერი) (U) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „სხვის რი-გში" (ბენ აფლეკი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 ანიმ. ფილმი „დარდუბალა 2" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „ინფაქტი" (18)

08.30, 01.50 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 მელოდრამა „პონეტი" 10.35 „სტარტი" 10.50 კომედია „შეყვარება ლასვეგასში" 12.20 მუსიკა 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 თრილერი „მიტოვებული" 14.25 მუსიკა 14.50 კომედია „შეშლილი სიყვარული" 16.25 მუსიკა 16.45 მულტფილმი „კუზიანი კვიცი" 17.55 დოკუმენტური ფილმი 18.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" 18.45 ისტორიული ფილმი „იულიუს კეისარი" 1 ს. 20.15 „სტარტი" 21.00 კომედია „დაუნდობელი ადამიანები" 23.00 „ექსკლუზივი" 00.00 დრამა „ზღვა" 02.10 თრილერი „დრუიდთა საქმე" 03.40 მელოდრამა „გულთან ახლოს" 05.40 მუსიკა

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.20, 18.50 Сериал "КЛОН". 11.40 Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". 12.10 Василий Шукшин в фильме "МЫ, ДВОЕ МУЖЧИН" 13.50 "Ералаш". 14.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20 Сериал "СКАРЛЕТТ". 16.20 "Угадай мелодию" 16.50 "Большая стирка" 18.20 Док. сериал "Земля гигантского динозавра". 19.50 "Стирка на миллион". 20.00 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00 Время. 22.35 ФУТБОЛ. ЧЕМПИОНАТ ЕВРОПЫ. Полуфинал. 00.40 Док. фильм "Вера Мухина. Испытание". 01.30 Келси Грэммер в комедии "УБРАТЬ ПЕРИСКОП" 03.20 Чарльз Бронсон в триллере "ВЕСТНИК СМЕРТИ" 04.50 Сериал "ПАТРУЛЬ ВРЕМЕНИ".

## პარასკევი 2 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „სამურაი" 15.15 სერიალი „რვაფეხა-5" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.15 დოკ. ფილმი „მტირალა კუ" 17.00 მულტსერიალი „ჟუჟების ახალი სამყარო" 17.30 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „ხუმრობა იქით იყოს" 18.45 „ევრო-2004" (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00, 23.20 „ღამის მატარებელი" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 კონცერტი - რეი ჩარლზი 01.20 მხ. ფილმი „შავი წერტილი" (12)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 დოკ. ფილმი „ეგვიპტოლოგიის პიონერები" 21.30 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „ფხიზელი ძილი" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.25 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „საშიშროება ზღვის ფსკერიდან" (U) 15.20 სერიალი „სასწრაფო" 16.30 უიმბლდონის ნახევარფინალი მამაკაცთა შორის 17.20 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუცები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 მხ. ფილმი „გოძილა". მთ. რ-ში: ჟან რენო (18). 02.35 მხ. ფილმი „შვიდი". მთ. რ-ში: მორგან ფრიმენი (18).

18.00 მინისერიალი „ბაბაბალი" მე-5 ს. 18.55 დოკ. ფილმი 19.55 კონცერტი 21.15 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი „წყლის პირას" (18)

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 17.20, 04.55 იმედის მელოდიები 07.30 „იმედის" დილა 10.10 სერიალი „ტყუპები" 11.05 სპ. პროგრამა „ესტაფეტა" 11.30 საქმე № 12.10 სერიალი „კლონი" 13.25, 04.25 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.00 მხ. ფილმი „ნორჩი დონ ჟუანი" (15) 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 04.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი „შავი მეკობრე" 18.05 სერიალი „ტყუპები" 19.35 სერიალი „კლონი" 20.30 არჩევანი თქვენ 23.00 „პირველები" 23.40 ბრძოლა წესების გარეშე. საქართველო-სომხეთი 01.30 მხ. ფილმი „საუკეთესო მეგობარი" (მადონა) (U) 03.15 X-კლუზივი

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ვირტუალობით შეპყრობა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი „კოდი კოპერნიკი" 13.10 მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი" (მარტინ ლოურენსი) (U) 15.10 სერიალი „მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 16.10 სერიალი „დინოტოპია" 17.10 მულტსერიალი „ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 17.35 მულტსერიალი „კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები" 18.35 დოკ. სერიალი „ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი „ჰოლივუდური დასასრული" (ვუდი ალენი) (15)

13.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში-3" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 4-5 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 22.00 მხ. ფილმი „ცხოველი" 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო," "РТР Планета -ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ. ფილმი „რაჯული" (U) 15.00 „ვესტი" "РТР Планета -ს" პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 20.00 „სცენის ოსტატები" 21.00 „ვესტი" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.30 მუსიკა 00.00 "РТР Планета -ს" პროგრამა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 „ბრავო" 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ეპიდემია" (დ. ჰოფმანი) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გაგ.) 20.00 მხ. ფილმი „პლუტო ნეშის თავგადასავალი" (ედი მერფი) (U) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „არიზონას ოცნებები" (ჯონი დეპი) (18)

08.30, 00.55 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 სათავგადასავლო ფილმი „სტიუარტ ლიტლი" 10.20 „სტარტი" 10.35 მელოდრამა „გულთან ახლოს" 12.30, 16.30, 18.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია „ხადა ხარ ძმაო?" 14.25 მუსიკა 14.40 ბოევიკი „ზარალის ანაზღაურება" 16.45 მულტსერიალი 17.00 კომედია „უნებლიე მილიონერი" 18.45 ისტორიული ფილმი „იულიუს კეისარი" 2 ს. 20.10 მუსიკა 20.15 „სტარტი" 21.00 დრამა „საბინა" 23.00 კომედია „შესისხლხორცებულნი" 01.25 თრილერი „პათოლოგოანატომი" 02.40, 04.55 მუსიკა 03.00 მხ. ფ. „შავი თვალები" 05.10 დოკუმენტური ფილმი

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.20 Сериал "КЛОН". 11.30 Мультсериал "11.40 Мультсериал 12.10 Александра Захарова в детективе "ПАДЕНИЕ" 14.00 Сер. "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.10 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 16.50 "Большая стирка" 18.20 Док. детектив "Дело Раскольникова. 2003 год". 18.50 "Основной инстинкт". Ток-шоу 19.50 "Поле чудес" 21.00 Время. 21.25 Мэл Гибсон в боевике "ХРАБРОЕ СЕРДЦЕ". 00.50 триллер "ГОРОДСКИЕ ЛЕГЕНДЫ - 2". 02.35 Марибель Верду в фильме "И ТВОЮ МАМУ ТОЖЕ"

## შაბათი 3 ივლისი

08.00, 12.00, 14.35, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.15 ქართ. ფილმი „თემო" 13.40 სერიალი „სანდრა და მისი გუნდი" 14.55 ფორმულა-1 17.00 დოკ. სერიალი „ცხოველთა სამყარო" 18.00 ცირკის საერთაშორისო ფესტივალი 18.40 იმღერე რამე 19.15 ტელეზღაპარი 19.30 ისტორიანი 20.35 ცაიტნოტი 21.50 ფორტუნა 22.30 „სალამის საუბარი" 23.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.15 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.35 მხ. ფილმი „შერეკილები გამოცდებზე" (15)

19.00 მულტფილმი „ბელფეგორი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 მუსიკალური ოქტაგონი 22.00 მხ. ფილმი „გაალე პოლიცია" (12)

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „ჯადოქარი" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.00 ოქროს ვარდის გამოქვაბული 12.20 „სიმფსონები" 12.50 მხ. ფილმი „შავი თვალები" (U) 15.15 მხ. ფილმი „ძვირფასო ბავშვები დავაპატარავე" (U) 17.00 უიმბლდონის ფინალი ქალთა შორის 18.00, 21.00, 00.50 კურიერი 18.20 უიმბლდონის ფინალი ქალთა შორის 19.15 სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობები" 22.00 მხ. ფილმი „მატრიცა: რევოლუცია". მთ. რ-ში: კიანუ რივზი (15). 01.00 „ფსიქო" — „უთხარით ჩემს მეგობრებს რომ მკვდარი ვარ". რეჟ. ნინო კირთაძე (15).

18.00 მხ. ფილმი „ლიფტი ეშაფოტზე" 19.40 დოკ. ფილმი 20.30 სილუეტი 21.20 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18)

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ქრონიკა 09.15 სერიალი „ტყუპები" 10.05, 18.00, 02.40 იმედის მელოდიები 10.15 ანიმაც. ფილმი "მეზღაპრე ფაიფერი" 10.30 დილის ფოსტა 11.00 „იმედითა შენითა" 11.15, 01.50 ტვ-მარკეტი 12.00 „პირველები" 12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 13.10 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 13.35 არჩევანი თქვენ 15.15 მხ. ფილმი „საუკეთესო მეგობარი" (U) 17.05 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 18.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა" 19.30 „ვაკაჭი-ნიუსი" 20.00 სერიალი „ჭავა და ლუდი" 21.00 სერიალი „მართლმსაჯულების 18 გორბალი" 22.00, 02.20 ქრონიკა 22.30 კლიპ-ლოტო 23.30 მხ. ფილმი „მხიარულებათა ქალაქი" (პ. სუეიზი) (U)

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა" 09.30 საბ. სერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები" 10.00 მულტფილმი „პიტერ პენი" 11.30 საბ. სერიალი „თოვლის დედოფალი" 12.30 მხ. ფილმი „კაცები შავებში" (U) (უილ სმიტი) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.30 მხ. ფილმი „სანამ წახვალ სადმე, მოაგვარე საქმე" (U) (ჯ. ბელუში) 16.30 დოკ. „მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე „ლარედოს ქურდები" 18.05 სერიალი „მიწა არსად ჩანს" 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 20.30 მხ. ფ. „ბრუსტერის მოლოდინში" (U) (პ. ვეინ-გროდი) 23.00 მხ. ფილმი „ბუში" (15) (სოფი მარსო)

13.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „მარტის კატები" 17.00 მხ. ფილმი „გამოუსწორებელი თაღლითები" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 19.20 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" 19.40 „სანინდერ" 200 მხ. ფილმი „გულთამყრობელნი" 00.20 მუსიკა

08.00 "РТР Планета -ს" პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 საბავშვო სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 "РТР Планета -ს" პროგრამა 19.00 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 „თინეიჯერი" 21.00 "РТР Планета -ს" პროგრამა 22.00 „და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 მკურნალობა „პირამიდით" 23.30 მუსიკა 00.00 "РТР Планета-ს" პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 03.00 „ბრავო"

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „გლადიატორი" (რასელ ქროუ) (12) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „არმაგედონი" (ბ. უილისი) (15) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ამერიკის უკანასკნელი უმანკო" (18)

08.30, 01.20 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 მულტსერიალი 10.00 სათავგადასავლო ფილმი „პინოკიო" 11.50 „სტარტი" 12.05 მუსიკა 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია „მე იქ ვიქნები" 14.25 მუსიკა 14.40 თრილერი „მერია" 16.45 მულტფილმი „იმპერატორის თავგადასავალი" 18.00 მუსიკა 18.10 მელოდრამა „შემოდგომის ლეგენდები" 20.15 „სტარტი" 21.00 კომედია „სასიამოვნო ნუგეში" 23.00 მხ. ფილმი „ჩვენ ჯარისკაცები ვიყავით" 01.50 თრილერი „დაუნდობელი ლუკი" 03.55 მუსიკა 04.15 მელოდრამა „ყველა ნამდვილი გოგონა"

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Под вечными льдами". 06.40 Павел Кадочников в фильме "САМЫЙ МЕДЛЕННЫЙ ПОЕЗД" 08.20 Играй, гармонь любимая! 09.00 Слово пастыря. 09.10 Здоровье. 10.10 "Смак" 10.30 "Пестрая лента". Аркадий Райкин. 11.20 "Возвращение домой". Олег Газманов. Калининград. 12.10 Владимир Ивашов в комедии "СЕМЬ НЯНЕК" 13.40 Дисней-клуб: "Приключения Микки и Дональда". 14.10 Умницы и умники. 14.50 "Спасатели. Экстренный вызов". 15.20 История с географией. "Братья по крови: Жизнь на деревьях". 16.20 Полнометражный мультфильм "Титан после гибели Земли". 17.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. 18.20 Комедия "САМАЯ ОБАЯТЕЛЬНАЯ И ПРИВЛЕКАТЕЛЬНАЯ" 20.00 "Кто хочет стать миллионером?" 21.00 Время. 21.20 "Розыгрыш". 22.40 "Золотой Граммофон". 23.40 Синди Кроуфорд в боевике "ЧЕСТНАЯ ИГРА" 01.20 Уиллем Дефо в фильме "КИТАЙСКИЙ ВАРИАНТ" 03.30 Ли Мэйджорс в триллере "УБИЙСТВО ДЕВУШКИ С ОБЛОЖКИ"

## კვირა 4 ივლისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 01.00 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 10.40 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" - პიტერ ფალკი 11.30 სპა 12.15 მხ. ფილმი „ნითური" 14.00 დოკ. ფილმი „ჯეკი კენედი" 15.15 სპექტაკლი „ი. ს. ბახი" 15.55 ფორმულა-1 18.00 სპორტული კურიოზები 18.30 „ევრო-2004" 18.40 „იმღერე რამე" 19.15 ჩვენი მისამართია 20.35 ჩემი მშვენიერი ლედი 21.00 კონცერტი 21.35 ტელოტო 22.35 ევრო — 2004. ფინალი. 01.10 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე". 01.30 მხ. ფ. „თავისუფალი ბიჭები" (15)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში (ჯეკ ლემონი) 20.30 ძველი აფიშა 21.00 მრავალსახეობა 21.45 პალიტრა 22.10 მხ. ფილმი „რაც არ გერგება არ შეგერგება" (15).

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „ჯადოქარი" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 11.05 ოქროს ვარდის გამოქვაბული 12.20 საოჯახო ტოტო 12.50 მხ. ფილმი „ლარა კროფტი: ცხოვრების აკვანი" (U) 15.20 მხ. ფილმი „ძვირფასო ბავშვი გავადიდე" (U) 17.00 უიმბლდონის ფინალი მამაკაცთა შორის 18.00, 21.00, 02.40 კურიერი 18.20 უიმბლდონის ფინალი მამაკაცთა შორის 18.50 მხ. ფილმი „ვინ გააბრიყვა ყურცქვიტა როჯერი". მთ. რ-ში: ბობ ხოსკინსი (U) 22.00 ჩვენი ეზო 22.15 საფეხბურთო მიმოხილვა 22.45 ევროპის ჩემპიონატი ფინალი. 01.00 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ოსფორდ პარკი", 877 45-79-25 კრისტინ სკოტ-ტომასი, ჯერემი ნორტემი (18), „რეალური სიყვარული", 877 45-79-26 ჰიუ გრანტი, ლაიამ ნისონი (18), „შელახული რეპუტაცია" 877 45-79-27 ენტონი ჰოპკინსი, ნიკოლ კიდმანი (18).

18.00 მხ. ფილმი „ბუდუ" 19.40 დოკ. ფილმი 20.30 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „ჩემი ბრალი არ არის"

09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.35, 01.50 ქრონიკა 09.15, 02.10 იმედის მელოდიები 10.15 ანიმაც. ფილმი "მეზღაპრე ფაიფერი" 10.00, 01.05 ტვ-მარკეტი 10.30 „დილის ფოსტა" 11.00 მხ. ფილმი „სამი გოდორა" (ა. ბატალოვი) (U) 12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 13.15 სერიალი „უკიდურესი ზღვარი" 13.40 „უდაბნოს სამჭედლოები" 14.30 „პირველი ნახევარი" 15.15 „რეტროსკოპი"-„პაიზა" (რეჟ. რ. როსელინი) (U) 17.05 დოკ. სერიალი „ყველაზე ექსტრემალური" 18.30 სპ. პროგრამა „ასი" 19.30 ლარის მახე 20.00 სერიალი „გაუხსნელ საქმეთა განყოფილება" 22.00 დროება 23.30 კლიპ-ლოტო 23.55 მხ. ფილმი „განსაკუთრებული საფრთხე" (დ. დელანი) (U)

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა" 09.30 საბ. სერიალი „საოცარი მითები და ლეგენდები" 10.00 მულტფილმი „პიტერ პენი არყოფილ ქვეყანაში ბრუნდება" 11.30 საბ. სერიალი „თოვლის დედოფალი" 12.30 მხ. ფილმი „კაცები შავებში — 2" (U) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.30 მხ. ფილმი „ასტერიქსი და ობელიქსი. მისია კლეოპატრა" 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე „ლარედოს ქურდები" 18.05 სერიალი „მიწა არსად ჩანს" 19.00 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 20.30 მხ. ფილმი „რადიო" (U) (ედ ჰარისი) 23.00 მხ. ფ. „ბუში 2" (15)

13.00 მუსიკა 15.00 საბ. გადაცემა „ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" 15.30 გადაცემა „შამარერა" 16.30 მხ. ფილმი „ბრილიანტის პოლიციელი" 19.00 ინდ. მხ. ფილმი „საფარი" 22.00 „ჯაზ-პარნასი" 22.30 მხ. ფილმი „წინილა" 00.00 მუსიკა

08.00 "РТР Планета-ს" პროგრამა 11.15 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.15 თეატრალური შეხვედრები 13.15 მუს. პაუზა 14.00 ლაბირინთი 15.00 "РТР Планета-ს" პროგრამა 18.10 რელიგიის საათი 20.00 თავისუფალი მიკროფონი 20.30 შეხვედრა ვარსკვლავთან 21.00 "РТР Планета-ს" პროგრამა 22.00 „იდენ-ტვ" 22.30 მკურნალობა „პირამიდით" 23.45 მუსიკა 00.00 "РТР Планета-ს" პროგრამა

07.30 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ქართული მუსიკა 15.00 ინფორმატორი 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 პროფათეული 22.35 მუსიკა 23.15 სოლო 03.00 „ბრავო"

10.00 მულტფილმი 12.00 20 სთ-იანი ფილმის გამეორება 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ტურა" (ბ. უილისი) (12) 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „წერილი ბოთლში" (კ. კოსტნერი) (15) 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ჩვენ ჯარისკაცები ვართ" (მ. გიბსონი) (18)

08.30, 01.05 საინფორმაციო დაიჯესტი 09.00 მულტფილმი 10.00 სათავგადასავლო ფილმი „ლილიპუტები და გოლიათები" 11.35 „სტარტი" 11.50 „ექსკლუზივი" 12.30, 16.30, 20.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია „მელოლი" 14.45 მუსიკა 15.00 თრილერი „ჯალისწამებელი" 16.45 მულტფილმი „მაგარი გოგონები" 18.00 მხ. ფილმი „ფავორიტი" 20.15 „სტარტი" 23.00 თრილერი „ჯაშუშური თამაშები" 01.35, 03.50 მუსიკა 01.50 ისტორიული ფილმი „ომის ბრძანებელი" 03.50 მუსიკა 04.10 მხ. ფილმი „საიმპერატორო კლუბი"

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Сериал "Все путешествия команда Кусто". "Полет пингвинов". 06.30 Николай Крючков в комедии "МАТРОС С "КОМЕТЫ" 08.20 Армейский магазин. 08.50 Дисней-клуб: "Тимон и Пумба". 09.10 В мире животных. 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома. 11.10 Дог-шоу. 12.10 Комедийный сериал "ДЕФЕКТИВНЫЙ ДЕТЕКТИВ". 13.00 Павел Любимцев в программе "Путешествия натуралиста". 13.40 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". 14.00 Наталья Гундарева в комедии "ВАС ОЖИДАЕТ ГРАЖДАНКА НИКАНОРОВА" 15.50 "КВН-2004". Высшая лига. Второй четвертьфинал. 18.00 Времена. 19.10 Кьюба Гудинг-мл в комедии "СНЕЖНЫЕ ПСЫ" 21.00 Время 21.45 ГРУППА "ЛЮБЭ", СОФИЯ РОТАРУ В КОНЦЕРТНОЙ ПРОГРАММЕ. 00.40 Бокс. Флойд Мейуэзер - Де Маркус Корли. 01.40 Кэтлин Тернер в боевике "ЧАСТНЫЙ ДЕТЕКТИВ ВАРШАВСКИ" 03.20 Чарлтон Хестон в прикл. фильме "ПЛАНЕТА ОБЕЗЬЯН"

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მყავს 3 წლის ვაჟი, დაბადებიდანვე ძლიერი ოფლიანობა ახასიათებს, ამიტომ ხშირად ცივდება. ტემპერატურა ნორმალური აქვს. ხელით შეხებისას კი კანი ცივია და სველი. წამდაუწუმ უსველდება მაისურები. ექიმის რეკომენდაციით დავალევინე კალციუმი და მისი შემცველი პრეპარატები, D ვიტამინი. ოფლიანობა ხანდახან უმცირდება, მაგრამ დროებით. მირჩიეთ, კიდევ რა საშუალება გამოვიყენო? შეიძლება თუ არა, ეს გენეტიკური იყოს?**

***ერთგული მკითხველი***

საინტერესოა, ჰქონდა თუ არა ბავშვს რაქიტის სხვა ნიშნები (კბილების ამოჭრის დაგვიანება, ყიფლიბანდის გვიან დახურვა, ძვლების დეფორმაცია). კალციუმის დეფიციტი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია პატარების ოფლიანობისა. ზოგჯერ მშობლები დეფიციტის შესავსებად იყენებენ კალციუმის ისეთ პრეპარატებს (მაგალითად, კალციუმის გლუკონატს), რომლებშიც ეს მინერალი საკმაოდ მცირე რაოდენობითაა. ასეთი პრეპარატების მცირე ხნით და მცირე დოზებით დანიშვნა, ფაქტობრივად, არავითარ შედეგს არ იძლევა. როდესაც კალციუმის დეფიციტის ნიშნები აშკარაა, უმჯობესია, კალციუმის ქლორიდის 10%-იანი ხსნარი მივცეთ. მწარე გემოს გამო პატარებს ის არ უყვართ, თუმცა ეფექტი მისი მიღებისას უფრო შესამჩნევია. იმის დადგენა კი, აქვს თუ არა ბავშვს კალციუმის ნაკლებობა, სისხლის სპეციალური ანალიზით შეიძლება.

აუცილებლად გაუკეთეთ პატარას სისხლის საერთო ანალიზი — ოფლიანობა ანემიასაც (სისხლნაკლებობას) ახასიათებს. თქვენ აღნიშნავთ, რომ ოფლიანობა ხშირად ხდება ხოლმე გაცივების მიზეზი. გამორიცხული არ არის, სასუნთქი გზების ქრონიკული პათოლოგია (მაგალითად, ქრონიკული ტონზილიტი ან ბრონქიტი) იყოს გაძლიერებული ოფლიანობის მიზეზი, ამიტომ ამ მიმართულებით პედიატრმა ბავშვი საგულდაგულოდ უნდა გამოიკვლიოს.

დღეს პატარებში საკმაოდ ხშირია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევებიც, რომლებიც ასევე შეიძლება იყოს ოფლიანობის მიზეზი. ბავშვს იოდის დეფიციტი რომ არ განუვითარდეს, მის ყოველდღიურ რაციონში უნდა შევიტანოთ ამ ელემენტის საჭირო დოზა. ამისთვის კი, ინტენსიურად ჩართეთ რაციონში იოდირებული პროდუქტები.

ხშირი გაცივების თავიდან ასაცილებლად პატარას აუცილებლად უნდა აუმაღლოთ იმუნიტეტი. ამ მიზნით შეგიძლიათ გამოიყენოთ მცენარეული პრეპარატები (იმუნალი), თაფლი.

**ვარ 45 წლის მამაკაცი. ბავშვობიდან რევმატული ორგანიზმი მაქვს. ბოლო სამი წელია, უწყვეტად ვიკეთებ ბიცილინ-5-ს და რევმატიზმისგან დავისვენე, მაგრამ ვატყობ, რომ იმუნური სისტემა დამეთრგუნა, საზარდულის მიდამოში სოკო მაწუხებს. მინდა, შევწყვიტო ეს პრეპარატი. როგორ მოვიქცე?**

***პატივისცემით მკითხველი***

ბიცილინ-5 გახანგრძლივებული მოქმედების ანტიბიოტიკი გახლავთ. თუ სამი წელია იკეთებთ მას, ბუნებრივია, სოკოვანი დაავადება დაგემართებოდათ. საინტერესოა, თვითნებურად იტარებთ მკურნალობას თუ ექიმის მითითებით.

ნუთუ გგონიათ, რომ დასაშვებია, თავად გადაწყვიტოთ ასეთი სერიოზული მკურნალობის ტაქტიკა? რევმატიზმის დროს ანტიბიოტიკოთერაპია ნაჩვენებია პროცესის გამწვავების ფაზაში, ესე იგი, მაშინ, როცა ანთებითი სინჯები დადებითია (სისხლში ჩნდება C რეაქტიული ცილა, ედსი აჩქარებულია, ლეიკოციტები — მომატებული). თუ რევმატიზმი რემისიის ფაზაშია გადასული, ბიცილინოთერაპია და ანტირევმატული საშუალებებით მკურნალობა მხოლოდ გაზაფხულ-შემოდგომაზე შეიძლება დაგენიშნოთ პროფილაქტიკის მიზნით, ისიც — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ექიმი ჩათვლის საჭიროდ. ასე რომ, გირჩევთ, დროულად მიმართოთ გამოცდილ თერაპევტს ან რევმატოლოგს. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ სოკოვან ინფექციას შეუძლია რევმატიზმზე არანაკლები უსიამოვნება მოგიტანოთ, ამიტომ ამ პრობლემის სასწრაფო მიხედვაც აუცილებელია.

**კუჭის მჟავიანობის დაქვეითების გარდა, რამ შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკული აშლილობა? შეიძლება თუ არა, მენსტრუაციის დროს კუჭი ამეშალოს? თუ წამალს ვსვამ, კარგად ვარ, თუ არა — სულ აშლილი მაქვს. ვარ დიაბეტიანი, ინსულინდამოკიდებული. თუ არსებობს რაიმე ხალხური მეთოდი მჟავიანობის მოსამატებლად? პრეპარატებით რამდენჯერმე ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ.**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

ჰიპოაციდურმა (დაბალი მჟავიანობით მიმდინარე) გასტრიტმა მართლაც შეიძლება გამოიწვიოს ფაღარათი, მაგრამ ეს ერთადერთი მიზეზი როდია.

კუჭის აშლილობა შეიძლება უკავშირდებოდეს ნაწლავების პათოლოგიას (ენტერიტს, კოლიტს), დისბაქტერიოზს, ფერმენტულ პათოლოგიებს (როდესაც ორგანიზმს აკლია მომნელებელი ფერმენტები), სანაღვლე გზების დაავადებებს (დისკინეზიებს, ქოლეცისტიტს), პანკრეატიტს. ასე რომ, ჯერ დიაგნოზი უნდა დაზუსტდეს, რისთვისაც გასტროენტეროლოგს უნდა მიმართოთ.

მენსტრუაციის დროს ფაღარათის გაძლიერება იმის ბრალია, რომ საშვილოსნოს ტონუსის მომატების გამო ნაწლავთა პერისტალტიკაც იმატებს. ამ შემთხვევაში გარკვეულ როლს ნევროგენული ფაქტორიც თამაშობს.

**ჩემს მეუღლეს დაახლოებით 14 წელია აწუხებს თავის უნებლიე მოძრაობა (ე.წ. ტიკი). მაინტერესებს, იკურნება თუ არა ეს დაავადება და ვის მივმართო. წინასწარ გიხდით მადლობას.**

***მ.ნ.***

ტიკი კუნთების უნებლიე, სწრაფი სტერეოტიპული კლონური შეკუმშვაა, რომელიც გარეგნულად ძალიან წააგავს მიზანდასახულ მოძრაობას. ტიკები ძლიერდება უარყოფითი განცდების დროს და ქრება დაძაბული მუშაობისას. ადამიანს ნებით (ძალდატანებით) შეუძლია დათრგუნოს ეს უნებლიე მოძრაობები. მარტივი ტიკები ვლინდება თვალის, თავის, მხრის, სახის, პირის მუსკულატურაში. ტიკის მექანიზმი უმთავრესად ნევროზულია, თუმცა ზოგჯერ მიზეზი ნეირომედიატორული (ნერვული იმპულსის გადამცემი ნივთიერებების) ცვლის დარღვევაა.

ტიკების სამკურნალოდ იყენებენ საძილე საშუალებებს, ტრანკვილიზატორებს, იშვიათად — ნეიროლეპტიკებს. თუმცა მათი მიღება თვითნებურად დაუშვებელია — კონსულტაციისთვის ნევროლოგს უნდა მიმართოთ.

**ვარ 35 წლის მამაკაცი. მარცხენა ბეჭის არეში ტკივილები მაწუხებს. გადავიღე კარდიოგრამა, მაგრამ არავითარი დარღვევა არ აღმოაჩნდა. მითხრეს, რომ მაქვს რადიკულიტი ბეჭის არეში. ვერტიკალურ მდგომარეობაში ხელების გაშლისას ბეჭისა და გულმკერდის არეში ტკივილს ვგრძნობ. მარცხენა მხარეს გულმკერდშიც მჩხვლეტს. გთხოვთ, გამარკვიოთ, რადიკულიტის ბრალია ყოველივე ეს თუ სხვა რამ დარღვევისა.**

***ა.ლ.***

გულმკერდსა და ბეჭში ტკივილების დროს პირველ რიგში უნდა გამოირიცხოს გულის და ფილტვების (პლევრის) პათოლოგიები. თუ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, მაშინ შესაძლოა თქვენი ჩივილები დაკავშირებული იყოს მიოზიტთან (კუნთების ანთება), ნევრიტთან, გულმკერდის მალების ოსტეოქონდროზთან, დისკოზთან. გირჩევთ, მიმართოთ ნევროლოგს. დიაგნოზის დასაზუსტებლად დაგჭირდებათ გულმკერდის რენტგენოგრაფია.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## როგორ მოვუაროთ ფეხებს...



თუ ფეხებში დაღლილობას, სიმძიმეს გრძნობთ და სიარულიც გიჭირთ, გაითვალისწინეთ ჩვენი რამდენიმე რჩევა:

1. დაღლილობისა და სიმძიმის შეგრძნებისას, ფეხები ასწიეთ მაღლა და 2 წუთის განმავლობაში ფეხის ტერფები ფრთხილად ამოძრავეთ. თუკი მთელი დღე გიწევთ მჯდომარე საქმის კეთება, ფეხები დააწყვეთ სპეციალურ პატარა სკამზე.

2. ცნობილია, რომ ფეხის ტერფებზე ბევრი მნიშვნელოვანი ბიოლოგიურად აქტიური წერტილია. ამიტომაც, ფეხის ტერფების მასაჟი (წრიული მოძრაობით) აუმჯობესებს საერთო გუნება-განწყობილებას და ხსნის ფეხებში სიმძიმის შეგრძნებას.

3. ფეხების დაღლილობის შეგრძნებისას, ქავილისა და წვის დროს, ფეხის ტერფებში შეიზილეთ „ცივი“ ბალახებიდან რომელიმე: პიტნა, ბარამბო ან კატაპიტნა.

4. დაძაბული და დამღლელი დღის შემდეგ აავსეთ აბაზანა $20C^0$ წყლით და იარეთ შიგ ან გადაივლეთ ცივი წყალი. დაიწყეთ მარჯვენა ფეხის ნეკიდან (წინა მხარე) მუხლამდე, შემდეგ კი უკანა მხრიდან მუხლებიდან ფეხის წვერისკენ (გაიმეორეთ მარცხენაზე იგივე).

5. წვრილქუსლიანი („შპილკა“) ფეხსაცმელი — რა თქმა უნდა ლამაზია, მაგრამ ამ ფეხსაცმლით სიარულის დროს ირღვევა წონასწორობა, აღნაგობა, ილუნება ხერხემალი. ამიტომ ყოველდღიური ხმარებისთვის ფეხსაცმლის ქუსლი არ უნდა აღემატებოდეს 3-5 სმ-ს.

თუ იღვიძებთ ფეხების ტკივილით ან ფეხის კრუნჩხვით, ასეთი არასასიამოვნო შეგრძნების მიზეზი შესაძლოა იყოს: კალციუმის დეფიციტი, ბრტყელტერფიანობა, ვენების ვარიკოზული გაგანიერება... და ჩვეულებრივი გადაღლა სპორტის ან მძიმე ფიზიკური დატვირთვის შემდეგ. პირველ რიგში უნდა მიირთვათ კალციუმით მდიდარი პროდუქტები, კერძოდ, ხაჭო. ძილის წინ დაიზილეთ ფეხის კუნთები. წაისვით მალამო ან ზეითუნის ზეთი და მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ ქვემოდან ზემოთ. დილასაღამოს, ძილის წინ, ოთახში წინდებით იარეთ, შემდეგ დაჯექით სკამზე და იქნიეთ ფეხები. სასარგებლოა თბილი აბაზანები ფეხებისათვის. კრუნჩხვის დროს დაიზილეთ დაჭიმული ადგილი, რომ გააძლიეროთ სისხლის მიწოდება და შეამციროთ შეტევის დრო.

***დობრიე სოვეტი №6***

## დიაგნოზი — სიარულის მანერის მიხედვით

ძველ ექიმებს არ ჰქონდათ აპარატურა, რომლის საშუალებითაც სწორ დიაგნოზს დასვამდნენ. სამაგიეროდ, ისინი ყურადღებით აკვირდებოდნენ ადამიანს და ამის საფუძველზე შეეძლოთ ეთქვათ, თუ რა სჭირდა — მაგალითად, ავადმყოფს მათ წინ უნდა გაევლო.

ჩვენც შეგვიძლია საკუთარ თავზე გამოვცადოთ დიაგნოსტიკის მათეული მეთოდი, თუ ყურადღებას მივაქცევთ ჩვენი სიარულის მანერას:

— თუ მხრები თითქოს წინ არის ოდნავ წამოწეული, უნდა შეიმოწმოთ კუჭის მუშაობა;

— ის, ვინც ძალიან ფრთხილად დადის — წნევას უჩივის; მას ხშირად ესხმის თავბრუ;

— როცა ადამიანი (დგომისა და ჯდომის დროს) ხშირად იცვლის პოზას — ოსტეოქონდროზის ან მალებშორის თიაქრის მიზეზია;

— სიარულის დროს ფეხებს განზე დგამს ის, ვისაც ბუასილი აწუხებს.

***ოჯი***

## სოკო მარტო ტყეში არ იზრდება...

უძველესი მცენარეული მიკროორგანიზმი — სოკო ბინადრობს ნიადაგში, ხეებში, მცენარეებსა და ცხოველებში. ბევრი მათგანი დედამიწაზე გაჩნდა 150 მილიონი წლის წინ. ისინი ძალიან სიცოცხლისუნარიანები არიან. მათი სპორები ნაპოვნი იქნა ეგვიპტის ფარაონის ტუტანხამონის აკლდამაში. მათ შორის ძალიან ბევრს შეუძლია გამოიწვიოს სოკოვანი დაავადება — კანის, თმის, ფრჩხილების, ლორწოვანი გარსის. ამ მეტად უსიამოვნო დაავადების გამომწვევი ძალიან ბევრი მიზეზია:

1. ანტიბიოტიკების მიღება;
2. ქრონიკული დაავადებები;
3. დაქვეითებული იმუნიტეტი;
4. გადატანილი დაავადებანი.

ბოლო ხანებში სოკოვანი დაავადებების ფართოდ გავრცელების მთავარ მიზეზად ცუდ ეკოლოგიას მიიჩნევენ, რომელმაც მართლაც შეარყია ადამიანის ჯანმრთელობა.

მიკოზების ერთ-ერთ სახეს ფეხების ტერფების სოკოვანი დაავადება წარმოადგენს, რომელსაც სამედიცინო ლიტერატურაში უწოდებენ რუბრომიკოზს (ან ეპიდერმოფიტს). ამ დაავადების თანამგზავრია: ქავილი, წვა, ფეხის თითებს შორის გაწითლება, კანის აქერცვლა, სკდომა, ბუშტუკების გაჩენა. ეს სოკო შეიძლება გაჩნდეს ფრჩხილებშიც (განსაკუთრებით მაშინ თუ ის დაზიანებულია).

ფრჩხილის სოკოსგან — ინოქომიკოზისგან განკურნება ძალზე რთულია, (მისი მკურნალობა გრძელდება 3-დან 6 თვემდე). ეს დაავადება უფრო დამახასიათებელია ზაფხულისთვის, ვიდრე წელიწადის სხვა დროებისთვის, რადგან წლის ამ დროს ყველაზე მეტად მწვავდება ეს ინფექცია, ეს არც გასაკვირია — სიცხიან ამინდში ფეხის ტერფები მეტად ოფლიანდება და ღია ფეხსაცმელიც ხელს უწყობს ფეხების სოკოვანი ინფექციებით დაავადებას.

ასევე ხელს უწყობს სოკოთი დასნებოვნებას სპორტი. ტერფის მიკოზით უფრო მეტად ავადდებიან სპორტსმენები, ვიდრე ისინი, ვინც ნაკლებ აქტიურ ცხოვრებას ეწევიან. თუმცა დღეს ფიტნეს-კლუბის, საუნის, საცურაო აუზის მოყვარულებიც არ არიან დაცულნი ამ დაავადებისგან, რადგან ასეთ ადგილებში ძირითადად, საერთო საშხაპე და გასახდელებია, რაც ბრწყინვალე ნიადაგია სოკოს გამრავლებისათვის. სოკოთი რომ არ დაავადდეთ, საჭიროა დაიცვათ შემდეგი პირობები:

**1.** სპორტულ დაწესებულებებში, საუნებში, აბანოებში, საცურაო აუზში ნუ ივლით ფეხშიშველა, ჩაიცვით რეზინის ფეხსაცმელი;

**2.** არ დაგავიწყდეთ, ვარჯიშის, ცურვის და ა.შ. დაწყების წინ და შემდეგ ფეხებზე წაისვათ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები;

**3.** აბანოს ნივთები უნდა იყოს ინდივიდუალური;

**4.** დაიცავით პირადი ჰიგიენა: ყოველთვის გქონდეთ ფეხები სუფთა და მშრალი. არ ატაროთ ფეხსაცმელი შიშველ ფეხებზე.



**5.** ფეხსაცმელი, მით უმეტეს სპორტული — უნდა იყოს ნატურალური მასალის და შესაბამისი ზომის.

თუკი სოკო მაინც შემოგეპარათ, სასწრაფოდ შეებრძოლეთ, თორემ თუ შეაღწია კანში, განკურნება გაგიძნელდებათ. დაგვიანებული მკურნალობა იქნება ხანგრძლივი და ძვირი დაგიჯდებათ. დაავადების პირველ ეტაპზე ეფექტურია სოკოს საწინააღმდეგო მალამოები და კრემები: „ნიზორალი“, „ლამიზილი“, „ეკზოლერილი“, „ეკზიფინი“, „მიკოსეპტინი“, „მიკოზოლი“, „კეტოკენაზოლი“ და სხვა. მათგან ბევრის ხმარება მოგიწევთ 2-დან 6 კვირამდე. ძალზე მნიშვნელოვანია მკურნალობის კურსის ბოლომდე მიყვანა, რადგან დარჩენილი სპორები თბილ ამინდში ისევ გაცოცხლდება...

საწყის სტადიაში კარგად მოქმედებს:

**1.** 2 ჭიქა ვერხვის ქერქი ადუღეთ 10-15 წუთი 2 ლ წყალში და ჩააწყვეთ ფეხები. ეს პროცედურა უნდა ჩაიტაროთ ყოველდღე 2 კვირის განმავლობაში — სოკო გაქრება;

**2.** დედოფლისთითას ორი ღერო მოადუღეთ 5 წუთი 1 ლ წყალში და 10-15 წუთით ჩააწყვეთ ფეხები. მკურნალობის კურსია 3-დან 15 აბაზანამდე (დაავადების სიმძიმის მიხედვით).

საერთოდ, რომ არ გაგიჩნდეთ სოკო, ფეხები არ უნდა გაგიოფლიანდეთ, 3-4 დღის განმავლობაში კარგად დაიბანეთ ფეხები ცხელი წყლით, გაიხეხეთ ნეჭათი და საპნით. შემდეგ გაიხეხეთ პემზით და წაისვით ღვინის ძმარი. რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ რეგულარულად გაწმინდოთ ფეხსაცმელი სადეზინფექციო ხსნარით, რომელიც აფთიაქში იყიდება.

***ლიზა №26***

# თუ ფუტკარმა გიკბინათ

ნაკბენ ადგილზე დაიდეთ ყინული — შემცირდება შეშუპება და შხამის გავრცელება.

ერთ-ერთი უბრალო და ეფექტური საშუალებაა — წყლის დასხმა ნაკბენზე და ასპირინის აბით გაწმენდა. წამალი ანეიტრალებს შხამებს.

მეორე საშუალება — ნაკბენზე ნიშადურის სპირტის წასმა.

თუ აქტივირებულ ნახშირის ფაფას წაისვამთ, ნაკბენი არც დასივდება და არც გეტკინებათ: დაფხვენით რამდენიმე აბი, ფხვნილი გახსენით ცოტა წყალში, დაიდეთ ნაკბენზე და შეიხვიეთ ბინტით.

***ზდოროვიე***

# მონიტორი თვალებს აფუჭებს



ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, თუ კომპიუტერთან გაატარებთ არა უმეტეს 30 წუთისა დღეში. წინააღმდეგ შემთხვევაში მონიტორის გამოსხივებას მოსდევს ახლომხედველობის განვითარება და კიდევ უფრო სერიოზული დაავადებები.

ადამიანის თვალი არ არის მიჩვეული მონიტორზე გამოსახულების აღქმას, ვინაიდან ის ანათებს, ციმციმებს და არ შეესაბამება ბუნებრივ ფერებს. ამას მოსდევს მხედველობის დაბინდვა და ქუთუთოების დაწითლება. თუ ბავშვს თავიდანვე ჰქონდა მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, კომპიუტერის ბოროტად გამოყენებას შესაძლოა მოჰყვეს სერიოზული გართობები, მხედველობის ნაწილობრივი დაკარგვაც კი.

პროფილაქტიკის თვალსაზრისით, უნდა ავარჯიშოთ თვალები: რიგრიგობით თვალის ფოკუსი დააყენეთ ახლოს და შორს მდებარე საგნებზე, ხშირად ახამხამეთ თვალები.

ზურგი და სახსრები რომ არ გეტკინოთ, აუცილებელია სამუშაო ადგილის სწორად შერჩევა: ჯდომა ჩვეულებრივზე 2,5 სმ-ით მაღლა, კლავიატურა 10-15 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული მაგიდის კიდიდან.

***ჯენტე***


ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35


**გთხოვთ აგვიხსნათ, რა არის ქოშინის გამომწვევი მიზეზი?**

***კ.კ. ქუთაისი***

# ქოშინი

სუნთქვა ფიზიოლოგიური პროცესია. ჯანმრთელი ადამიანი საერთოდ ვერ აცნობიერებს სუნთქვის სიხშირეს და ტიპს.

ქოშინი ვითარდება ყოველთვის, როცა ორგანიზმი ცდილობს სიცოცხლისთვის აუცილებელი ჟანგბადის რაოდენობის შენარჩუნებას სისხლში და ამიტომ ახშირებს ჩასუნთქვათა რიცხვს. ორგანიზმში ჟანგბადის უკმარისობის შესახებ ინფორმაცია ნერვის საშუალებით გადაეცემა თავის ტვინს, ის კი ააქტიურებს სუნთქვის ცენტრს და შესაბამისად ჩქარდება სუნთქვის სიხშირე.

ქოშინი, უპირველეს ყოვლისა, მომატებულ ფიზიკურ დატვირთვაზე ორგანიზმის რეაქციაა. ქოშინის წინააღმდეგ ბრძოლა მარტივია: საჭიროა ხშირად მიმართოთ ფიზკულტურას და რაც შეიძლება მეტი იაროთ ფეხით.

ქოშინი ვითარდება სხვადასხვა დაავადების დროსაც. კერძოდ, მისი მიზეზი შეიძლება იყოს სიმსუქნე, ანემია, ყველაზე ხშირად კი გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ფილტვების დაავადებები. მიმდინარე პათოლოგიური პროცესის დროს ხშირად ფილტვში ტკივილი არ აღინიშნება. პათოლოგიაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ არაპირდაპირი ნიშნებით, რომელთა შორისაა ქოშინი. მაგრამ ქოშინი სხვადასხვაგვარია. მაგალითად, როცა ბრონქები დაცულია ნახველით, ჩასუნთქვა გაძნელებულია. ხოლო თუ ქოშინი ბრონქოსპაზმითაა გამოწვეული (ბრონქული ასთმა), დაბრკოლება ამოსუნთქვისას აღინიშნება. ის შეიძლება ისეთი ძლიერი იყოს, რომ მოხრჩობის გრძნობაც გაგიჩნდეთ.

ჰაერის დარღვეული განვლადობის ლოკალიზაციის დადგენის მიზნით კეთდება სპეციალური გამოკვლევა — შინაგანი სუნთქვის ფუნქციის განსაზღვრა. ზოგჯერ საჭირო ხდება ბრონქოსკოპია, რომელიც საშუალებას იძლევა, დათვალიერდეს ნებისმიერი კალიბრის ტრაქეა და ბრონქი.

ქოშინი იშემიური დაავადების ხშირი მეგობარია (სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი). მაგრამ ზოგჯერ ის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლილობის ან ფილტვების შეშუპების მაუწყებელია. ექოკარდიოგრაფია, გულის რითმის დღიური გამოკვლევა, ელექტროკარდიოგრაფია და სხვა გამოკვლევები საშუალებას იძლევა, განისაზღვროს სუნთქვის უკმარისობის მიზეზები გულის პათოლოგიების დროს.



თუ ქოშინი მოსვენების დროს აღმოცენდება, ეს უკვე ორგანიზმის სერიოზულ დარღვევებზე მიუთითებს. უცებ აღმოცენებული და სწრაფად მზარდი ქოშინი შესაძლოა ფილტვის არტერიების ემბოლიის (დახშობის) ან მისი ქსოვილის გაგლეჯის შედეგი იყოს. მისი განვითარება ღამით კი უფრო ხშირად გულის რიტმის დარღვევის, გულის მწვავე უკმარისობის, კარდიალური ან ბრონქიალური ასთმის შეტევის „ბრალია“. ყველა ამ შემთხვევის დროს აუცილებელია გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

— გარდა ამისა, ქოშინი ახლავს მრავალ დაავადებას, ისე, რომ ადგილი არა აქვს სასუნთქი და სისხლის მიმოქცევის ორგანოების პათოლოგიებს. ასე, მაგალითად, იგი შეიძლება აღმოცენდეს: — თირეოტოქსიკოზის (ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის), შაქრიანი დიაბეტის დროს;

— ზოგიერთი მედიკამენტის მიღებისას;

— ბავშვებში უეცარი ქოშინი შესაძლოა სასუნთქ გზებში უცხო სხეულის მოხვედრის შედეგი იყოს.

ამგვარად, ქოშინის აღმოცენების, მისი მიზეზების დადგენა აუცილებელია არა მარტო მისი მოხსნისთვის, არამედ სხვა დაავადების სწორი დიაგნოსტიკისა და შემდგომი სასურველი შედეგის მიღწევისთვისაც.

**რა დროს ვითარდება უკანა ტანის ქავილი? როგორ მოვიქცეთ?**

***ლ.მ.***

# ანალური (უკანა ტანის) ქავილი

განისაზღვრება პირველადი და მეორადი ანალური ქავილი. მეორადი, როგორც სიმპტომი, თან სდევს ბუასილს, ანალურ ნახეთქებს, პარაზიტულ ინვაზიებს, უკანა ხვრელის სფინქტერის უკმარისობას, ანთებით პროცესებს სწორ და მსხვილ ნაწლავებში, ფალარათს, სასქესო ორგანოების ანთებით დაავადებებს, სოკოვან დაავადებებს. გარდა ამისა, ანალური ქავილი ფარულად მიმდინარე შაქრიანი დიაბეტის ერთ-ერთი ადრეული სიმპტომია.

არსებობს ქავილის მწვავე და ქრონიკული ფორმები. მწვავე ფორმისთვის დამახასიათებელია უეცარი დასაწყისი, ხანგრძლივი მიმდინარეობა, მნიშვნელოვანი ინტენსიურობა და კანის ადგილობრივი ტკივილები (ეგზემა ქავილის კვალით და ა.შ.).

ქრონიკული ანალური ქავილი კი პირიქით, თანდათანობით იწყება, კანი ხშირად მშრალია და მას პერგამენტის ქაღალდის შესახედაობა აქვს. ქავილის კვალი ან არ აღინიშნება, ან ძალიან უმნიშვნელოდ შეიგრძნობა.

***დიაგნოსტიკა:*** ანალური ქავილის დიაგნოსტირება მარტივია — უკანა ტანის ხვრელის ქავილი ძირითადი და ერთადერთი ჩივილია, მაგრამ თვითონ ქავილის დროს მისი სტადიების დადგენა არც ისე იოლია. პირველ რიგში არკვევენ, დაკავშირებულია თუ არა ქავილი დეფეკაციასთან. ეს ნიშანი მიუთითებს უკანა ხვრელის სფინქტერის უკმარისობაზე, რაც ხშირია ბუასილის, სწორი ნაწლავის გამოვარდნის, სფინქტერის სხვადასხვა ტრავმული დაზიანების (მშობიარობის შემდგომი, ოპერაციის შემდგომი), სქესობრივი აქტის გაუკუღმართების დროს.

უკმარისობის ხარისხს ადგენენ სფინქტერომეტრის საშუალებით. გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორებიც: ძლიერდება თუ არა ქავილი სპირტიანი სასმელების, ცხარე და მარილიანი საკვების მიღების შემდეგ, აქვს თუ არა პაციენტს კონტაქტი შინაურ ცხოველებთან (პარაზიტები), დაავადებულია თუ არა პაციენტი შაქრიანი დიაბეტით, სოკოთი, ფალარათით.

აუცილებელია სისხლის ანალიზი შაქარზე და განავლის სამჯერადი ანალიზი ჭიების კვერცხებზე. გარდა ამისა, კეთდება რექტორომანოსკოპია. მამაკაცებში უნდა გამოირიცხოს საშარდე მილის ანთება და პროსტატიტი, ხოლო ქალებში — ვაგინალური (საშოს) ქავილი.

***მკურნალობა:*** საკმაოდ ხანგრძლივი და რთულია. ბუასილის, პაპილომის, ანალური ნახეთქის, სწორი ნაწლავის გამოვარდნის, სფინქტერის უკმარისობის დროს დგინდება დიაგნოზი, ქავილი კი ამ დროს მხოლოდ ერთ-ერთი ჩივილია.

როცა არსებობს მხოლოდ ერთი ჩივილი — ანალური ქავილი, ხოლო ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევებით არავითარი პათოლოგია არ ვლინდება, ამ შემთხვევაში მკურნალობა უნდა დაიწყოს დიეტით, მიკროოყნებით, კანის მალამოების გამოყენებით. უფრო რთულ შემთხვევებში კი სპეციალური ინიექციებია საჭირო.

***მაია მუხიგული***




სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა

ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


# სასწაულმოქმედი ალოე



ალოეს რბილობსა და წვენს ბევრი დაავადების სამკურნალოდ იყენებენ, მათ შორისაა ქალური დაავადებები. ის ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს უჯრედებში, ახორცებს ჭრილობებს, შესანიშნავი მატონიზებელია, ორგანიზმს წმენდს წიდებისა და კანქვეშა ცხიმებისაგან. მართალია, ძვირად ღირებული პრეპარატებზე ნელა მოქმედებს, სამაგიეროდ, უვნებელია. მისი დახმარებით შეიძლება თავი დაიცვათ ჭარბი წონისგან — აღარასოდეს გასუქდებით. ალოე ხელს უწყობს საჭმლის გადამუშავებას. მკურნალობა უშედეგო იქნება, თუ სწორად არ იკვებეთ: არ მიეტანოთ შემწვარ კერძებს, მჟავეს, ლორს, ცხარე საწებელს და კონსერვებს. სასურველია დროებით დათმოთ ცომეული, უმი მწვანილი და ხილი. პროდუქტი მოამზადეთ ორთქლზე ან მოხარშეთ. მიირთვით დღეში 5-6-ჯერ, ცოტ-ცოტა. ალოესგან დამზადებულ წამალზე უკეთესს ვერაფერს ნახავთ წყლულის და ან გასტრიტის სამკურნალოდ. ერთდროულად გაიმაგრებთ იმუნიტეტს, მოიწესრიგებთ საჭმლის გადამამუშავებელ ტრაქტს და... წონაში დაიკლებთ.

***კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს:*** **1.** 0,5 ჭ დაქუცმაცებული უეკლო საბრი აურიეთ 1 ჩ/ჭ ნატურალურ გაზაფხულის თაფლში ან 1 ჩ/ჭ შაქარში და გააჩერეთ სიბნელეში 3 დღე-ღამე, დაუმატეთ ასევე ნატურალური 1 ჩ/ჭ შავი მშრალი ღვინო და გააჩერეთ კიდევ 1 დღე-ღამე. მიიღეთ ნაყენი 1 ს/კ 2-3-ჯერ დღეში;

**2.** 8-9 წვეთი ახალგამოწურული ალოე დალიეთ დღეში 2-3-ჯერ.

ალოე უნდა იყოს არანაკლებ 3 წლის, უმჯობესია 5-6-წლიანი. ფოთლების მოჭრამდე 1 კვირის მანძილზე წყალი არ უნდა დაასხათ. მკურნალობის დრო — მინიმუმ 1 თვეა. შედეგს მაშინვე არ დაელოდოთ. მოთმინებით მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

***გასტრიტის დროს კუჭ-ნაწლავის მუშაობის მოსაწესრიგებლად:*** **1.** 100 გრ თაფლში აურიეთ 15 გ ალოე, 100გრ კარაქი და მიიღეთ 1ს/კ ცხელ რძესთან ერთად დილა-საღამოს;

**2.** აურიეთ 100 გრ ალოეს წვენი 100გ თაფლში და მიიღეთ 2 ჩ/კ ჭამამდე 30 წუთით ადრე.

***მტკივნეული ციკლის დროს:*** 500გ თაფლი (სჯობს მაისის), 500 მლ წითელი ღვინო, ხორცსაკეპში გატარებულ 400 გ ალოეს ფოთოლში კარგად აურიეთ და ცივ ადგილას მოათავსეთ 5 დღის მანძილზე. ციკლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

***ოტდოხნი! №24***

# ჩავესი მეორე რაუნდისთვის ემზადება

ვენესუელის პრეზიდენტმა ჰუგო ჩავესმა ოპოზიციასთან ბრძოლის პირველი რაუნდი პირწმინდად მოიგო და ახლა მეორე რაუნდისთვის ემზადება — 15 აგვისტოს რეფერენდუმით გაირკვევა, ქვეყანაში დასრულდება თუ არა ჩავესის მმართველობა. დღეს მოსახლეობის ყურადღება ოპოზიციისკენ არის მიმართული. შეძლებენ კი ისინი გაერთიანებას? აქ ხომ პოლიტიკური სპექტრი მრავალფეროვანია — მარქსისტულად განწყობილი ჯგუფიდან დაწყებული უკიდურესი მემარჯვენეებით დამთავრებული. თუმცა ოპოზიციის გაერთიანების შემთხვევაში მის მტრად შეიძლება იქცეს არა ჰუგო ჩავესი, არამედ „გულგრილობა“. ბოლო გამოკითხვით ჩავესს, ვენესუელის 13-მილიონიანი მოსახლეობის 60%-ზე მეტი ეწინააღმდეგება, მაგრამ გამოკითხულთა უმეტესობა აცხადებს, რომ დაიღალა პოლიტიკური ბატალიებით და შესაძლოა, არც წავიდეს რეფერენდუმზე. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აგვისტოს შუა პერიოდი ვენესუელაში ყველაზე ცხელია, ამ დროს ქალაქები თითქმის ცარიელდება. რეფერენდუმზე ხალხის მიუსვლელობა კი ჩავესის წისქვილზე დაასხამს წყალს და მმართველობის პერიოდს გაუხანგრძლივებს. თუმცა არა მხოლოდ „გულგრილო-




ბაა“ ჰუგო ჩავესის ანტისარეფერენდუმო „არსენალში“ — მისი მთავრობა აკონტროლებს სარეფერენდუმო საიდენტიფიკაციო ბარათების (რომლებიც ხმის მისაცემად არის საჭირო) ბეჭდვას, ამასთან, მთავრობა აფინანსებს ხმის დამთვლელ კომისიასაც. ასე რომ, ვენესუელის „ცხელი 15 აგვისტო“, როგორც მას ქვეყანაში უწოდებენ, შესაძლოა ჩავესისთვის „გრილიც“ კი აღმოჩნდეს და ეს ქარიზმატული ლიდერი კვლავ პოსტზე დარჩეს.

***ნიუზუიქ***

# სამხრეთ კორეა დედაქალაქს იცვლის

სეული მალე დაკარგავს სამხრეთ კორეის ოფიციალური დედაქალაქის სტატუსს. ყველა სახელმწიფო დაწესებულება ახალ დედაქალაქში 2012-14 წლებში გადაბარგდება. ქვეყნის დედაქალაქის გადატანა სახელმწიფოს ათობით მილიარდი დოლარი დაუჯდება. მისი მშენებლობა ჯერ არც დაუწყიათ და არც სახელი დაურქმევიათ.

სეული სამხრეთ კორეის დედაქალაქი XIV საუკუნეში გახდა. ამჟამად მისი მოსახლეობა 20 მლნ-ზე მეტია და ამიტომაც დაიწყეს დედაქალაქის გადატანაზე ფიქრი.

სამხრეთკორეელები აღელვებულები არიან. მათი აზრით, სეულის სტატუსის შეცვლის საკითხი საგანგებო საპრეზიდენტო კომისიამ კი არ უნდა გადაწყვიტოს, არამედ საერთოსახალხო რეფერენდუმმა. მით უმეტეს, რომ 2002 წელს ქვეყნის პრეზიდენტმა მუ ჰენმა თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს გადაჭრით განაცხადა, — დედაქალაქის გადატანასთან დაკავშირებით რეფერენდუმს აუცილებლად ჩავატარებო.

ახლა სამხრეთ კორეის ხელისუფლება აცხადებს, — რეფერენდუმს ვერ ჩავატარებთ, კომისიამ გადატანის თაობაზე გადაწყვეტილება უკვე მიიღოო.

არც სეულის მერი იწონებს დედაქალაქის გადატანას — 2012 წლისთვის მერი მაინც აღარ ვიქნები და არავის ეგონოს, რომ ამიტომ ვარ წინააღმდეგი. ეს მეტად ძვირად ღირებული საქმეა და ცხადია, მოქალაქეების ხარჯზე მოხდებაო. გადატანის მოწინააღმდეგეები იმასაც ამბობენ, — ეგებ ასრულდეს დიდი ხნის ოცნება, ორი კორეა შეერთდეს და თუ ამ დროისთვის დედაქალაქი სეული აღარ იქნება, მაშინ გაერთიანებული კორეის დედაქალაქად აუცილებლად ფხენიანს შემოგვთავაზებენ, რაც რა თქმა უნდა, ჩვენთვის მიუღებელიაო.

***იზვესტია №112***

# დიკ ჩეინიმ უკადრებელი იკადრა

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი უსიამოვნებაში გაეხვია: სენატში, სხდომის დროს, თავისი ერთ-ერთი მოწინააღმდეგის, დემოკრატი სენატორის პატრიკ ლიჰის გვერდით აღმოჩნდა და ჰკითხა, — როდემდე უნდა მაკრიტიკო, აღარ გეყო ჩემი ამდენი ლანძღვაო? ლიჰიმ ვიცე-პრეზიდენტს იქით შეუტია — შენც საჯაროდ არაერთხელ გაგიკრიტიკებივარ, ცუდი კათოლიკეც კი მიწოდეო. ამერიკის მეორე პირს მოთმინების ფიალა აევსო და ლიჰის მიახალა: — წადი, შენი დედაცო...

სენატორი გაოგნებული უფრო დარჩა, ვიდრე ნაწყენი. მერე წაიბურტყუნა, — ჩანს, ჩეინი გუნებაზე არ არისო...

სენატში ბილწსიტყვაობა იკრძალება და წესის დამრღვევს მკაცრად სჯიან. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს მხოლოდ იმ ფაქტმა უშველა, რომ სხდომის მიმდინარეობისას არ შეუგინებია.

სენატორი პატრიკ ლიჰი კარგა ხანია დიკ ჩეინს ბრალს სდებს კომპანია HALLIBURTON-ის ინტერესების ლობირებაში. ამ კომპანიას, თეთრ სახლში მოსვლამდე, დიკ ჩეინი ედგა სათავეში. ვიცე-პრეზიდენტს ადანაშაულებენ, თითქოს კომპანიას ერაყში ხელსაყრელი კონტრაქტები არგუნა. იმასაც ამბობენ, კომპანიამ კონკურსის გარეშე მიიღო ერაყში ჯარისკაცების სურსათით მომარაგების უფლებაო. საგულისხმოა, რომ ერაყში HALLIBURTON-ის კონტრაქტების საერთო მოცულობა 2 მლრდ დოლარს შეადგენს.

***ფრანკფურტერ რუდშაუ***




# სადამის ქალიშვილს ერაყის მეთაურობა სურს

ერაყის ყოფილი პრეზიდენტის ქალიშვილმა, 37 წლის რაგად ქამალმა განაცხადა, რომ სურს 2005 წელს მონაწილეობა მიიღოს ერაყის საპრეზიდენტო არჩევნებში.

სადამს 5 შვილი ჰყავდა. ორი ვაჟი — უდეი და ყუსაი ამერიკელ მეომრებთან შეტაკებისას დაიღუპა, სამი ქალიშვილი — რაგადი, რანა და ჰალა ომის დაწყების შემდეგ დედასთან ერთად სირიაში გაიქცა. ამჟამად რაგადი და რანა იორდანიაში ცხოვრობენ. რაგადი გენერალ ჰუსეინ ქამალ ალ-მეჯიდის მეუღლე იყო, რანა კი მისი ძმის, პოლკოვნიკ სადამ ქამალისა. ორივეს მნიშვნელოვანი პოსტი ეჭირა ერაყის ხელისუფლებაში. 1995 წელს ძმები იორდანიაში გაიქცნენ და იქიდან ერაყელებს ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებდნენ. სადამმა შეძლო მათი დარწმუნება, რომ არაფერს დაუშავებდა, მაგრამ ერაყში დაბრუნებისთანავე ორივე მოაკვლევინა.

დროთა განმავლობაში ქალიშვილებმა აპატიეს მამას ქმრების დახოცვა.



რამდენიმე დღის წინ რაგადმა განაცხადა, — საერთაშორისო წითელი ჯვრის საშუალებით მამის წერილი მივიღე. 6 სტრიქონიდან ამერიკელ ცენზორს 3 ამოუშლიაო.

ჩანს, ქალიშვილი არ ეთანხმება დედის ვერსიას, რომ ამერიკელებს დატყვევებული ჰყავთ არა სადამი, არამედ მისი ორეული.

ჯერჯერობით უცნობია, აქვს თუ არა რაგადს თავისი კანდიდატურის რეგისტრირების შანსი ერაყში. ყოფილი დიქტატორის ქალიშვილი აპირებს თავისი სურვილი გააცნოს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებსა და ამანში არაბულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

იორდანიის ხელისუფლებამ რაგადსა და მის ნათესავებს თავშესაფარი მხოლოდ იმ პირობით მისცა, რომ ისინი არ დაიწყებენ პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამიტომ შესაძლოა, მათ იორდანია დაატოვებინონ.

***ნიუს. რუ***

# ომმა ჩეჩნეთიდან ინგუშეთში გადაინაცვლა

*დიდი სამამულო ომის დაწყების 63-ე წლისთავზე ჩეჩენმა „ბოევიკებმა“ ხელში ჩაიგდეს ინგუშეთის ოთხი ქალაქიდან ორი — ნაზრანი და ყარაბულაღი. განაიარაღეს ბლოკპოსტები, ცეცხლი წაუკიდეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას, იარაღისა და საბრძოლო ტყვია-წამლის საწყობებს, დახოცეს ადგილობრივი ხელმძღვანელები. ბოლო მონაცემებით, ინგუშეთში დაიღუპა 98 ადამიანი, 104 დაიჭრა. თავიანთი ინტერნეტსაიტის საშუალებით „ბოევიკებმა“ განაცხადეს, — ჩვენ მიერ ჩატარებული ოპერაცია რამდენიმე მიზანს ისახავდა — გვინდოდა სამაგიერო გადაგვეხადა ინგუში სამართალდამცველებისთვის, რომლებიც უსამართლოდ სჯიან ადგილობრივ მშვიდობიან მცხოვრებლებს და მთელი მსოფლიოსთვის შეგვეხსენებინა, რომ ჩეჩნეთს არ შეუწყვეტია წინააღმდეგობის გაწევა.*

29 აგვისტოს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი კანდიდატი, მოსკოვში მცხოვრები ჩეჩენი მალიკ საიდულაევი ინგუშეთში მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით გადაჭრით ითხოვს, რომ რუსეთმა შეცვალოს ჩეჩნეთის მიმართ თავისი პოლიტიკა, რადგან შესაძლოა განმეორდეს ინგუშეთზე თავდასხმის სისხლიანი სცენარი. მალიკ საიდულაევი აცხადებს: — თავდასხმაში მარტო ჩეჩნები კი არ მონაწილეობდნენ, არამედ ინგუშეთის მცხოვრებლებიც, თორემ ასეთ ფართომასშტაბიან ოპერაციას ვერ ჩაატარებდნენო. ჩეჩნეთის ხელმძღვანელები აცხადებდნენ, — „ბოევიკები“ თითქმის აღარ არიანო. ახლა კი ყველასთვის ნათელია, რომ ისინი ბრძოლას აგრძელებენ და შეიძლება საერთოკავკასიურ ომში ჩაითრიონ დაღესტანი, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ოსეთი. კავკასიის ერთიანობის შესანარჩუნებლად აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ადათ-წესები და სურვილები.

***დი ველტი***

# ესტონეთი კომპენსაციას ითხოვს

ესტონეთის მთავრობა რუსეთს საბჭოთა ხელისუფლების წლებში მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას სთხოვს. ესტონელები ცდილობენ, სსრკ-ის დროინდელი პოლიტიკა ჰიტლერული გერმანიისას გაუთანაბრონ. მარტო საბჭოთა არმიის ყოფნამ ესტონეთში ქვეყანა 4 მლრდ დოლარით აზარალა, — განაცხადა საოკუპაციო რეჟიმების რეპრესიული პოლიტიკის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ველო სალომ. მისი თქმით, ამას დოკუმენტურად ადასტურებენ ციფრები. ესტონეთი მთავარ დანაკლისად მიიჩნევს იმას, რომ 180 ათასი მოქალაქე დაიღუპა, ან დატოვა ქვეყანა, ეს კი მოსახლეობის დაახლოებით 18%-ია. ესტონეთის ხელისუფლება რუსეთს სსრკ-ის სამართალმემკვიდრედ მიიჩნევს და მას მოსთხოვს ზარალის ანაზღაურებას, თუმცა ქვეყნიდან რუსეთის ჯარის გაყვანის ხელშეკრულების დადების დროს ორივე მხარემ უარი თქვა ურთიერთპრეტენზიებზე.

ესტონეთის მთავრობის მოთხოვნის პასუხად რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ჰიტლერული გერმანიისა და სსრკ-ის ხელისუფლების ქმედებათა გაიგივება აბსურდულია, რადგან სწორედ საბჭოთა კავშირმა გაანადგურა ჰიტლერული გერმანია და ევროპა ნაციზმისაგან იხსნა.

***კომერსანტი №105***

## მოკლედ

**სტრასბურგში,** საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე, ევროსაბჭოს ახალი გენერალური მდივანი აირჩიეს — ბრიტანელი ტერი დევისი. მან ამ პოსტზე ავსტრიელი ვალტერ შვიმერი შეცვალა. ტერი დევისი პოსტს 2004 წლის 1-ელი სექტემბრიდან დაიკავებს და თავის მოვალეობას ხუთი წლის განმავლობაში შეასრულებს.

**გაეროს** შტაბბინაში გაიმართა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მსოფლიოში ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. გაეროს მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, — ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს პალესტინელ ხალხს თავისი უფლებებისთვის ბრძოლაში, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს ანტისემიტიზმის გაღვივების საბაბად.

**უკრაინის** პარლამენტის რამდენიმე ოპოზიციურმა ფრაქციამ მოითხოვა, გენპროკურორმა დაუყოვნებლივ გააცნოს პარლამენტარებს ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობასთან დაკავშირებული ახალი ფაქტები. ოპოზიციონერებს მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაში პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას ხელი ურევია.

**ფილიპინელებმა** პრეზიდენტი აირჩიეს — ქალბატონი გლორია მაკაპაგალი აროიო, ყოფილი პრეზიდენტის დიოსდადო მაკაპაგალის ქალიშვილი. მას ხმა მისცა 13 მლნ-მა ფილიპინელმა. ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, აროიო მხოლოდ ერთი საპრეზიდენტო ვადითაა არჩეული.

**ბაღდადში** სამხედრო ტრიბუნალმა დაიწყო სამი ამერიკელი ჯარისკაცის საქმის წინასწარი მოსმენა. მათ ბრალი ედებათ აბუ-გრაიბის ციხის ერაყელ პატიმართა წამებაში. მოსმენის პირველ დღეს პროკურორმა დააკმაყოფილა ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატის მოთხოვნა — სასამართლოში მოწმედ აშშ-ის არმიის უმაღლესი ოფიცრების გამოძახებასთან დაკავშირებით.

**სირიის** პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა განაცხადა, — ჩვენ ვაგრძელებთ დიალოგს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თუმცა შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს. ჩვენი ურთიერთობის არასტაბილურობის მიზეზი აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუდმივი ცვლილებებია. აშშ-ის მხრიდან სირიის მიმართ სანქციები საერთაშორისო ურთიერთობის ახალი ფორმაა, როცა ერთი სახელმწიფო მეორეზე ბატონობისკენ ისწრაფვის.

**ირანის** სამხრეთ-აღმოსავლეთში ბენზინით დატვირთული მანქანა საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მდგარ მგზავრებით სავსე ავტობუსს შეასკდა. 90-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ათობით — დაშავდა.

**აშშ-მა** ერაყთან ომში 126 მლრდ დოლარზე მეტი დახარჯა; რაც ნიშნავს, რომ თითოეულ ამერიკულ ოჯახს ეს ომი 3415 დოლარი დაუჯდა.

**ჩრდილოეთ კორეის** ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით პეკინში გამართული ექვსმხრივი მოლაპარაკებების დროს კულუარებში ითქვა, — ჩრდილოეთ კორეამ შესაძლოა ბირთვული გამოცდა დაიწყოსო. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ ჩრდილოეთ კორეის დელეგაციამ ეს ცნობა იონბენის ბირთვული რეაქტორის გაყინვის სანაცვლოდ აშშ-დან 2 მლნ კილოვატი ელექტროენერგიის მისაღებად გაავრცელა.

**ერაყში,** ელ ფალუჯში ერთ-ერთი სახლის დაბომბვის დროს დაჭრეს „ალ-ქაიდას“ ლიდერი აბუ მუსაბა ალ-ზარყავი. ამერიკის ჯარის მეთაურთა განცხადებით, სახლს, რომელსაც ბომბავდნენ, ავტოკოლონა მიუახლოვდა, ერთ-ერთი მანქანიდან გადმოვიდა მამაკაცი, რომელიც სავარაუდოდ ალ-ზარყავი უნდა ყოფილიყო. აფეთქების ტალღამ იგი მიწაზე დააგდო, დაცვამ დაჭრილი მაშინვე მანქანაში ჩაისვა.

**ბრაზილიელმა** ბოტანიკოსებმა კუნძულ მადაგასკარზე აღმოაჩინეს ყავის ხის რამდენიმე ჯიში, რომლის მარცვლები 15%-ით ნაკლებ კოფეინს შეიცავს, ვიდრე ჩვეულებრივი. კუნძულზე ადრეც ნახეს ყავის ველური ხეები, მაგრამ მარცვლების ხარისხი არ იძლეოდა სამრეწველო მასშტაბით გამოყენების საშუალებას. ამჟამად მსოფლიოში მოხმარებული ყავის 10%-ზე მეტში ხელოვნურად ამცირებენ კოფეინის შემადგენლობას. ეს საკმაოდ ძვირად ღირებული პროცესია, ამასთან უარყოფითად მოქმედებს სასმლის გემოზე. ახალნაპოვნი ყავის ხეები ჩვეულებრივზე 30%-ით ნელა იზრდება. ამიტომ მეცნიერები გეგმავენ მათ შეჯვარებას ჩვეულებრივთან, რათა ჩქარა მიიღონ კოფეინის სხვადასხვა რაოდენობის შემცველი ყავის მარცვლები.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

აცხადებს მიღებას 2004-2005 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. უცხოური ენები; 3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 5. ქართული ენა და ლიტერატურა; 6. ისტორია; 7. ჟურნალისტიკა; 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 9. საბანკო საქმე; 10. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; 11. ფინანსები და კრედიტები.

*წარმოებს მოწინავე სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.*

ინსტიტუტთან 9 და 11 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს კოლეჯი შემდეგი სპეციალობებით:

1. სამეანო საქმე; 2. ორთოპედიული სტომატოლოგია; 3. მედდა; 4. სამართალმცოდნეობა; 5. საბაჟო-ეკონომიკური; 6. უცხოური ენები; 7. ფარმაცევტია.

მის: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა

☎ 35-27-00; 36-00-83; 899-90-25-99; 893-30-32-83; 52-67-67

უნივერსიტეტი «საქართველო» და მასთან არსებული სამედიცინო კოლეჯი 2004-2005 სასწავლო წლისთვის აცხადებს აბიტურიენტების მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე

SAKARTVELO

**უნივერსიტეტში:**

1. **სამედიცინო** სამკურნალო სტომატოლოგია ფარმაცია
2. **სამართალმცოდნეობა**

**კოლეჯში:**

1. საერთო პროფილის მედდა
2. საბებიო საქმე
3. ორთოპედული სტომატოლოგია
4. ფარმაცია

თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1ბ

☎ 29-40-70; 95-67-36; 37-18-29

E-mail: unisak@myoffice.ge http://unisak.myweb.ge

# „პატივცემული მეცნიერისთვის" ეს საწარმო ქონების მართვის მინისტრს უჩუქებია"(?!)



## „უახლოეს მომავალში კიდევ არაერთი პირისთვის მოვითხოვთ ქონების ჩამორთმევას"

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

მათი „მმართველობის" დროს დაიჭრა და გაიყიდა უნიკალური, 5 მლნ აშშ დოლარად ღირებული დანადგარი „კოვა-ფინიში", რომელიც 300 ტ ფერად ლითონს შეიცავდა. ვინ იცის, კიდევ რამდენი ტონა ლითონი დაიტაცეს? ნაცვლად იმისა, ციხეში ისხდნენ, კანცელარიასთან მივიდნენ და სისულელეები ილაპარაკეს.

**— საწარმოს თანამშრომლები, ადუაშვილი და კაპანაძე, რომლებიც ამჟამად მართავენ მას, თქვენი ახლობლები არიან?**

— ასეთი გვარის ნათესავები და ახლობლები არც მყავს. როდესაც ამ საქმეს ვიძიებდი, ზეწოლაც იყო და მითითებებიც — პაიჭაძის უკან შევარდნაძე დგას, საქმე შეწყვიტეთო. აღმოჩნდა, რომ „პატივცემული მეცნიერისთვის" საწარმო ქონების მართვის მაშინდელ მინისტრს, ავთანდილ სილაგაძეს უჩუქებია — ეკონომისტი კაცი ხარ და ეს საწარმო შენი იყოსო(!). სინამდვილეში, ის მომჩივნები ჰალსტუხიანი ყაჩაღები არიან და მათი მიტინგები ვერ შემაშინებს. საწარმო და მისი ტერიტორია არც ვიღაც ადუაშვილს დარჩება და არც კაპანაძეს, სახელმწიფოს დაუბრუნდება და მერე გაიყიდება აუქციონზე.

**— კარგი, სხვა თემაზე გადავიდეთ. ოპოზიციამ საეჭვოდ მიიჩნია თქვენ მიერ კონტროლის პალატიდან მასალების წამოღება — ქალაქის პროკურატურა მავანთა ცოდვების გაქრობას აპირებსო.**

— მაგის მთქმელებმა ცოდვები თავისკენ მოიკითხონ. მოგეხსენებათ, კონტროლის პალატის თავმჯდომარე დაპატიმრებულია. ბუნებრივია, გვინდა მისი ხელმძღვანელობის დროინდელი მუშაობის უფრო დეტალური შესწავლა, რათა კონტროლის პალატის სხვა ხელმძღვანელთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხიც გაირკვეს. როგორც დავადგინეთ, მოლაშვილის დროს კონტროლის პალატას შესამოწმებელი ობიექტებიდან ბიუჯეტში გადასახდელი თანხის 30% მიჰქონდა. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს პირველადი ბრალდება 7 ორგანიზაციის გამო წავუყენეთ, საიდანაც უკანონოდ იქნა ამოღებული 37 ათასი ლარი. კონტროლის პალატას არ ჰქონდა უფლება საგადასახადო ინსპექციის ფუნქციები შეესრულებინა და ფული თავად ამოეღო. მისი მოვალეობა შემოწმება და აქტის შედგენაა, რომელსაც შემდგომ გადაუგზავნის საგადასახადო ინსპექციას. ინსპექცია ამოიღებს თანხებს ბიუჯეტის სასარგებლოდ და მხოლოდ მერე გადადის ბიუჯეტიდან ამოღებული თანხის 30% კონტროლის პალატის სპეცსახსრებზე. მოლაშვილის დროს კი, როგორც მოგახსენეთ, ბიუჯეტისთვის გადასახდელი თანხის 30%-ს პირდაპირ არიცხვინებდნენ თავიანთ ანგარიშზე. ამ თანხის დანარჩენი 70% კი დღესაც ამოუღებელია ამ ორგანიზაციებიდან; ანუ გამოდის, რომ ბიუჯეტში არაფერი შედიოდა. ამიტომ დავინტერესდით კონტროლის პალატის მასალებით. საეჭვოა ის ფაქტიც, რომ კონტროლის პალატას სხვადასხვა ორგანიზაციის შემოწმების მასალები დიდხანს ეწყო არქივში, ნაცვლად იმისა, სამართალდამცველებისთვის გადმოეგზავნა.

**— თქვენი სტუმრობის შემდეგ კონტროლის პალატის არქივის გაქურდვაზე იყო ლაპარაკი, ეს საეჭვოდ არ გეჩვენათ?**

— ეს შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც გაირკვა, არქივის გარე საკეტი გაუტეხიათ. არქივამდე რომ მიეღწიათ, კიდევ ორი კარი უნდა გაეხსნათ. იქამდე კი ქურდები არ მისულან, კარების საკეტები დაზიანებული არ იყო. ჩემი აზრით, ეს იყო ქურდობის ინსცენირება, სიმულაცია. შესაძლოა, არქივში „რალაცის" გამო მართლაც აღარ იყოს ზოგიერთი მასალა. ამიტომაც ჩვენ იქ რევიზიას ჩავატარებთ.

თუ აქტები არქივიდან მართლაც გამქრალია, ჩვენ მაინც ვიპოვით მათ. ასე რომ, მავანნი ტყუილად გაისარჯნენ.

**— თავის დროზე მოლაშვილის წინამორბედი რეზო შავიშვილი ამბობდა — ჩვენ მიერ მოძიებული მასალები ნაღმებიაო. ხომ არ დაიწყო პროკურატურამ ამ ნაღმების აფეთქება?**

— ბატონი რეზო პატიოსანი კაცია, მაგრამ ეტყობა, მის დროს ისეთი ვითარება იყო, რომ ბომბი უნდა გაეკეთებინა და შემდეგ თაროზე შემოედო. ბომბი უმოქმედოდ არ უნდა დადო, უნდა ააფეთქო — სამართალდამცველებს უნდა გადასცე, რათა შეფასება მისცენ. დღესდღეობით სწორედ კონტროლის პალატის აქტების საფუძველზე დგება ბევრი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ბორის სალარიძეს აღმკვეთი ღონისძიება სწორედ ამ მასალების საფუძველზე შეუფარდეს.

მას შემდეგ, რაც გაირკვევა კონტროლის პალატის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი, ყველა იმ ორგანიზაციას, რომლებიც ანგარიშვალდებული იყვნენ ბიუჯეტთან, დაკისრებული თანხების გადახდა მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათზე სისხლის სამართლის საქმეები აღიძვრება.

**— რამდენადაც ვიცი, მამალაძისა და ბორის სალარიძის საქმეს სწორედ თბილისის პროკურატურა იძიებდა...**

— დაუსაბუთებელი ქონების შესახებ კანონი 13 თებერვლიდან შევიდა ძალაში, მაგრამ აქამდე გამოძიება მიმდინარეობდა და ამიტომ არ ჩამოგვირთმევია არავისთვის არაფერი. სათანადო მასალების მოძიების შემდეგ მივმართეთ სასამართლოს შუამდგომლობით, რომ ამ პირებისთვის დაუსაბუთებელი ქონება ჩამოერთმიათ. მერწმუნეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია, უახლოეს კვირებში, შესაძლოა მომავალ კვირასაც, მოვითხოვთ კიდევ არაერთი პირისთვის ქონების ჩამორთმევას.

**— ამჟამად თუ არკვევთ რომელიმე იმ პირის ქონების წარმოშობას, რომელიც ახალი ხელისუფლების წევრია ან მის მიმართ ლოიალურადაა განწყობილი?**

— ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ როგორ არის ხელისუფლებასთან და ვინ სად არის დღეს. წაღებული ფული ყველამ უნდა დააბრუნოს. მაგალითად, ჩვენ აღვძარით საქმე თემურ ჭყონიაზე. ისიც ლოიალურია დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ უკან არ დაგვიხევია. ასევე მოვიქცევით სხვა შემთხვევაშიც.

უთუოდ დავინტერესდებით იმ თანამდებობის პირებით, რომელთაც თავიანთი მცირე ხელფასით მილიონებად შეფასებული ქონების დაგროვება შეძლეს.

**— საირმის გორაზე ხომ არ აპირებთ გასეირნებას?**

— ვერსად გავისეირნებ იმიტომ, რომ სამსახურში ჯდომა და დოკუმენტებზე მუშაობა მიწევს. თუ საქმე მოითხოვს, მერე საირმეზეც წავალ და იმის იქითაც. აუცილებლად მივაკითხავთ ყოფილი თუ ამჟამინდელი ჩინოვნიკების სასახლეებს. აქედან გამომდინარე, კიდევ ბევრს მივადგებით, მათ ვინაობას ახლა ვერ დავაკონკრეტებ — ეს რომ გითხრათ და დაწეროთ, დაკრავენ ფეხს და გაიქცევიან...

*მარი ზანდუკელი*

# ქართველი მესაზღვრეები საზღვრის დამრღვევებს სანთებლებით ეძებენ(?!)

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

**— შენ გადადი, მე კი სურათს გადაგიღებ.**

— მგონი ჭკუაზე მართლა არ უნდა იყო. სურათს გადაგაღებინებ ახლა მეე?..

ვიფიქრე, მართლა გადავკვეთ საზღვარს-მეთქი. irgvliv კაცის ჭაჭანება არ ჩანს და ვინ რას გაიგებს-მეთქი. რამდენიმე ნაბიჯი მართლაც გადავდგი და ყურში ჩამესმა: „სტოი! კტო იდიოტ! სტრელიატ ბუდუ!" არ ვიცი, მომეჩვენა თუ ჩემმა მეგზურმა იხუმრა, მაგრამ ჩემთვის ესეც საკმარისი იყო და ციმციმ უკან გამოვბრუნდი. ჩემი ქვეყნის საზღვრის უკანონო გადალახვა, თუნდაც ამ „უკაცრიელ ადგილს" და თუნდაც რამდენიმე წამით, ჩემი ქვეყნის შეურაცხყოფად მივიჩნიე.

**— თურქი მესაზღვრეებიც რომ არ ჩანან?**

— ისინი აქედან დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე დგანან. საზღვრის დაცვით თავს ისინიც არ იკლავენ, მაგრამ ჩვენ მაინც გვჯობნიან — კოშკურები და ძლიერი ოპტიკური დურბინდები აქვთ. რამდენიმე წუთში დაგვაფიქსირებენ და ჩაგვისაფრდებიან. ამიტომ ღამღამობით მოვდივარ აქ... რომ გამახსენდა, რა მომქანცველი გზა უნდა გამევლო ბათუმში ჩასვლამდე, გამაჟრიალა, მაგრამ რას ვიზამდი. დაღამებამდე მანქანასთან უნდა მივსულიყავით. ჩემი აჭარელი მგლებითა და ტურებითაც მაშინებდა და ამიტომ ფეხს ავუჩქარეთ. მანქანასთან ვაი-ვაგლახით მივლასლასდი. უკანა სავარძელზე მივეგდე და რამდენიმე წუთში მკვდარივით ჩამეძინა. თენდებოდა, მძღოლმა რომ გამაღვიძა, უკვე ბათუმში ვიყავით. მეგზურობისათვის მადლობა ვუთხარი და გამოვემშვიდობე.

მეორე დღეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის რეგიონალური საზღვრის დაცვის სამმართველოს უფროსს, **თენგიზ კონცელიძეს** შევხვდი (ორიოდ კვირის წინ „კვირის პალიტრაში" სტატია დაიბეჭდა. თენგიზ კონცელიძეს სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციაში ყოფილი მესაზღვრეები სდებდნენ ბრალს). გენერალ-მაიორს უსიტყვოდ მივაწოდე საზღვარზე გადაღებული ფოტოები. გენერალმა დაკვირვებით დაათვალიერა ყველა, მერე გაიღიმა და მითხრა: — ამ ფოტოებზე ხულოს რაიონში მდებარე ბეშუმის საზღვრის მონაკვეთია აღბეჭდილი. ალბათ, როგორ იწვალეთ, სანამ იქ მიხვიდოდით. ჩემთვის გეთქვათ და წაგიყვანდით საზღვრის ნებისმიერი მონაკვეთის დასათვალიერებლად.

**— შეიძლება საზღვრის კარგად დაცულ რომელიმე მონაკვეთზე მართლაც წაგეყვანეთ, მაგრამ მე ის მონაკვეთები უფრო მაინტერესებს, რომლებიც მიტოვებულია(!). ექსპერიმენტიც კი ჩავატარე, რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა. სამწუხაროდ, ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ დაუბრკოლებლად შეიძლება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთის გადაკვეთა.**

— მართალი ბრძანდებით. საზღვრის ბევრი მონაკვეთი სიგნალიზაციის გარეშეა დარჩენილი. საზღვრის ყველა მონაკვეთი ისე უნდა იყოს აღჭურვილი, რომ დამრღვევის დაკავება შევძლოთ. სამწუხაროდ, დღეს არც სამმართველოს და არც დეპარტამენტს საამისო სახსრები არ გააჩნია. 2002 წელს სომხეთიდან მოვიწვიე სპეციალისტები საზღვრის სიგნალიზაციის აღსადგენად. ერთი კილომეტრი სიგნალიზაციის აღდგენაში 27 ათასი დოლარი მოითხოვეს. ამიტომ მოლაპარაკება შევწყვიტე.

**— საკონტროლო-საკვალე ზოლის (რომელზეც მესაზღვრემ დამრღვევის ნაკვალევი უნდა აღმოაჩინოს) მოხნა-დაფარცხვა ხომ არ ღირს 27 ათასი დოლარი?**

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ამის საშუალებაც არა გვაქვს. რამდენიმე თვის წინ საზღვრის დამრღვევთა დასაკავებლად სარფის სასაზღვრო მონაკვეთზე საგანგაშო ჯგუფი გავიდა. ეს მონაკვეთი კარგად არის დაცული, სიგნალიზაციაც გამართულად მუშაობს. იმ ღამეს იცით, რითი ვეძებდით საზღვრის დამრღვევებს? ჩვეულებრივი სანთებლებით. იმის საშუალებაც არ გვაქვს, ელექტროფარნები ვიყიდოთ. ლაპარაკი ზედმეტია მესაზღვრისთვის ისეთ აუცილებელ ატრიბუტზე, როგორიც დურბინდია. საზღვრის ბევრ მონაკვეთზე დანგრეულია საინჟინრო ნაგებობები, ზღუდეები. მესაზღვრეები აუტანელ პირობებში ცხოვრობენ — ფიცრულ ვაგონებში სუნთქვაც კი ჭირს.

**— მისასალმებელია, რომ აუტანელი პირობების მიუხედავად, მესაზღვრეები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, მაგრამ სანამდე?**

— გასაგებია თქვენი გულისტკივილი... ამჟამად ხელისუფლებას, დეპარტამენტსა და სხვა უწყებებს მთელი ყურადღება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე აქვთ გადატანილი და ამის გამო თურქეთთან საზღვრის მონაკვეთი უკონტროლოდ გვრჩება. არ უარვყოფ, რომ საზღვრის დაუცველ მონაკვეთზე ღამით არა მარტო დამნაშავეები, ის მოქალაქეებიც გადადიან, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნის საკონსულოებმა უარი უთხრეს ვიზის გაცემაზე. მხოლოდ წელს ყალბი პასპორტით საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას 144 პირი დავაკავეთ. მათი დაკითხვისას დავადგინეთ, როგორ და სად გააკეთეს ყალბი პასპორტები და ვიზები. მოპოვებული ინფორმაცია შესაბამის სამსახურებს გადავეცით, შემდეგ კი რა ზომები მიიღო უშიშროებამ, ჩვენთვის უცნობია.

საზღვრის დაცვის აჭარის რეგიონალური სამმართველოს უფროსს ყალბი პასპორტებისა და ვიზების დამამზადებლებისა და გამყიდველების დასახელება ვთხოვეთ, მაგრამ კატეგორიული უარი მივიღეთ. გენერალმა ეს ინფორმაციის საიდუმლოებით ახსნა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ჩავიგდეთ ხელთ ერთი ცნობის ასლი (იგი აჭარის უშიშროების სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა მოგვაწოდა). მასში ყველაფერი დაკონკრეტებულია. აი, ისიც (გვარ-სახელებს და მისამართებს არ გავახმაურებთ): „ქ. თბილისში, ... გამზირზე მდებარე საპასპორტო განყოფილების წინ არსებულ ტურისტულ ფირმაში... მუშაობს ვინმე ..., რომლის ტელეფონის ნომერია ..., ეს პიროვნება 2000 დოლარის საფასურად ამზადებს ყალბ პასპორტებს ისრაელის ვიზებით. მეტროპოლიტენ ... სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ტურისტული ფირმა ..., აღნიშნული ფირმის წარმომადგენელია ვინმე მარინა, რომელიც ამზადებს პასპორტებს სხვის მონაცემებზე. ხსენებულ ფირმასთან შუამავლობს თბილისში ... ქუჩაზე მცხოვრები ვინმე ლია ... თბილისში ყალბი პასპორტების დამზადებით დასაქმებულია ვინმე ჯაბა. აღნიშნული პიროვნება ყალბ პასპორტებს ამზადებს რესპუბლიკის საპასპორტო-სავიზო ბიუროში 500 დოლარის საფასურად. პასპორტები გამოწერილია სხვა მოქალაქეზე, მაგრამ მასში ფოტოსურათი იმ მოქალაქისაა ჩაწებებული, რომელიც ყიდულობს ყალბ პასპორტს. ასევე ამგვარ საქმიანობას ეწევიან ქუთაისში ნაქირავებ ბინაში მცხოვრები ვინმე ნაილი, ქ. ბათუმში .... ქუჩაზე მცხოვრები ვინმე ეთერი. ქუთაისში მცხოვრები ვინმე ნინო ცაგერის საპასპორტო განყოფილებასთან თანამშრომლობით აკეთებს პირადობის მოწმობებს ყალბ მონაცემებზე და აღნიშნული მოწმობების საფუძველზე ღებულობს ეროვნულ პასპორტებს ამბროლაურის საპასპორტო-სავიზო განყოფილებაში. ორთაჭალაში ... მიმდებარე ტერიტორიაზე ხშირად იმყოფება სომეხი ეროვნების კაცი სახელად ..., რომელიც 2000 დოლარად აკეთებს ყალბ პასპორტებს"(!).

P. S. დღემდე თვალწინ მიდგას ბეშუმის საგუშაგოს საზღვრის მონაკვეთზე ნანახი საზღვარი. ასე ძველად, იმერეთში, გალატაკებულ, მაგრამ თავმოყვარე გლეხსაც კი არ ჰქონდა ყანა შემოღობილი. 21-ე საუკუნეში სახელმწიფოს საზღვარი სიმინდის ყანაზე უკეთესად ხომ უნდა დავიცვათ? ვისაც როდის მოეპრიანება, მაშინ უნდა დაარღვიოს სახელმწიფო საზღვარი? ქვეყანა საზღვრიდან იწყება და მისი მდგომარეობა ქვეყნის სახეა. სამწუხაროდ, ეს „სახე" დღეს სასწრაფო, საფუძვლიან „პლასტიკურ ოპერაციას" მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უპატრონოდ მიტოვებულს ეშმაკები დაეპატრონებიან, — ასე უთქვამთ ჩვენს წინაპრებს.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 26 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9200 |
| ევრო | 2,3270 |
| ინგლ. გირვანქა სტერლ. | 3,4923 |
| რუსული რუბლი | 0,0661 |
| თურქული ლ. (1.000.000) | 1,2895 |

„ჯონსტონის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

ლუიზოლი Louise-all
პირის ღრუს ლოსიონი და კბილის საწმენდი ფხვნილი
გამინფლემი GUMINFLAM
სერტიფიცირებულია
უსწრაფესად მოგიხსნით ღრძილების ნებისმიერ პრობლემას
იკითხეთ აფთიაქებში
☎ 37-38-13; 92-17-10
კაბინეტი „ლუიზოლი"

ლუიზოლი Louise-all
თქვენ მრავალი საშუალება გაქვთ ნაცადი ჭარბთმიანობისაგან განსაკურნებლად... გაგიცრუვდათ იმედი?! გულს ნუ გაიტეხთ!!!
ჩვენ გთავაზობთ ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემს და ლოსიონს — „ლუიზოლი" — სრულყოფილი შედეგით!
ეს სიახლეა!!!
„ლუიზოლი" დაგეხმარებათ ადვილი, უვნებელი და ძალზე ეფექტური საშუალებით სამუდამოდ გათავისუფლდეთ ჭარბთმიანობის უსიამოვნო კომპლექსისაგან.
კაბინეტი „ლუიზოლი" ☎ 37-38-13; 92-17-10

ფირმა „ფლორანი"
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები უმაღლესი ხარისხის პროფილით
სხვადასხვა ფერები და საკეტები
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი"-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. დაბრკოლებათა „გადალახვა“



კარგა ხნის წინ ჩემმა კლასელმა დათო ცხოიძემ გვიან ღამით (კლასელები კინოდან ვბრუნდებოდით) კეკელიძის ქუჩაზე, ჩემს სახლთან მიმაცილა, თვითონ იქვე, შროშის ქუჩაზე უნდა გადასულიყო. ზაფხული კი იყო, მაგრამ კოკისპირულად წვიმდა. ვხედავ, ნახევარ საათში ტალახში ამოგანგლული მომადგა კარზე, თან სიცილს ვერ იკავებდა. აი, რა მოყვა ძლივ-ძლივობით: — სახლისკენ წავედი და ლამპიონების შუქზე დავინახე, რომ ალაპლაპებული ქუჩის განაპირას, ტროტუარზე კაცი დგას, მუშის ტანსაცმლით, აჩაჩულ-დაჩაჩული, ცალ ხელს იშვერს ჩემკენ, რაღაცას მიყვირის და კვდება სიცილით. მივიხედ-მოვიხედე, კაციშვილის ჭაჭანება არაა ჩემ გარდა. აშკარად მე დამცინისმეთქი. გაბრაზებული წავედი მისკენ და... თვალთ დამიბნელდა. თურმე ქუჩის მთელ სიგანეზე თხრილი იყო (წყლის მილებს ცვლიდნენ), რომელიც წვიმას ამოუვსია. ქუჩა ერთიანად ლაპლაპებდა. მე რომ მუშა მეგონა, ჰალსტუხიანი ინტელიგენტი აღმოჩნდა, რომელსაც ჩემსავით თხრილში მოუდენია ბრაგვანი და ერთიანად ამოზუზნულა. ის იყო გავარკვიე, რაც მოხდა და სიცილი ამიტყდა, რომ ჩვენი მიმართულებითი მომავალი მობანცალე უცნობი გამოჩნდა. ორივემ, მე და ჰალსტუხიანმა, ერთდროულად გავიშვირეთ ხელი მის გასაფრთხილებლად, მაგრამ სიცილისგან ხმა ვერ გავიღეთ. რა თქმა უნდა, ისიც თხრილში ჩავარდა და ჩვენ ამოვიყვანეთ. ისიც ჩვენს „ფორმაში“ ჩადგა. კაიხანს გვეხვეწებოდა მე და ჰალსტუხიანს, ჩემთან წავიდეთ, თითო ჭიქა დავლიოთ, თან ცოლიც აღარ გამიჭირებს საქმეს, თქვენც რომ ტალახიანებს დაგინახავთ, გინდა თუ არა, სიმთვრალის გამო ჩავარდებოდი ტალახშიო...

***მაია ჭელიძე, თბილისი***

## 2. კარნახი



ინგლისურის გაკვეთილია ქუთაისის ერთ სკოლაში და დამსწრეები ჰყავთ. ახალგაზრდა მასწავლებელი, ნათია ქ. მისულა დაფასთან და დაუწერია წინადადება. საკმაოდ მოხდენილი გოგოა ნათია, თანაც ისეთი ტანი აქვს, პოდიუმზე რომ არა აქვს ზოგიერთს!

ჰოდა, დაუწერია ამ ჩვენს ნათიას წინადადება ინგლისურად და შემობრუნდა თურმე ტანის რხევით მოსწავლეებისკენ, — აბა, ბავშვებო, ვინ მითარგმნით, რა დავწერეო. დაფასთან ზურგით მდგარ ერთ დამსწრეს ჩაუჩურჩულებია, — აუ, რა საჯდომიაო (ოღონდ, მთლად ამ სიტყვებით არა!)...

მშვენიერი ნათიას შეკითხვაზე ხელი ყველაზე ჩამორჩენილ მოსწავლეს აუწევია და უთქვამს: — აუ, რა საჯდომიაო!.. კინაღამ მოუკლავს მასწავლებელს ის ბიჭი და გარეთ გაუგდია. ეს ბიჭი კიდევ გაკვეთილის შემდეგ გარეთ გამოსულ დამსწრეს დაუხვდა და უსაყვედურა თურმე, — ბიძია, თუ არ იცოდი, რატომ მიკარნახეო!..

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## 3. მააქ, კაცო, მააქ!..



ნიაზ ბერიძე საჩხერის რაიონიდან ჩამოვიდა თბილისში, ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად. მერე კი გახდა „დიდი კაცი“, მაგრამ სტუდენტობამდე რუსულზე ცოტა მწყრალად იყო. პირველივე დღეს ტრამვაით მოუწია მგზავრობამ. წინა კარიდან ავიდა, მაშინვე ხურდა გადააწოდა ბილეთის შესაძენად. ბილეთი კი გადმოაწოდეს, მაგრამ რუსმა კონდუქტორმა აიჩემა — ბერიწე ბილეტიო! ნიაზმა ორი თითით აჩვენა კონდუქტორს ბილეთი.

ორიოდე წუთის შემდეგ კვლავ აიტეხა კონდუქტორმა, — ბერიწე ბილეტიო!.. — ნიაზს მოთმინების ფიალა აევსო:

— მააქ, კაცო, მააქ!.. — და მთელი ტრამვაის დასანახად ხელახლა გააქნია ორი თითით ბილეთი. კონდუქტორმა კი თავისი არ დაიშალა:

— ბერიწე ბილეტი!

— მააქ, კაცო, მააქ!... — ახლა უკვე იყვირა ნიაზმა.

— შენ კი გაქვს, შვილო, მაგრამ შენ გვერდით რომ კაცია, იმას არ აუღია ბილეთი! — წასჩურჩულა ხანში შესულმა ქალმა.

— მერე, ეგეც ბერიძეა? — დაინტერესდა ნიაზი.

თურმე მას კონდუქტორის სიტყვები ასე ესმოდა: „ბერიძე ბილეთი!“

***გერონტი მესხი, თბილისი***

## 4. წერილი



ეს ამბავი ნამდვილად შეემთხვა ჩვენს მეგობარ სვანს, ქეთის. ერთხელ ქეთი თავის მეგობართან უნდა წასულიყო. შინ მარტო იყო. მიშიკო, მისი ბიჭი, სკოლიდან იყო მოსასვლელი. ჰოდა, ქეთიმ გადაწყვიტა შვილისთვის წერილი დაეტოვებინა: „მიშიკო, სკოლიდან რომ დაბრუნდები, იცოდე, ჭკვიანად იყავი. საჭმელი მაცივარშია, კარგად ჭამე და მერე გაკვეთილები ისწავლე. გასაღებს ლარისასთან ვტოვებ. აბა, შენ იცი. დედიკო“...

რაღა ბევრი გავაგრძელო, ქეთიმ წერილი სამზარეულოში, გამოსაჩენ ადგილას მოათავსა, კარი ჩაკეტა, გასაღები ლარისას დაუტოვა და წავიდა...

***„გი-ბრო“, გლდანი***

## 5. ბებია სასწორზე...



ბებიაჩემს ძალიან უყვარდა აწონა. თუ სადმე სასწორს დაინახავდა, აუცილებლად ზედ დადგებოდა. ერთხელ 7-8 წლისა ვიქნებოდი, სოხუმის ბაზარში წამიყვანა საყიდლებზე, ორი დიდი ჩანთა აავსო და წამოვედით გაჩერებისკენ. უცებ ბებიამ დაიკივლა, — აწონა დამავიწყდაო და ისევ ბაზრისკენ გაიქცა.

სანამ დავეწიე, უკვე სასწორზე იდგა.

— 102 კილო! — წამოიძახა გაოცებულმა მწონავმა და ბებია შეათვალიერა. ბებია გაბრაზდა, — კი მარა, გუშინწინ 76 ვიყავი და დღეს „ხალტურას“ მიკეთებო?!

ვუყურებდი სასწორზე ორი უზარმაზარი ჩანთით შესკუპებულ ბებიას და სიცილით ვკვდებოდი. ჩემს მხიარულებას გამვლელებიც უერთდებოდნენ...

***დოდო ქაროსანიძე, სოხუმი-თბილისი***

## 6. კიდევ გავიწიო?..



გივი დ. ჩაქვის კოლორიტი იყო, ოღონდ ერთი „ნაკლი“ ჰქონდა, ქეიფი ძალიან უყვარდა. დღისით არ სვამდა, საქმესთან ვზივარო. სამაგიეროდ, თითქმის ყოველ საღამოს მთვრალი ბრუნდებოდა შინ. ერთხელაც გვიან დაბრუნდა გვარიანად გამობრუჟული და ცოლს რომ მიუწვა, ნათელამ ვიშვიში ატეხა: — გაიწი იქით, ღვინის სუნით ხარ გაჟღენთილიო. გაიწია გივიმ ცოტა, მაგრამ ნათელამ ისევ გააგრძელა: — გაიწიე და გაიწიეო!.. ისიც რაც შეეძლო იჩოჩებდა საწოლიდან...

დილაუთენია კი ქალბატონი ნათელა ტელეფონის ზარმა გააღვიძა: — გივი ვარ, გივი, სამტრედიაში ვარ უკვე, გავჩერდე თუ კიდევ გავიწიოო?..

თურმე გაბრაზებული ბათუმი-თბილისის მატარებელზე დამჯდარა (რკინიგზის სადგურთან ახლოს ცხოვრობდა) და სამტრედიამდე „გაწეულა“.

***თეიმურაზ ზაქარეიშვილი, ჩაქვი***

## 7. „ნატაშა სეკრეტარშა“



ძველი ამბავია... საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ მუშაობდა ერთი კოლორიტული ფიგურა ზურაბ ნ., რომელსაც რატომღაც „დვესტის“ ვეძახდით, თუმცა, რატომ რატომღაც — შიდატელეფონი ჰქონდა — 2-00. ერთხელაც ოთახში მთელი „სასტავი“ ვართ თავმოყრილი და დომინოს ვუბრახუნებთ მაგიდაზე. გაიღო კარი და შემოიხედა მთავარმა რედაქტორმა, რომელმაც პირდაპირ „დვესტის“ მიმართა: — გადაურეკე ნატაშა მდივანს (ნატაშა რუსულ რედაქციაშიც მუშაობდა და ჩვენთანაც, მთარგმნელად), სასწრაფოდ მოვიდეს...

ზურაბმა ჩვეული სიმარდით აიღო ყურმილი და აკრიფა ნომერი:

— ალო... ალო... ეტო რუსკაია რედაქცია? დაა, ხოროშო, სროჩნო პაპრასიტე ნატაშუ სეკრეტარშუ!..

იქ ამბავი ატყდაა...

**P.S.** ნატაშა მდივანი იყო გვარად.

***გიორგი რატიანი, თბილისი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 30 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 1-ელი ივლისის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №26**

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**8.** პოლიციელი ნარკომანს ეკითხება:

— მეზობლები შენზე ჩივიან, ძმაკაცებთან ერთად ბინაში იკეტება, იქიდან კი სიცილის ხმა და დამწვარი ჩვრის სუნი გამოდისო. რას აკეთებთ?

— რას უნდა ვაკეთებდეთ, ტო! ჩვრებს ვწვავთ და ვიცინით!..

***დათო ესიტაშვილი, თელავი***

## მილოცვა

**ეკა ხომერიკს და დათო სილაგაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. იყავით ჯანმრთელები. როგორი სიკეთით ელსავსენიც ხართ, ისეთ სიკეთესა და ბედნიერებას გისურვებთ თქვენს სამ ვაჟიშვილთან ერთად.



*მამა, სიმამრი*
*მიშა (ჟორა) ხომერიკი*

## ქირავდება

ყიფშიძის ქუჩაზე, გალაკტიონის ძეგლთან ოთახნახევრიანი (გადაკეთებული 2-ად) სუფთა, უცხოვრებელი ბინა, ახლაშენებულ სახლში, ბ/აივნით, მუდმივი დენით და წყლით, ტელეფონით, საჭირო ავეჯით. სასტუმრო ოთახის ფართი – 40 კვმ, საძინებელი – 12 კვმ. აქვს შემინული ლოჯია და სამზარეულო ერთად. მის: ყიფშიძის ქ. №5ა, მე-3 სადარბაზო, მე-3 სართ. ბინა №45. ფასი $200. ტელ: 34-32-79; 899 53-42-51; 899 91-86-81

სურამში კომფორტული სახლი, დიდი მწვანე და მყუდრო ეზოთი, ავტოფარეხით, აივნებით, ყველა საოჯახო ნივთითა და ავეჯით. შესაძლებელია საოჯახო მომსახურება. ტელ: 8 268 4-35-00 (ხაშური); 52-13-07 (თბილისი)

## გთავაზობთ სამუშაოს

„აუ-პაიერი“ – გერმანიასა და ავსტრიაში! 18-27 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ მუშაობას და სწავლას გერმანულ და ავსტრიულ ოჯახებში, 1 წლით, „აუ-პაიერ“ პროგრამით. დაგევალებათ მსუბუქი საოჯახო საქმეები და ბავშვის მოვლა, დღეში 5 საათი. ანაზღაურება 300 ევრომდე. შეუძლიათ მოგვმართოთ ამ პროგრამით გერმანიაში უკვე ნამყოფებმაც. ტელ: 590-590

მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება ლიცენზირებული ექიმები: 2 პედიატრი, 2 თერაპევტი, 1 კარდიოლოგი. ტელ: 70-59-76

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

Международная компания обьявляет дополнительный набор сотрудников на конкурсной основе. Возраст 30-40 лет, образование высшее. Тел: 70-40-61

Требуется сотрудники с высшим образованием в офисе, для административной кадровой работы. Оплата высокая. Желательно со знанием русского языка. Тел: 77-29-94

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიღუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს 50 ბიზნესპარტნიორი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

სამუშაო სხვადასხვა სპეციალობის ექიმებისათვის. შეიძლება შეთავსებაც. ასაკი 50 წლამდე. ტელ. 62-99-62 (10-21 სთ)

ახალი ოფისის გახსნასთან დაკავშირებით გვაქვს სამუშაო ადგილები. ა/პ უმაღლესი განათლება, რუსული ენის ცოდნა, ორგანიზატორული ნიჭი, მიზანსწრაფულობა. ხოლო მკურნალი ექიმებისათვის გვაქვს ახალი პროექტი. თანამშრომელთა მიღება ხდება შერჩევით. ტელ: 95-18-36. ელენე

საერთაშორისო კომპანია ოფისში სათანამშრომლოდ იწვევს უ/გ მქონე ადამიანებს მაღალი ანაზღაურებით. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 33-59-23. ლეილა

ჰოლდინგური კონცერნი აცხადებს თანამშრომელთა მიღებას მუდმივ სამუშაო ადგილზე მაღალი ანაზღაურებით. 3 ვაკანსია. კონკურსის პირობები: უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება, ასაკი 30-45 წელი. ტელ: 95-79-32

## მომსახურება

ვკვეთავ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე“ გთავაზობთ კინოფილმების (35 მმ, 16 მმ, 8 მმ) შეღავათიან ფასად გადატანას ვიდეოფირზე (VHS, DVD, მინი DV და CD). შეკვეთები მიიღება: აღმაშენებლის გამზ. №166. ტელ: 34-29-75, 34-29-72; 893 30-88-12. სტუდიის დირექტორი რამაზ (ბუბა) ხოტივარი

კომპიუტერული ფირმა „BAZISI“ – ახალი კომპიუტერული ტექნიკა და ორგტექნიკა, კომპიუტერული აქსესუარები და მაკომპლექტებელი ნაწილები, ქსელების მონტაჟი, კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა, Web-გვერდის დამზადება, აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა, ადგილზე მომსახურება. მის: ჭავჭავაძის №74, XIV სართ. ტელ: 29-97-82

გთავაზობთ სხეულის კორექციას: 1. სიმაღლეში ზრდა 5-10 სმ-ით გოგონებისა და ვაჟებისათვის 25 წლამდე, უნიკალური არაჰორმონალური, ნატურალური, მცენარეული საშუალებებით; 2. წონაში დაკლება შიმშილობის გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და ნერვული ფონის მოწესრიგების ხარჯზე. ტელ: 95-33-47; 899 14-64-95

> ექსკლუზიური საჩუქარი ინტერიერში. გააკეთილშობილეთ ინტერიერი ნალდ ხელოვანთა ავტორობითა და თქვენი იდეით შექმნილი ექსკლუზიური ნივთებით – ხელოვნების ნიმუშებით – ანტიკვარის პოტენციალით, პასპორტით. დიზაინი, მხატვრობა, ქანდაკება. დააფიქსირეთ თავი და დააბანდეთ ფული ხელოვნების ნიმუშებში. ტელ: 97-74-97; 899 91-68-08

სილამაზის კაბინეტი „პრეტენზიული ქალებისთვის!“ თმის მოცილება მცენარეული ნაყენით, სახესა და სხეულის სხვა ნაწილებზე, დამუშავებული რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის, მცენარების სამეცნიერო კვლევის დარგში, დოცენტ ვიტალი ხინტკირიას მიერ. მის: მ. „მარჯანიშვილი“, დ. აღმაშენებლის გამზ. №112-დან ჩადის ტეტელაშვილის ქ. №10. სომხეთის საელჩოსთან. ტელ: 893 90-99-54

## მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თვით მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

> ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

В бальнеологическом курорте открыт лечебно-диагностический компьютерный центр. Запись на обследование по тел: 72-04-63 (дом); 99-73-09 (раб.)

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ყურის ანთების, ხმაურის, ქავილის, ტკივილის მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციის ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტისთვის. ვმკურნალობ აგრეთვე ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, სისხლძარღვთა შევიწროებას და სხვა. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, სამების ეკლესიის უკან, თენგიზ აბულაძის ქ. №8. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება – 9-13 სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42. ლევან სეხნიაშვილი

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

> ალკოჰოლიზმთან ბრძოლა, ნაბახუსევის („პახმელიის“) სინდრომის მოხსნა; თამბაქოს მავნე ჩვევის გადაგდება; ფილტვების გასუფთავება; ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული გართულებების მკურნალობა – ჰეპატიტები, ნევროზები, ჰალუცინაციები, სისხლის, ღვიძლის გაწმენდა. პრეპარატები ნაკურთხია სრულიად რუსეთის პატრიარქის მიერ. შედეგი მაქსიმალურია. ტელ: 53-08-02

> ალკოჰოლიზმი, თამბაქოს გადაგდება. მკურნალობა პაციენტისგან ფარულად (ოჯახის წევრის მიერ); გართულებები – ნევროზები, ჰეპატიტები, სისხლის, ღვიძლის, ფილტვების გაწმენდა, უკუჩვენებების გარეშე, მაქსიმალური შედეგებით, ბალახეული სერტიფიცირებული პრეპარატებით (მოსკოვის კრემლის ყოფილი ლაბორატორია. აკად. ლიხარიოვი). ტელ: 899 22-63-90. ნინო

პროსტატიტის ეფექტური მკურნალობა, ვენების გაგანიერების, ათეროსკლეროზის პროფილაქტიკა და მკურნალობა უძველესი ალმოსავლური მედიცინის გამოცდილების საფუძველზე მიღებული ექსკლუზიური ფიტოთერაპიული და ნატუროპათიური საშუალებებით; ქლამიდიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ტელ: 22-11-47

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით: ალკოჰოლიზმი, შიში, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, კლიმაქსი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, პროსტატიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კოლიტი, ასთმა, ალერგია. ტელ: 893 96-94-51; 35-17-48 (საღამოს)

მამაკაცების საყურადღებოდ! გაჯანსაღება განსაცვიფრებელი შედეგით: პროსტატიტი, ადენომა, კონტაქტის შიში, შარდის შეუკავებლობა და შეკავება, ბალანოპოსტიტი (სასქესო ასოს ზედაპირული ანთება), სოკოვანი, ინფექციები, სპერმის ხარისხი, სქესობრივი სისუსტე და უძლურება, სპერმის ეაკულაცია (ნაადრევი ამოფრქვევა), პოლუცია (სპერმის უნებლიე ამოფრქვევა), ვეზიკულიტი, ბუასილი. ტელ: 899 49-84-23. ნონა

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „ლოგი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე. შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

> საზაფხულო 50%-იანი ფასდაკლება: საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მნიერი“ – კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70 (ყოფ. კამოს ქ.). ტელ: 29-48-61

ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას: საფორტეპიანო, საორკესტრო, საესტრადო-ჯაზურ, სიმღერისა და ვოკალურ განყოფილებაზე. სამუსიკო სკოლის (7 წლის) და სასწავლებლის (14 წლიდან) საფეხურებზე კოლეჯის კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს შესაბამისი კვალიფიკაციით. მისაღები გამოცდები ჩატარდება 14 ივნისს და სექტემბერში. მის: ბარნოვის ქ. №54 (სასტუმრო „საქართველოსთან“). ტელ: 22-19-49; 22-63-58

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. ვიზაჟისტი; 2. პარიკმახერი; 3. მასაჟისტი. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

შეასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. სიღრმე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-dizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან“, რესტორან „სამოთხის“ უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

## იყიდება

472 კვმ ფართი, რესპუბლიკის მოედანზე, რუსთაველის №37-ში. მიწისქვეშა კომპლექსი. ტელ: 899 11-66-39

მისაშენი („პრიცეპი“) ქარხნული, შიგ ჩამონტაჟებული გრილის ლუმლით, მაცივრით, წყლით. შეიძლება გოჭის, ქათმის, ბარკლების, სარდლების შეწვა; აგრეთვე ხაჭაპურების, ლევზელების, „პონჩიკების“ გამოცხობა. კარგია კურორტებზე კვების მოსაწყობად. ფასი: $2500. ტელ: 22-10-92

გერმანული ყვითელი პიანინო „შოლცი“, კარგ მდგომარეობაში. ფასი: $300. ტელ: 22-49-42

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ცილინდრული მიმღებით იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. არჩევენ ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 320; კომპლექტის ფასი – $140; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 26 ტელეარხი – ფასი $200, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ. 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99


## სოკო
## პრობლემად რომ არ გვექცეს . . .

წვიმიანი მაისი გავაცილეთ, ზაფხულის მზე ძალას იკრებს და ჩვენც აუზებსა და გართობისკენ გვიწევს გული. მაგრამ ზაფხულის დადგომასთან ერთად თავს იჩენს, ერთი შეხედვით, პატარა, მაგრამ საკმაოდ სერიოზული პრობლემა – სოკოვანი დაავადება. ამ დაავადების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია ტემპერატურისა და ტენიანობის მომატება, ჭარბი ოფლიანობა, არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობები და სხვა. ამასთან, ზამთრის შემდგომ პერიოდში ორგანიზმის იმუნური (დამცავი) სისტემა ისედაც დასუსტებულია და შესაძლებელია „მიძინებულმა“ სოკომ გაიღვიძოს და გააქტიურდეს. ამის შედეგად კი ზიანდება არა ერთი ორგანო, მათ შორის ფრჩხილები, ფეხის ტერფები, ზოგადად კანი და რაც მეტად მნიშვნელოვანია სოკო ადვილად აღწევს სასქესო ორგანოების ლორწოვანში და იწვევს ვაგინალურ კანდიდოზს.

ლოკალიზაციის მიხედვით სოკოვანი დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: ვულვოვაგინიტის შემთხვევაში გამონადენი, ქავილი, წვა; ტერფის სოკოვანი დაავადების დროს – ფეხის თითებშუა კანის დაზიანება, ქავილი, სუნი; ფრჩხილების მიკოზების დროს ფრჩხილის ზედაპირის დაზიანება, აქერცვლა, ფერის შეცვლა, მტვრევადობა და სხვა.

ყოველივე ამან კი შეიძლება გააფუჭოს თქვენი ამაღლებული განწყობილება, ვერც პრიალა და ლამაზი ფრჩხილებით იამაყოთ, ვერც საცურაო აუზს ესტუმროთ და გაირუჯოთ, ვეღარც საყვარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ სასიამოვნოდ დრო.

ნუ შეშინდებით! სოკოვანი დაავადების პრობლემის მოგვარებაში პრეპარატი „მიკოფლუ“ (ფლუკონაზოლი) დაგეხმარებათ. ახალი თაობის სისტემური მოქმედების პრეპარატი „მიკოფლუ“ სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს სხვადასხვა ლოკალიზაციის სოკოვანი დაავადების კლინიკურ გამოვლინებებზე. „მიკოფლუს“ მხოლოდ ერთი კაფსულა (150მგ) კვირაში ერთხელ (ოთხი კვირის მანძილზე) უზრუნველყოფს სოკოვანი დაავადებისაგან განკურნებას.

**ახლა სწორედ ის დროა, როცა სოკოსთან ბრძოლა ყველაზე ადვილი და შედეგიანია!**

GMP
ჯი-ემ-პი



### თამთა ნადირაძის მონატრება



თამთა, ჩემო მონატრებულო თვალხატულა გოგო! რომ იცოდე, როგორ მენატრები, როგორ მინდა კვლავ გავიგო შენი მოჭიკჭიკე ხმა, მოვეფერო და ალერსით დავკოცნო ლამაზი თვალები, სულ სიკეთით რომ იყო აღსავსე და ყველასთვის სიხარული და ბედნიერება ემეტებოდა. ჩემთვის და შენი თანაკლასელებისთვის შენი თავი მარად დაუვიწყარია. რა დამავიწყებს შენს ტკბილ ჩაზუტებას და ტკბილად ნათქვამ სიტყვას – „მასწავლებელო". შენი კლასელები ხშირად [illegible] და გეფერებიან, სიყვარულით [illegible] გწერენ, ლოცულობენ შენზე და ღმერთს ევედრებიან, – ჩვენი საყვარელი თამთა დაგვიბრუნოს. საღამოობით ვარსკვლავებში გეძებენ და თავს იმით ინუგეშებენ, თამთა ზეციდან დაგვყურებს და გვხედავსო. განსაკუთრებით კი განცას ენატრები.

რა ბედნიერი ვიქნებოდი, შენც რომ დაგემთავრებინა მეოთხე კლასი. შენ ხომ ჩვენი ზეიმის მშვენება იქნებოდი. შენი სახელით მორთმეულმა ვარდებმა ბევრი ცრემლი გვაფრქვევინა მეც და შენს კლასელებსაც, ჩემს ოჯახსაც. ჩემო ლამაზო თამთა, შენ ყველასთვის განუმეორებელი და დაუვიწყარი ხარ და იქნები კიდეც მარად. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თვალები ცრემლებით მევსება, სული და გული მტკივა. [illegible] შენი ძვირფასი დედა, მამა, ბებია [illegible] და ყველა ახლობელი. ძალიან ძნელია, [illegible] გულისტკივილით [illegible] შენს სურათს. [illegible] შენი მოსაფერებლად, როგორც შენი [illegible], შენ ბაღიჩეში [illegible] და როგორ შენ მასწავლებელი [illegible], შენი ბაქვეში [illegible] და საყვარელ თამთას.

ჩემო ოქროსგულო პატარავ, ჩემო პატარა ანგელოზო, ოთხი კლასის დამთავრებას.

შენი სიკვდილით დიდად დამწუხრებული და გულდათუთქული შენი პირველი და უკანასკნელი

*ეთერი მასწავლებელი*

### ლევან პაპუაშვილის ხსოვნას!



გავიდა სამწელი წელიწადი შენი მარადისობაში გადასვლიდან. ო! რა დიდი ხარ, გულო ადამიანისაო, რამდენ სიმწარეს იტევ შენ მუჭისხელა ბუდეში. რა მწარედ ხედავ ყურს შენი სახელი და გვარი: ლევან პაპუაშვილი. რა მწარედ ხედავ გულს სიცოცხლით, სიყვარულით, ნატვრით სავსე 22 წლის ბიჭის სიკვდილი. წელს გლოვის წელი ჰქონდათ შენს ახალციხეს, შენს ოჯახს, შენს ახლობლებს, შენს მეგობრებს. შენს ოთახში, შენს გადიდებულ სურათთან სანთელი ანთია. სურათის წინ მუხლმოყრილი და ცრემლშეუშრობელი, ნაადრევად გაჭაღარავებული დედა გეჩურჩულება. იცნობენ შენს დაბადების დღეს, შენ გატირებენ უბედნიერეს 22 წლისთვის. გეჩურჩულება და გეძახის: „სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?"

ჩემო ნანატრო და საუკეთესო შვილო ლევან! – ვეღარ ვუძლებ ამ საშინელ ტკივილს, რომელსაც გულით ვატარებ. უფალს კარგები უყვარს და ალბათ განგებამ გაგიმეტა, რჩეულებს გაზიარა. შენი [illegible] სული ანგელოზებმა ჩაიბარეს და წარგზავნეს უფლის წინაშე.

საკვირველია, შვილო, მზე ისევ ანათებს, შენ კი ამ სითბოს ვეღარ იგრძნობ. მოვიდა ჩემთვის უნუგეშო სევდიანი გაზაფხული და ზაფხული თავისი მშვენიერებით. რა მინდა ჩემთვის, [illegible] შვილო, შენ რომ [illegible] ამ [illegible]. [illegible] როგორ დაიძინე?! ასეთი თავზარდამცემი [illegible] რატომ?! ვაი, რომ ამაზე პასუხს ვერავინ გამცემს. [illegible] უკვე შავი ზოლი [illegible] 23-გაზაფხულზე [illegible].

ყველას თავისი წილი ტკივილი უდევს გულს, შვილო და [illegible]. მტკივა სიცოცხლე, რომელიც შენ გვერდით ხმაურობდა, რომელიც წავიდა და ადარსაიდგან მოვა. ყოველდღე მოვრბივარ შენი ფოტოსურათებთან და [illegible], სადაცკი შენ შემოკლებული [illegible]. მიცადა, მოხვალ ისევ სიმღერით, მონატრებული, სითბოთი, სიკეთით. მე ახლა შენს გულზე დაყრილ წვიმად მინდა შევიგრძნო. შენზე მხოლოდ გასამშვიდებლად ნათქვამი სიტყვაა მალლა:

„ნუ გეშინია, დედა!"

*„მინდა ჩაგეხუტო, მოგეფეროს, ვუალერსებო,*
*შენ სამკლავზე ჟღავს, ცრემლშუმშრალო,*
*მაგრამ ვერ გეხებით, ჩემო სიხარულო,*
*გზები გაქვს გაყოლილი მუქად შორეულო."*

იმედის სანთელი, თითქოს სანთელიც ტირის, ცრემლები სცვივა, უკანასკნელ შენს ამჩნევით და ქრება. კიდევ ერთი სახვრი სიცოცხლე დაკლდა სავჭრუხელის შენი სახით, ლევან!

*შენი დედიკო, მამიკო და დაიკო*

### ლევან პაპუაშვილის ხსოვნას!



ტკივილითა და გოდებით მოვიდა 26 ივნისი, დღე, რომელმაც ჩვენი ოჯახი გლოვის ცრემლებით აავსო. ერთი წელია, რაც ჩვენ წახვედი და მუდამ ტკივილითა და მშობლიურის დაგტოვე. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი. ოდნავადაც ვერ შეუსუბუქებს მას შენი უდროო წასვლით მიყენებულ ტკივილს. გაახსენებს ვერ მოვასწარით, ის გაგვიფრინდი ხელიდან, ჩვენო 22 წლის ვაჟკაცო. სიკვდილი თურმე სწორედ მაშინ მოდის, როცა არ ელი. ტკივილამდე გვენატრები და გვაკლიხარ, ჩვენო ლამაზო, თბილო და სიკეთით სავსე შვილო. ვერ შევეჩვიეთ უშენობას, ყოველდღე გელოდებით. ასე გვგონია, დაბრუნდები. უსასრულოა ეს მოლოდინი. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია ლევან, შენ მუდამ ჩვენთან ხარ.

*შენი მამიდა ნუნუ პაპუაშვილი ოჯახით*

### გიორგი იმნაძის მონატრება



ჩვენო საყვარელო, კეთილო, მოღიმარო და მხიარულო დედისერთა ვაჟკაცო გიორგი! 3 ივლისი შენი დაბადების დღეა. 23 წლის ხდები. უკვე მეოთხე წელია, რაც უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს. ყველაზე მეტად დედ-მამის სათუთი გული დაჩაგრე, რომლებიც ყოველი მხრიდან ცდილობდნენ და გეფერებოდნენ, შენი სიცოცხლის ხეს ფოთლები რომ არ დასცვენოდა... ძალიან გვენატრები. დღე არ არის, არ გაგვახსენდე, შენზე არ ვთქვათ რამე, თუნდაც ამოოხვრით – „ეჰ, გიო", შენი იუმორი როცა გვახსენდება...

შენს მშობლებსა და ახლობლებს შენი სითბო, სიყვარული და მზრუნველობა გვაკლია, ჩვენო კეთილო, მოსიყვარულე ანგელოზო.

გვიყვარხარ და გვენატრები.

*შენი დედიკო, მამიკო და ახლობლები*

### მალხაზ თათულაშვილის გახსენება



დაბადების დღეს გილოცავთ, მალხაზ! ორი წლის წინ მოულოდნელად შეწყდა შენი სპეტაკი, ულალატო გულის ფეთქვა. და აი უკვე მესამედ მოვედით თვალცრემლიანი, გაუსაძლისი ტკივილითა და უსაზღვრო მონატრებით შეპყრობილნი. 24 ივნისი შენი დაბადების დღეა, 50 წელი შეგისრულდებოდა. გაუსაძლისია ყოფა შენი უდროოდ დაბერებული დედისა, რომელსაც ცხოვრებამ სასტიკად უმუხთლა. ყოველ შენს სამუდამო სასუფეველთან მოყვანის დროს უსასრულოდ შეგთხოვს, შენთან წაიყვანო. მალხაზ, ვერ შევეჩვიეთ უშენობას – თვალზე ცრემლშეუმშრალი, ლოგინს მიჯაჭვული დედა, და, ძმები, ცოლ-შვილი. სევდას, ნაღველს, ტკივილს, მწუხარებას, მონატრებას შენი სახელი ჰქვია. ამბობენ, ღმერთს თავისთან რჩეულნი ნაადრევად მიჰყავსო. შენ ხომ ბზობადღეს ძალიან ჩუმად გამოგვეცალე ხელიდან, ხოლო ბრწყინვალე აღდგომის დიდ დღესასწაულზე მშობლიურმა მიწამ მიგიბარა.

უზომოდ გვენატრები ყველას, ერთადერთი ნუგეში შენი ობლები არიან ჩვენთვის, რომელთაც ვცდილობთ ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ ობლობის მწარე ხვედრი. შენი საფლავის ქვაზე ანთებული სანთლები გზას გაგინათებენ წმინდა სასუფეველში.

*ოჯახი*

### ბიჭიკო ასლამაზიშვილის გახსენება



29 ივნისს ერთი წელი გახდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. დარდს, ვარამსა და ცრემლში გაილია ეს ერთი წელი. ნეტავ იცოდე, როგორ გვენატრები, ჩვენო საყვარელო მამიკო. დიდი ტკივილია უშენობა. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ასე არ ყოფილა. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები. ყველას ძალიან გვაკლიხარ – მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შენს მშობლებს, ძმას, დებს და ახლობლებს.

დაგვიტოვე მხოლოდ ტკბილი მოგონებები და სურათები, საიდანაც თბილი, მოსიყვარულე სახით იყურები და სახელი, რომლითაც ვამაყობთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და ჩვენ მიერ დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ.

*შენი ოჯახი*

### გივი დანელიას გახსენება



40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ ხარ. მოულოდნელად იცოდი გამგზავრებაც და ჩამოსვლაც. ამჯერადაც გაემგზავრე, მაგრამ ვაი, რომ ამაოდ გელით. აღარ გვყავს ოჯახზე მზრუნველი მამა და ბაბუა, ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე. ძალიან გვიმძიმს უშენობა და გვენატრები, მაგრამ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, შენზე მოგონებებით გავაგრძელოთ ცხოვრება და ვილოცოთ შენს სულზე. გვწამს, რომ უფლის გზაზე კელაპტრად წაგიძღვება შენი სიკეთე, სითბო და სიყვარული, რასაც ასე უანგაროდ გასცემდი. გვჯერა, რომ კაცურად განვლილი შენი ცხოვრების გზა საწინდარი იქნება შენი სულის სამოთხეში დამკვიდრებისა.

*შენი ოჯახი*

### გივი ღიბრაძის მონატრება



ჩვენო საყვარელო ძამიკო, 29 ივნისს 1 წელი გახდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. რა ძნელი ყოფილა უშენობა. გვენატრები, ჩვენო ერთადერთო ძამიკო. დიდი ტკივილი დაუტოვე ყველას, შენს ოჯახს და ახლობლებს. ისღა დაგვრჩენია, მაღალ ღმერთს ვთხოვოთ, ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი დები: ლილი და ლამარა*

### ლაზარე (რეზო) პაპაშვილის გახსენება



გაიარა ცრემლიანმა და ტკივილით აღსავსე ერთმა წელმა. ერთი წელია, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ, ჩვენო ძვირფასო ლაზარე! 75-ე ზაფხულში შემოგაღამდა შემოდგომაზე დაბადებულს. შემოდგომასავით დაუდგრომელი, ბარაქიანი იყავი. უსაზღვროდ გიყვარდა შენი სამშობლო, მოყვასი, ნათესავები, შენი ოჯახი. გაჭირვებულის გვერდში მდგომი იყავი. ბავშვობიდანვე შრომას შეეჭიდე და სიკვდილამდე არ ჩაგიმუხლია. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს, პირნათლად და კეთილსინდისიერად ემსახურე ვეტერინარულ საქმიანობას. ძნელია შენზე საუბარი. გვიჭირს უშენობა ყველას, განსაკუთრებით კი შენს ერთგულ მეგზურს, შენს მეუღლეს, რომელთანაც ნახევარი საუკუნე განვლე. როგორ გწყუროდა სიცოცხლე, როგრო გენანებოდა შენი მონაგარის დატოვება, როგორ ნატრობდი, შვილიშვილების ქორწილს მოსწრებოდი.

მაგრამ მოულოდნელად წახვედი ჩვენგან. გვაკლიხარ, გვენატრები ყველას. მსუბუქი იყოს შენი მშობლიური მუხრანის მიწა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული.

*გიული და სულიკო ბახტაძეები*

### სოფიკო ნიკოლაიშვილის ხსოვნას!



2003 წლის 30 ივნისი ტრაგიკული და საზარელი დღე იყო, რომელმაც შენი ლამაზი სიცოცხლე შეიწირა, ჩემო სოფიკო. მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი ტრაგიკული გარდაცვალება, ჩემო პატარავ. თითქოს ირგვლივ ყველაფერი გაირინდა და გაუფერულდა უშენოდ. დრო ყველა ჭრილობას კურნავსო... ცხოვრებავ, არ გვესმის შენი... მაშინ რატომ არ ილევა სევდა და რატომ არ ყუჩდება ტკივილი, რომელიც შენმა დაკარგვამ დაგვიტოვა?!

ძალიან, ძალიან გვენატრები. შენი სიცილი, შენი სილაღე და მოუსვენარი ფუსფუსი გვენატრება. ვინ დაიჯეროს და ვერც მე დავიჯერებ, ჩემო სოფიკო, რომ შენ უმოძრაობას დაემორჩილე. მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდი, ყოველ წამს დუღდი, ჩქეფდი, შენი ერთ წამს გაჩერება ვის გაეგონა... საოცარი ნიჭით იყავი დაჯილდოებული, ყველაფერი გამოგდიოდა, რასაც კი ხელს მოჰკიდებდი. შენთვის მიუწვდომელი და შეუძლებელი არაფერი იყო. მღეროდი, ცეკვავდი, ცურავდი... უნაკლო სილამაზისა და სიკეთის განსახიერებავ, ირგვლივ სიყვარულსა და სილამაზეს აფრქვევდი. ერთ სიცოცხლედ ღირდა შენი ყურება და მოსმენა და ამიტომაც ძალიან ძნელია სიცოცხლე უშენოდ. ძნელია იმის დაჯერება, რომ ასე მალე შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ჯერ ხომ მხოლოდ 11 წლის იყავი, ჩემო ფერიავ.

ამ გაუსაძლის ტკივილს მხოლოდ რწმენა გვიმსუბუქებს, რწმენა იმისა, რომ მოვა დრო და ერთად ვიქნებით, ჩვენო ხატად ქცეულო ანგელოზო. გვჯერა, რომ უფალთან ხარ სასუფეველში, ანგელოზებს შორის და არ გრძნობ

*„თავს მარტოდ, უბრად, ეულად,*
*რადგან თავს გადვას*
*შენ ნათელი ღმერთისგან დიდი*
*და იქ ითვლები*
*ანგელოზად გამორჩეულად".*

*ნინო ელისაბედაშვილი ოჯახით*

### მამუკა ისახანაშვილს!

*დედის მონატრება*



მამუკა, ორმოცი დღე გაშორებს სიცოცხლესთან, რომელისთვისაც სამოცდაცამეტი დღე იბრძოდი. ძალიან, ძალიან მენატრები. უსაზღვროა შენი მონატრება. რა მძიმეა ცხოვრება უშენოდ, ჩემო უსიტყვო, უპრეტენზიო შვილო. რა გულის ტკივილი, რა მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვე, შვილო. შვილმკვდარი დედისთვის ყველაზე მკაცრი სასჯელი – სიცოცხლე ყოფილა. რადგან ბედმა ეს სასჯელი მარგუნა, მოვიხდი ისე, როგორც შენ შეგშვენის, რადგან მჯერა სულის უკვდავებისა, მჯერა, რომ კვლავ შევხვდებით ცათა სასუფეველში.

მამუკა, რა ულმობელი ყოფილა სიკვდილი. ვერც შენმა დიდმა გულმა და ვერც სიკეთემ ვერ გიშველა, შვილო. ყველას წყალში ჩაეყარა შენზე გაწეული ამაგი. წარმოუდგენელია, მამუკა, მაგრამ დრო უშენოდაც მიედინება. სიცოცხლე სიკვდილით შვენობსო, მაგრამ ყოველივეს ხომ თავისი დრო და ჟამი აქვს. შენთვის ხომ წარმოუდგენლად ადრე იყო საუკუნო გზაზე გამგზავრება. ხვალინდელი დღის იმედი გქონდა, შვილო. გვინდა გვჯეროდეს, რომ დღეს სადაც ხარ, ყველგან ნათელი უფლისა თან გდევს. დაე უფალი გაგიძღვეს იმ უცხო და შეუჩვეველ სამყაროში, ხოლო შენს ტანჯვით და ტკივილით დამტვრეულ სხეულს სალბუნად ჩემი ცრემლები დაეფინოს.

*დედა ლეილა ჩლაიძე*

### მამუკა ისახანაშვილის გახსენება

ორმოცი დღე გავიდა, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. ჩვენო საყვარელო მამუკა, ნაადრევად წახვედი ამ ქვეყნიდან, ჩვენ კი უდიდესი სევდა, ტკივილი დაგვიტოვე. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები.

ისღა დაგვრჩენია, უფალს სანთელი ავუნთოთ და ვევედროთ, რომ შენი ლამაზი სული ნათელში ამყოფოს.

*შენი მეზობლები*

### რამაზ ქუთათელაძის გახსენება



გავიდა ერთი ტკივილიანი წელი, რაც წახვედით ამ წუთისოფლიდან. ძნელია იმასთან შეგუება, რომ ვეღარასოდეს გნახავთ. იყავით საუკეთესო პიროვნება, ბრწყინვალე ხელმძღვანელი, იშვიათი მამა და მეუღლე. კაცურად იცხოვრეთ ამ ქვეყანაზე და სახელიც კაცური დატოვეთ.

მოვალთ თქვენს საფლავთან, ავანთებთ სანთლებს და ვილოცებთ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული.

*არაგვის ხეობის წყალსადენების სამსახურის თანამშრომლები*

### თამარ ავსაჯანიშვილის გახსენება



ქალბატონო თამარ! ჩვენო საყვარელო მასწავლებელო და სულნათელო ადამიანო! 2 ივლისს შესრულდება 40 დღე მას შემდეგ, რაც დრო-ჟამის კანონის ძალით თქვენებური გაგებით და სიდინჯით გაუყევით სიკვდილის მძიმე და ურთულეს გზას. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გიყვარდათ სიცოცხლე, გარდაცვალებამდე სინანულით მაინც ამბობდით: ჩემი წასვლის დრო მოვიდაო. ჩვენ კი – თქვენ ირგვლივ მყოფთ ამისთვის არ გვემეტებოდით. ეს გრძნობა თითოეულ ჩვენგანში იმდენად ძლიერი იყო, რომ გაუსაძლისი სევდა და თქვენი ნახვის სურვილი კვლავ მოგვეძალა. ძალიან გვიყვარდით! გვიყვარდით თქვენი დადებითი ადამიანური თვისებების – ცოდნის, სიკეთის, უანგარობის, სამართლიანობის, ყოველგვარი პრობლემისადმი ბრძნულად მიდგომის, პატიოსნების გამო; თქვენი, როგორც ადამიანური, ისე საკუთრივ პიროვნული ღირსებების გამო, რასაც ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავდა ღვთიურობით სხივმოსილი თქვენი გარეგნობა. ყოფილი მოსწავლეები მოკრძალებით მოვდევდით ამ სხივებს და თუ ჩვენში რაიმე ღირებულია, ამაში, სხვა მასწავლებლებთან ერთად უდიდესი წვლილი მიგიძღვით პირადად თქვენ. თქვენ სამშობლოს აღუზარდეთ მრავალი თაობა და დააკვალიანეთ ჭეშმარიტებისა და სიყვარულისკენ სავალ გზაზე. რა თქმა უნდა, თქვენი ცხოვრება უეკლო არ ყოფილა, მაგრამ სიძნელეებს ყოველთვის ართმევდით თავს ცოდნისმიერი და პედაგოგიური პროფესიონალიზმით, შემართებით და პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობით. თქვენ იმ პედაგოგების პლეადას ეკუთვნოდით, რომელიც სრულიად დამსახურებულად იწოდებოდა ინტელიგენტად. უფლისგან უხვად ბოძებული თავისუფლებით და პასუხისმგებლობით, ყველას უნაწილებდით იმ დიდ სიყვარულს, რომლითაც ფეთქავდა სიცოცხლის მიწურულს თქვენი გული. მისაბაძი იყო იყო თქვენი არა მხოლოდ ხალხისთვის გაწეული შრომითი საქმიანობა, არამედ პირადი ცხოვრება, რადგან გამორჩეული იყავით, როგორც შესანიშნავი მეუღლე, ოჯახის ერთგული ქალბატონი და დედა შესანიშნავი შვილებისა, რომლებიც კეთილშობილური საქმეებით ემსახურებიან სამშობლოს. ასეთი სახით გვენატრებით და კვლავაც მოგვენატრებით. მძიმეა თქვენი ჩვენთან ჰრყოფნით გამოწვეული სევდა, რომელსაც ვერაფერი – თვით დროც ვერ განკურნავს, მაგრამ ვეცდებით ამ გაუსაძლის და ჭეშმარიტად ადამიანურ ტკივილს თვალი გავუსწოროთ თქვენივე ბრძნული რჩევების საფუძველზე.

*პატივისცემით და სიყვარულით, თქვენი ყოფილი მოწაფეების სახელით – გენრიეტა და მაგული კობაიძეები*

### ვალენტინა (ვალია) ტაბატაძე-ნოზაძის გახსენება!

დაბადების დღეს გილოცავთ, დედა!



მე-17 წელი გადის, რაც შენ დაგვტოვე და წახვედი მარადიულ სასუფეველში, ჩვენო უსაყვარლესო, ოჯახის უსაზღვროდ მოყვარულო დედა. შენ ხომ ყველასთვის ძვირფასი იყავი. უცრემლოდ ვერავინ გიხსენებს. საკუთრ თავზე მეტად სხვებზე ფიქრობდი. ყველას სატკივარი გულთან მიგქონდა. შვილებივით დაზარდე დისშვილები და მაზლიშვილები.

როგორი ტკივილი მივიღეთ შენი დაკარგვით. მამას გული შუაზე გაუპე. თურმე როგორ ჰყვარებიხარ, დღემდე შენი ერთგული დარჩა, დადის ცალფრთამოტეხილივით და ცდილობს, თავისი დარდი ჩვენ არ მოგვახვიოს თავზე. ასე ამბობს: კარგი მეუღლის დაკარგვა ძალიან ძნელი ყოფილაო, ჩვენც შენი შვილებიც, გავიზარდეთ, დავოჯახდით. რომ დაგანახვა, როგორი შვილიშვილები გყავს: მარი, ჯემიკო, ბესო და გიორგი. ვეცდებით, ისეთები დავზარდოთ, შენ რომ ნატრობდი, შენ რომ შეგფერის. ბებიისა და პაპის სიყვარულს მამაში ხედავენ, ქვეყანას ურჩევნიათ თავიანთი პაპული. პატარა გიორგი ხელს იშვერს შენი სარათისკენ და იძახის: „ნახე, დედა, ვალია ბებო როგორ მიყურებს!" უყურე, დედა, მოწყალე თვალებით, ილოცე მანდ მათი ბედნიერებისთვის.

დრო არ გვინელებს ტკივილებს და შენდამი მონატრებას, დედა, პირიქით, რაც დრო გადის, უფრო ვგრძნობთ, როგორ გვიყვარხარ და გვაკლიხარ.

ქედს ვიხრით შენი ხსოვნის წინაშე და ღმერთს ყოველთვის ვავედრებთ შენს უსათნოეს სულს.

*ოჯახი*

### ელგუჯა მიქაშავიძე – ხსოვნა გულისა!

დაბადების დღეს გილოცავ, მამიკო! ზეგ ხომ 30 ივნისია და რომ არა 1992 წლის ავადსახსენებელი 20 ივლისი, ახლა 50 წლისა მეყოლებოდი.



მაშინ წელიწად-ნახევრისა ვიყავი, როცა მოულოდნელმა ტრაგიკულმა შემთხვევამ მამით ობოლი დამტოვა. ჩვენ ველარ დავტკბით ერთმანეთის სიყვარულით. ახლა უკვე 13 წლის ვარ, VIII კლასში გადავედი. ვიზრდები და ვსწავლობ უშენოდ, მაგრამ ისე, როგორც შენ გაგიხარდებოდა. დედა და ელისო დეიდა არაფერს მაკლებენ. ერთადერთი შენ მაკლიხარ, ჩემო უდროოდ წასულო და დაუვიწყარო მამიკო, სიზმრად რომ მელანდები.

ოცდაათში, როგორც ყოველთვის, მოვალთ და ყვავილებით შევიმკობთ საფლავს. ზურიკო ბიძია კვლავინდებურად აღნიშნავს შენი დაბადების დღეს. ყველას ცრემლები გვიდგას თვალებში, მაგრამ ყველაზე უფრო მეცოდება შურა ბებო – შენი ტანჯული დედა.

მშვიდად იძინე, მამიკო, არასოდეს დაგივიწყებ!

*შენი ერთადერთი შვილი სალომე მიქაშავიძე*

შვილები: ნანა, მამუკა, სოსო, ჯაბა, რუსიკო ოჯახებით; ძმები: შალვა და მიხეილ ქურასბედიანები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**ბაბუცა მიხას ასული ქურასბედიანი-ლიპარტელიანისა.**

*პანაშვიდი:* 29, 30 ივნისს, 16 საათზე;

*დაკრძალვა:* ხუთშაბათს, 1 ივლისს, 15 საათზე.

*მისამართი:* სოფელი საქადაგიანო (სვანების დასახლება)

ჩვენ გვწერენ

# მეზობლის აჩრდილი



დიდხანს ვორჭოფობდი, მომეწერა თქვენთვის, თუ არა. ძნელია, როცა საკუთარ სულმოკლეობაზე უნდა დაწერო, მაგრამ ეგება ჭკუის სასწავლებლად მაინც გამოდგეს ეს ამბავი.

ეკონომიკურად არასდროს გამჭირვებია. ის კი არა, ჩემი ოჯახის წევრები ფუფუნებაზეც ფიქრობდნენ. ანტიკვარულ ჭურჭელს ყიდულობდნენ, ფერწერულ ტილოებს აგროვებდნენ. ერთი ის იყო პრობლემა, რომ პატარა ფართი გვქონდა — სტანდარტული სამოთახიანი ბინა და არ გვყოფნიდა.

ჩვენი კარის მეზობელი, მოხუცი რუსი იგორ ივანოვიჩი მარტოდმარტო ცხოვრობდა. მასავით მარტოხელა ორიოდე მეგობარი ჰყავდა. დადიოდნენ ერთმანეთთან, ხან სვამდნენ, ხან დომინოს თამაშობდნენ. თუკი ფულის სასესხებლად მოვიდოდა, არასოდეს ვეუბნებოდი უარს. ბევრს არ მთხოვდა — 5 ან 10 მანეთს, მაგრამ დაბრუნება უჭირდა. ეტყობა, ეს ძალიან აწუხებდა. ერთხელ, გვიან საღამოს ზარი გაისმა. კარი გავაღე. ზღურბლზე ჩაცმულ-გამოპრანჭული იგორი იდგა. მოკრძალებით შემოვიდა და გვითხრა, — სულ მარტო ვარ, მრცხვენია, ვალს რომ ვერ გიბრუნებთ, ამიტომ გადავწყვიტე, თქვენი ვაჟი ბინაში ჩავიწერო, ვითომ ვიშვილე. რომ მოვკვდები, ბინაც დაგრჩებათ და თუ რამ გამაჩნია, ყველაფერი. ერთადერთს გთხოვთ, არეულობა იწყება, თუ ძალიან გამიჭირდა, დახმარებაზე უარს ნუ მეტყვითო.

სიხარულით ცას ვეწიე. რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

მერე მართლაც არეულობა დაიწყო. ჯერ ცხელი წყალი გამოგვირთეს, მერე გაზი, მერე დენი... იგორ ივანოვიჩი უკვე ჩემი ვაჟის „მამობილი“ იყო ოფიციალურად, თუმცა ადრე რომ გვთხოვდა დახმარებას, ახლა უფრო გულჩათხრობილი გახდა, თითქოს მოსვლა ერიდებოდა. არადა, ალბათ უჭირდა...

მე კი, ვეზიდებოდი და ვეზიდებოდი შინ მაკარონს, ბურღულეულს, პურის ფქვილს, საპონს...

რამდენჯერმე კი გავივლე გულში, იგორ ივანოვიჩს მივაკითხავმეთქი, მაგრამ მერე ვიფიქრე, — ეტყობა, გააქვს თავი, თორემ მომაკითხავდა. ჯერ ოჯახში ერთი წლის მარაგს მაინც დავაწყობ „შავი დღისთვის“, მაგას მერე მივხედავ-მეთქი.

ერთ საღამოს მისი ორი მეგობარი გამომეცხადა — რამდენიმე დღეა, იგორი არ ჩანს, არც კარს გვიღებს ვინმეო.

ავტეხეთ განგაში. მოცვივდნენ მეზობლები... კარი შევამტვრიეთ...

ის აბაზანაში პირქვე ჩამხობილი იწვა. მარცხენა მაჯაზე სამართებელი დაესვა და სისხლისაგან დაცლილიყო.

ეს რა უქნიაო, — ვიშვიშებდა ყველა.

„კაცურად“ გავასვენე, არაფერი დამიკლია, მაგრამ ერთი კვირის მერე უბედურება დაიწყო:

ჩემს საძინებელ ოთახში აჩრდილი შევნიშნე. კედელთან იდგა... იგორ ივანოვიჩი იყო, ხელგამოწვდილი და თვალებგაფართოებული მიყურებდა. ცივად გამოვხურე კარი, ისევ შევაღე, აჩრდილი გამქრალიყო. ასე მეორდებოდა ყოველ მეორე დღეს მაინც. რა არ ვცადე, როგორ არ ვეცი პატივი მის სულს, ვერაფრით მოვიშორე აჩრდილი. ისე გამაგიჟა, რომ ანტიკვარული ჩინური ლარნაკიც კი ვესროლე... ლარნაკი დაიმტვრა, აჩრდილი კი დარჩა და გაიცინა... კმაყოფილი იყო, რომ გამაგიჟა...

იმ დღის შემდეგ ვინ იცის, რამდენი რამ დავამტვრიე.

ცოლს ფსიქიატრთან დავყავარ, დამამშვიდებლებს მასმევენ, მაგრამ ჩემი ავადმყოფობა, ვიცი, მოურჩენელია. იქამდე მიმიყვანს, მეც იგორივით გადავიხსნი ვენებს.

ნეტავ, ოჯახში მიმეღო, ჩემთან მეცხოვრებინა ის უბედური კაცი. მისი აჩრდილი მაშინ არასოდეს შემაწუხებდა...

თუმცა რა... ოჯახში რომ მიმეღო, ცოცხალიც იქნებოდა.

*ჯ-კ.*
*თბილისი*

# წყალი აღმა წავიდა?!.

დრო ველარ მოვზომე. რესპონდენტთან ვაგვიანებდი, ტაქსის გარდა ვერაფერი მიშველიდა, არადა, ჩემი ორი ლარი არ გაწვდებოდა... სხვა გზა არ მქონდა და „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტის საბუთი დავანახვე მძღოლს, რომელიც ყველაზე კეთილი მომეჩვენა: — ოღონდ ახლა მიშველეთ და ხვალ სადაც მეტყვით, იქ მოგიტანთ ვალს-მეთქი!..

— ვაჰ, კაცო, ეს რა ხდება! — ისე გახარებულმა გაშალა ხელები, მეგონა, დიდი ხნის უნახავი ბიძაშვილივით ჩამიკრავდა გულში, — სწორედაც რომ შენ გეძებდი, მინდოდა მენახეო. მერე მანქანაში დიდი ამბით შემიპატიჟა და სანამ ძრავას აამუშავებდა, სავარძლის შალითის ჯიბიდან გულდაგულ დაკეცილი „კვირის პალიტრის“ ნომრები ამოიღო: — „აი, შენახული მაქვს, რაც მართალია, მართალია, მართლა კაი გაზეთია, ზომიერი, მშვიდი... ამ ტელევიზიის გადამკიდეს რომ მგონია ქვეყანა თავზე მექცევა, გამითენდება ნანატრი ორშაბათი, ვიყიდი „კვირის პალიტრას“ და თურმე ისევ შეიძლება, კაცო, ცხოვრება, არც ქვეყანა გაგიჟებულა, მზეც ისევ ამოვა... მოკლედ, მომიკითხე ყველა, თუ ჩემს ტაქსის სადმე გადააწყდებიან, თამამად გამაჩერონ. თქვენი მსახური ვარ!“



ბატონმა თენგიზმა ჩამაწერინა მანქანის ნომერი, რომელსაც გაზეთში, ბუნებრივია, ვერ ჩავწერ მხოლოდ იმიტომ, რომ... აფერისტების მეტი რაა ქვეყანაზე და ამ პატიოსან კაცს, რომელსაც შინ ორი დიპლომი უდევს და ტაქსი მისი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი გამხდარა, სხვისი უფასოდ მომსახურებისათვის სად სცალია?..

ჩემი ნახვა რატომ გნებავდათ-მეთქი, — ვკითხე.

— შენ ხომ სასწაულებზე წერ და მინდოდა მეთქვა, რომ ძაან მიყვარს „წისქვილის ამბები“... მეც შემემთხვა ერთი სასწაული და კარგა ხანს ვერ ვამხელდი, მეშინოდა, გიჟი არ ვგონებოდი ვინმეს... ჩემი თვალით რაც ვნახე, თავად ვერ ვიჯერებდი და სხვა სიტყვაზე დამიჯერებდა?

დაახლოებით სამი წლის წინ დამირეკა ნაცნობმა და მითხრა: — ჩემს მეზობელს სასწრაფოდ მცხეთაში უნდა წასვლა. ტაქსი სჭირდება. თუ გამოხვალ, კარგად გადაგიხდისო!..

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო. ამ დროს იშვიათად გავდივარ შინიდან, მაგრამ იმდენად დიდი თანხა შემომთავაზეს, უარი ვერ ვთქვი და მალე ჩემს მგზავრთან ერთად მცხეთისკენ გავემართე. ახალგაზრდა კაცი იყო — 30-35 წლისა, უკან ჩაჯდა, ბოდიში მომიხადა — დაღლილი ვარ და ლაპარაკის თავიც არა მაქვსო. მეგონა, ჩაეძინა და მაგნიტოფონიც კი გამოვრთე.

ჯვრის მონასტერი რომ გამოჩნდა, პირჯვარი გადავიწერე და... მანქანა ერთბაშად გაითიშა, ერთ ადგილს მიეყინა. ვცადე ძრავის ჩართვა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, არაფერმა გაჭრა... გადმოვედი. ავხადე სახურავი, ძრავას ჩავხედე, ვერ მივაგენი დაზიანებას... ჩემი თანამგზავრიც გადმოვიდა, ფარნით მინათებდა, თავადაც ცდილობდა გარკვევას — სცოდნია მანქანა... ამაოდ... ბოდიში მოვუხადე და შევთავაზე, იქნებ გამვლელ მანქანაში გადახვიდე, თუკი, რა თქმა უნდა, გამოჩნდება-მეთქი...

ხელები მაზუთით მქონდა გასვრილი, ჯერ ბენზინიანი ნაჭრით დავიწმინდე, მერე ბოთლით წყალი მქონდა და ჩემი თანამგზავრი მისხამდა... სადაც ვიდექით, თავდაღმართი იყო და წყალი, წესით, ქვევით უნდა წასულიყო, აქ კი... აღმა შეტრიალდა და აღმართს აუყვა, ლამის თვალები გადმოგვცვივდა სიმწრით და გაოცებით, სულ დამავიწყდა გასაპნული ხელები, წყალს ასფალტზე ვღვრიდით და ვაკვირდებოდით, მთვარის შუქზე როგორ მიიკლაკნებოდა ვერცხლისფერ ზოლად ზემოთ...

ნახეო?! — ეჭვით შემომხედა მგზავრმა, როცა წყალმა გახეთქილი ასფალტის ნაპრალში მიწა იპოვა და გაქრა.

კი-მეთქი, — დავუქნიე თავი და უცებ, თითქოს პროჟექტორი მოგვანათესო, ისეთი ოქროსფერი ნათება წამოვიდა ზემოდან. ერთად ავიხედეთ და ჯვრის მონასტრის მხრიდან მოზრდილი ბურთისხელა მრგვალი მანათობელი სფერო წამოვიდა, თავზე გადაგვიარა და ქალაქის მხარეს გაცურდა, ღრუბლები „მოძებნა“ და გაუჩინარდა...

კარგა ხანს ვიდექით გარინდებულები, მერე ჩავსხედით მანქანაში და, ჩემდა გასაოცრად, ძრავა დაიქოქა... მინდოდა მგზავრი მცხეთაში ჩამეყვანა, მაგრამ უარი თქვა — არა, არ შემიძლია, უკან დავბრუნდეთო!..

მოვაბრუნე მანქანა და წამოვედი, მით უმეტეს, რომ თავს ცუდად ვგრძნობდი, სიცხიანივით მამტვრევდა და მაცივებდა, არც ჩემი თანამგზავრი იყო უკეთ.

ორი კვირა მაღალი სიცხე მქონდა იმ ღამის შემდეგ...

**— მაინც რა მოვლენის შემსწრენი გახდით, როგორ ფიქრობთ?!.**

— რა ვიცი, ვფიქრობ, უცხოპლანეტელების მფრინავ აპარატს გადავაწყდით, იმან იცის თურმე როგორც მანქანების, ასევე ადამიანების დროებით მწყობრიდან გამოყვანა, დედამიწის მიზიდულობის და რაღაც სხვა კანონებსაც არღვევსო, წყალიც იმიტომ წავიდა ალბათ აღმა. როგორც ჩემმა ნაცნობმა მითხრა, ჩემმა თანამგზავრმა თურმე ღვთიურ ნიშნად მიიღო მომხდარი. იგი ნარკოტიკის მომხმარებელი ყოფილა და ხანგრძლივი მკურნალობის კურსი გაუვლია, რომლის შემდეგაც არ უნდა გაკარებოდა წამალს, მაგრამ იმ ღამეს ცდუნებას ვერ გაუძლო თურმე და ამიტომ მიდიოდა მცხეთის რაიონში ახლობელთან, რომელსაც წამალი ჰქონდა... სხვათა შორის, ძალიან მორწმუნე გახდა და იმ დღის შემდეგ წამალზე აღარც უფიქრია, ექიმია, კარგი სპეციალისტი...

მოგვიანებით, ბატონმა თენგიზმა უცნაური მოვლენის მეორე თვითმხილველსაც შემახვედრა და მან დაადასტურა, რომ ყველაფერი სწორედ ასე იყო. ისიც მითხრა, რომ იმ ადგილზე სხვა დროს განგებ მისულა და ბლომად წყალიც დაუღვრია, რომ ენახა, ისევ აღმა წავიდოდა თუ არა, მაგრამ მსგავსი არაფერი განმეორებულა...

ეს ის სასწაული იყო, რომელიც არ მეორდებაო, — მითხრა და პირჯვარი გადაიწერა, — სულ შევიცვალე, უფალმა ჩემთვის მოახდინა საოცრებაო...

ალბათ ასეც იყო, ან იქნებ მართლა უცხო პლანეტის წარმომადგენლები სტუმრობდნენ ღვთივკურთხეულ ჩვენს ქვეყანას, ვინ იცის...

**P.S.** ბატონ თენგიზთან საუბარმა ისე გამიტაცა, მაინც დავაგვიანე რესპონდენტთან შეხვედრაზე, მაგრამ არ მინანია ნამდვილად!..

*ინგა ჯაყელი*

# ექსტრასენსები დიდ პატივში არიან



სულ უფრო და უფრო მეტი მაგნატი მიმართავს დახმარებისთვის ზებუნებრივ ძალებს. საკუთარი კომპანიების პერსპექტივის გასაგებად ასტროლოგებს, ექსტრასენსებს და ქირომანტებს იწვევენ სამუშაოდ.

„კორპორაცია მზად არის, ყველაფერი მოსინჯოს თავისი ბიზნესის შესანარჩუნებლად, ამიტომ წინასწარმეტყველება კარგი შემოსავლის წყარო გახდა მათთვის, ვინც ამას მისდევს“, — თქვა ერთ-ერთი ფირმის გენერალურმა დირექტორმა. მან ბოშა ქალი აიყვანა სამსახურში. ამ ქალმა კი ისეთი შელოცვა იცის, რომ საქონელი უცებ იყიდება, თანაც დიდი რაოდენობით.

აშშ-ის მსხვილი ფირმები ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში დიდი ხანია ოკულტიზმით არიან გატაცებული, მაგრამ ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა ხელმოცარულობამ განაახლა ინტერესი მისნობისა და ჯადოქრობისადმი.

წინასწარმეტყველები ახლა ისეთივე პოპულარობით სარგებლობენ, როგორც პროგრამისტები — 90-იან წლებში. მათ გაცილებით მეტს უხდიან, ვიდრე კომპიუტერზე მომუშავეთ — წელიწადში დაახლოებით 260 ათას დოლარს. თუ ზედმეტ სამუშაოს აიღებენ, მაშინ მათი შემოსავალი 750 ათასს აღწევს.

*ტაინაია ვლასტი №11*

# „ეშმაკის ქალაქი“ მიწისქვეშეთში

ყველა კონტინენტზე არსებობს „სიკვდილის ველი“ და „ეშმაკეული ადგილები“. მათი შესწავლის მოსურნენი ან საერთოდ არ ბრუნდებიან უკან, ან დაბრუნებულები მალევე კვდებიან გაურკვეველი დაავადებით.

ასეთი „სიკვდილის ველი“ მდებარეობს ციმბირშიც, მდინარე ვილუის ნაპირთან. მას უშიშარი მონადირეებიც კი ოდითგან გვერდს უვლიან. თაობიდან თაობას გადაეცემა ლეგენდა მიწისქვეშა „ეშმაკის ქალაქის“ შესახებ და უხუცესი იაკუტები უკრძალავენ შვილებს იმ ადგილთან მიკარებას.

ველზე არის მიწისქვეშეთში რამდენიმე ფარული ჩასასვლელი. იქ ჩასული იშვიათად დაბრუნებულა უკან, თუ ვინმე ამოაღწევს, მალევე კვდება საშინელი წამებით.

შესაძლოა ამიტომაც, ვერც ერთი ექსპედიცია ვერ რისკავს ამ საიდუმლო ადგილის გამოსაკვლევად ჩასვლას.

ერთხელ რამდენიმე გაბედულმა სტუდენტმა გადაწყვიტა „სიკვდილის ველზე“ გასეირნება.

უკან დაბრუნებულებმა თქვეს, — მდინარე აგლის ნაპირზე, ვილუის შესართავთან, დგას დაახლოებით 10-მეტრიანი დიამეტრის ქვაბი. ერთი შეხედვით სპილენძისას ჰგავს. სტუდენტები ეცადნენ, ამ საიდუმლო ნაკეთობისთვის თუნდაც მცირე ნაჭერი ჩამოემტვრიათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ — ხერხი მიკარებისთანავე დაიმტვრა, ხოლო ჩაქუჩი — რეზინის ბურთივით ხტოდა.

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ქვაბი სითბოს აფრქვევდა, რის გამოც ექსპედიციის წევრებს ჰალუცინაცია დაეწყოთ.

ამ რისკიანი მოგზაურობიდან დაბრუნებულებს მალევე გაუუარესდათ ჯანმრთელობა. ზოგი გამელოტდა, ზოგს საშინელი გამონაყარი გაუჩნდა სახეზე, ხოლო ხელები წითლად დაეფოთლათ. ამ გამოუცნობი სენის წამალი არ გამოჩნდა. კიდევ კარგი, ჭკუა ეყოთ და მიწისქვეშეთში არ ჩაძვრნენ!

გასული საუკუნის შუა ხანებში ერთი მოხალისე ჩავიდა „ეშმაკის ქალაქში“. რამდენიმე საათის შემდეგ ბარბაცით ამოვიდა ზემოთ, გალურჯებული, აცახცახებული... ჰაერმა დაჰკრა თუ არა, დაეცა მიწაზე და საშინელი კრუნჩხვით ამოხდა სული...

მიუხედავად ყველაფრისა, იაკუტებისათვის ცნობილია მიწისქვეშა ქალაქის ზოგიერთი დეტალი. ამბობენ, იქ უზარმაზარი, ვიღაცის მიერ ამოთხრილი გამოქვაბულებია. ერთ-ერთში წვანან გაყინული შავკანიანი, ლითონის ტანსაცმლიანი ადამიანებიო.

ასეთი ზერელე ინფორმაცია „ეშმაკეული ადგილის“ შესახებ, არ იძლევა საშუალებას, მეცნიერულად აიხსნას „ველის“ წარმოშობის მიზეზი ამ მუდმივად ცივ რაიონში.

თუმცა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ ადგილებში ოდესღაც ცხოვრობდა ჩვენთვის უცნობი ცივილიზაციის ხალხი, რომელიც მრავალი ათასი წლის წინ შეიწირა კლიმატურმა კატასტროფამ — ტროპიკული კლიმატი შეიცვალა პოლარული სიცივით და ხალხი, თავის საშველად, მიწისქვეშეთში გადაბარგდა.

მეორე ვერსიით, ყოველივე ეს მიღმა სამყაროს მკვიდრთა ნახელავია...

*ვოკრუგ სვეტა*



# უდაბნოს „საიდუმლო წრეები“

მეცნიერები კარგა ხანია ტვინს იჭყლეტენ აფრიკის სამხრეთით, ნამიბიის უდაბნოში აღმოჩენილი „საიდუმლო წრეების“ შესასწავლად. თითოეულ ასეთი წრეს დაახლოებით 10-მეტრიანი დიამეტრი აქვს და აბსოლუტურად თავისუფალია მცენარეებისგან. უფრო მეტიც, ქვიშის სინჯებმა ვერანაირი ნათელი ვერ მოჰფინა ამ გამოცანას. 1975 წელს წრეების შუაში ჩასვეს მეტალის მომცრო ბოძები. 22 წლის შემდეგ კი აღმოაჩინეს, რომ ქვიშის წრეები ადგილიდან ოდნავადაც არ დაძრულა(!). თანაც ისევ აიღეს სინჯი — არც რადიოაქტიური ნივთიერება აღმოჩენილა, არც რაიმე უცხო სხეული... არადა, ზემოდან ისეთი სურათი ჩანს, თითქოს უდაბნო კოსმოსიდან დაბომბეს.

*გარდიანი*

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. მამალი.

II. **აბა, გამოიცანი:**

1) — ა); 2) — ა); 3) — გ); 4) — დ); 5) — ბ); 6) — დ); 7) — ა); 8) — დ).

# სად წავიღოთ მესამე ძუძუ?

24 წლის ჩინელ გოგონას უბედურება შეემთხვა — მუცელზე მესამე ძუძუ ამოუვიდა!

ანომალიამ თავი იჩინა მას შემდეგ, რაც კერძო კლინიკაში მას ოპერაცია გაუკეთეს — მკერდი გაუდიდეს. ამ ოპერაციიდან სულ რამდენიმე დღეში დაეწყო დამატებითი ძუძუს ზრდა.

გოგონა იძულებული შეიქნა, კვლავ მიემართა ქირურგებისთვის, მაგრამ მედიკოსებმა ოპერაციაზე უარი უთხრეს — ძუძუს ზრდის დასრულებამდე დაცდა სჯობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა თავიდან გაიზარდოს ან სხვა ადგილზე იჩინოს თავიო.

შესაძლოა, მკერდის გასადიდებელი ოპერაციის დროს, გოგონას სერიოზულად დაერღვა რაღაც-რაღაცები ორგანიზმში, რაც ამ პათოლოგიის მიზეზი შეიქნა.

***ჯენტე***

# პაწარას წყენინება ჩიტსაც კი შეუძლია



ინდოელები პატივს მიაგებენ თავიანთ ყველაზე ცნობილ პიროვნებას — ცირკის მსახიობს გული მუჰამედს, რომელიც 1997 წელს გარდაიცვალა.

მუჰამედი დღემდე რჩება დედამიწაზე ყველაზე ტანდაბალ ზრდასრულ მამაკაცად — იგი მხოლოდ 55 სმ სიმაღლისა იყო. როცა გული მუჰამედმა ცირკში მოღვაწეობა დაასრულა, ტკბილეულით ვაჭრობას მოჰკიდა ხელი, რამაც დიდი მოგება მოუტანა.

ვინაიდან სხვა ადამიანებისგან გამოირჩეოდა, ინდოელებმა ციცქნა თანამემამულე წმინდანად შერაცხეს.

მუჰამედს თურმე ამქვეყნად ყველაზე მეტად ეშინოდა ძაღლების, კატებისა და ყვავებისა, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ მათ წინაშე ადამიანი იდგა და საჭმელს ხელიდან სტაცებდნენ.

***ნიუზუიქი***

# უჩვეულო რბოლა

ბრიტანელი მარათონელი ჰიუ ლობი პირველი ადამიანია, რომელმაც ცხენს გაუსწრო. ამგვარი შეჯიბრი ყოველწლიურად ტარდება უელსში. 25 წლის მანძილზე მხოლოდ ლობმა შეძლო, მიეღო პრიზი — 25 ათასი გირვანქა სტერლინგი.

გამარჯვებულმა ინტერვიუში თქვა, რომ მოგებული თანხით შეიძენს ახალ ბოტასებს, რომლითაც მონაწილეობას მიიღებს მომავალ შეჯიბრში.

27 წლის პროგრამისტმა ჰიუ ლობმა 12 ივნისს 22 მილი გაირბინა 2 სთ, 5 წთ და 19 წამში. შეჯიბრში მონაწილე ყველაზე სწრაფმა ცხენმა კი ფინიშს 12 წთ-ით გვიან მიაღწია.

***დენგი***



# ასეთი ბუმბულით შორს ვერ გაფრინდები

ჩიტების ერთ-ერთი ავადმყოფობაა გენეტიკური მუტაცია, რომელიც ბუმბულის საოცარ ზრდას იწვევს. მას უწოდებენ ბუმბულის დაავადებას. ამ სენით დაავადებული ფრინველები მთლიანად იფარებიან ბუმბულით, აღარ შეუძლიათ ფრენა და, სხვათა შორის, მოძრაობაც ძალიან უჭირთ. ისინი თანდათან ემსგავსებიან ბუმბულის უზარმაზარ ბუშტს. ის ფაქტი, რომ მოძრაობა უჭირთ, ნეგატიურად მოქმედებს მათ ორგანიზმზე. ავადდება გული (უმოძრაობის შედეგად) და ფრინველები დროზე ადრე იხოცებიან...

***ოჯი***

# მანქანით სეირნობის ახალი მეთოდი



ბრიტანელი ავტომექანიკოსი ლოიდ ჯეფერსონ გორდი ფეტიშისტებს ურჩევს, თავიანთი ავტომობილებით იმგზავრონ ისე, რომ წინ — კაპოტზე, მიაბან ლამაზმანი. ლოიდი ამტკიცებს, რომ ამ დროს მამაკაცი მიიღებს საოცარ სექსუალურ სიამოვნებას. ავტომექანიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ ახალი მოდის მოყვარულები არ უნდა გასცდნენ კანონის ფარგლებს და არ დაარღვიონ საგზაო წესები. ყველაფერს აჯობებს ამ ახალი მეთოდით გასეირნება სადმე ბუნებაში. მექანიკოსი აღნიშნავს, რომ მამაკაცებს ძალიან მოსწონთ იმის შეგრძნება, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელი მთლიანად მათ ხელშია.

***მირორი***

# რობი უილიამსი ვერ ელევა წარსულს



ცნობილი გახდა, რომ რობი უილიამსი წარსულში ნარკომანი იყო. ეს ჩვეულება მას კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა — თურმე 10 წლის წინ, ტოპმოდელ ნაომი კემბელთან ერთად, უამრავი კოკაინი მიიღო ბერლინის ერთ-ერთ სასტუმროში და მოდელის მცველებმა ის ნახევრად მკვდარი გადაიყვანეს რეანიმაციაში. ეს ოპერაცია ისე ბრწყინვალედ ჩატარდა, რომ ამის შესახებ ჟურნალისტებმა ვერაფერი გაიგეს.

რობი უილიამსი ახლა უკვე აღარაფერს მალავს და აღიარებს, რომ ყველაფერს გაუსინჯა გემო, თუმცა ახლა მკურნალობამ გამოაჯანსაღა.

მისი პრესმდივანი კი აცხადეს, — რობი დროდადრო მაინც ეძალება ნარკოტიკებს, შემდეგ კლინიკაში წვება. ნამკურნალები ცოტა ხანს იკავებს თავს, მერე კი ისევ თავიდან იწყებს... ასე მეორდება წლიდან წლამდე. შეიძლება გამოსწორება უნდოდეს კიდეც, მაგრამ ვერც ცდუნებას უძლებს და ნებისყოფაც არ ჰყოფნისო.

***ოკნა***

# ტკბილი ფოტოსურათები

გერმანელებმა ტკბილი გამოსახულების ტექნოლოგია აითვისეს. ჩვეულებრივ ფოტოსურათს სპეციალურ პრინტერზე ბეჭდავენ. მელნის ნაცვლად — საკვებ საღებავებს ხმარობენ. ამის შემდეგ გამოსახულება თეთრი შოკოლადის ფილაზე გადააქვთ. როგორც ტექნოლოგები ირწმუნებიან, მათ ამგვარად ნებისმიერი გამოსახულების გადატანა შეუძლიათ შოკოლადის ფილაზე — დაწყებული ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ ფოტოასლიდან, ჩვეულებრივი სავიზიტო ბარათებით დამთავრებული. ოღონდ ეგ არის, რომ ტკბილი სურათები დიდხანს ვერ ძლებს, განსაკუთრებით, სიცხეში.

***შტერნი***



# პრინცი — კონფესიის დამრღვევი

დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე პრინცი ჩარლზი თავის ქვეშევრდომებს, როგორც ჩანს, სიურპრიზს უმზადებს. პრინცს არასოდეს დაუმალავს აღმოსავლეთის სიყვარული. ახალგაზრდობაში ბეჯითად ესწრებოდა ჰარვარდის უნივერსიტეტში აღმოსავლური კულტურის ლექციებს. უამრავი ტრაქტატი გადაიკითხა ბუდიზმზე და აგერ უკვე რამდენიმე წელია, ყოველ დილას მედიტაციით იწყებს. მიუხედავად პარლამენტის წევრთა წინააღმდეგობისა, ახლა მას ოფიციალურ ვიზიტად დალაი ლამას მოწვევა სურს. სტუმართმოყვარე პრინცის მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ გამოჩერჩეტებულ ჩარლზს ბუდიზმის მიღება სურს. რელიგიის არჩევანის თავისუფლება ყოველი მოკვდავის უფლებაა, მაგრამ არა — ჩარლზის. ანგლიკანური ეკლესიის ერთ-ერთ მთავარ პირს უფლება არ აქვს აღმოსავლურ ნიავს აჰყვეს. ამასთან დაკავშირებით პარლამენტარები დაემუქრნენ პრინცს, რომ ტახტის მემკვიდრის უფლებას ჩამოართმევენ.

***სტარი***

# ხუთი კვირა ჭაში



ერთ დღეს კალიფორნიელი შვარცების ოჯახი უდაბნოში გაემგზავრა და თან საყვარელი ძაღლი — კოკერ-სპანიელი შედოუ წაიყვანა. შვარცებმა ის-ის იყო, სიკვდილის ველის დასავლეთით მდებარე ქალაქ პანამინტს მიაღწიეს, რომ შედოუ მოულოდნელად გაქრა. ბევრი ძებნის შემდეგ მიწის სიღრმიდან მოესმათ ყრუ წკმუტუნი. ხმას მისდიეს და 80 ფუტის სიღრმის მიტოვებულ ჭასთან მივიდნენ. ბიჭებმა რეინჯერების უახლოესი სადგურიდან ალუმინის კიბე მოარბენინეს. ამ კიბით აპირებდნენ ძაღლის ჭიდან ამოყვანას. ამას კარგა ხანს მოუნდა, თანაც საქმეს უდაბნოს მცხუნვარე მზეც ართულებდა. შვარცები დაიღალნენ. ეტყობა, ძალღონე შედოუსაც გამოელია, ყოველ შემთხვევაში, ყეფა თანდათანობით სუსტდებოდა. ძმებმა ჭაში კიბის ჩაშვება დაიწყეს, მაგრამ ხელიდან გაუვარდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ ძაღლის ყეფა შეწყდა. იფიქრეს, შედოუ დაიღუპაო. ჭასთან ნიში აღმართეს და დამწუხრებულები შინ დაბრუნდნენ.

35 დღის შემდეგ ძმები სკოტ და დარელ მერცები იმავე ადგილებში გაემგზავრნენ — წყაროს პოვნა უნდოდათ. მოულოდნელად ქვიშაში ღრმული შენიშნეს, რომლის გვერდითაც ნიში იყო აღმართული. სკოტმა და დარელმა ფარნებით ღრმულში ჩაიხედეს და კიბე დაინახეს. მერე ჭაში ქვების სროლა დაიწყეს. მოულოდნელად მიკნავებული წკმუტუნი გაიგონეს. „ერთმანეთს გადავხედეთ. ყურს არ ვუჯერებდით — აქ ძაღლს რა უნდაო. გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, ძაღლი იქიდან ამოგვეყვანა“, — თქვა სკოტ მერცმა.

დარელი კიბემდე თოკით ჩავიდა, მერე კიბით ფსკერამდე ჩააღწია და ძაღლიც დაინახა. დიდი იყო დასუსტებული შედოუს სიხარული. აღმოჩნდა, რომ ჭის ფსკერზე წყალი მოდიოდა და სწორედ ამან შეუნარჩუნა სიცოცხლე. ძმებმა ძაღლი ჭიდან მშვიდობიანად ამოიყვანეს. კოკერ-სპანიელს საყელურზე ეწერა პატრონის მისამართი და ტელეფონის ნომერი. ასე რომ, შედოუ სულ მალე შინ დაბრუნდა.

შვარცებმა უსაზღვროდ გაიხარეს.

***მირ ნოვოსტეი***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში იმ სიტყვებს ამოიკითხავთ, რომლითაც საბჭოთა ისტორიკოსების მტკიცებით, ხალხი ლენინის მავზოლეუმს მოიხსენიებდა.**



| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ო | ი | რ | ა | | ა | უ | გ | გ | ძ | ო | რ | ო | ა | ა | ნ | ი | ო | | რ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ.** ავსტრალიაში გავრცელებული ველური ძაღლი; **ა.** ღმერთი, რომლის შვილადაც გამოაცხადა თავი ალექსანდრე მაკედონელმა; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **ვ.** მდინარე თბილისში; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ.** ზღვის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ე.** „ნატვრის ხის“ პერსონაჟის სახელი, რომელიც მთელი ცხოვრება ნატვრის თვალს, ნატვრის ხესა და ოქროს თევზს ეძებდა, ელოდა როდის გაიხსნებოდა ცა ან როდის დადებდა მისი დედალი ოქროს კვერცხს; **თ.** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ჩ.** საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი; **ვ.** ჯარის უფროსი რუსეთში; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **თ.** წვრილი ღვედი; **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **ნ.** კუკარაჩას სატაბელო იარაღი; **ე.** განსწავლული ადამიანი; **რ.** კარდინალის გვარდიის ოფიცერი, რომელიც სისხლს უშრობდა დ'არტანიანს; **თ.** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც საკუთარი რძით გამოკვება კუნძულ კრეტაზე გადამალული ჩვილი ზევსი; **ა.** თვითმფრინავის სადგომი; **დ.** მევენახეობის, ღვინის სმისა და დროსტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**ჩ.** ჩეჩენი; **ვ.** ვივალდი; **ე.** ელე; **ნ.** ნინიძე; **თ.** თეირანი; **ა.** ანფასი; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ებრაელი; **რ.** რეიგანი; **თ.** თიანეთი; **ა.** ამერიკა; **დ.** დარიოსი; **ა.** ასთმა; **რ.** რესურსი; **მ.** მაუგლი; **ო.** ოსლო; **ი.** იპონი; **წ.** წავი; **ყ.** ყონაღი; **ე.** ელეგია; **ნ.** ნობელი; **თ.** თვალი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ჩვენი ფარია ერთსულოვნება.**

# კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:**



**28 ივნისი:**

**ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი**, ეროვნული გმირი; **პიტერ პაულ რუბენსი**, ფერმწერი; **ჟან-ჟაკ რუსო**, მწერალი, ფილოსოფოსი; **სერგეი ბონდროვი**, რეჟისორი; **ალექსანდრ პანკრატოვ-ჩორნი**, მსახიობი.

**29 ივნისი:**

**რეზო გაბრიაძე**, მწერალი, მხატვარი, რეჟისორი; **სოსო პავლიაშვილი**, მომღერალი; **ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი**, მწერალი.

**30 ივნისი:**

**გიორგი ჩიქოვანი**, ფიზიკოსი; **მაიკ ტაისონი**, მოკრივე; **რალფ შუმახერი**, ფორმულა 1-ის პილოტი.

**1 ივლისი:**

**სერგო ზაქარიაძე**, მსახიობი; **პამელა ანდერსონი**, მსახიობი; **პრინცესა დიანა**, უელსის პრინცის, ჩარლზის ყოფილი მეუღლე; **სიდნეი პოლაკი**, რეჟისორი; **ჟორჟ სანდი**, მწერალი; **ლივ ტაილერი**, მსახიობი.

**2 ივლისი:**

**დიანა ღურწკაია**, მომღერალი; **უილიამ ბრეგი**, ფიზიკოსი; **ჰერმან ჰესე**, მწერალი.

**3 ივლისი:**

**ფრანც კაფკა**, მწერალი; **ვინსენტ კლარკი**, მუსიკოსი; **ტომ კრუზი**, მსახიობი.

**4 ივლისი:**

**მიტროფანე ლაღიძე**, საზოგადო მოღვაწე; **გურამ რჩეულიშვილი**, მწერალი; **ჯუზეპე გარიბალდი**, პოლიტიკური მოღვაწე; **ჯინა ლოლობრიჯიდა**, მსახიობი; **ფრუნზიკ მკრტჩიანი**, მსახიობი.

# სიტყვათა კონა

**კინჩხი** — კინჩხი უტეხია (კუთხ.) — იგივეა, რაც კისერი უტეხია.

**კინწი** — 1. კისერი, ქედი. 2. (კუთხ.) იგივეა, რაც ყუნწი.

**კინჭუხი** (კუთხ.) — წვერი, წვეტი (კლდისა).

**კიოტი, კიოტა** — პატარა მტაცებელი ფრინველი ბუების ოჯახისა.

**კიპორჭი** — იგივეა, რაც ნანწალა (ხიდად გადებული ძელი).

**კიპრუჭი** — ფიჭიანი თაფლი, — გოლეული.

**კიჟვა** — ჭუტვა (თვალისა). თოფი და წამალი — ხელმწიფისა, თვალის კიჟვას რა უნდაო.

**კირითხურო** (ძვ.) — იგივეა, რაც კალატოზი.

**კირკალი** — რკალი, რომლითაც საქონელს ბაგაზე აბამენ (ზამთარში).

**კირკაჟი** — მოხარშული და ამოუზელად შენელებული ლობიო.

**კირკიტა** — მტაცებელი ფრინველი შავარდნების ოჯახისა.

**კისკასი** — მარდი, სწრაფი, ცქვიტი.

**კისრული** — ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი.

**კიჩო** — გემის, აგრეთვე თვითმფრინავის უკანა ნაწილი.

**კიწანი** — წვრილი ფიჩხი; წვრილი ხმელი ტოტი.

**კლერტი** — 1. ყურძნის მტევნის ღერო, რომელზედაც კიმპლები ასხია. 2. ფოთლებგაცლილი წვრილი შტო რისამე.

**კნაჭა** — ძალზე გამხდარი, მჭლე, სუსტი.

# უსავარძლოდ დარჩენილ გოგიაშვილს პირად ცხოვრებაში უმართლებს

**— გავიგეთ, რომ მირიან გოგიაშვილს, ყოფილ ფინანსთა მინისტრს ცოლად ნინო მურთაზაშილი, საქართველოდან „მის მსოფლიოს“ პრეტენდენტი მოჰყავს ცოლადო...**

***ნუკრი ნიშნიანიძე***



— დავუკავშირდით ნინო მურთაზაშვილს, რომელმაც დაგვიდასტურა ქორწინების ამბავი, თუმცა სხვა კითხვებზე, მაგალითად, როდისთვის გეგმავენ ჯვრისწერას, როდის და სად შეხვდნენ პირველად ის და მირიანი ერთმანეთს, პასუხის გაცემა არ მოისურვა. საუბარში მოულოდნელად მამაკაცი ჩაგვერთო (ანუ თავად მირიან გოგიაშვილი), რომელმაც გვითხრა, რომ ის და ნინო დიდი ხანია, რაც ერთმანეთს ხვდებიან, აპირებენ კიდევაც დაქორწინებას, მაგრამ წინასწარ კონკრეტული თარიღი არ დაუთქვამთ. სხვა დეტალებზე არც მან მოინდომა ლაპარაკი.



P.S. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპონდენტები სიტყვაძუნწები აღმოჩნდნენ, რედაქცია შეყვარებულებს წინასწარ ულოცავს მომავალ ქორწინებას.

# «პიკასო» ახლა მარტო მღერის...

**— გამოვიდა „ქუჩის ბიჭების“ ახალი დისკი, რომლის გარეკანზე მოთავსებულ ფოტოზე „პიკასოსაც“ ვხედავთ. კვლავ დაუბრუნდა იგი ჯგუფს?**

***მაიკო გეგეშიძე***



კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი ნოზაძე** — „პიკასო“.

— არა, ჯგუფს არ დავბრუნებივარ. უბრალოდ ისე მოხდა, რომ ბოლო ალბომი გამოვიდა არა „ქუჩის ბიჭების“ ახალი წევრის, არამედ ჩემი სოლოებით, ანუ ჩემი ხმით. დისკზე მუშაობისას ჯერ კიდევ ჯგუფის წევრი ვიყავი, ხოლო ალბომი ჩემი წამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ გამოვიდა. ამჟამად ვმუშაობ მარტო (იცინის). ვაპირებ ესტრადას დავუბრუნდე, ჩავწერე ახალი სიმღერა, რომელზედაც გადაღებული კლიპის პრეზენტაცია 28 ივნისს გაიმართება. რომელიმე ჯგუფის წევრობას აღარ ვაპირებ, თუმცა დუეტს სხვა მომღერლებთან აუცილებლად ჩავწერ. იმდენ ხანს ვიყავი ჯგუფის წევრი და თანაც ყველაზე პოპულარულის, რომ თუ იქიდან წამოვედი, სხვაგან ნამდვილად აღარ შევალ. მინდა „ქუჩის ბიჭები“ მომავალშიც პოპულარული ჯგუფი იყოს... რაც შეეხება ჩემს ახალ სიმღერას, მას „მაპატიე შეცდომები“ ჰქვია. კლიპის რეჟისორები არიან ბასა სამხარაძე და დაჩი დარჩია. კლიპზე პროფესიონალთა ჯგუფი მუშაობდა. ველოდები მაყურებლის რეაქციას...

# ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო და... აეროდრომი

**— როგორც მითხრეს, საერთაშორისო სტანდარტებით სასტუმროს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მცირე აეროდრომი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაბალი კლასის კატეგორიას განეკუთვნებაო. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს და თუ ნამდვილად ასეა, მაშინ რატომ გვატყუებენ „მარიოტის“, თუნდაც „შერატონ მეტეხი-პალასის“ მფლობელები, რომ ეს სასტუმროები ხუთვარსკვლავიანია?**

***ნიკოლოზ ქართველიშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **ეკა გიგაური**, „მერიოტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

— მოქალაქეს მცდარი წარმოდგენა აქვს სასტუმროების შეფასების საერთაშორისო სტანდარტებზე. მცირე აეროდრომი შეიძლება სამვარსკვლავიან სასტუმროსაც ჰქონდეს, მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი. საერთაშორისო სტანდარტებით სასტუმროს შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ მომსახურების რა სერვისს სთავაზობ დამსვენებელს. რაც უფრო მრავალმხრივი და ხარისხიანია ეს მომსახურება, მით უფრო მაღალია სასტუმროს კლასი (შესაბამისად, პრესტიჟი). შემიძლია ეს ჩვენი სასტუმროების მაგალითზე აგიხსნათ: „მარიოტი“ რუსთაველის პროსპექტზე ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა, ხოლო თავისუფლების მოედანზე — ოთხვარსკვლავიანია. განსხვავება ის გახლავთ, რომ პირველი დამსვენებელს სთავაზობს 24-საათიან მომსახურებას, მეორე კი — დილის 6 საათიდან საღამოს 11 საათამდე. ხუთვარსკვლავიან „მარიოტში“ საუზმის, სადილისა და სამხარის შეკვეთა ნომერშიც შესაძლებელია, მუშაობს 24-საათიანი ბარი და რესტორანი. ხოლო ოთხვარსკვლავიანში ასეთი მომსახურება არ არის გათვალისწინებული. იქ მუშაობს მაღაზია, სადაც შესაძლებელია მზა სახის საკვების შეძენა. მსგავსი განმასხვავებელი ნიშნების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამდენად, საერთაშორისო სტანდარტებით მიღებული ნორმებით ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო არის უმაღლესი კლასის, თუმცა არა იმის მიხედვით, აქვს თუ არა მას მცირე აეროდრომი.

# ფობია თუ ჩვენი ყოველდღიურობა...

**— ამბობენ, შიშის მრავალგვარი სახეობა (ანუ ფობია) არსებობსო. იქნებ თქვენს რუბრიკაში ამის შესახებაც მოგვითხროთ.**

***გია ვეფხვაძე***

— სიტყვა „ფობია“ ბერძნული წარმოშობისაა და შიშს ნიშნავს. ფსიქიატრიაში შიშის ასობით სახეობაა ცნობილი. ასე მაგალითად:

**აბლუტოფობია** — შიში ბანაობის წინ;
**ავიაფობია** — ფრენის შიში;
**აკაროფობია** — ქავილის შიში;
**აკუსტიკაფობია** — ხმაურის შიში;
**აკროფობია** — სიმაღლის შიში;
**აეროფობია** — ორპირი ქარის შიში;
**აგლოფობია** — ტკივილის შიში;
**აგორაფობია** — ღია სივრცის შიში;
**ალიუმფობია** — ნივრის შიში;
**ამატოფობია** — მტვრის შიში;
**ამბულოფობია** — სიარულის შიში;
**ანაბლეფობია** — ზევით ახედვის შიში;
**ანდროფობია** — მამაკაცის შიში;
**ანტოფობია** — ყვავილების შიში;
**ანუპტაფობია** — გათხოვების (ცოლის შერთვის) შიში;
**აპეიროფობია** — უსასრულობის შიში;
**აპიოფობია** — ფუტკრის შიში;
**არითმოფობია** — ციფრების შიში;
**აუროფობია** — ოქროს შიში;
**აუტომისოფობია** — უსუფთაობის (უსუფთაოდ ყოფნის) შიში.

***(გაგრძელება შემდეგ ნომერში)***

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**







CMYK



# „ძველი“ ევროპა ახალ ჩემპიონს ეძებს

როგორც არ უნდა დაიწყო „ევრო-2004“-ზე საუბარი, ფაქტი ერთია, ყოველგვარი პროგნოზები და რომელიმე გრანდის ხელშეუხებელ ფავორიტად გამოცხადება ფუჭი და ამაო საქმეა. აღიარებული ლიდერები პანტაპუნტით ალაგებენ ჩემოდნებს და სირცხვილნაჭამნი შინ ბრუნდებიან. ყველაზე ხმაურიანი ვოიაჟი ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებს — ფრანგებს გამოუვიდათ, მათთვის ლისაბონი-პარიზის რეისის ბილეთები „შეუკვეთა“ გუნდმა, რომელიც ამ ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაციების შემოქმედი გახლავთ. საბერძნეთის ნაკრებმა ცივსისხლიანი გერმანელის ოტო რეჰაგელის თავკაცობით დაამტკიცა, რომ პრინციპი — „ერთი ყველასათვის, ყველა — ერთისათვის“, ნებისმიერ სიტუაციაში უაღრესად ეფექტურად მოქმედებს და საერთო საქმისთვის თავდადება უკვალოდ არასოდეს ჩაივლის. პორტუგალიასთან, ესპანეთთან და განსაკუთრებით ფრანგებთან ჩატარებული მატჩების შემდეგ, ნურავისთვის იქნება გასაკვირი, თუკი რეჰაგელი ძველი ელადის შთამომავლებს ყველაზე ნათელ ფურცელს მიუძღვნის მათ საფეხბურთო ისტორიაში. ბერძნებს უკვე აქვთ სრული უფლება იამაყონ თავიანთი თვითმყოფადი და საოცრად შეკრული გუნდით, რომელმაც თავდაყირა დააყენა ცნობილი სპეციალისტებისა და ბუკმეიკერების „ბუღალტრული“ გათვლა-გამოთვლები. საბერძნეთის ნაკრები ჩვენი მეტოქეა მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევ ეტაპზე და ამიტომაცაა, მის გამოსვლას განსაკუთრებულ ყურადღებას რომ ვაქცევთ. ჩვენი ინფორმაციით, მეოთხედფინალის მსვლელობისას იმედგაცრუებული მიშელ პლატინის ახლომახლო უნდა ყოფილიყო საქართველოს ნაკრების ახალი თავკაცი ალენ ჟირესი და ბერძენთა თამაშის შემყურეს დამატებითი თავსატეხი რომ გაუჩნდებოდა, უეჭველია. მოდით, ვთქვათ, შემთხვევითობა იყო თუ კანონზომიერება საბერძნეთის ფურორი პორტუგალიის მინდვრებზე? ნუთუ მათ რიგებში მსგავსი ვარსკვლავები თამაშობენ, როგორებიც საფრანგეთის, ესპანეთის და პორტუგალიის გუნდებში? სულაც არა! ბერძნებს ჰყავთ კაცი, რომელსაც დიდებულად ესმის ფეხბურთი და მას ეს არაერთხელ დაუმტკიცებია. იგი მათი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოტო რეჰაგელია. სულაც არ მინდა დავაკნინო მოთამაშეთა დამსახურება, მაგრამ ჯერჯერობით საბერძნეთის ნაკრების წარმატების კვერთხი „ცბიერი“ გერმანელის მტკიცე ხელშია. ეს მან დასაჯა პორტუგალიელები ზედმეტი თავდაჯერებულობისთვის, მისი სტრატეგიის მახვილგონივრულობა იწვნია საკუთარ თავზე ესპანეთმა და მისმა უშეცდომო ტაქტიკამ დააჩოქა ტიტულებით „გაძეძგილი“ საფრანგეთი. ჩვენ იმაზე ვიფიქროთ, რა დავუპირისპიროთ მომავალ ტურნირზე უკვე ფავორიტებად ქცეულ ბერძნებს ათენსა და თბილისში, თორემ მათ რომ უკვე დაიდგეს „ევრო-2004“-ის უგვირგვინო მეფეთა გვირგვინი, უდავოა.

საერთოდ, პორტუგალიაში კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ აღიარებული გრანდების წინასწარ ჩემპიონებად გამოცხადება სისულელეა და მეტი არაფერი. ფეხბურთი ის აღარ არის, პელესა და გარინჩას დროს რომ იყო. ბევრი გაიძახის: — ფრანგებს მოტივაცია არ ჰქონდათო... პარადოქსია, არა? მოტივაცია უნდოდათ პელეს და მის თანაგუნდელებს, ორგზის მსოფლიო ჩემპიონები თავებს რომ იხოცავდნენ მინდორზე? თუ სახელი, დიდება და ტიტულები აკლდათ? ისევ ზიდანის ოსტატობა, თორემ საფრანგეთი ჯგუფში ჩარჩებოდა. ინგლისთან გაუმართლათ, ხორვატებთან გაუმართლათ, ბერძნებმა კი მიწაზე დაუშვეს ჩემპიონთა და ტიტულოსანთა „კრებული“. დანარჩენები? — იტალიას 1982 წლის შემდეგ აღარაფერი მოუგია სანაკრებო დონეზე, ესპანეთს 60-იანი წლების გუნდიღა შემორჩა ეტალონად, ინგლისი ალბათ მაშინ თუ ეღირსება ჩემპიონობას, თუ საკუთარ კედლებში გამართავს ასეთი დონის ტურნირს, გერმანია ბოლო წლებია სულს ღაფავს... ესეც შენი ფავორიტები!..



კასანოს ცრემლები — იტალია ჯგუფში ჩარჩა



ეს-ეს არის ბერძნებმა ფრანგები დააჩოქეს

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მომავალი მეტოქე დანიაა. თუ არ ჩავთვლით იტალიასთან უგოლო ფრეს, დიდად თავი არც მათ მოუკლავთ ჯგუფში. შვედებთან მეოთხედფინალში გამსვლელი ფრეც შესაძლოა, მეფსონეთა ენით რომ ვთქვათ, „გაგორებულიც“ იყო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სკანდინავიური ნაკრების ძირითადი ბირთვი, 14-15 ფეხბურთელი ევროპის წამყვან კლუბებში თამაშობს და ისინი „ბრონდბიუს“ და „კოპენჰაგენს“ ათი თავით აღემატებიან. დანიელები იტალიელებთან მატჩის შემდეგ პრაგმატულად და ძალთა დაზოგვით მიუდგნენ სხვა მატჩებს, თუმცა, რამდენად სწორი აღმოჩნდა ეს ტაქტიკა, ამის დამტკიცება მორტენ ოლსენსა და მის გუნდს კვირას, ღამით მოუწიათ ჯერჯერობით ყველაზე ძლიერად მოთამაშე ჩეხებთან.

ჩეხეთის ნაკრები, საერთოდ, ცალკე თემაა. ბოლო წლებია, რაც ეს გუნდი ოფიციალურ თუ ამხანაგურ შეხვედრებში ყველაფერს ზედიზედ იგებს. ჩეხებს ყველა წინაპირობა აქვთ საიმისოდ, რომ ასეთი ფეხბურთელებით ნებისმიერი მნიშვნელობის და სირთულის ტურნირი მოიგონ. ლატვიასთან ძლივს მოგებული მატჩის შემდეგ მათ ძალებში ზოგიერთი დაეჭვდა კიდეც, მაგრამ ისეთი ფანტასტიკური თამაში აჩვენეს ჰოლანდიელებთან, ნებისმიერი დონის ჩემპიონატს რომ დაამშვენებდა. მარტო ეს თამაშიც იკმარებს იმის სათქმელად, რომ კარელ ბრუკნერს ბრწყინვალე გუნდი ჰყავს. ჯგუფის ბოლო მატჩი ხომ მთლად საოცრება იყო: ჩეხების თავკაცმა გერმანიას მეორე შემადგენლობით მოუგო და საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ვინ იყო ფავორიტი — ტიტულებით სავსე გერმანია, თუ „მოკრძალებული“ ჩეხეთი.

რაც შეეხება ჰოლანდიას — დიკ ადვოკაატის ბიჭებმა ჩეხების საჩუქარი ალალად შეირგეს, დიდებულ მატჩში მატჩის შემდგომი პენალტებით აჯობეს იტალიელთა გამამწარებელ შვედებს.

ღირსეულად გამოვიდა ინგლისიც. სვენ-გორან ერიქსონს ბედი წყალობს, თან არც წყალობს. მაშინ, როცა უკვე შინ წასული გუნდების მთავარ მწვრთნელთა უმრავლესობა საკუთარი თუ სხვისი ნებით პოსტებიდან გადადგა, შვედ სპეციალისტს მშვიდად შეუძლია თქვას, რომ მის ნაკრებს ფორტუნამ აქცია ზურგი. პენალტების სერიაში, ისიც მასპინძლების წინააღმდეგ, თანაც ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავის — რუნის გარეშე დამარცხება, მას პასივში არ ჩაეთვლება. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ გამჭრიახობით აჯობა სკანდინაველს და ტაქტიკური ომი მოუგო. აბა ვინ მოიფიქრებდა გადამწყვეტ მომენტში ფიგუს შეცვლას? ალბათ მხოლოდ სკოლარი, რომელმაც ყველა მანევრი „ათიანში ჩააჯინა“. ინგლისელები კი ღირსეულად დაემშვიდობნენ პორტუგალიას, იმდენად ღირსეულად, რომ დებოშის მოყვარულ მათ ფანებს აღარც ლუდისა და ვისკის სმით მოუკლავთ თავი და აღარც ვიტრინები დაულეწავთ. გულდასაწყვეტი მხოლოდ ეს იყო: სადებიუტო მატჩში თითქმის მოპოვებული გამარჯვების ფრანგებისთვის მიძღვნა და უეინ რუნის დასანანი ტრავმა. ხმები რუნის „ამომავალი ვარსკვლავობის“ შესახებ შემთხვევითი არ ყოფილა. რუნიმ მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა და ჩემპიონატის აღმოჩენადაც იქცა.

ესპანეთი უსახურად გამოვიდა, სიმართლე გითხრათ, მეტს არც ველოდი, მიუხედავად იმისა, რომ რაულ-მორიენტესის დუეტი ნებისმიერი დაცვითი ხაზისთვის თითქმის გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. პორტუგალიური ლოგიკა კი ჯერჯერობით ასეთია: თამაშს იგებს მთელი გუნდი! ცალკეული ვარსკვლავების თამაში ესთეტიკური სიამოვნების მისაღებადაა კარგი, თორემ მატჩების მოსაგებად უკვე აღარაა საკმარისი.

სახელდახელო „საევროპო“ ანალიზის დასასრულს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ევროპის ჩემპიონატის უსუსტეს ნაკრებად წინასწარ გამწესებულ გუნდს, ლატვიას, რომელიც ალბათ მართლა უსუსტესი კი იყო პორტუგალიაში შეკრებილ გუნდთა შორის, მაგრამ ამ გუნდმა ორიოდე მატჩში საკუთარი ქვეყნის საფეხბურთო ისტორია შექმნა — თავდაჯერებულად, ტოლივით ეთამაშა გერმანიასა და ჩეხეთს. მსოფლიო პრესაში ყველასათვის უცნობი ლატვიელები გმირებად შერაცხეს, ესეც კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია საქმისადმი სწორად მიდგომას. ის, რაც ამდენი წელია ვერ ვისწავლეთ საფეხბურთო ტრადიციებით განთქმულმა ქართველებმა, იმ ლატვიელებმა შეძლეს, „გუშინ“ რომ დაიწყეს ბურთის გორება.

ეს არის მოკლედ, რაც აქამდე მოხდა პორტუგალიის მინდვრებზე. ისე კი, ევროპა უკვე ჩემპიონის გარეშეა დარჩენილი და მომავალ კვირას სამომავლო გვირგვინოსანიც გამოჩნდება. ვინ იქნება ჩემპიონის ტახტის მფლობელი? ნუ ვიმარჩიელებთ, აღიარებული „ფავორიტები“ უკვე შინ არიან, „განწირულები“ კი მწვერვალისაკენ ჯიუტად მიემართებიან, ზოგი ზიგზაგებით, ზოგი პირდაპირი შტურმით. ერთი მწვერვალი კი უკვე დაპყრობილია, დამპყრობლის სახელია: HELLADOS!

***ზვიად სეხნაშვილი***

# მეოთხე ქართველი NBA-ში



ვიქტორ სანიკიძე

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი 18 წლის **ვიქტორ სანიკიძე,** რომელიც საფრანგეთის „დიჟონში“ გამოდიოდა, მეოთხე ქართველია, ვინც ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში იასპარეზებს. ვიქტორი NBA-ს დრაფტზე ისეთმა ცნობილმა გუნდმა აირჩია, როგორიცაა „ატლანტა ჰოუქსი“. შემდეგ კი „სან ანტონიოს“ — 2002-2003 წლის სეზონის NBA-ს ჩემპიონს დაუთმო. სანიკიძე ამჟამად თბილისშია და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ემზადება. NBA-ს მეოთხე ქართველ ლეგიონერს სწორედ ნაკრების ვარჯიშზე შევხვდით:

— წინასწარ ვიცოდი, რომ დრაფტზე „სან ანტონიოს“ უნდა ავერჩიე 57-ე ან 58-ე ნომრად. „ატლანტასთან“ სწორედ „სან ანტონიოს“ ჰქონდა წინასწარი მოლაპარაკება.

**— NBA-ს დრაფტზე არჩევა ჭაბუკთა ნაკრებთან შენს უახლოეს გეგმებს ხომ არ შეცვლის?**

— არა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. NBA-ში გადასვლა და თავის გამოჩენა იმიტომ მიხარია, რომ საქართველოს ნაკრებს გამოვადგები. ბუნებრივია, ბოლომდე დავეხმარები ჭაბუკთა ნაკრებს. მერე თუკი ბრაიკოვიჩი გადაწყვეტს და ეროვნულ ნაკრებშიც დამიძახებს, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება.

**— NBA-ს სკაუტები მთელ ევროპას არიან მოდებულები და სისტემატურად ადევნებენ თვალს პერსპექტიული ახალგაზრდების თამაშს. შენ თუ იცოდი, რომ რომელიმე თამაშისას შენს სანახავად იყვნენ მოსულნი?**

— ხორვატიიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე წარმატებით თამაშის შემდეგ „დიჟონში“ რომ ჩავედი, ჩემმა მენეჯერმა მარკ ფლეიშერმა დამირეკა და მითხრა, რომ დრაფტზე ხარ აყვანილიო. ამას არ მოველოდი. როგორც ჩანს, ჩემს მატჩებს დაესწრო „სან ანტონიოს“ სკაუტი. გვიან გავიგე ისიც, რომ ეს კაცი საფრანგეთშიც ჩამოსულა და ჩემი თამაშების ვიდეოფირები წაუღია. ეს ფირები „სან ანტონიოს“ გენერალურ მენეჯერს უნახავს. შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ღირდა ამ მასალის ჩვენება „სან ანტონიოს“ მთავარი მწვრთნელის პოპოვიჩისთვის და სწორედ მას გადაუწყვეტია ჩემი საკითხი.

**— შენ ერთხანს ამერიკის ერთ-ერთი კოლეჯის გუნდშიც თამაშობდი...**

— ექვსი თვის მანძილზე ნიუ-იორკის კოლეჯში გამოვდიოდი. საკმაოდ კარგად ავუღე ალღო ამერიკულ ცხოვრებას. მომწონდა იქაური ვარჯიშები და თამაშის სტილი, თუმცა იყო გარკვეული პრობლემები, უჭირდათ ხელფასების დარიგება. ფინანსურად ეს კოლეჯი არ იყო ძლიერი, თუმცა იმას კი ახერხებდნენ, რომ ჩვენი სწავლის ფულს თავად იხდიდნენ. საკმაოდ საინტერესო იყო სწავლა, კალათბურთის თამაში, დატვირთვები... ისიც სათქმელია, რომ ამერიკელები დღეში მხოლოდ ერთხელ ვარჯიშობენ. იქ ორჯერადი ვარჯიშები არ არის. როგორც ვიცი, NBA-შიც ასეთი სტილისა და ფორმატის ვარჯიშებია. ვარჯიში დილით 8 საათზე იწყება და გრძელდება შუადღის სამ საათამდე.

**— ამას წინათ, ზაზა ფაჩულია იყო ჩამოსული თბილისში და როცა ევროპასა და NBA-ში თამაში შეადარა, კონკრეტული ციფრები მოიყვანა — NBA-ში მოთამაშე კალათბურთელს უწევს ორჯერ ნაკლებ დროში სამჯერ მეტი თამაშის ჩატარება. რამდენად ხარ მზად ასეთი დიდი დატვირთვებისთვის?**

— ვფიქრობ, რომ მზად ვარ. საფრანგეთში ძირითადი გუნდების თამაშის წინ ერთმანეთს ხვდებიან მათი სათადარიგო შემადგენლობები. თითქმის ყველა მატჩისას მე სათადარიგო შემადგენლობაში 40 წუთის განმავლობაში მიხდებოდა მოედანზე ყოფნა, თამაში როგორც კი სრულდებოდა, მწვრთნელს ძირითად 12 კაცში გადმოვყავდი და ხელახლა მიხდებოდა მატჩისთვის გახურება. ასე რომ, ზედიზედ თითქმის ორი მატჩის თამაში მიწევდა. ასეთი რეჟიმი თავიდან მიჭირდა, მერე კი მივეჩვიე და უფრო ნაკლები პრობლემები მექმნებოდა. იმედია, არც მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში შევირცხვენ თავს.

# საქართველოს ნაკრებში ამერიკელი ითამაშებს

გასულ კვირას მეტად საპასუხისმგებლო სეზონისთვის მზადება დაიწყო საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა. თბილისის „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ჯერ მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე კალათბურთელები შეიკრიბნენ. თავდაპირველად ივლისის პირველი ნახევრის ჩათვლით ნაკრები თბილისში მოემზადება, 17 ივლისიდან კი გუნდი იტალიაში გაივლის შეკრებას, სადაც ქართველი ლეგიონერები შეუერთდებიან. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ამ ეტაპისთვის მიზანშეწონილად ჩათვალა გუნდის გაძლიერება ამერიკელი ლეგიონერით. მოთამაშის შერჩევა ზაზა ფაჩულიას, ნიკა ცქიტიშვილსა და ვლადიმერ სტეფანიას დაევალათ. უკვე სახელდება რამდენიმე კანდიდატი, აქედან ორი „დეტროიტის“ შემადგენლობაში NBA-ს ჩემპიონი ყოფილა — მაიკ ჯეიმსი და შემონდ უილიამსი. ასევე მიდის მოლაპარაკება ედი ჰაუსთან, რომელიც ვოვა სტეფანიას ყოფილი თანაგუნდელია. ამათგან ჩვენს ნაკრებს კანონმდებლობით ერთი კალათბურთელის შერჩევის უფლება აქვს. დაგეგმილია, რომ ყველაფერი იტალიაში ნაკრების გამგზავრებამდე გაირკვეს, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურ შეხვედრებში თამაშამდე ამერიკელ გამთამაშებლებს იტალიაში წინასაოლიმპიადო ტურნირზე გამოცდიან. აპენინებზე საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეები იქნებიან იტალიის, რუსეთისა და შვედეთის ნაკრებები. კულუარული ინფორმაციით ისიც შევიტყვეთ, რომ ამ სამი ამერიკელიდან ქართველთა სიმპათიები უილიამსის მხარეს იხრება. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ჩვენ ვიყენებთ იმ უფლებებს, რასაც კანონმდებლობა გვანიჭებს და რაც წარმატებითაა აპრობირებული სხვადასხვა ეროვნული ნაკრების მიერ. ეს უფლება გამოიყენეს რუსებმა, ახლა შევიტყვე, რომ სლოვენიელმა ფუჩკამ, რომელიც „ბარსელონაში“ თამაშობს, იტალიის პასპორტი აიღო და ამ ქვეყნის ღირსებას დაიცავს. ასევე საინტერესოა ჩვენთვის, რომ NBA-ს ყოფილი კალათბურთელი ამერიკელი ბრაუნი, რომელიც გიორგი ცინცაძის თანაგუნდელია მოსკოვის ცსკა-ში, მაკედონიელებმა გადაიბირეს. ჩვენი მეტოქეები ძლიერდებიან და ბუნებრივია, ჩვენც უნდა გამოვიყენოთ ჩვენი შანსი“.



შემონდ უილიამსი

ოფიციალურ მატჩებს საქართველოს ნაკრები სექტემბერში გამართავს, სადაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მეტოქეები იქნებიან ფინეთის, მაკედონიის და ლუქსემბურგის ნაკრებები.

# ქართულ კლუბებს იოლი მეტოქეები ერგოთ

გასულ პარასკევს, შვეიცარიის ქალაქ ნიონში, სადაც უეფას შტაბბინაა განთავსებული, 2004-05 წლების ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. ქართულ გუნდებს გაუმართლათ, განსაკუთრებით ეს ქვეყნის ჩემპიონს „ვიტ ჯორჯიას“ ეხება, რომელსაც ბედმა მეტოქედ ფარერის კუნძულების „ტორსჰავნი“ არგუნა. მართალია, ამ გუნდის 4 წევრი ეროვნულ ნაკრებში თამაშობს, მაგრამ საეჭვოა, ამ ფაქტმა განსაკუთრებით შეაშინოს „ვეტერინართა“ ხელმძღვანელობა. შედარებით ფრთხილად უნდა იყვნენ უეფას თასზე მოასპარეზე „თბილისი“ და თბილისის „დინამო“, რომელთაც შესაბამისად აზერბაიჯანული „შამქირი“ და ბელორუსიის „ბატე“ შეხვდათ. „შამქირი“ უკვე რამდენიმე წელია ევროსარბიელზე სისტემატურად გამოდის. რაც შეეხება „ბატეს“, 2000 წელს „დინამოს“ მასთან უკვე უთამაშია და პირველ შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით მოგების შემდეგ, სტუმრად დიდი ანგარიშით დამარცხებულა...

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 14-28 ივლისს გაიმართება, უეფას თასისა — 15-29 ივლისს.

## №25 (403) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

25-ე რეიტინგს 426 რესპონდენტი გამოეხმაურა. 10 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 169 ქალმა და 247-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„თქვენი აზრით, ვინ არის საუკეთესო ტელეწამყვანი ქალი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობა საუკეთესო ტელეწამყვანად ნათია ლაზაშვილს აღიარებს. მკითხველთა 50%-მა შეაფასა „რუსთავი 2-ის“ უცვლელი სახე მაქსიმალური — 9 ქულით და უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულაც (0,5%) სწორედ მან დაიმსახურა. **7.80** საშუალო ქულით პირველ ადგილზე ნათია ლაზაშვილია, ექვს და ცხრასაათიანი „კურიერის“ წამყვანი ჟურნალისტი, რომელიც წლების მანძილზე ხალხის ცნობიერებაში ახალ-ახალ ინფორმაციასთან იყო გაიგივებული.

შემდეგ ადგილზე ნინო შუბლაძეა — ქართულ ტელესივრცეში ასევე საკმაოდ ცნობილი სახე, საშუალო ქულაა 6.47.

ნინო კურატაშვილი მესამე ადგილზეა. პირველი არხის სიმპათიური ტელეწამყვანი რესპონდენტთა 9%-მა შეაფასა მაქსიმალური ქულით. საშუალო ქულაა 5,29.

მკითხველმა ასევე მაღალი შეფასება მისცა სოფო მოსიძესაც, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს მინიმალური ქულები სჭარბობენ, რეიტინგში იგი მეოთხე ადგილზეა.

მინიმალური ქულების სიუხვით გამოირჩევიან ნინო ჟიჟილაშვილი (20%), ნატა ამაღლობელი (20%) და დიანა ჯოჯუა (17%).




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა, არც მიახლოებული ვარიანტი დაფიქსირებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯეკ-პოტია და მომავალი რეიტინგის საპრიზო ფონდი **200** ლარს შეადგენს.

**წარმატებებს გისურვებთ!**

## №26 (404) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

~~100~~ **200 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **«მკითხველის პრემიაში»**.

**№26 (404) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 30 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 1-ელი ივლისის 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №26(404) — დასვენება**

**სად ისურვებდით დასვენებას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№26(404) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | შოვი | |
| 2 | ბორჯომი | |
| 3 | მანგლისი | |
| 4 | ქობულეთი | |
| 5 | კოჯორი | |
| 6 | ბათუმი | |
| 7 | სურამი | |
| 8 | ურეკი | |

### მკითხველის რეიტინგი

**თქვენი აზრით, ვინ არის დღეს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ქართველი?**
*(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)*

1. ________________
2. ________________
3. ________________

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### ყველაზე სიმპათიური მინისტრები

| | | |
|---|---|---|
| 1. | გიორგი ბარამიძე | 36.5% |
| 2. | ირაკლი ოქრუაშვილი | 25.4% |
| 3. | სალომე ზურაბიშვილი | 15.2% |
| 4. | კახა ბენდუქიძე | 8.7% |
| 5. | გიორგი ბაბაშვილი | 3.7% |
| 6. | გიორგი პაპუაშვილი | 2.7% |
| 7. | გიორგი ხაინდრავა | 1.2% |
| 8-11. | თამარ ლებანიძე | 0.9% |
| 8-11. | ლადო ჭიპაშვილი | 0.9% |
| 8-11. | თამარ სულუხია | 0.9% |
| 8-11. | ზურაბ ნოღაიდელი | 0.9% |
| | სხვა მინისტრები | 0.9% |
| | არც ერთი | 1.2% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 0.9% |



*მკითხველის რეიტინგში 323 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

________________

________________

________________

________________

თქვენი სახელი, გვარი ________________

ქალაქი (რაიონი) ________________



*გიორგი ბარამიძე, ზურაბ ჟვანია, ირაკლი ოქრუაშვილი*

წინა ნომრის „ფოტოანტიკვარში“ გამოქვეყნებული ფოტოსურათის მინიშნებამ — „ციხიდან პარლამენტში“, საინტერესო სურათი მოგვცა — მკითხველის მიერ დასახელებულ პირთაგან ერთის, ირაკლი ოქრუაშვილის გარდა, ყველა იყო სხვადასხვა დროს ციხის ბინადარი: გურამ აბსანძე, თენგიზ ასანიძე, ლევან ბერძენიშვილი... ერთი ბარათის ავტორი კი დაბეჯითებით გვიმტკიცებს — ნაღდად სტალინიაო!

მაგრამ, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მკითხველთა 52%-მა ზუსტად ამოიცნო ამ ბიჭუნაში ყოფილი პატიმარი და პოლიტიკოსი **ზვიად ძიძიგური**.





*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



**ზვიად ძიძიგური, 6 წლის**




## ფოტო განცხადებისათვის



— მანამ მე არ ჯითამაშებ ფეხბურთს, ამათი საშველი არ იქნება...



კუს ცხვირზე კრაზანამ უკბინა და ისე გაუსივდა, რომ ბაკანში ველარ შეეტია. საცოდავმა სევდიანად ამოიხვნეშა:
— ღამის გათევა ქუჩაში მომიწევს...

**2/VII** საავსე მთვარე

**მაგნიტური დღეებია:**
30/VI 20-დან 24 საათამდე
1/VII 20-დან 24 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ვერანდა; 4. ფორტუნა; 6. რენტა; 7. „აპოლო“; 8. ემირი; 9. იანკი; 10. აბრაგი; 13. დელონე; 18. რემონტი; 19. „ახაშენი“; 20. ამური; 22. ემოცია; 23. კინაში; 25. პლაჟი; 27. ომალო; 28. ბუვიე; 29. რელსი; 30. ანაბარი; 31. ამულეტი.

**შვეულად:** 1. ვიქტორინა; 2. არბალეტი; 3. ანტონიონი; 4. ფავორიტი; 5. ამფიტრიტე; 11. რემბო; 12. გენტი; 14. ერაყი; 15. „ომეგა“; 16. აია; 17. ჩაი; 21. კუშანაშვილი; 22. ევაკუაცია; 24. ინტერვალი; 25. პლომბირი; 26. იზომერია.






## შინაპატიმრობა — საკუთარი სურვილით...



ანჯელინა ჯოლი ისევ უსიამოვნებაში გაეხვია. მსახიობი საოცრად პოპულარულია მამაკაცებს შორის და ყვითელი პრესაც დროს და ენერგიას არ იშურებს მის გასაჭორად.

ფილმში, „ბატონი და ქალბატონი სმიტები“, ანჯელინას პარტნიორი იყო ბრედ პიტი. ჟურნალისტებმა, რა თქმა უნდა, შანსი ხელიდან არ გაუშვეს და უმალ გაავრცელეს ხმა — მსახიობებს ინტიმური ურთიერთობა აქვთო. ეს ჭორი ცხადია, ბრედის მეუღლის, ჯენიფერ ენისტონის ყურსაც მისწვდა და საშინელი სკანდალი ატეხა. მერე თითქოს ყველაფერი მიწყნარდა, მაგრამ მალე სამეული ერთად აღმოჩნდა კანის ფესტივალზე, თანაც ერთ სასტუმროში და ჯენიფერმაც იფეთქა, — ფაქტზე ხომ დაგიჭირეთო. ანჯელინამ, მდგომარეობა რომ არ გაემწვავებინა, გადაწყვიტა, მთელი ფესტივალის მანძილზე არ გამოსულიყო თავისი ნომრიდან...


**ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი**

**(სტუ სპეც. ფაკულტეტი) აცხადებს მიღებას 2004/2005 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

1. ა) სამართალმცოდნეობა; ბ) სამხედრო სამართალი; გ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი (ქართული, რუსული და ინგლისური სექტორი).
2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი); ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა).
3. მთარგმნელობითი საქმიანობა:ა) ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა.
4. ა) ჟურნალისტიკა; ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა; გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები.

დღის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა-ტესტირების საფუძველზე.

ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ლიცეუმი. სწავლა ფასიანია, აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწერის მოწმობა (დედანი ასლთან ერთად).

საბუთების მიღება 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა, 10–15სთ.

მის: თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VIII სასწავლო კორპ. II სართ.

☎ 36-30-72; 36-30-73; 36-60-78; 36-34-34


ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 26 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№26 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 1 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი